347.96.
ნ.-88.
5415
5415 9913

U. სსრ იუსტიციის სამინისტრო
ნოტარიატის განყოფილება

5415

ნოტარიატი

ბრძანებების, დადგენილებების, ინსტრუქციებისა
და სადირექტივო წერილების

კ რ ე ბ უ ლ ი

მე-2 გამოცემა

თბილისი
1947

საქ. სსრ იუსტიციის სამინისტრო
ნოტარიატის განყოფილება
347.96
Б-88
9913
ЗАГЛ. 8787 БИБЛ.

ნოტარიატი

ბრძანებების, დადგენილებების, ინსტრუქციებისა
და სადირექტივო წერილების
კრებული

მე-2 გამოცემა

თარგმანი: ნ. ლომაურისა

Отдел Научно -- Справочной литературы
ЦГАОРСС
ГССР

თბილისი
1947

წინასიტყვაობა

გერმანელ ფაშიზმთან საბჭოთა ხალხის სამამულო ომმა სახელმწიფო ნოტარიატის ორგანოთა წინაშე დააყენა მთელი რიგი ახალი საკითხები, რომელთა სწორად გადაწყვეტა მოითხოვს ნოტარიატის მუშაკებისგან მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას, იურიდიულ მომზადებას, კანონების, სახელმწიფო ნოტარიატის დებულების და სსრკ იუსტიციის სახალხო კომისრის ბრძანებათა და მითითებათა ცოდნას.

სანოტარო ორგანოთა მუშაობა შესამჩნევად გართულდა გერმანული დროებითი ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ ოლქებში.

სახალხო მეურნეობისა და მოქალაქეთა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობის აღდგენა მოითხოვს ნოტარიატის მუშაკებისაგან გამოიჩინონ შემოქმედებითი ინიციატივა თავისი მუშაობის ორგანიზაციისა და სრულყოფის საქმეში, გამოჩინონ პოლიტიკური სიფხიზლე სანოტარო მოქმედებათა შესრულების დროს.

ნოტარიატის შესახებ არსებული ნორმატული მასალა ამ უკანასკნელ წლებში არ ყოფილა სისტემატიზირებული და ეს გარემოება საგრძნობლად ართულებს აღნიშნული მასალის შესწავლას პრაქტიკული სანოტარო მუშაკების მიერ.

სანოტარო ორგანოთა კადრებში მომხდარი ცვლილება მთელი სერიოზულობით აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ სანოტარო ორგანოებს გაეწიოს კონკრეტული დახმარება ნოტარიატის საკითხებზე არსებული საკანონმდებლო მასალების, ინსტრუქციებისა და ბრძანებების შესწავლაში, აგრეთვე სანოტარო მოქმედებათა გაფორმების დროს საჭირო საქმიანი ქაღალდების შედგენაში.

ნოტარიატის შესახებ მომქმედი საკანონმდებლო და ნორმატული მასალების არა საკმარისად ცოდნას მოსდევს ის, რომ პრაქტიკაში სანოტარო მოქმედებათა შესრულების დროს უხეშად ირღვევა კანონი და ხშირად ასეთი უცოდინარობა მესაძლებლად ხდის ნოტარიატის ორგანოში გაფორმებული დოკუმენტების გამოყენებას დანაშაულებრივი მიზნებისათვის.

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის დადგენილებათა, ბრძანებათა, ინსტრუქციათა და მითითებათა ამ კრებულს, რომე-

ლიც სსრკ იუსტსახკომისარიატის ნოტარიატის განყოფილების მიერ არის დამუშავებული და დამზადებული, სისტემაში მოჰყავს ნორმატული მასალა, აქვეა დართული ხელშეკრულებების, რწმუნებულობების და სხვა ისეთი დოკუმენტების სანიმუშო ნუსხა, რომლებიც საჭიროა სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის.

ნოტარიატის მუშაკების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უახლოეს დროს შეისწავლონ ამ კრებულში გამოქვეყნებული მასალები და უზრუნველჰყონ მათი ზუსტად და სწორად გამოყენება თავის პრაქტიკულ საქმიანობაში.

სსრ კავშირის იუსტიციის
სახალხო კომისრის მოადგილე **გ. პუგოვკინი.**

შემდგენლებისაგან

დადგენილებების, ბრძანებების, ინსტრუქციებისა და სადირექტივო წერილების კრებულის ეს გამოცემა წარმოადგენს ნოტარიატის შესახებ მომქმედი საკანონმდებლო და ნორმატული მასალების კრებულს.

კრებული შევსებულია ახალი დადგენილებებით, ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და სადირექტივო წერილებით, რომლებიც გამოიცნენ—ნოტარიატის მუშაკთათვის ცნობარი"-ს გამოსვლის შემდეგ (1940 წლის გამოცემა).

კრებული არ არის ამომწურველი, მაგრამ მასში შეტანილია ნოტარიატის შესახებ არსებული ყველა სადირექტივო მასალა, რასაც კი ჯერ არ დაუკარგავს პრაქტიკული მნიშვნელობა და მეტად საჭიროა ნოტარიუსების მუშაობისათვის.

დადგენილებები, ბრძანებები, ინსტრუქციები და სადირექტივო წერილები კრებულში დალაგებულია კარებად და, შეძლებისამებრ, ქრონოლოგიური წესით; ამასათან, ხშირად მათი ტექსტი მოყვანილია არა მთლიანად, არამედ ამონაწერების სახით; ეს იმისათვის, რომ სანოტარო მუშაკებს შესაძლებლობა მიეცეს ჩქარა იპოვონ მათთვის საჭირო მასალა.

კრებულის ბოლოს მოცემულია როგორც დანართი ხელშეკრულებათა, რწმუნებულობათა და სხვადასხვა ისეთ განცხადებათა ფორმები, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდებიან ნოტარიუსების პრაქტიკულ მუშაობაში.

ეს ფორმები სანიმუშოა და, როგორც ასეთი, შეიძლება შეცვლილ ან შევსებულ იქნენ. კერძოდ, ხელშეკრულების დადების დროს მხარეებს შეუძლიანთ შეიტანონ მათში ურთიერთ შეთანხმებით დამატებითი პირობები, მაგრამ ისეთი პირობები, რომლებიც კანონს არ ეწინააღმდეგებიან.

კრებულში მოთავსებულია ისეთი დადგენილებები, ბრძანებები, ინსტრუქციები და სადირექტივო წერილები, რომლებსაც 1944 წ. დეკემბრის 1-სათვის ძალა არ ჰქონდათ დაკარგული.

გუდნევი, დოკინი

სახელმწიფო ნოტარიატის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ

სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1926 წლის 14 მაისის დადგენილება (სსრკ კან. კრ. 1926 წლ. № 35, მუხ. 252).

(ამონაწერი)

1. გარიგებათა სანოტარო დამოწმებისა და სხვა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის (მუხ. 8) არსდება სახელმწიფო სანოტარო კონტორები, რომლებიც მოქმედობენ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ დადგენილების საფუძველზე.

4. სახელმწიფო ნოტარიუსს უფლება არა აქვს დაიკავოს სხვა სახელმწიფო თანამდებობა, არჩევითი და მასწავლებლის თანამდებობის გარდა, არ შეუძლიან, აგრეთვე, იყოს დამცველთა კოლეგიის წევრი, იმუშავოს დაქირავებით კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და კერძო პირებთან, მიიღოს მონაწილეობა საკავშირო და სამრეწველო საწარმოებში.

5. სახელმწიფო სანოტარო ორგანოთა შენახვის ხარჯი, ნოტარიუსების და ამ ორგანოთა სხვა თანამშრომლების შრომის სასყიდლის თან ჩართვით გაიღება სათანადო მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიჯეტიდან იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. (1927 წლ. 21/XII რედაქციით—კან. კრ. 1928 წლ. № 2, მუხ, 12).

6. სახელმწიფო ნოტარიუსი და სახელმწიფო სანოტარო კონტორის სხვა თანამშრომლები თავისი შრომის გასამრჯელოს იღებენ მხოლოდ სახელმწიფოსაგან.

8. სახელმწიფო სანოტარო კონტორას ეკისრება:

ა) გარიგებათა სანოტარო დამოწმება;

ბ) კანონით გათვალისწინებული პროტესტების შესრულება;

გ) დოკუმენტების ასლების და წიგნებიდან და დოკუმენტებიდან ამონაწერის სისწორის შემოწმება;

დ) ხელმონაწერის სინამდვილის შემოწმება;

ე) იურიდიული მნიშვნელობის ისეთი გარემოების და ფაქტის დამოწმება, რომელთა არსებობაშიც ნოტარიუსს შეუძლიან უშუალოდ თვითონ დარწმუნდეს და რომელთა დამოწმებისათვის კანონით სხვა წესი არ არის დადგენილი;

ვ) შენობებსა და აღნაგობის უფლებაზე დადებული ყადაღის, მისი შეცვლისა და მოხსნის რეგისტრაცია;

ზ) დოკუმენტების შენახვა;

თ) სხვა მოქმედება, გათვალისწინებული მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით.[1]

ცალკე სანოტარო კონტორებს შეიძლება დაეკისროს აგრეთვე უცხო ენებიდან და უცხო ენებზე თარგმანის სისწორის შემოწმება;

9. გარიგების სანოტარო დამოწმება მდგომარეობს იმაში, რომ თვით აქტზე კეთდება წარწერა იმის შესახებ, რომ გარიგება სანოტარო წესით არის დამოწმებული, წარწერას ხელს მოაწერს სახელმწიფო ნოტარიუსი და დაესმის სანოტარო კონტორის ბეჭედი.

გარიგების სანოტარო დამოწმება აღინიშნება სანოტარო რეესტრში.

აქტი, რომელიც კანონის თანახმად, სანოტარო წესით უნდა იყოს დამოწმებული, წარედგინება სანოტარო კონტორას ორ ცალზე არა ნაკლები რაოდენობით. ერთი ამათგანი, ძირითადი, დარჩება სანოტარო კონტორის საქმეებში.

10. ყოველგვარი სანოტარო მოქმედების შესრულების დროს სახელმწიფო ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს—შეესაბამებიან თუ არა მომქმედ კანონებს მისთვის წარმოდგენილი დოკუმენტები და მისგან მოთხოვნილი მოქმედება, ვალდებულია შეამოწმოს აგრეთვე გადახდილია თუ არა დოკუმენტზე დაწესებული გამოსაღები.[2]

11. გარიგების სანოტარო წესით დამოწმების დროს სახელმწიფო ნოტარიუსი, გარდა იმისა, რომ მან უნდა შეამოწმოს შეესაბამებიან თუ არა კანონს გარიგება და მასთან წარმოდგენილი დოკუმენტები და გადახდილია თუ არა დოკუმენტებზე დაწესებული გამოსაღები, მოვალეა აგრეთვე შეამოწმოს:

ა) მოწერილი აქვთ თუ არა გარიგებაში მონაწილე პირებს ხელი გარიგებაზე და ეს ხელმონაწერი ნამდვილად. მათ ეკუთვნით თუ არა;

ბ) გარიგებაში მონაწილე პირთა უფლებაუნარიანობა და ქმედობაუნარიანობა.

---

[1] მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობების მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ნოტარიატის დებულებებით.

[2] სახელმწიფო ბაჟი.

12. სახელმწიფო ნოტარიუსი მოვალეა სანოტარო მოქმედების შესრულების დროს გაუწიოს მშრომელებს აქტიური დახმარება მათი უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში იმ მხრივ, რომ ამ პირთა იურიდიული უცოდინარობა და სხვა ამგვარი გარემოება არ იყოს გამოყენებული მათ საზიანოდ.

13. სახელმწიფო ნოტარიუსი და სახელმწიფო სანოტარო კონტორის თანამშრომლები ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ მათ მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედება.

ცნობები მიეცემა მხოლოდ იმ პირებს, რომელთა დავალებით ან რომელთა მიმართაც სანოტარო მოქმედება შესრულდა, აგრეთვე პროკურატურის, სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოთა მოთხოვნით და სხვა ისეთ შემთხვევებშიც, რომლებიც კანონით სპეციალურად არის გათვალისწინებული.

16. სანოტარო მოქმედებათა შესრულება საზღვარგარეთ ეკისრება სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებებს.

1. სანოტარო ორგანოთა საქმიანობის ხელმძღვანელობა

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის დებულება [1]

დამტკიცებულია სსრკ სახკომსაბჭოს მიერ 1939 წ. 15/VI. (სსრკ დადგ. კრებ. 1939 წლ. № 40, მუხ. 301)
(ამონაწერი)

5. სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატს ეკისრება:

გ) სანოტარო ორგანოთა ორგანიზაციისა და მათი საქმიანობის ხელმძღვანელობა სანოტარო ორგანოთა დებულების შესაბამისად.

8. ამ დებულების მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატი:

ა) იხილავს სანოტარო ორგანოთა განლაგებას და შტატებს, აწარმოებს ამ ორგანოთა რევიზიას და გამოსცემს ბრძანებებს და ინსტრუქციებს მათი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

1. იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც ოლქობრივი დაყოფა არ არის, სანოტარო კონტორების ორგანიზაცია და მათი საქმიანობის ხელმძღვანელობა ეკისრება ამ რესპუბლიკების იუსტსახკომისარიატებს. იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელთა შემადგენლობაში არიან ასსრ მხარეები და ოლქები, სანოტარო კონტორების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საქმეს ანხორციელებენ ამ რესპუბლიკების იუსტსახკომისარიატები, სათანადო ასსრ იუსტსახკომისარიატისა და იუსტსახკომისარიატის სამხარეო და საოლქო სამმართველოთა მეშვეობით.

ვ) აწყობს სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისტემის ორგანოთა, სასამართლოს, ნოტარიატის [1] და ადვოკატურის კადრების აღრიცხვის საქმეს.

9. სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში ჩამოყალიბდება:

ნოტარიატის განყოფილება.

18. ნოტარიატის განყოფილებას ეკისრება:

ა) სანოტარო ორგანოთა მუშაობის ხელმძღვანელობა მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატის მეშვეობით;

ბ) სანოტარო ორგანოთა მუშაობისათვის კონტროლის გაწევა როგორც მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატების მეშვეობით, ისე, საჭირო შემთხვევაში, უშუალო რევიზიების გზით;

გ) ნოტარიატის ორგანიზაციისა და მუშაობის საერთო საკითხების დამუშავება.

იმ თანამდებობათა ნომენკლატურა, რომელთაც ნიშნავენ და ამტკიცებენ სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარი, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრები, იუსტსახკომისარიატების სამმართველოთა უფროსები და სასამართლოთა თავმჯდომარეები

დამტკიცებულია სსრკ იუსტსახკომისრის 1944 წლის 30 აპრილის № 13 ბრძანებით
(ამონაწერი)

11. მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრების ნომენკლატურა.

მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრები ნიშნავენ:

26. უფროს ნოტარიუსებს რსფსრ-ში, უსსრ-ში და კაზახსტანის სსრ-ში, დანარჩენ რესპუბლიკებში კი—ყველა ნოტარიუსს, გამოუკლებლივ.

1. აღრიცხვას აწარმოებენ:

ა) იმ ნოტარიუსების, რომელთაც უმაღლესი იურიდიული განათლება აქვთ—სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის კადრების სამმართველო საბარათო სისტემის მიხედვით;

ბ) უფროსი ნოტარიუსების რსფსრ-ში, უსსრ-ში, და კაზახსტანის სსრ-ში, ხოლო დანარჩენ რესპუბლიკებში—გამოუკლებლივ ყველა ნოტარიუსის—მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატები, პირად საქმეთა წარმოებით სრული საღრიცხვო მასალით და

გ) ნოტარიუსების რსფსრ-ში, უსსრ-ში და კაზახსტანის სსრ-ში—იუსტსახკომისარიატების სამმართველოები და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტსახკომისარიატები, პირად საქმეთა წარმოებით სრული საღრიცხვო მასალით.

III. ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრების ნომენკლატურა.

ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრები ნიშნავენ:

11. ნოტარიუსებს.

IV. ნომენკლატურა იუსტსახკომისარიატების სამმართველოთა უფროსებისა მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოებთან.

იუსტსახკომისარიატის სამმართველოთა უფროსები ნიშნავენ:

ე) ნოტარიუსებს რსფსრ-ში, უსსრ-ში და კაზახსტანის სსრ-ში.

სანოტარო კონტორების მუშაობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესება

სსრკ იუსტსახკომისრის 1940 წლ. 4 ნოემბრის № 158 ბრძანება

(ამონაწერი)

5. წინადადება მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრებს და იუსტსახკომისარიატების სამმართველოთა უფროსებს არ დაუშვან ნოტარიატის ხაზით მომუშავე რევიზორის მოვალეობის და ადვოკატურის ხაზით მომუშავე რევიზორის მოვალეობის დაკისრება ერთ და იმავე ადამიანზე და რევიზორი ნოტარიატის ხაზით გამოიყენოს მხოლოდ და მხოლოდ ნოტარიატის სამუშაოსათვის.

6. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებმა და იუსტსახკომისარიატების საოლქო და სამხარეო სამმართველოთა უფროსებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა სანოტარო კონტორების მიმართ, სისტემატურად შეამოწმონ მათი მუშაობა და გაუწიონ ნოტარიუსებს პრაქტიკული დახმარება მუშაობაში. გაადიდონ სანოტარო კონტორების რევიზიების რიცხვი ისეთი ვარაუდით, რომ წლის განმავლობაში არც ერთი სანოტარო კონტორა არ დარჩეს ურევიზიოდ.

7. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებმა და იუსტსახკომისარიატებ ს საოლქო და სამხარეო სამმართველოთა უფროსებმა სისტემატურად მოაწყონ ნოტარიუსების, რევიზორების და ნოტარიატის სექტორების უფროსების თათბირები სანოტარო კონტორების მუშაობის გამოცდილების გაცვლა-გამოცვლისა და ნოტარიუსების ინსტრუქტირებისათვის.

8. წინადადება მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებს და იუსტსახკომისარიატების საოლქო და სამხარეო სამმართველოთა უფროსებს გააძლიერონ საფინანსო კონტროლი სანოტარო კონტორებში სახელმწიფო ბაჟის სწორად გადახდევინებასა და ამ ბაჟის სახელმწიფო შემოსავლად სწორად გადარიცხვაზე, აგრეთვე სადეპოზიტო თანხების დროულად გადარიცხვაზე და საფინანსო აღრიცხვა-ანგარიშგების სისწორეზე.

რსფსრ სანოტარო კონტორების მუშაობისა და მათდამი ხელმძღვანელობის შესახებ

სსრკ იუსტსახკომისრის 1941 წლის 5 თებერვლის № 27 ბრძანება

(ამონაწერი)

სანოტარო კონტორების მუშაობის გაუმჯობესების და მათი საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით **ვბრძანებ:**

ა) შემოღებულ იქნეს პრაქტიკაში ასსრ იუსტიციის სახალხო კომისრების და იუსტიციის სახ. კომისარიატების სამხარეო და საოლქო სამმართველოთა უფროსების ანგარიშგება კოლეგიების სხდომებზე, იუსტიციის სახალხო კომისრებთან ან მათ მოადგილეებთან მოწვეულ თათბირებზე სანოტარო კონტორების მუშაობისა და მათდამი ხელმძღვანელობის შესახებ.

5. აღინიშნოს რსფსრ იუსტიციის სახ. კომისარიატის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სახ. კომისარიატების საყურადღებოთ, რომ იუსტსახკომისარიატების ზოგიერთი სამართველოს უფროსი და ზოგიერთი ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარი არ უზრუნველჰყოფენ რევიზორებს სანოტარო ორგანოთა რევიზიისათვის საჭირო სამივლინებო სახსრებით. დაევალოს იუსტიციის სახკომისარიატების საამართველოთა და ასსრ იუსტიციის სახკომისარიატების ნოტარიატის სექტორების უფროსებს და რევიზორებს ყოველი ისეთი შემთხვევა, როდესაც რევიზორი არ იქნება უზრუნველყოფილი სამივლინებო სახსრებით, აცნობონ მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სახ. კომისარიატს.

8. დაევალოს რსფსრ იუსტიციის სახ. კომისარიატს უზრუნველჰყოს სანოტარო კონტორები საჭირო რაოდენობის ქაღალდით, საფულე წიგნებით, რეესტრებით და საჭირო ინვენტარით, ამასთან

ერთად მიიღოს ზომები სანოტარო კონტორების უზრუნველსაყოფად დამოუკიდებელი სადაზღვევით.

ნოტარიატის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის შედეგების შესახებ

სსრკ იუსტსახკომისრის 1941 წლ. 7 ივნისის
№ 87 ბრძანება

(ამონაწერი)

5. ნოტარიუსის თანამდებობაზე მიღებულ იქნან ის პირნი, რომელთაც უმაღლესი იურიდიული განათლება აქვთ ან იურიდიული სკოლა დაუმთავრებიათ, ან და აქვთ მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, იურისკონსულტად მუშაობის ან სანოტარო მუშაობის ორი წლის სტაჟი.

სანოტარო კონტორების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

სსრკ იუსტსახკომისრის 1941 წლის 19 სექტემბრის
№ 9 ბრძანება

(ამონაწერი)

3. სანოტარო კონტორების ნოტარიუსებმა და იუსტიციის სახკომისარიატების საოლქო და სამხარეო სამმართველოთა უფროსებმა გარდაქმნან სანოტარო კონტორების მუშაობა საომარი დროის მოთხოვნათა შესაფერისად; გააძლიერონ სიფხიზლე სანოტარო მუშაკთა შორის, აამაღლონ მათი პასუხისმგებლობა მუშაობაში სიზუსტისა და კულტურულობის დანერგვისათვის; უზრუნველჰყონ ოპერატიული კონტროლი სანოტარო კონტორების პრაქტიკულ მუშაობაზე და მათ მიერ შესრულებულ სანოტაორ მოქმედებათა სისწორეზე.

სანოტარო კონტორებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1942 წლის
23 ივნისის № ად—11 სადირექტივო წერილი

(ამონაწერი)

3. გაუმჯობესდეს რევიზიის ხარისხი; სარევიზიო მასალებში უნდა აისახოს არა მხოლოდ სანოტარო კონტორების მუშაობის ნაკლოვანებანი, არამედ რევიზიით უნდა გამოირკვეს ამ ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზები და აღმოიფხვრას ისინი ადგილობრივ.

რევიზიის შედეგი, როგორც წესი, მოისმინოთ კოლეგიის სხდომაზე, ოპერატიულ თათბირებზე ნოტარიუსების თანამოხსენებასთან ერთად და მისცეთ რევიზიის ირგვლივ პრაქტიკული მითითებანი.

5. დაეალოს ყველა იმ ნოტარიუსს, რომელსაც იურიდიული განათლება არ მიუღია, ჩაერიცხოს დაუსწრებელი სწავლების სისტემაში. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრებმა და იუსტსახკომისარიატების საოლქო და სამხარეო სამმართველოთა უფროსებმა მოაწყონ კონტროლი აღნიშნული ნოტარიუსების სწავლისადმი და მიიღონ გადამწყვეტი ზომები (თვით სამუშაოდან მოხსნამდე) იმ მუშაკების მიმართ, რომლებსაც არ სურთ თავისი თეორიული დონის ამაღლება.

სანოტარო კონტორების მუშაკთა სამუშაო ხელფასის შესახებ

სსრკ სახკომსაბჭოს 1943 წლის 4 ივლისის № 639
დადგენილება

(ამონაწერი)

1. შემოღებულ იქნას 1943 წლის 1 ივლისიდან სამუშაო ხელფასის შემდეგი განაკვეთები:

რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო. სანოტარო კონტორების უფროსი ნოტარიუსებისათვის—უმაღლესი, სამხარეო და საოლქო სასამართლო წევრების სამუშაო ხელფასის განაკვეთების თანაბრად, ხოლო უფროსი ნოტარიუსების თანაშემწეთათვის—უფროსი ნოტარიუსების განაკვეთზე 10%-ით ნაკლები.

სარაიონო კონტორების ნოტარიუსებისათვის—სარაიონო სახალხო მოსამართლის სამუშაო ხელფასზე 15%-ით ნაკლები.

ნოტარიუსების მიერ სანოტარო კონტორებთან საწარმოო სტაჟის განვლის შესახებ

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისრის 1944 წლის
4 აპრილის № 9 ბრძანება

ნოტარიუსების იურიდიული მომზადებისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, **ვბრძანებ:**

1. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრებმა და იუსტიციის სახ. კომისარიატების სამმართველოთა უფროსებმა მოაწყონ საწარმოო პრაქტიკის განვლა ახლად დანიშნული ნოტარიუსებისათვის, აგრეთვე იმ ნოტარიუსებისათვი-

საც, რომლებიც თუმცა მუშაობენ, მაგრამ საკმარისი კვალიფიკაცია არა აქვთ.

ნოტარიუსების თანამდებობაზე ახლად წამოყენებული პირები, თუ მათ საწარმოო პრაქტიკა განვლილი არ ექნებათ არ შეიძლება დაინიშნონ ნოტარიუსად.

2. საწარმოოპრაქტიკა, რგორც წესი, ტარდება რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრებში, მდებარე სანოტარო კონტორებში, უფროსი ნოტარიუსების ან მათი თანაშემწეების ხელმძღვანელობით.

განსაკუთრებულ შემთხვევაში საწარმოო პრაქტიკის განვლა შეიძლება მოეწყოს სათანადო სანოტარო კონტორებშიაც, მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ კონტორების ნოტარიუსებს საკმარისი იურიდიული მომზადება აქვთ და თუ მათ კარგად იციან სანოტარო კონტორების პრაქტიკული მუშაობა.

3. ნოტარიუსების საწარმოო პრაქტიკა ტარდება ამასთანავე დართული პროგრამით 20—25 დღის განმავლობაში.

თუ პრაქტიკის განვლის პროცესში მოცემულ სანოტარო კონტორას არავინ მიმართავს ისეთი სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის, რომელიც სახელმწიფო ნოტარიატის დებულებით არის გათვალისწინებული, პრაქტიკანტი ამ მოქმედების შესრულებისა და გაფორმების წესს გაეცნობა სანოტარო კონტორაში ქონებული მასალების მიხედვით.

4. პრაქტიკის ვადის გასვლის შემდეგ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრები ან იუსტსახკომისარიატების სამმართველოთა უფროსები პრაქტიკანტთან პირადი საუბრის და პრაქტიკის ხელმძღვანელის აზრის საფუძველზე შეადგენენ დახასიათებას, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) პრაქტიკის განვლის დრო,

ბ) ფაქტიურად ჩატარებული მუშაობა,

გ) ჩატარებული მუშაობის შეფასება,

დ) პრაქტიკანტის მიერ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებისა და ამ დებულების შესაფარდებლად გადმოცემული იუსტსახკომისარიატის ინსტრუქციის ცოდნა,

ე) იურიდიული და საერთო ცოდნის დონე,

კ) რამდენად მომზადებულია პრაქტიკანტი ნოტარიუსის თანამდებობისათვის.

ეს დახასიათება ინახება ნოტარიუსის პირად საქმეში.

5. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრებმა ამ ბრძანების შესრულება გააშუქონ პერიოდიულ ანგარიშებში.

დანართი
სსრკ იუსტსახკომისრის 1944
წლის 4 აპრილის № 9 ბრძანებისა

პ რ ო გ რ ა მ ა

ნოტარიუსების საწარმოო პრაქტიკისა სანოტარო კონტორებთან

თ ე მ ა 1. **სანოტარო ორგანოთა ამოცანები და ფუნქციები**

2 საათი

საბჭოთა ნოტარიატი, როგორც ისეთი სახელმწიფო ორგანო, რომლის ამოცანაა სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის გარიგებებისა და დოკუმენტების გაფორმება და დამოწმება და ამით მათთვის სარწმუნო ძალის მიცემა.

საბჭოთა ნოტარიატის ორვანოები—როგორც სოციალისტური კანონიერების გამტარებელი, სახელმწიფოსი და მოქალაქეთა ინტერესების დამცველი ორგანოები.

სახელმწიფო ნოტარიატის დებულება. სანოტარო კონტორების ფუნქციები. სანოტარო მოქმედებანი, რომლებსაც ასრულებენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და მათი შესაბამი საბჭოები.

თ ე მ ა II. **ზოგადი დებულებანი სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ**

4 საათი

სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესი. სანოტარო წესით დასამოწმებელი და შესამოწმებელი გარიგებებისა ან დოკუმენტების და ყველა მათთან დაკავშირებული დოკუმენტის, აგრეთვე სხვადასხვა გარემოებების და ფაქტების შემოწმება.

სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი.

იმ მოქალაქეთა უფლებაუნარიანობის და ქმედობაუნარიანობის შემოწმება რომლებიც მონაწილეობას იღებენ სანოტარო მოქმედების შესრულებაში, შემოწმება აგრეთვე მათ წარმომადგენელთა უფლება-მოსილობისა.

იურიდიულ პირთა უფლებაუნარიანობის და მათ წარმომად გენელთა უფლებამოსილობის შემოწმება, შემოწმება აგრეთვე იმის, აქვთ თუ არა მათ უფლება შეასრულონ მოცემული სანოტარო მოქმედება.

სანოტარო მოქმედების შესრულების საიდუმლოდ შენახვა, სანოტარო მოქმედების შესახებ ცნობების გაცემის წესი. სანოტარო მოქმედების შესრულება სანოტარო კონტორის გარეშე (სახლში, საავადმყოფოში და ა. შ.).

საჩივარი ნოტარიუსის მოქმედებაზე.

თემა III. ისეთი ხელშეკრულების სანოტარო დამოწმება, რომლითაც აღნაგობის უფლებაა დადგენილი

12 საათი (8 საათი პრაქტიკა)

აღნაგობის უფლების ცნება. განსხვავება აღნაგობის უფლებასა და საკუთრების უფლებას შორის. აღნაგობის უფლების დადგენის შესახებ დადებული ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების აუცილებლობა. რა ვადით დამოწმდება ხელშეკრულება აღნაგობის უფლების დადგენის შესახებ. ხელშეკრულების მხარენი. ხელშეკრულების რეკვიზიტები.

სახელმწიფო დაწესებულებებისა, საწარმოებისა და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის მიწის ნაკვეთების მიცემა შენობების ასაგებად უვადო სარგებლობის უფლებით აღნაგობის უფლების შესახებ ხელშეკრულების დაუდებლად.

სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

თემა IV. შენობებისა და აღნაგობის უფლების გასხვისების ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება

22 საათი (16 საათი პრაქტიკა)

მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე სტალინური კონსტიტუციის თანახმად. შენობებისა და აღნაგობის უფლების გასხვისების ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების აუცილებლობა (რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 185 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლი).

შენობისა და აღნაგობის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულების რეკვიზიტები. შენობისა და აღნაგობის უფლების რეალური ნაწილების გასხვისების დაუშვებლობა. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი შენობებისა და აღნაგობის უფლების გასხვისების წესი. (სსრკ იუსტსახკომისრის 1942 წლის 26 აგვისტოს № 83 ბრძანება).

ისეთი შენობის წილის გასხვისების ხელშეკრულების დამოწმების წესი, რომელიც საერთო საკუთრებას შეადგენს. თანამფლობელის უპირატესი უფლება შეიძინოს საერთო ქონების გასასხვისებელი წილი.

ნოტარიუსის მიერ იმის შემოწმება, რომ შენობა ნამდვილად გამყიდველს ეკუთვნის.

მხარეთა მიერ რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 182 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლის მოთხოვნის შესრულება ისეთი შენობის გასხვისების დროს, რომელიც მათ ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით. გამოთხოვნა ცნობების: შეფასების (საინვენტარიზაციო ან სადასაზღვევო) შესახებ, იმის შესახებ, ადევს თუ არა შენობას ყადაღა, ირიცხება თუ არა გამყიდველზე ან გასაყიდ შენობაზე სახელმწიფო გადასახადის ან გამოსაღების ნარჩენი.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ მოქალაქეთა შენობების შეძენის წესი.

მიწის, ბაღის, ვენახის და წვრილი ხეხილის გაყიდვის დაუშვებლობა.

დასანგრევად და გადასატანად შენობის ყიდვა-გაყიდვა. სავალდებულოა თუ არა ასეთი ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის სანოტარო ფორმა.

შენობის და აღნაგობის უფლების გასხვისების ხელშეკრულების პროექტის შედგენა. სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ხელშეკრულების მეორე ეკზემპლარის დუბლიკატის გაცემის წესი.

თემა V. ჩუქების ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება

4 საათი (2 საათი პრაქტიკა)

ჩუქების ხელშეკრულების ცნება. 1000 მანეთზე მეტი ღირებულების ქონების ჩუქების ხელშეკრულებისათვის სანოტარო წესით დამოწმების აუცილებლობა. შეუძლიან თუ არა მჩუქებელს თავისი ქონება აჩუქოს ყოველივე იმ პირს, რომელსაც ინებებს. ჩუქების ხელშეკრულებით ქონების გადასვლის (მჩუქებლისაგან ჩუქრებულზე) მომენტი. ჩუქების ხელშეკრულების დამოწმების წესი (იმავე წესების დაცვა, როგორც ყიდვ[illegible]).

Отдел Научно-Справочной Литературы ЦИОРСС ГССР

ჩუქების ხელშეკრულების პროექტის შედგენა.
სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება.

თემა VI. ქონებრივი ქირავნობის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება

6 საათი (4 საათი პრაქტიკა).

ადგილობრივ საბჭოთა და მოქალაქეთა სახლებში საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხელშეკრულება. საბინაო სამმართველოთა მიერ ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელ სახლებში 60 კვ. მეტრზე არა უდიდესი საცხოვრებელი ფართობის იჯარად გაცემის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების აუცილებლობა. სატიპო ხელშეკრულება 60 კვ. მეტრზე არა უდიდესი საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი სახლის იჯარად გაცემის შესახებ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 74, მუხ. 361).

სავალდებულოა თუ არა ისეთი შენობის იჯარად გაცემის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება, რომელიც ეკუთვნის ცალკე მოქალაქეს აღნაგობის უფლების ან პირადი საკუთრების უფლების საფუძველზე.

საცხოვრებელი სახლის იჯარად გაცემის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების დაუშვებლობა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამ სახლის საიჯარო ქირა აღემატება კანონით დადგენილი საბინაო ქირის განაკვეთებს. რა ვადით შეიძლება საიჯარო ხელშეკრულების დადება. საიჯარო ხელშეკრულების დამოწმების წესი. ხელშეკრულების პროექტის შედგენა. სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება.

თემა VII. ანდერძის სანოტარო წესით დამოწმება

4 საათი (2 საათი პრაქტიკა)

ანდერძის ცნება. იმ პირთა წრე, რომელთა სასარგებლოდ შეიძლება ქონების ანდერძით დატოვება. ანდერძის სანოტარო დამოწმების წესი.

მეანდერძეს უფლებაუნარიანობის და ქმედობაუნარიანობის შემოწმება.

ომიანობის დროს სამხედრო მსახურთა ანდერძის დამოწმების წესი. (სსრკ სახკომსაბჭოს 1942 წ. 15 სექტემბრის № 1536 დადგენილება).

ანაბრის ანდერძით დატოვების წესი. ანდერძის შეცვლა და გაუქმება. ანდერძის პროექტის შედგენა. სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება.

თემა VIII. რწმუნებულობის სანოტარო წესით დამოწმება.

12 საათი (8 საათი პრაქტიკა).

სანოტარო წესით რწმუნებულობის დამოწმების დროს მისი კანონიერების შემოწმება. მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა სახელით რწმუნებულობის დამოწმების წესი.

როგორი რწმუნებულობისათვის არის სავალდებულო სანოტარო წესით დამოწმება.

იმ სამხედრო მსახურთა რწმუნებულობის დამოწმების წესი, რომლებიც სამამულო ომის ფრონტებზე იმყოფებიან. (სსრკ სახკომსაბჭოს 1942 წლის 15 სექტემბრის № 1536 დადგენილება).

საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნული რწმუნებულობის დამოწმება, კერძოდ რწმუნებულობისა, რომელიც გაცემულია საგარეო ვაჭრობის ოპერაციების შესრულებისათვის.

რა ვადით შეიძლება რწმუნებულობის გაცემა.

რწმუნებულობის გამცემ მოქალაქეთა პირადობის, უფლებაუნარიანობის და ქმედობაუნარიანობის შემოწმება, აგრეთვე იურიდიულ პირთა უფლებაუნარიანობის და მათ წარმომადგენელთა უფლებამოსილობის შემოწმება. რწმუნების გადაცემის დამოწმების წესი. გადარწმუნების მონაწილეთა უფლებამოსილობის შემოწმება. რწმუნებულობის პროექტის შედგენა. (რწმუნებულობა ქონების გამგებლობისათვის, სასამართლო რწმუნებულობა, რწმუნებულობა სახლის გაყიდვისათვის და ა. შ.). რწმუნებულობისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

თემა IX. ასლის და ამონაწერის სისწორის შემოწმება.

18 საათი (16 საათი პრაქტიკა).

ასლი, როგორც დედანის ამსახველი დოკუმენტი. განსხვავება ასლსა და დუბლიკატს შორის. სანოტარო კონტორის მიერ შემოწმებული ასლის სისწორის გარანტია. შემოწმების წესი. დოკუმენტის ასლის სისწორის შეჯოწმების დროს განსაკუთრებული სიფხიზლის გამოჩენის საჭიროება.

დოკუმენტის შემოწმება იმ მხრივ, თუ რამდენად კანონიერია იგი.

სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 3 ივნისის დადგენილება „ისეთი დოკუმენტების ასლების სისწორის შემოწმების მოწესრიგების შესახებ, რომლებიც შეეხება მოქალაქეთა პირად უფლებებს და ინტერესებს“ (სსრკ კან. კრ. 1937 წლ. № 37, მუხ. 149).

ისეთი დოკუმენტები, რომელთა ასლის შემოწმება აკრძალულია. (სსრკ სახკომსაბჭოს 1937 წ. 3 ივნისის დადგენილება. სსრკ იუსტსახკომისარიატის 1939 წლის 22 მაისის და 1943 წლის 28 აგვისტოს № 1-42 სადირექტივო წერილები). ასლის ასლის შემოწმების წესი. (სსრკ იუსტსახკომისარიატის 1937 წლის 10 სექტემბრის № 98 ინსტრუქცია).

დოკუმენტებიდან და წიგნებიდან ამონაწერის შემოწმების ასლის წესი.

რეესტრში ისეთი დოკუმენტების ჩაწერა, რომელთა ასლები შემოწმებულია. სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

თემა X. ხელმონაწერის სინამდვილის შემოწმება.

5 საათი (4 საათი პრაქტიკა).

ამ სანოტარო მოქმედების არსი. განსხვავება გარიგების სანოტარო დამოწმებასა და დოკუმენტზე ხელმონაწერის სინამდვილის შემოწმების შორის. შემოწმება იმისი, რომ დოკუმენტზე ხელისმომწერი ნამდვილად ის პიროვნებაა, რომელიც ხელს აწერს. იმ დოკუმენტის კანონიერების შემოწმება, რომელზედაც მოწმდება ხელმონაწერის სინამდვილე.

ანგარიშებზე და ხელწერილებზე ხელნაწერის სინამდვილის შემოწმების დაუშვებლობა. (სსრკ იუსტსახკომისრის 1940 წლის 10 ივლისის № 89 ბრძანება).

ისეთ დოკუმენტებზე ხელმონაწერის სინამდვილის შემოწმება, რომლებიც ადასტურებენ შრომის სტაჟს, წითელ არმიაში გარკვეული პირის გაწვევის ფაქტს, ადასტურებენ აგრეთვე ცნობებს იმის შესახებ, რომ ესა და ეს სამხედრო მსახური წინათ მუშაობდა როგორც მუშა ან მოსამსახურე და იღებდა ამდენსა და ამდენ შრომის ხელფასს (სსრკ იუსტსახკომისარიატის 1943 წლის 16 აგვისტოს № დ—37 სადირექტივო წერილი).

სახელმწიფო ბანკში შესატან განცხადებაზე თანამდებობის პირთა ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება ბანკში გახსნილი ანგარიშის გაფორმების დროს.

სახელმწიფო ბაჟის გადახდა

თემა XI. აღსრულების წარწერა.

14 საათი (8 საათი პრაქტიკა).

გადახდევინების უდავო წესი. იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებზედაც აღსრულების წარწერა გაიცემა. ისეთ დოკუმენტებზე აღსრულების წარწერის გაცემის დაუშვებლობა, რომლებიც გათვალისწინებული არ არიან ნუსხით და მოავრობის სათანადო დადგენილებებით.

რა ვადით გაიცემა აღსრულების წარწერის რეკვიზიტები. აღსრულების წარწერის დუბლიკატის გაცემის წესი.

აღსრულების წარწერის გაცემაზე ნოტარიუსის უარის განსაჩივრების წესი. იმ მოთხოვნების მიმართ დავის აღძვრის სასარჩელო წესი, რომლებზედაც აღსრულების წარწერაა გაცემული.

აღსრულების წარწერისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდა. აღსრულების წარწერით გადახდევინების მოხდენის წესი.

თემა XII. სამკვიდრო ქონების დაცვა და დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემა.

16 საათი (12 საათი პრაქტიკა).

მოქალაქეთა პირად საკუთრებაზე დამკვიდრების უფლების დაცვა კანონით სტალინური კონსტიტუციის თანახმად.

გარდაცვალებულთა ქონების დასაცავად ზომების მიღება მემკვიდრეებისა და სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ. ქონების დასაცავად ზომების მიღების დროს აღწერილობის შედგენის წესი.

სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შესული სავალიუტო და სხვა ფასეულობათა შენახვისა და რეალიზაციის წესი, გარდაცვალებულის შემდეგ დარჩენილი ქონებიდან ფულის გაცემა დასამარხავად, კაპიტალზე მყოფ პირთა შესანახად და ა. შ.

კანონით და ანდერძით დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემა, იმ პირთა წრე, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ მოწმობა დამკვიდრების შესახებ. დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე გაიცემა მოწმობა კანონით და ანდერძით დამკვიდრების შესახებ. რა ვადით გაიცემა მოწმობა დამკვიდრების უფლების შესახებ.

სამკვიდრო ქონების მიღებისათვის დადგენილი ვადის დენის შეჩერება ომიანობის დროის გარემოებებთან დაკავშირებით. (სსრკ

უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1942 წლ. 15 სექტემბრის დადგენილება).

დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემა მტრის მიერ დროებით დაკავებულ ადგილს გარდაცვალებულ პირთა შემდეგ დარჩენილ ქონებაზე, აგრეთვე ისეთ ქონებაზეც, რომელიც დარჩა ევაკუაციის ადგილისკენ მიმავალი გზაში გარდაცვალებულ პირს (სსრკ იუსტსახკომისარიატის 1942 წლ. 14 ივლისის № ად—15 სადირექტივო წერილი).

დამკვიდრების მოწმობა საკოლმეურნეო კომლში და ერთპიროვნული გლეხის კომლში დარჩენილი ქონების შესახებ.

ქონების ბეითალმანად ცნობის წესი. ქონების ბეითალმანობის შესახებ მოწმობის გაცემა.

დამკვიდრების მოწმობის, ქონების ბეითალმანად ცნობის შესახებ მოწმობის, სამკვიდრო ქონების გამგებლობისა და აღწერის პროექტების შედგენა.

სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება. სამემკვიდრეო გადასახადის გაუქმება.

თემა XIII. **დეპოზიტი.**

6 საათი (4 საათი პრაქტიკა).

დეპოზიტის ცნება. (სსრკ სახკომსაბჭოს 1938 წლის 21 ივნისის დადგენილება—სსრკ კან. კრ. 1938 წ. № 30, მუხ. 185). ვალდებულების საგანის (ფულის და ფასიანი ქაღალდების) დეპოზიტად მიღება კუთვნილებისამებრ გადასაცემად. სადეპოზიტო თანხების გაცემის წესი. რა ვადით შეინახება დეპოზიტიდან მოუთხოვნელი თანხა. დეპოზიტიდან მოუთხოვნელი თანხის თავის დროზე გადარიცხვა სახელმწიფო შემოსავლად. (სსრკ იუსტსახკომისარიატის 1942 წლის 24 აპრილის № დ—8 სადირექტივო წერილი).

სადეპოზიტო თანხების საკასო შემოსავალ-გასავლის წიგნისა და დეპოზიტის პირადი ანგარიშის წარმოების წესი. სახელმწიფო ბაჟის გადახდა,

თემა XIV. **შენობაზე ყადაღის დადება გირავნობის მოწმობის გაუცემლად.**

2 საათი (1 საათი პრაქტიკა).

რა შემთხვევაში დაიდება ყადაღა. ყადაღის გაფორმების წესი

ყადაღის რეგისტრაცია. (სპეციალური რეესტრის წარმოება). სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

თემა XV. **უდავო გარემოებების და ფაქტების დამოწმება.**

6 საათი (4 საათი პრაქტიკა).

ის გარემოებები და ფაქტები, რომელთა დამოწმება ხდება სანოტარო ორგანოთა მიერ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ნოტარიატის დებულების შესაბამისად.

მოწმობა იმის შესახებ, რომ გარკვეული პირი ცოცხალია და იმყოფება გარკვეულ ადგილს. ამ მოწმობის პროექტის შედგენა.

დოკუმენტის წარდგენის დროის შემოწმება, შემოწმება იმისი, რომ ფოტოგრაფიულ სურათზე გამოსახული პირი სწორედ ის პირია, რომელმაც ეს სურათი წარმოადგინა.

ამ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესი.

თემა XVI. **პროტესტები**

6 საათი (2 საათი პრაქტიკა).

საზღვაო პროტესტი. ზოგადი და კერძო ავარიის ცნება. საზღვაო პროტესტების შესრულების წესი.

რა არის ჩეკი. ჩეკის გაუნაღდებლობის დამოწმება. ჩეკის გაუნაღდებლობის დამოწმების წესი.

გადასაპირებელი და **უბრალო** თამასუქის ზოგადი ცნება. გადასაპირებელი და უბრალო თამასუქის პროტესტი ფულის გადაუხდელობის და აქცეპტის მოუხდენლობის გამო.

ამ მოქმედებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

თემა XVII. **მოქალაქის უკვალოდ დაკარგულად და გარდაცვალებულად ცნობის შესახებ მოწმობის გაცემა.**

6 საათი (4 საათი პრაქტიკა)

მოქალაქის უკვალოდ დაკარგულად და გარდაცვალებულად ცნობის შესახებ მოწმობის გაცემის წესი. მოქალაქის უკვალოდ დაკარგულად ცნობისა და უკვალოდ დაკარგულის გარდაცვალებულად ცნობის სანოტარო და სასამართლო წესი.

(რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 12 მუხლი და სხვა მოკავშირე რესუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლი).

უკვალოდ დაკარგული სამხედრო მსახურის გარდაცვალებულად ცნობის წესი. (სსრ იუსტსახკომისარიატის 1943 წლის 23 თებერვლის № ად—9 სადირექტივო წერილი).

მოქალაქის უკვალოდ დაკარგულად და უკვალოდ დაკარგულის გარდაცვალებულად ცნობის შესახებ სანატარო კონტორიდან მოწმობის გაცემის წესი. ამ მოწმობის პროექტის შედგენა.

ამ სანოტარო მოქმედებათა გამო სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

თემა XVIII. სახელმწიფო ბაჟი.

3 საათი

სანოტარო კონტორებში წარმოებულ საქმეთათვის სახელმწიფო ბაჟის განაკვეთი. უბრალო და პროპორციული ბაჟი. სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის დადგენილი შეღავათები. სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების შემთხვევები. სამარკო სისტემა. მარკების მილების, დაწებებისა და დაფარვის წესი. საბაჟო მარკების შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

თემა XIX. სანოტარო საქმისწარმოება და ანგარიშგება.

12 საათი (8 საათი პრაქტიკა).

სანოტარო კონტორების საქმისაწრმოება. დამოწმების წარწერა. (სსრკ იუსტსახკომისარიატის 1936 წლის 23 ნოემბრის № 12 ცირკულარი), წარწერის დაწერა—გადმოცემის წესი. ცალკე სანოტარო მოქმედებისათვის დამოწმების წარწერის ფორმა. სანოტარო წესით დამოწმებულ გარიგებათა პირველი ეკზემპლარების შენახვა. ქაღალდების ნარიადები. საგასავლო—საბიუჯეტო ანგარიშის წარმოების წესი. სტატისტიკური და ლიტერატურული ანგარიშგების შედგენის წესი.

სანოტარო კონტორების არქივი. სანოტარო კონტორებში საარქივო მასალების შენახვის წესი და ვადები. სახელმწიფო არქივში სანოტარო კონტორების არქივის ჩაბარების წესი.

ლიტერატურა პროგრამისათვის

1. სახელმწიფო ნოტარიატის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები. (სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1926 წლ. 14 მაისის დადგენილება—სსრკ კან. კრ. 1926 წლ. № 35, მუხ. 252).

2. მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ნოტარიატის დებულება.

3. მოკავშირე რესპუბლიკების იუსტსახკომისარიატების ინსტრუქცია ამ დებულების ცხოვრებაში გასატარებლად.

4. მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდექსის და სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის, აგრეთვე საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის სათანადო მუხლები.

5. ისეთი დოკუმენტების ასლების შემოწმების მოწესრიგების შესახებ, რომლებიც მოქალაქეთა პირად უფლებებს და ინტერესებს შეეხება. (სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლ. 3 ივნისის დადგენილება—სსრკ კან. კრ. 1937 წლ. № 37, მუხ. 149).

6. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 10 აპრილის ბრძანებულება სახელმწიფო ბაჟის შესახებ.

7. სსრკ ფინანსთა სახკომისარიატის 1942 წლის 8 მაისის № 278 ინსტრუქცია სახელმწიფო ბაჟის შესახებ.

8. სხვა დადგენილებები, ბრძანებები, ინსტრუქციები და სადირექტივო წერილები ნოტარიატის შესახებ.

საათების ცხრილი

სანოტარო კონტორებთან ნოტარიუსების საწარმოო პრაქტიკის პროგრამისათვის

	თეორიული	პრაქტიკული
თემა I	2 საათი	—
„ II	4 „	—
„ III	4 „	8 საათი
„ V	6 „	16 „
„ V	2 „	2 „
„ VI	2 „	4 „
„ VII	2 „	2 „
„ VIII	4 „	8 „
„ IX	2 „	16 „
„ X	1 „	4 „
„ XI	6 „	8 „
„ XII	4 „	12 „
„ XIII	2 „	4 „
„ XIV	1 „	1 „
„ XV	2 „	4 „
„ XVI	4 „	2 „
„ XVII	2 „	4 „
„ XVIII	3 „	—
„ XIX	4 „	8 „
სულ	57 საათი	103 საათი

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრებისა და იუსტსახკომისარიატების სამხარეო და საოლქო სამმართველოთა უფროსების პერიოდული ანგარიშები ნოტარიატის შესახებ

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისრის 1944 წლის 19 ოქტომბრის № 52 ბრძანება

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოებთან იუსტსახკომისარიატების სამმართველოთა ანგარიშებში სანოტარო ორგანოთა მუშაობის რაც შეიძლება სრულად გაშუქების მიზნით

ვბრძანებ:

1. სანოტარო ორგანოთა მუშაობის ანგარიში წარმოდგენილ იქნას ყოველ ნახევარ წელში ერთჯერ.

2. მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრებმა აღნიშნული ანგარიშები წარმოუდგინონ სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატს ამასთანავე დართული სქემის მიხედვით (დანართი № 1) არა უგვიანეს საანგარიშო ნახევარი წლის მომდევნო მეორე თვის 10 რიცხვისა, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრებმა და იუსტსახკომისარიატების სამმართველოთა უფროსებმა ეს ანგარიშები წარუდგინონ ამასთანავე დართული სქემით (დანართი № 2) მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებს არა უგვიანეს საანგარიშო ნახევარი წლის მომდევნო თვის 20 რიცხვისა.

3. იუსტსახკომისარიატების სამმართველოთა უფროსებმა ქვემოთ ჩამოთვლილი ოლქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან ანგარიშები სანოტარო ორგანოთა მუშაობის შესახებ წარუდგინონ უშუალოდ სსრკ იუსტსახკომისარიატს და ერთდროულად მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სახ. კომისარიატს:

უკრაინის სსრ-ში

1. კიევის ოლქი
2. სტალინის ოლქი

ბელორუსიის სსრ-ში

1. მინსკის ოლქი
2. გომელის ოლქი

კაზახსტანის სსრ-ში

1. ალმა-ატის ოლქი
2. ყარაგანდინის ოლქი

უზბეკთა სსრ-ში

1. ტაშკენთის ოლქი
2. სამარყანდის ოლქი

4. სანოტარო ორგანოთა მუშაობის იმ ანგარიშის წარმოდგენა, რაც გათვალისწინებულია სსრკ იუსტსახკომისრის 1943 წლის 27 მაისის № 45 ბრძანებაში ამ ბრძანების გამოცემისთანავე გაუქმებულია.

დანართი № 1

სქემა

მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატების ნახევარწლიური ანგირიშისა ნოტარიატის შესახებ

I. ქსელი და შტატები

1. ფაქტიურად რამდენი სანოტარო კონტორა იყო გახსნილი საანგარიშო ნახევარი წლის დამლევს, რამდენი უნდა ყოფილიყო გახსნილი დამტკიცებული ქსელის მიხედვით და თუ ქსელი სრულად არ არის გაშლილი, რა მიზეზით მოხდა ეს.

სანოტარო კონტორების დისლოკაციაში მომხდარი ცვლილებები.

2. რამდენად დაკომპლექტებულია სანოტარო კონტორების შტატები. თუ დაკომპლექტებული არ არის, რა მიზეზით და რა ზომებია მიღებული იუსტსახკომისარიატის მიერ ყველა სანოტარო კონტორის დაკომპლექტებისათვის.

II. კადრები

1. სააღრიცხვო მონაცემები (სქესი, წლოვანება ჯგუფებად დაყოფით: 20 წლამდე, 30 წლამდე, 50 წლამდე და 50 წელზე მეტი ხნის; ეროვნება; პარტიულობა; განათლება—საერთო და იურიდიული; იუსტიციის ორგანოებში და, კერძოდ, ნოტარიატში მუშაობის სტაჟი) ნოტარიატის მომუშავეთა შესახებ:

ა) მოკავშირე რესპუბლიკების იუსტსახკომისარიატების ნოტარიატის განყოფილებათა უფროსების, მოკავშირე და ავტონომიური

რესპუბლიკებისა და იუსტსახკომისარიატების სამმართველოთა ნოტარიატის ხაზით მომუშავე რევიზორების შესახებ;

ბ) უფროსი ნოტარიუსებისა და მათი მოადგილეების შესახებ;

გ) ნოტარიუსების შესახებ;

შენიშვნა: წელიწადში ერთჯერ (წლის მეორე ნახევარში) უნდა დაიწეროს ნოტარიატის განყოფილებათა უფროსების და ნოტარიატის ხაზით მომუშავე რევიზორების მოკლე საქმიანი დახასიათება (თვითეულისა ცალ-ცალკე).

2. რამდენმა ნოტარიუსმა გაიარა საწარმოო პრაქტიკა სანოტარო კონტორებში სსრკ იუსტსახკომისრის 1944 წლის 4 აპრილის № 9 ბრძანების შესაბამისად, როგორ იყო ეს მუშაობა მოწყობილი და რა შედეგი გამოიღო.

3. რამდენი ნოტარიუსია თანამდებობიდან განთავისუფლებული და რა მიზეზით.

4. აღინიშნონ სანოტარო ორგანოთა საუკეთესო მუშაკები, დახასიათდეს მოკლედ მათი მუშაობა, აღინიშნოს აგრეთვე რა ზომები ყოფილა მიღებული მუშაკების წასახალისებლად.

5. სხვა რა ზომები ყოფილა მიღებული სანოტარო მუშაკების კადრების გასამაგრებლად, მათი საქმიანი კვალიფიკაციის ასაწევად და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების გასაღრმავებლად.

III. საწარმოო მუშაობა

1. სანოტარო კონტორების მიერ სანოტარო მოქმედებათა ცალკე სახეების შესახებ გაფორმებული დოკუმენტების საერთო რაოდენობა. ეს მონაცემები შეედაროს წინა ნახევარი წლის სათანადო მონაცემებს.

2. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი იმის აღნიშვნით, თუ რამ გამოიწვია ცალკე სახეების სანოტარო მოქმედებათა რაოდენობის გადიდება ან შემცირება; აქვე უნდა აღინიშნოს ის საკითხები, რომლებიც აღიძრნენ ამ ცვლილებებთან დაკავშირებით და რომელთა გადაწყვეტაც საჭირო შეიქნა.

3. სანოტარო კონტორების მიერ გაფორმებული საზღვარ გარეთ გასაგზავნი დოკუმენტების რაოდენობა და მათი ხასიათი.

4. ცალკე სანოტარო კონტორების ნოტარიუსების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების დროს დაშვებული ძირითადი ნაკლოვანებები და დარღვევები და ამ ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზები.

5. სანოტარო კონტორების დეპოზიტში შესული თანხა; რა რაოდენობით და რამდენად თავის დროზე ხდება მოუთხოვნელი სადეპოზიტო თანხების გადარიცხვა სახელმწიფოს შემოსავლად; რა თანხაა დარჩენილი სადეპოზიტო ანგარიშზე საანგარიშო ნახევარი წლის ბოლოს.

6. სანოტარო მოქმედებისა და ტექნიკური სამუშაოს შესრულებისათვის გადახდევინებული სახელმწიფო ბაჟის თანხა (ცალ-ცალკე)

7. ნოტარიუსების მიერ მოსახლეობაში ჩატარებული მასიურიგანმარტებითი მუშაობა სანოტარო კონტორების ფუნქციების შესახებ.

IV. სანოტარო ორგანებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობა

1. რამდენჯერ ჩატარდა რევიზია სანოტარო კონტორებში, აგრეთვე ასსრ-ების იუსტიციის სახ. კომისარიატებში და იუსტსახკომისარიატების სამმართველოებში მათ მიერ სანოტარო კონტორებისადმი ხელმძღვანელობის განხორციელების საქმეში; რევიზიების შედეგი.

2. სანოტარო მუშაკების თათბირებზე რა საკითხები იხილებოდა და რა გადაწყვეტილებები იყო მიღებული სანოტარო ორგანოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად (დაერთოს ოქმის ასლები).

3. რა საკითხებზეა ჩატარებული სანოტარო პრაქტიკის განზოგადება და ამასთან დაკავშირებით რა მითითებებია მიცემული (დაერთოს მითითებების ასლები).

4. რამდენად უზრუნველყოფილი არიან სანოტარო კონტორები მუშაობისათვის შესაფერი სადგომებით, ინვენტარით, იურიდიული ლიტერატურით, ქაღალდით, რეესტრებით და ა. შ.; რა ზომებს იღებდა ამ მიმართულებით მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატი და წინადადებები.

5. სანოტარო კონტორების შესანახად დახარჯული თანხა.

6. სახალხო კომისარიატის კოლეგიაზე რა საკითხები იყო დასმული და განხილული ნოტარიატის შესახებ. რამდენჯერ იყო მოსმენილი ასსრ-ების იუსტიციის სახალხო კომისრებისა და იუსტსახკომისარიატების სამმართველოთა უფროსების ანგარიში ნოტარიატის მუშაობის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარს საანგარიშო ნახევარ წელში რა ბრძანებები და ინსტრუქციები გამოუცია ნოტარიატის ხაზით (დაერთოს ანგარიშს).

რა ზომებია დასახული სანოტარო ორგანოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამას გარდა ანგარიშებში შეიძლება გაშუქდეს სხვა საკითხებიც, რომლებსაც, მოკავშირე რესპუბლიკის იუსტსახკომისარიატის შეხედულებით, არსებითი მნიშვნელობა აქვთ სანოტარო კონტორების მუშაობისა და მათი ხელმძღვანელობის საქმისათვის.

V. დასკვნები და წინადადებები

დანართი № 2

ს ქ ე მ ა

ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატების და იუსტიციის სახ. კომისარიატების სამმართველოთა ნახევარწლიური ანგარიშისა ნოტარიატის შესახებ

I. ქსელი და შტატები

1. ფაქტიურად რამდენი სანოტარო კონტორა იყო გახსნილი საანგარიშო ნახევარი წლის დამლევს, რამდენი უნდა ყოფილიყო გახსნილი დამტკიცებული ქსელის მიხედვით და თუ ქსელი სრულად არ არის გაშლილი, რა მიზეზით მოხდა ეს.

სანოტარო კონტორების დისლოკაციაში მომხდარი ცვლილებები.

2. რამდენად დაკომპლექტებულია სანოტარო კონტორების შტატები. თუ დაკომპლექტებული არ არის—რა მიზეზით და რა ზომებია მიღებული იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და იუსტსახკომისარიატის სამმართველოთა მიერ ყველა სანოტარო კონტორის დაკომპლექტებისათვის.

II. კ ა დ რ ე ბ ი

1. სააღრიცხვო მონაცემები (სქესი, წლოვანება ჯგუფად დაყოფით: 20 წლამდე, 30 წლამდე, 50 წლამდე და 50 წელზე მეტი ხნის; ეროვნება; პარტიულობა; განათლება—საერთო და იურიდიული; იუსტიციის ორგანოებში და, კერძოდ, ნოტარიატში მუშაობის სტაჟი) ნოტარიატის მომუშავეთა შესახებ:

ა) ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახ. კომისარიატების და იუსტსახკომისარიატის ხაზით მომუშავე რევიზორების შესახებ;

ბ) უფროსი ნოტარიუსებისა და მათი მოადგილეების შესახებ;

გ) ნოტარიუსების შესახებ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წელიწადში ერთჯერ (წლის მეორე ნახევარში) უნდა დაიწეროს ნოტარიატის ხაზით მომუშავე რევიზორების მოკლე საქმიანი დახასიათება (თვითეულისა ცალ-ცალკე).

2. რამდენმა ნოტარიუსმა გაიარა საწარმოო პრაქტიკა სანოტარო კონტორებში სსრკ იუსტსახკომისრის 1944 წლის 4 აპრილის № 9 ბრძანების შესაბამისად, როგორ იყო ეს მუშაობა მოწყობილი და რა შედეგი გამოიღო.

3. რამდენი ნოტარიუსია თანამდებობიდან განთავისუფლებული და რა მიზეზით.

4. აღინიშნონ სანოტარო ორგანოთა საუკეთესო მუშაკები, დახასიათდეს მოკლედ მათი მუშაობა, აღინიშნოს აგრეთვე რა ზომები ყოფილა მიღებული მუშაკების წასახალისებლად.

5. სხვა რა ზომები ყოფილა მიღებული სანოტარო მუშაკების კადრების გასამაგრებლად, მათი საქმიანი კვალიფიკაციის ასაწევად და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების გასაღრმავებლად.

III. საწარმოო მუშაობა

1. სანოტარო კონტორების მიერ სანოტარო მოქმედებათა ცალკე სახეების შესახებ გაფორმებული დოკუმენტების საერთო რაოდენობა. ეს მონაცემები შეედაროს წინა ნახევარი წლის მონაცემებს.

2. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი იმის აღნიშვნით, თუ რამ გამოიწვია ცალკე სახეების სანოტარო მოქმედებათა რაოდენობის გადიდება ან შემცირება; აქვე უნდა აღინიშნოს ის საკითხები, რომლებიც აღიძრნენ ამ ცვლილებებთან დაკავშირებით და რომელთა გადაწყვეტაც საჭირო შეიქმნა.

3. სანოტარო კონტორების მიერ გაფორმებული საზღვარგარეთ გასაგზავნი დოკუმენტების რაოდენობა და მათი ხასიათი.

4. ცალკე სანოტარო კონტორების ნოტარიუსების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების დროს დაშვებული ძირითადი ნაკლოვანებები და დარღვევები და ამ ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზები.

5. სანოტარო მოქმედებისა და ტექნიკური სამუშაოს შესრულებისათვის გადახდევინებული სახელმწიფო ბაჟის თანხა (ცალ-ცალკე).

6. სანოტარო კონტორების დეპოზიტზე შესული თანხა. რა რაოდენობით და რამდენად თავის დროზე ხდება მოუთხოვნელი სადეპოზიტო თანხების გადარიცხვა სახელმწიფო შემოსავლად. რა თანხაა დარჩენილი სადეპოზიტო ანგარიშზე საანგარიშო ნახევარი წლის ბოლოს.

7. ნოტარიუსების მიერ მოსახლეობაში ჩატარებული მასიური-განმარტებითი მუშაობა სანოტარო კონტორების ფუნქციების შესახებ.

IV. სანოტარო ორგანოებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობა

1. სანოტარო კონტორებში ჩატარებული რევიზიების რაოდენობა და მათი შედეგი.

2. სანოტარო მუშაკების თათბირებზე რა საკითხები იხილებოდა და რა გადაწყვეტილებები იყო მიღებული სანოტარო ორგანოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად. (დაერთოს ოქმების ასლები).

3. რა საკითხებზეა ჩატარებული სანოტარო პრაქტიკის განზოგადება და ამასთან დაკავშირებით რა მითითებებია მიცემული (დაერთოს მითითებების ასლები).

4. რამდენად უზრუნველყოფილ არიან სანოტარო კონტორები მუშაობისათვის შესაფერი სადგომებით, ინვენტარით. იურიდიული ლიტერატურით, ქაღალდით, რეესტრებით და ა. შ.; რა ზომებს იღებდნენ ამ მიმართულებით ასსრ იუსტიციის სახ. კომისარიატები და იუსტსახკომისარიატების საშმართველოები და წინანადებები.

5. სანოტარო კონტორების შესანახად დახარჯული თანხა.

6. ასსრ იუსტიციის სახალხო კომისართან და იუსტსახკომისარიატის სამმართველოს უფროსთან შემდგარ ოპერატიულ თათბირებზე რა საკითხები იყო დასმული და განხილული ნოტარიატის შესახებ, ნოტარიუსების რამდენი მოხსენება იყო მოსმენილი სანოტარო კონტორების მუშაობის შესახებ.

რა ზომებია დასახული სანოტარო კონტორების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამას გარდა ანგარიშებში შეიძლება გაშუქდეს სხვა საკითხებიც, რომლებსაც, ასსრ იუსტსახკომისარიატების და იუსტსახკომისარიატების სამმართველოთა შეხედულებით, არსებითი მნიშვნელობა აქვთ სანოტარო კონტორების მუშაობისა და მათი ხელმძღვანელობის საქმისათვის.

V. დასკვნები და წინადადებები

II. ხელშეკრულებათა სანოტარო წესით დამოწმება

ქალაქებში საბინაო ფონდის შენახვისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ

(სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 69, მუხ. 314).
(ამონაწერი)

17. ნება დაერთოს ადგილობრივ საბჭოებს მათი კუთვნილი ჰატარა სახლები (60 კვ. მეტრზე არა უმეტესი საცხოვრებელი ფართობის) გადასცენ ცალკე მოქალაქეებს გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებათა საფუძველზე, ვადით 5-დან—10 წლამდე; ეს ხელშეკრულებანი დაიდება სატიპო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა დამტკიცებულ იქნას სსრკ სახკომსაბჭოს მიერ.[1].

28. საცხოვრებელი სადგომების დამქირავებლებს მიენიჭოთ უფლება გადაუცვალონ მათ მიერ დაკავებული ფართობი სხვა დამქირავებლებს და მასთან ერთად გადასცენ ერთმანეთს საიჯარო ხელშეკრულებებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი. მაგრამ ასეთი გაცვლა-გამოცვლა შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი საბჭოს საბინაო სამმართველოს ნებართვით ან, შესაფერისად, იმ სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნებართვით, რომელნიც ფლობენ სახლს ან იჯარით აქვთ იგი აღებული.

35. გაუქმდეს აღმნაგებისათვის დადგენილი შეღავათები და უპირატესობანი, სახელდობრ: უფლება გაადახდევინონ დამქირავებელს ნორმით შეუზღუდველი ბინის ქირა; უფლება გადაახდევინონ დამქირავებელს, პერიოდული გადასახდელის გარდა, კიდევ ერთდროული გადასახდელი გაქირავების დროს (შესასვლელი); უფლება გააქირავოს საცხოვრებელი ფართობი ყოველივე ნორმით შეუზღუდავად და უფლება გამოასახლონ მდგმურები მის შემდეგ, როდესაც გავა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების ვადა. (რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 156 და 166 მუხლები და სხვა მოკავშირე რესპუბ-

---

1. აღნიშნული ხელშეკრულებანი აუცილებლად უნდა სანოტარო წესით იქნას დამოწმებული. (სსრკ სახკომსაბჭოს 1937 წლ. 25 ნოემბრის დადგ.—სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 74, მუხ. 361).

ლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლები და სსრკ სახკომსაბ-ჭოს 1928 წლ. 17 აპრილის დადგენილება „კერძო კაპიტალის ხარჯზე ბინების აღმშენებლობის წახალისების ღონისძიებათა შესახებ").

36. ნება დაერთოს ცალკე მოქალაქეებს იმ სახლებში, რომელიც მათ ეკუთვნის აღნაგობის უფლების ან პირადი საკუთრების უფლების საფუძველზე, აგრეთვე მათ მიერ ადგილობრივი საბჭოებისაგან იჯარით აღებულ სახლებში, გადაახდევინონ მდგმურებს კანონით დადგენილი საბინაო ქირის განაკვეთის დამატებად ზედმეტი ქირა, მაგრამ არა უმეტეს ამ განაკვეთის 20%-სა.

სატიპო ხელშეკრულება 60 კვ. მეტრზე არა უმეტეს საცხოვრებელი ფართობიანი საცხოვრებელი სახლის იჯარად გაცემისათვის (მე-17 მუხლი სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლ. 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ").

დამტკიცებულია სსრკ სახკომსაბჭოს მიერ 1937 წლის 25 ნოემბერს (სსრკ კან. კრ. 1937 წლ. № 74, მუხ. 261)

ქალაქი . . . . . 194 . . წ. „ “ . . . . ქვემორე ამისა ხელის მომწერნი: ერთი მხრივ . . . . . ქალაქის (რაიონის) საბჭოს საბინაო სამმართველო, რომელიც შემდეგში იწოდება „საბინაო სამმართველო“ . . . . . სახით, რომელიც მოქმედობს . . . . . გაცემული რწმუნებულობის საფუძველზე, ხოლო მეორე მხრივ—მოქ . . . . . ,რომელმაც წარმოადგინა პასპორტი № . . . . გაცემული . . . . . და რომელიც შემდეგში იწოდება „მოიჯარადრე“, დავდეთ შემდეგი ხელშეკრულება:

§ 1. საბინაო სამმართველო იძლევა, ხოლო მოიჯარადრე იღებს მიღების აქტით საიჯარო სარგებლობაში ვადით . . . . . დან . . . . . მდე (5-დან 10 წლამდე) სახლფლობელობას, რომელიც იმყოფება . . . . . ქალაქში . . . . ქუჩაზე (შესახვევში) . . . . № . . . . და აღნიშნულია საეზოვე ნაკვეთის გეგმაზე, ყველა მასზე მდგარი საცხოვრებელი და არა საცხოვრებელი შენობით და დამხმარე სადგომებით, გადაცემის დღისათვის არსებული საინვენტარიზაციო შეფასებით . . . . . მან.

§ 2. მოიჯარადრე ხელშეკრულების მიხედვით კისრულობს შემდეგ ვალდებულებას:

ა) ფრთხილად და ყაირათიანად მოეპყროს იჯარად აღებულ

სახლმფლობელობას, როგორც სახელმწიფო სოციალისტურ საკუთრებას და შეინახოს იგი საესებით წესიერად და უკლებლივ.

ბ) თავის დროზე ჩაატაროს საჭირო კაპიტალური რემონტი შემდეგი ოდენობით და შემდეგ ვადებში . . . . . ,ჩაატაროს აგრეთვე მიმდინარე რემონტი.

გ) თავის დროზე იხადოს საიჯარო ქირა . . . . . მან.

დ) გამოიყენოს სახლფლობელობა როგორც მთლიანად, ისე მის ცალკე ნაწილებად მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებისამებრ და არ დაუშვას საცხოვრებელი და დამხმარე შენობების და სადგომების გამოყენება სავაჭრო, საწარმოო და სხვა მიზნისათვის.

ე) დააზღვევოს ყველა შენობა საბინაოსამმართველოს სახელზე.

ვ) საცხოვრებელ სადგომებში მდგმურების ჩასახლების დროს (§ 6 „ბ“ პუნქტი) არ დაუშვას დადგენილი საბინაო სანიტარული ნორმების შემცირება.

§ 3. მოიჯარადრე ვალდებულია შეასრულოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ყველა დადგენილება და განკარგულება იჯარად აღებული სახლფლობელობის შესახებ.

§ 4. მოიჯარადრეს ეკრძალება იჯარად აღებულ სახლფლობელობაში ააშენოს ახალი საცხოვრებელი და დამხმარე შენობები და მინაშენები, აგრეთვე გადააკეთოს არსებული შენობები, თუ მას საამისოდ არ ექნება საბინაო სამმართველოს წერილობითი ნებართვა და სააღმშენებლო სამუშაოთა წარმოებისათვის დადგენილი ნებართვა.

სახლფლობელობის ყოველგვარი გაუმჯობესება (წყალსადენების და კანალიზაციის ქსელთან შეერთება, გათბობის სისტემის სრულყოფა, აბაზანის მოწყობა და ა. შ.) მოიჯარადრეს შეუძლიან მხოლოდ საბინაო სამმართველოს ნებართვით.

თუ საიჯარო ხელშეკრულება არ იქნა განახლებული ან იგი ვადამდე იქნა მოშლილი არა მოიჯარადრის მიზეზით, მოიჯარადრეს უნდა აენაზღაუროს, სახლფლობელობის ღირებულების გადიდების ფარგლებში, მის მიერ აღნიშნული მიზნით გაწეული ხარჯი საბინაო სამმართველოსთან შეთანხმებით განსაზღვრული რაოდენობით, ხოლო, თუ შეთანხმება არ მოხდა სასამართლო წესით.

5. საეზოვო ნაკვეთის გამოყენება ხილის ბაღის, ბოსტნის, ყვავილნარის, კვალსათბურების, ხეების ნარგავების გასაშენებლად და ა. შ. მოიჯარადრეს შეუძლიან მხოლოდ საქალაქო (სარაიონო) საბჭოს ნებართვით და ისიც იმ პირობით, რომ ამით ზიანი არ

მოუვა არც სახლფლობელობას და არც ამ სახლფლობელობაში მცხოვრებ პირებს.

§ 6. მოიჯარადრეს უფლება აქვს: ა) გამოიყენოს პირადად თავისთვის და მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრებისათვის საცხოვრებელი ფართობი მომქმედი საბინაო-სანიტარული ნორმით შეუზღუდავად;

ბ) ჩაასახლოს, თავისი სურვილისამებრ, მდგმურები სახლში განთავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომებში, მაგრამ იმ ვადაზე არა უმეტესი ხნით, რომლითაც ეს ხელშეკრულებაა დადებული და ხელშეკრულების მე-2 §-ის „ვ" პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

გ) აიღოს თავის სასარგებლოდ საიჯარო სახლში მცხოვრებ პირთაგან საბინაო ქირა ნამატით, რომლის რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს იმ განაკვეთების 20%-ს, რითაც საქალაქო საბჭო ახდევინებს საბინაო ქირას მის გამგეობაში მყოფი სახლების მდგმურებს.

§ 7. მოიჯარადრეს მდგმურების გასახლება საიჯარო სახლიდან შეუძლიან მხოლოდ სასამართლო წესით და მხოლოდ ისეთ შემთხვევაში:

ა) თუ მდგმური სისტემატურად ანგრევს ან აფუჭებს საცხოვრებელ სადგომს ან საერთო სარგებლობის ადგილებს;

ბ) თუ მდგმური ისეთი ყოფაქცევისაა, რომ შეუძლებელია მასთან ერთად ცხოვრება იმავე ბინაში ან ოთახში;

გ) თუ მდგმურს არ გადაუხდია საბინაო ქირა სამი თვის განმავლობაში ქირის გადახდის ვადის დადგომის დღიდან.

§ 8. ეს ხელშეკრულება, თუ მოიჯარადრის მიერ იგი არ იქნება შესრულებული, შეიძლება ვადამდე მოიშალოს სასამართლოს წესით და მოიჯარადრეს გადახდეს ზარალი.

გარდა ამისა, ხელშეკრულების ვადამდე მოშლა შეიძლება ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც საჭიროა სახლის აღება ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ან ამ ნაკვეთის ჩამორთმევა დადგენილი წესით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

§ 9. მოიჯარადრე შეიძლება გამოსახლებულ იქნას იჯარად აღებულ სახლიდან ხელშეკრულების მოშლით ისეთ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების 30 მუხლში აღნიშნულ საფუძვლებს.

§ 10. მოიჯარადრეს უფლება არა აქვს საბინაო სამმართველოს წერილობითი ნებართვის გარეშე გადასცეს მესამე პირებს თავისი უფლება-მოვალეობანი, რომლებიც დადგენილია ამა ხელშეკრულებით, აგრეთვე გადასცვალოს იჯარად აღებული სახლი საცხოვრებელ ფართობზე სხვა სახლში.

§ 11. თუ ხელშეკრულება არ იქნება განახლებული ან თუ იგი ვადამდე მოიშლება, მოიჯარადრე ვალდებულია სახლფლობელობა ჩააბაროს საბინაო სამმართველოს წესიერ მდგომარეობაში აქტის შედგენით ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესაბამისად, ისეთ შემთხვევებს გარდა, როდესაც სახლი დასანგრევად არის განკუთვნილი. (§ 8).

§ 12. ეს ხელშეკრულება უნდა შემოწმებულ იქნას სანიტარო წესით. დედანი ხელშეკრულებისა ინახება საბინაო სამმართველოში, ხოლო მისი ასლი ეძლევა მოიჯარადრეს.

ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით აღძრული დავა გადაწყდება იმ ადგილის სასამართლოში, სადაც საიჯარო სახლი მდებარეობს.

ხელშეკრულების დანართი: 1. მიღების აქტი.
2. სახლფლობელობის გეგმა.

ხელმოწერა: საბინაო სამმართველო
მოიჯარადრე

(მხარეებს შეუძლიან ამ ხელშეკრულებაში შეიტანონ ურთიერთ შეთანხმებით დამატებითი პირობები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კანონს და გამომდინარეობენ ცალკე სახლის თავისებურებიდან).

ანგარიშებსა და ხელწერილებზე ხელმონაწერის სინამდვილის შემოწმების მაგივრად სხვადასხვა გვარი საგნების გაყიდვის ხელშეკრულებათა გაფორმების წესის შესახებ

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1940 წლის 12 ოქტომბრის სადირექტივო წერილი

ზოგიერთი სანოტარო კონტორიდან შემოდის შეკითხვები — შეიძლება თუ არა ისეთ ანგარიშებზე და ხელწერილებზე ხელმოწერის შემოწმება, რომლებიც მიუციათ მოქალაქეებს სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის სხვადასხვა სამუშაოს (მომსახურების) შესრულებისა და მოქალაქეთა კუთვნილი მასალების გაყიდვის გამო. ამ შეკითხვებთან დაკავშირებით სსრკ იუსტიციის სახალხო კომისა-

რიატი განმარტავს, რომ სსრკ იუსტსახკომისრის № 89 ბრძანების შესაბამისად მოქალაქეთა მიერ სხვადასხვა გვარი მუშაობის შესრულებისა და სამსახურის გაწევისათვის, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე მასალების გაყიდვის გამო გაცემულ ანგარიშებზე და ხელწერილებზე ხელმოწერის შემოწმება არ შეიძლება.

ხოლო, თუ მხარენი მოისურვებენ, რომ შეთანხმება შესრულებულ სამუშაოთა შესახებ, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სხვადასხვა საგნების მიყიდვის შესახებ გაფორმებულ იქნას, მათ შეუძლიანთ ეს შეთანხმება გააფორმონ სანოტარო წესით რსფსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების მე-5 მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ნოტარიატის დებულების სათანადო მუხლის შესაბამისად, როგორც ორმხრივი გარიგება.[1].

არამარცვლეული სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ნასყიდობის ხელშეკრულებათა სანოტარო წესით დამოწმება

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1941 წლის 23 მაისის № 9—ა—3 სადირექტივო წერილი

ადგილებიდან შემოდის შეკითხვები იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა გაფორმდეს დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიერ კერძო პირებისგან შეძენილი არამარცვლეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნასყიდობის გარიგება.

ამ შეკითხვებთან დაკავშირებით სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ სსრკ სახკომსაბჭოს 1936 წლის 20 ივლისის № 1298 დადგენილებით და სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომიური საბჭოს 1940 წლის 26 მაისის № 720 დადგენილებით ნება დაერთოთ საბავშვო ბაგებს, საბავშვო სახლებს, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს (სასადილოებს, ბუფეტებს) შეიძინონ ბაზარზე კერძო პირებისგან არამარცვლეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. მაგრამ სსრკ ფინანსთა სახ. კომისარიატის 1941 წლის 12 მარტის № 181 განმარტების თანახმად ნაყიდი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ვაჭრობის წვრილსაბითუმო გასაშვებ ფასებს.

[1]. ამ გვარი ხელშეკრულების დამოწმებისათვის, სსრკ ფინსახკომისარიატის 1942 წლის 8 მაისის ინსტრუქციის თანახმად, გადახდევინებულ უნდა იქნას სახბაჟი ხელშეკრულების თანხის 1%, მაგრამ არა ნაკლებ 15 მანეთისა.

მაშასადამე, არამარცვლეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნასყიდობის გარიგებათა სანოტარო კონტორაში დამოწმების დროს ნოტარიუსი ვალდებულია თვალყური ადევნოს, რომ ნაყიდი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ღირებულება არ აღემატებოდეს სახელმწიფო ვაჭრობის წვრილსაბითუმო გასაშვებ ფასებს.

შენობების ნასყიდობის გარიგებათა დამოწმების დროს დაშვებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისრის 1942 წლის 26 აგვისტოს № 83 ბრძანება

შენობების ნასყიდობის ხელშეკრულებათა დამოწმების საქმეში სანოტარო კონტორების მიერ ომიანობის პერიოდში წარმოებული მუშაობის შემოწმებით გამოირკვა, რომ ბევრი ნოტარიუსი ამ ხელშეკრულებათა დამოწმების დროს უხეშად არღვევს კანონს და ნოტარიატის შესახებ მომქმედ ინსტრუქციას.

1. უხეშად ირღვევა რსფსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 86 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ამ კანონთა კოდექსების სათანადო მუხლი. ეს დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ მცირეწლოვანთა კუთვნილი შენობის გაყიდვის დროს ნოტარიუსი არ თხოულობს ხელშეკრულებაში მონაწილე პირთაგან სამეურვეო ორგანოს სპეციალურ ნებართვას შენობის გაყიდვისათვის.

2. ნოტარიუსები ხშირად არ თხოულობენ საჭირო დოკუმენტების წარმოდგენას, კერძოდ ცნობას იმის შესახებ, რომ გასაყიდ შენობას ყადაღა არ ადევს.

3. ხელშეკრულებაში ისეთი შენობის ნაწილის გასხვისების შესახებ, რომელიც რამდენიმე პირს ეკუთვნით საერთო საკუთრების უფლებით, ხშირად, რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 61 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლის საწინააღმდეგოთ, აღნიშნულია არა იდეალური, არამედ რეალური წილი. ამასთან ნოტარიუსი ხშირად არ თხოულობს გამყიდველისაგან იმის დამტკიცებას, რომ სხვა თანამფლობელებს ეცნობათ შენობის წილის მომავალი გაყიდვა და ფასი, რომელშიც იგი იყიდება.

4. ნოტარიუსები ამოწმებენ ისეთი შენობის გასხვისების ხელშეკრულებას, რომელიც შეუძენია ორივე მეუღლეს ცოლქმრობის დროს, მაგრამ დამოწმებისას არ თხოულობენ მეორე მეუღლის თანხმობას.

5. ნოტარიუსები ამოწმებენ სოფლად შენობის არა დასანგრევად გასხვისების ხელშეკრულებას ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთი დამოწმება სანოტარო ორგანოთა მიერ მოცემული მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით, კერძოდ ნოტარიატის დებულებით, გათვალისწინებული არ არის.

6. ნოტარიუსები, იმის მაგივრად, რომ განუმარტონ მხარეებს რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 182 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლის შინაარსი და ეს აღნიშნონ ხელშეკრულების ტექსტში ხელმოწერის წინ, ართმევენ მხარეებს განსაკუთრებულ ხელწერილს იმის შესახებ, რომ მხარეებმა იციან სამოქ. სამ. კოდ. აღნიშნული მუხლის შინაარსი ან რომ ამ მუხლის შინაარსის შესახებ ისინი გაფრთხილებული არიან.

სანოტარო კონტორების მუშაობაში ზემოთაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და ამ კონტორების მიერ კანონით დადგენილი წესის განუხრელად დაცვის მიზნით,—

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შენობის გასხვისების ხელშეკრულებათა დამოწმების დროს ნოტარიუსებმა არ დაუშვან მომქმედი კანონმდებლობის, კერძოდ სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის ნოტარიატის დებულების და მის ცხოვრებაში გასატარებლად გამოცემული ინსტრუქციის დარღვევა.

2. უარი ეთქვას მეუღლეთა მიერ ცოლქმრობის დროს შეძენილი შენობის გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებაზე, თუ არ იქნება საამისოდ მეორე მეუღლის თანხმობა.

3. უარი ეთქვას სოფლად შენობის არა დასანგრევად გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებაზე, თუ ასეთ ხელშეკრულებათა სანოტარო წესით დამოწმება პირდაპირ გათვალისწინებული არ არის მოცემული მოკავშირე რესპუბლიკის ნოტარიატის დებულებით.

4 მცირეწლოვანთა კუთვნილი შენობების გასხვისების ხელშეკრულებათა დამოწმების დროს მტკიცედ იქნას შესრულებული რსფსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 86 მუხლი და მოეთხოვოს მხარეებს წარმოადგინონ სამეურვეო ორგანოთა სპეციალური ნებართვა შენობის გაყიდვისათვის.

5. მტკიცედ იქნის დაცული რსფსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 22 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ნოტარიატის დებულების სათანადო მუხლი, რომელიც მოითხოვს, რომ შენობის გამყიდველმა პირმა წარმოადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი, კერძოდ ცნობა იმის შესახებ, რომ შენობას ყადაღა არ ადევს. ისეთ შენობის ნასყიდობის ხელშეკრულების დამოწმება, რომელსაც ყადაღა ადევს, შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ხელშეკრულების ტექსტში შეტანილი იქნება მითითება ყადაღის არსებობის შესახებ.

6. შენობის ერთ-ერთი თანამფლობელის მიერ თავისი წილის გასხვისების დროს ნოტარიუსმა თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ ხელშეკრულების ტექსტში, რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 61 მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლის შესაბამისად, აღნიშნული იყოს შენობის იდეალური და არა რეალური წილი, ამასთან უნდა მოეთხოვოს გამყიდველს იმისი დამტკიცება, რომ საერთო საკუთრების აღნიშნული წილის გაყიდვა და ფასი, რომელითაც იგი იყიდება, ეცნობა დანარჩენ თანამფლობელებს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამა თუ იმ თანამფლობელის სამყოფელო ადგილი ცნობილი არ არის.

7. განემარტოს მხარეებს რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 182 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლის შინაარსი, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს ხელშეკრულების (ნასყიდობა) ტექსტში, მხარეთა ხელმოწერის წინ. ცალკე რამ ხელწერილები იმის შესახებ, რომ სამოქ. სამ. კოდ. 182 მუხლი განმარტებულია, მხარეებს არ უნდა ჩამოერთვას.

III. შენობებზე ყადაღის დადება

საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების წესები

დამტკიცებულია სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წლ. 26 აპრილის დადგენილებით. (დადგ. კრ. სსრკ 1939 წლ. № 28 მუხ. 188).

(ამონაწერი)

12. სესხის მიმღებს უფლება არა აქვს სესხის დაფარვამდე ბანკის ნებართვის გარეშე გაჰყიდოს ან სხვას გადასცეს სესხით აშენებული შენობა. სესხის მიცემის შესახებ ბანკი უკზავნის უწყებას სათანადო სანოტარო კანტორას სესხის ოდენობის და ვადის აღნიშვნით.

ბანკიდან მიღებული უწყება სანოტარო კონტორის მიერ ტარდება რეგისტრაციაში და მას ისეთი ყადაღის ძალა და მნიშვნელობა აქვს, რაც დაედება ბანკის სესხით აშენებულ ქონებას.

გირავნობის მოწმობის გაუცემლად სანოტარო ორგანოთა მიერ შენობებზე ყადაღის დადების წესის შესახებ

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1939 წლის 19 მაისის ინსტრუქცია

თანახმად სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 26 აპრილის წესებისა „საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების შესახებ“ კომუნალური ბანკებიდან გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად ედება ყადაღა სესხით აშენებულ შენობებს გირავნობის მოწმობის გაუცემლად.

იმ პირს, რომელმაც კომუნალურ ბანკიდან მიიღო სესხი ბინის ასაშენებლად, უფლება არა აქვს სესხის დაფარვამდე კომუნალური ბანკის ნებადაურთველად გაჰყიდოს ან სხვას გადასცეს სესხით აშენებული შენობა.

აღნიშნულ შენობებზე ყადაღის დასადებად კომუნალური ბანკი გაუგზავნის სათანადო სანოტარო კონტორას უწყებას ორ ცალად, რომლითაც აცნობებს კონტორას ბანკის მიერ სესხის გაცემას თვით ამ სესხის რაოდენობისა და დაფარვის ვადის აღნიშვნით. (უწყების ფორმა ამასთანავე დართულია).

ამის და შესაბამისად სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს სანოტარო კონტორებს იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. სანოტარო კონტორები და სანოტარო მაგიდები,[1] — მიიღებენ რა კომუნალური ბანკის უწყებას იმის შესახებ, რომ საწარმოს ამა და ამ მუშას ან მოსამსახურეს მიეცა სესხი საბინაო მშენებლობისათვის, წააწერენ უწყებას ყადაღის დადების შესახებ და უწყების პირველ ეკზემპლარს გაუგზავნიან სათანადო კომუნალურ განყოფილებას რეგისტრაციისათვის, ხოლო მეორე ეკზემპლარს შეინახავენ სანოტარო კონტორის ან სანოტარო მაგიდის სპეციალურ საქმეში „ყადაღები“ (ყადაღის ფორმა ამასთანავე დართულია).

2. კომუნალური ბანკის უწყება სესხის გაცემის შესახებ და სანოტარო კონტორის მიერ დადებული ყადაღა ტარდება სპეციალურად საამისოდ წარმოებულ რეესტრში.

---

[1] სანოტარო მაგიდები მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობების მიერ რეორგანიზებულია სანოტარო კონტორებად.

3. შენობის გასხვისების ხელშეკრულებათა დამოწმების დროს ნოტარიუსმა უნდა მოსთხოვოს გამყიდველებს კომუნალური ორგანოს ცნობა იმის შესახებ, რომ ქონებას ყადაღა არ ადევს. ამას გარდა, მან უნდა შეამოწმოს ყადაღის არსებობა აგრეთვე სანოტარო ორგანოს რეესტრის მიხედვითაც.

4. კომუნალური ბანკიდან მიღებული სესხით აშენებული შენობის გასხვისების ხელშეკრულება შეიძლება სესხის დაფარვამდე დამოწმებულ იქნას სანოტარო წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო ორგანოს წარედგინება კომუნალური ბანკის ნებართვა.

5. სანოტარო კონტორა, მიიღებს რა კომუნალური ბანკიდან ცნობას მუშისა ან მოსამსახურის მიერ სესხის მთლიანად დაფარვის შესახებ, მოხსნის შენობაზე ამ სესხის გაცემასთან დაკავშირებით დადებულ ყადაღას, რისთვისაც იგი გაუგზავნის კომუნალურ განყოფილებას განკარგულებას ყადაღის მოხსნის შესახებ.

განკარგულება ყადაღის მოხსნის შესახებ შესდგება № 34 ფორმით, რომელიც დამტკიცებულია სსრკ იუსტსახკომისარიატის 1936 წლის 23 ნოემბრის № 12 ინსტრუქციით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმ რესპუბლიკებში, სადაც ყადაღის რეგისტრაციას სანოტარო ორგანოები აწარმოებენ, საამისოდ სპეციალური რეესტრები და საქმე „ყადაღები“ — არ სდგება; აქ ყადაღის რეგისტრაცია ხდება საერთო წესით.

ბანკის შტამპი. . . . . სახელმწიფო სანოტარო კონტორას

უწყება სესხის გაცემის შესახებ

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 26 აპრილის № 383 დადგენილებით დამტკიცებული „საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების წესები“-ს მე-12 მუხლის საფუძველზე . . . . .
(ესა და ეს)

კომუნალური ბანკი გაცნობებთ შემდეგს:

1. . . . . კომუნალურმა ბანკმა მისცა . . . . . (საწარმოს
(ამა და ამ)
. . . . . .
. . . . . (მუშას ან მოსამსახურის) (გვარი, სახელი და მამის სახელი)
დასახელება)
სესხი . . . . . მანეთი . . . . . წლის ვადით . . . . .
. . . . . ასაშენებლად . . . .
ამა და ამ სახლის და საეზოვე შენობის) (მშენებლობა

. . . . . ნაკვეთზე, რომელიც მიეცა მოქ. . . . . .
(ადგილი) (გვარი) (იმ დაწესე-
. . . . . აქტით . . . . .
ბულების დასახელება, რომელმაც ნაკვეთი მისცა) (აქტის ან
. . . . . და რომელიც მდე-
(დოკუმენტის დასახელება)
ბარეობს . . . . . (ნაკვეთის მდებარეობის ადგილის ზუსტი აღწერა).

2. ბანკის სესხის მთლიანად დაუარვამდე მოქ . . . . -ს უფლება არა აქვს ბანკის ნებადაურთველად გაჰყიდოს ან სხვას გადასცეს სესხით აშენებული შენობა.

. . . . . კომუნალური ბანკი სთხოვს სახელმწიფო სანოტარო კონტორას დაადოს ყადაღა მოქ. . . . . -ის შენობას, რომელიც აგებულია კომუნალური ბანკის სესხით.

. . . . **კომ. ბანკი.**

სანოტარო ორგანოს
შტამპი . . . . . **კომუნალურ განყოფილებას**

ყ ა დ ა ღ ა

კომუნალური ბანკის 194 . . წლ.„ „ . . ს № . . . .
უწყების საფუძველზე . . . . . სახელმწიფო სანოტარო კონტორა კომუნალური ბანკის მიერ . . . . . თანხით სესხის გაცემასთან დაკავშირებით ადებს ყადაღას მოქ . . . . . ის შენობას, რომელიც აგებულია კომუნალური ბანკის სესხით.

რეესტრით № . . . . . ნ ო ტ ა რ ი უ ს ი
(ბ. ად.)

გირავნობის მოწმობის გაუცემლად შენობებზე ყადაღის დადების შესახებ მომქმედი წესების გავრცელება მშრომელთა სახლების კაპიტალური რემონტისათვის კომუნალური ბანკიდან სესხის გაცემის შემთხვევებზე

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისრის 1939 წლის 25 ოქტომბრის № 97 ბრძანება

შესაბამისად სსრკ სახკომაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 14 სექტემბრის № ეს—600—1 მითითებისა „კომუნალური ბანკების მიერ მშრომელთა პირადი საკუთრების სახლების კაპიტალური რემონტის დაკრედიტების წესების შესახებ“— ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

სანოტარო ორგანოებისათვის სსრკ იუსტსახკომისარიატის 1939 წლის 19 მაისის ინსტრუქციით დადგენილი წესები „გირავნობის მოწმობის გაუცემლად შენობებზე ყადაღის დადების შესახებ,“ რომლებიც მოქმედებენ საბინაო მშენებლობისათვის სესხის გაცემის დროს, გავრცელებულ იქნას კომუნალური ბანკის მიერ მშრომელთა პირადი საკუთრების სახლების კაპიტალური რემონტისათვის სესხის გაცემის შემთხვევებზედაც.

სოფლად მდებარე საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების საბინაო მშენებლობისათვის სასოფლო-სამეურნეო ბანკის და სახელმწიფო ბანკის ფილიალების მიერ სესხის გაცემის შემთხვევაში შენობებზე ყადაღის დადება გირავნობის მოწმობის გაუცემლად

სსრკ იუსტსახკომისრის 1940 წლის 10 მარტის № 20 ბრძანება

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ეკონომიურმა საბჭომ 1940 წლის 14 თებერვალს № 219 დაამტკიცა სსრკ სასოფლო-სამეურნეო ბანკის 1940 წლის საკრედიტო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია ასიგნობები სოფლად მდებარე საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1939 წლის 19 მაისის ინსტრუქციით დამტკიცებული წესები „გირავნობის მოწმობის გაუცემლად სანოტარო ორგანოთა მიერ შენობებზე ყადაღის დადების წესის შესახებ“, რომლებიც მოქმედებენ საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა საბინაო მშენებლობისათვის სესხის გაცემის დროს, გავრცელებულ იქნას აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და ამ ბანკის ფუნქციების შემსრულებელი სახელმწიფო ბანკის ფილიალების მიერ სოფლად მდებარე საწარმო-ორგანიზაციათა მუშების და სპეციალისტების საბინაო მშენებლობისათვის სესხის გაცემის შემთხვევებზედაც.

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ისეთი სესხით აშენებულ შენობებზე ყადაღის დადების შესახებ, რომელიც გაცემულია 1939 წლის აპრილის 26-ის წესების სამოქმედოდ შემოღებამდე, მაგრამ გირავნობის მოწმობით არ ყოფილა გაფორმებული

სსრკ იუსტსახკომისრისა და ცეკომბანკის 1940 წლის 22 აგვისტოს № 104/60 ბრძანება

ისეთი სესხების დოკუმენტაციის შემოწმებით, რომლებიც გაცემული იყო სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 26 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული „საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების წესები"-ს გამოცემა, გამოირკვა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სესხი, მომქმედი წესების საწინააღმდეგოთ, გაცემული ყოფილა გირავნობის მოწმობის მიუღებლად და ამ რიგად იგი არაფრით არ ყოფილა უზრუნველყოფილი.

ამის შედეგად ადგილი ჰქონია ისეთ ფაქტებს, როდესაც აღმნაგს, ბანკის სესხის დაუფარავად, უკანონოდ გაუყიდია შენობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

თუ ინდივიდუალური მშენებლობისათვის 1939 წლის 26 აპრილის წესების სამოქმედოდ შემოღებამდე გაცემული სესხი, მომქმედი წესების საწინააღმდეგოთ, არ ყოფილა გირაოთი უზრუნველყოფილი, ასეთ შემთხვევაში შენობებზე ყადაღის დადება გაფორმებულ იქნას იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია 1939 წლის 26 აპრილის წესების მე-12 მუხლით და სსრკ იუსტსახკომისარიატის 1939 წლის 19 მაისის ინსტრუქციით „გირავნობის მოწმობის გაუცემლად სანოტარო ორგანოთა მიერ შენობებზე ყადაღის დადების წესის შესახებ".

გირავნობის მოწმობის გაუცემლად შენობებზე ყადაღის დადების წესების გავრცელება ისეთ შემთხვევებზედაც, როდესაც კომუნალური ბანკის მიერ გაცემულია სესხი ერთ მიწის ნაკვეთზე 2—3 აღმნაგის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის

სსრკ იუსტიციის სახ. კომისრის 1940 წლის 16 სექტემბრის № 118 ბრძანება

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წლის 2 აგვისტოს № 642—672 განკარგულებით ნება დაერთო ცეკომბანკს დააკრედიტოს 2—3 აღმნაგის მიერ ერთ მიწის ნაკვეთზე წარმოებული ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა.

ამასთან დაკავშირებით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბინაო მშენებლობის დაკრედიტების აღნიშნულ სახეობაზე გავრცელებულ იქნას გირავნობის მოწმობის გაუცემლად სანოტარო ორგანოთა მიერ შენობებზე ყადაღის დადების წესი, რომელიც გათვალისწინებულია სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1939 წლის 19 მაისის ინსტრუქციით.

2. ნოტარიუსებმა მის შემდეგ, როდესაც მიიღებენ კომუნალური ბანკის უწყებას აღმნაგებისათვის სესხის მიცემის შესახებ, დაადონ ყადაღა აგებულ შენობას და მოხსნან იგი მხოლოდ მაშინ, როდესაც კომუნალური ბანკი აცნობებს მათ, რომ შენობის ასაგებად მიღებული სესხი მთლიანად დაფარულია.

გირავნობის მოწმობის გაუცემლად შენობებზე ყადაღის დადების წესების გავრცელება ისეთ შემთხვევებზედაც, როდესაც სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და ამ ბანკის ოპერაციების შემსრულებელი სახელმწიფო ბანკის ფილიალების მიერ გაცემულია სესხი გადმოსახლებულთათვის სახლებისა და საეზოო შენობების ასაშენებლად, სარემონტოდ და შესაძენად

სსრკ იუსტიციის სახ. კომისრის 1941 წლის 25 თებერვლის № 42 ბრძანება

თანახმად სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1939 წლის 17 ნოემბრის დადგენილებისა „სასოფლო-სამეურნეო გადასახლებისათვის შეღავათების შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 73 მუხ. 352) გადასახლებულთათვის ახლად აშენებული ან გარემონტებული სახლები, რომელთა აშენებისა და რემონტისათვის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ გრძელვადიანი სესხია გაცემული, ეძლევათ გადასახლებულებს უსასყიდლოდ სარგებლობისათვის, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება ეს სახლები გაჰყიდონ ან იჯარად გასცენ, ვიდრე მთლიანად არ დაფარავენ ბანკის სესხიდან წარმოშობილ ვალს.

იმ მიზნით, რომ ადგილი არ ექნეს აღნიშნული შენობების ნასყიდობის ხელშეკრულების დამოწმებას ან იჯარად გაცემას სათანადო ბანკის სესხიდან წარმოშობილი ვალის მთლიანად დაფარვამდე,— ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1939 წლის 19 მაისის ინსტრუქცია „გირავნობის მოწმობის გაუცემლად სანოტარო ორგანოთა მიერ შენობებზე ყადაღის დადების წესის შესახებ" გავრცელებულ იქნას აგრეთვე ისეთ შემთხვევებზედაც, როდესაც სასოფლო-

სამეურნეო ბანკისა და ამ ბანკის ოპერაციების შემსრულებელი სახელმწიფო ბანკის ფილიალების მიერ გაცემულია სესხი გადასახლებულთათვის სახლების და საეზოო შენობების ასაშენებლად, გასარემონტებლად ან შესაძენად.

2. სანოტარო კონტორები ბანკიდან მიღებულ უწყებებს, რომლითაც მათ ეცნობათ გადასახლებულთათვის აღნიშნული სესხის მიცემა, გაუკეთებენ წარწერას ყადაღის შესახებ და გაუგზავნიან სათანადო სასოფლო საბჭოს შენობის ადგილმდებარეობის მიხედვით.

„გირავნობის მოწმობის გაუცემლად სანოტარო ორგანოთა მიერ შენობებზე ყადაღის დადების წესის შესახებ“ მომქმედი სსრკ იუსტსახკომისარიატის 1939 წლ. 19 მაისის ინსტრუქციის შეფარდება

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1942 წლის 24 იანვრის № ად—5 სადირექტივო წერილი

როგორც სსრკ ცენტრალური კომუნალური ბანკის მომართვიდან სჩანს ზოგიერთი სანოტარო კონტორა, საწინააღმდეგოთ სსრკ იუსტსახკომისარიატის 1939 წლის 19 მაისის ინსტრუქციისა „გირავნობის მოწმობის გაუცემლად სანოტარო ორგანოთა მიერ შენობებზე ყადაღის დადების წესის შესახებ“, ამოწმებს ისეთ შენობების გასხვისების ხელშეკრულებებს, რომელთაც აღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად, ყადაღა ადევს. ყველა ამის შედეგად ცეკომბანკის ადგილობრივი კონტორები და განყოფილებები ზარალდებიან, რადგანაც მათ მიერ გაცემული სესხი უზრუნველყოფილი აღარ არის სათანადო ქონებით.

აღნიშნულის გამო სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატი წინადადებას გაძლევთ მისცეთ სანოტარო კონტორებს შემდეგი მითითებები:

1. შენობის გასხვისების ხელშეკრულებათა დამოწმების დროს არ დაუშვან ზემოთმოყვანილი ინსტრუქციის არავითარი დარღვევა, გულდასმით შეამოწმონ სპეციალური რეესტრით ირიცხება თუ არა შენობაზე ყადაღა და. თუ ირიცხება,—უარი სთქვან ხელშეკრულების დამოწმებაზე კომუნალური ბანკის ნებართვის გარეშე.

2. სანოტარო კონტორა, მიიღებს რა ბანკიდან უწყებას (სამ ცალად) ყადაღის დადების შესახებ, მესამე ცალს წააწერს, რომ ყადაღა დადებულია, თანაც აღნიშნავს რეგისტრაციის ნომერს სპეციალური რეესტრის მიხედვით და ამ მესამე ცალს გაუგზავნის სათანადო ბანკს (კონტორას, განყოფილებას).

სანოტარო კონტორების მიერ რკინიგზელთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის კომუნალური ბანკიდან გაცემული სესხის უზრუნველყოფის გაფორმების წესის შესახებ

სსრკ იუსტიციის სახ. კომისრის 1943 წლის 9 ნოემბრის № 83 ბრძანება

სსრკ სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ც/კომიტეტმა 1943 წლის აგვისტოს 21 გამოსცეს დადგენილება „გერმანელი ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების მე-6 მუხლის IX კარის საფუძველზე ცეკომბანკი იძლევა გრძელვადიან სესხს ფრონტისპირა გზების რკინიგზელთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის.

იმ მიზნით, რომ არ იქნას დაშვებული სათანადო ბანკის ნებადაურთველად ზემოთაღნიშნული სესხით აგებული შენობის გასხვისება ამ სესხის მთლიანად დაფარვამდე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ისეთ შემთხვევაში, როდესაც სანოტარო კონტორას მიმართავს კომუნალური ბანკი თხოვნით გააფორმოს ბანკის მიერ გაცემული სესხის უზრუნველყოფა შენობაზე ყადაღის დადებით, სანოტარო კონტორამ უნდა იხელმძღვანელოს სსრკ იუსტსახკომისარიატის 1939 წლის 19 მაისის ინსტრუქციით „გირავნობის მოწმობის გაუცემლად სანოტარო კონტორის მიერ შენობებზე ყადაღის დადების წესის შესახებ“.

2. ბანკის უწყება, რომელთაც სანოტარო კონტორას ეცნობა რკინის გზელთათვის სესხის მიცემა, სანოტარო კონტორამ გაუგზავნოს წარწერით ყადაღის შესახებ სასოფლო საბჭოს შენობის ადგილმდებარეობის მიხედვით.

IV. რწმუნებულების სანოტარო წესით დამოწმება

რწმუნებულობა საგარეო ვაჭრობის გარიგებათათვის

სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება (სსრკ კან. კრ. 1930 წ. № 56, მუხ. 583)

(ამონაწერი)

3. სამეურნეო ორგანიზაციების სახელით ყოველგვარი მოქმედება, დაკავშირებული საგარეო ვაჭრობასთან, შეიძლება შესრულებულ

იქნას მხოლოდ სპეციალური რწმუნებულობის საფუძველზე. ასეთი რწმუნებულება გაიცემა, თვითეულ ცალკე შემთხვევაში, სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ნებართვით, ხოლო თუ რწმუნებულობის გაცემა საზღვარგარეთ ხდება,—სსრკ სათანადო საელჩოს წარმომადგენლობის ნებართვით.

შენიშვნა: სსრკ სახელმწიფო ბანკის და სსრკ საგარეო ვაჭრობის ბანკის მიერ რწმუნებულობის გაცემისათვის სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და საელჩო წარმომადგენლობის ნებართვა საჭირო არ არის [1932 წლის 17 მარტი (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 20 მუხ. 119)].

საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ მოქმედებათა შესრულებისათვის გაცემული რწმუნებულობის სანოტარო წესით დამოწმება

სსრკ იუსტიციის სახ. კომისრის 1938 წლის 13 მაისის № 41 ბრძანება

სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 13 ოქტომბრის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1920 წ. № 56 მუხ. 583) თანახმად რწმუნებულობა საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების სახელით ყოველგვარ ისეთი მოქმედების შესრულებისათვის, რაც საგარეო ვაჭრობასთან არის დაკავშირებული, სსრკ სახელმწიფო ბანკისა და საგარეო ვაჭრობის ბანკის მიერ გაცემულ რწმუნებულობის გარდა შეიძლება გაიცეს მხოლოდ ყოველ ცალკე შემთხვევაში სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ნებართვით. ამ წესების დარღვევით გაცემულ რწმუნებულობას ძალა არა აქვს.

ჩემთან შემოსულ ცნობების მიხედვით, ზოგიერთი სანოტარო ორგანო ამოწმებს ზემოთაღნიშნულ რწმუნებულობებს, რომლებიც გაცემულია საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ნებართვის უქონლად და ამით არღვევს საგარეო ვაჭრობის შესახებ მოქმედ კანონებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ბრძანებ:

1. მოკავშირე რესპუბლიკების ყველა იუსტიციის სახალხო კომისარიატმა დაუყოვნებლივ აღკვეთოს სანოტარო ორგანოთა მიერ ზემოთხსენებულ რწმუნებულობათა დამოწმება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს რწმუნებულობა გაცემულია საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ნებართვის უქონლად.

2. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატების ნოტარიატის განყოფილებებს თვალყური ადევნონ სანოტარო ორგანოთა მიერ ამა ბრძანების შესრულებას.

დეპეშა—რწმუნებულობა

სსრკ სახკომსაბჭოს მიერ 1929 წლის 15 თებერვალს დამტკიცებულია სსრკ ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და რადიოკავშირის წესდება (სსრკ კან. კრ. 1929 წლ. № 22. მუხ. 194)

(ამონაწერი)

119. ჩვეულებრივი დეპეშის გარდა, შეიძლები შემდეგი განსაკუთრებული სახის დეპეშის მიცემა:

ო) დეპეშა—რწმუნებულობა.

შენიშვნა: სატელეგრაფო დაწესებულებაში მიცემული დეპეშა—რწმუნებულობა გულისხმობს ისეთ დეპეშას, რომლის ტექსტი წარმოადგენს დედან რწმუნებულებას, რომელიც ქმნილია დადგენილი წესით და რომელზედაც სათანადო შემთხვევაში გადახდილია საღერბო გამოსაღები.[1]

132. გამგზავნელის ხელმოწერა შეიძლება დამოწმებულ იქნას სანოტარო ორგანოს, სახალხო მოსამართლის, მილიციისა და სასოფლო საბჭოს მიერ, აგრეთვე იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულება—საწარმოს მიერ, სადაც დეპეშის გამგზავნელი მსახურობს; ხელმოწერის დამოწმებისას დეპეშას დაესმის ამ დაწესებულებებისა და პირებისათვის მიკუთვნილი ბეჭედი.

ომიანობის დროს სამხედრო მსახურთა რწმუნებულობისა და ანდერძის დამოწმების წესი

სსრკ სახკომსაბჭოს 1942 წლის 15 სექტემბრის № 1536 დადგენილება (სსრკ დად. კრ. 1942 წ. № 8, მუხ. 133)

სსრკ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ომიანობის დროს იმ პირთა ყოველგვარი რწმუნებულობა და ანდერძი, რომლებიც წითელი არმიის რიგებში და სამხედრო-საზღვაო ფლოტში იმყოფებიან, შეიძლება დამოწმებულ იქნას, სანოტარო ორგანოთა გარდა, ცალკე ჯარის ნაწილების (ათასეულის,

[1] სახელმწიფო ბაჟი.

ესკადრილიის, 1,2 და 3 რანგის ხომალდების, მე-4 რანგის ხომალდების შენაერთების, ცალკე ბატალიონების, დივიზიის, ასეულის, ბატარიის, რაზმის და მათი შესაბამი სხვა ნაწილების) სარდლობის მიერ, ხოლო გოსპიტალში სამკურნალოდ მყოფ სამხედრო მსახურთა რწმუნებულობა და ანდერძი—ამ გოსპიტლების უფროსების მიერ.

სსრკ სახკომსაბჭოს მიერ „ომიანობის დროს სამხედრო მსახურთა რწმუნებულობის და ანდერძის დამოწმების წესის შესახებ" გამოცემული 1942 წლის 15 სექტემბრის № 1536 დადგენილების შეფარდება

სსრკ თავდაცვის სახ. კომისარიატისა და იუსტსახკომისარიატის 1943 წლის 15 ივნისის ინსტრუქცია ამონაწერი

1. რწმუნებულობისა და ანდერძის იმ წესით დამოწმებას, რომელიც გათვალისწინებულია სსრკ სახკომსაბჭოს 1942 წლის 15 სექტემბრის № 1536 დადგენილებით (სსრკ დად. კრ. 1942 წ. № 8, მუხ. 133), მოახდენს სამხედრო მსახურის სიტყვიერი განცხადებით ჯარის იმ ნაწილის სარდლობა, სადაც განმცხადებელი ირიცხება ან იმ გოსპიტლის უფროსი, სადაც განმცხადებელი იმყოფება სამკურნალოდ.

რწმუნებულობას ან ანდერძს ხელს მოაწერს განმცხადებელი იმ თანამდებობის პირის თანდასწრებით, რომელიც ამ დოკუმენტებს ამოწმებს.

თუ **განმცხადებელი**, თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შესძლებს რწმუნებულობას ან ანდერძზე ხელის მოწერას, ასეთ შემთხვევაში შეიძლება რწმუნებულობას ან ანდერძს **განმცხადებლის** თხოვნით ხელი მოაწეროს ამავე წესით სხვა პირმა.

2. რწმუნებულობა მოწმდება ერთ ცალად და ეძლევა განმცხადებელს ხელზე ან და ამ უკანასკნელის თხოვნით გაიგზავნება ნაჩვენები მისამართით.

ანდერძი მოწმდება ორ ცალად. ერთი ცალი, განმცხადებლის თხოვნისამებრ, ან მიეცემა მას ხელზე, ან გაეგზავნება შესანახად მემკვიდრის საცხოვრებელი ადგილის სანოტარო კონტორას, ან და პირდაპირ მემკვიდრეს ანდერძში ნაჩვენები მისამართით.

ანდერძის მეორე ცალი, როგორც წესი, გაეგზავნება შესანახად ასსრ იუსტიციის სახ. კომისარიატს, ან იმ ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის ან ოლქის იუსტსახკომისარიატის სამმართველოს მშრომელთა დეპუტატების სამხარეო ან საოლქო საბჭოსთან, სადაც მემკვიდრე ცხოვრობს ან და სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის ნოტარიატის განყოფილებას—ქალ. მოსკოვი, კუიბიშევის ქუჩა, სახლი № 7—3,—ეს იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე ცხოვრობს მტრის მიერ დროებით დაკავებულ ტერიტორიაზე, ან თუ მოანდერძემ არ იცის სად ცხოვრობს მემკვიდრე.

3. რწმუნებულობის დამოწმების დროს ის თანამდებობის პირი რომელიც რწმუნებულობას ამოწმებს, ვალდებულია განუმარტოს განმცხადებელს, რომ სსრ კავშირის მოქმედი კანონების თანახმად რწმუნებულობის გაცემა შეიძლება ვადით არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო, თუ რწმუნებულობაში ვადა არ იქნება აღნიშნული, მას ძალა ექნება მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში მისი გაცემის დღიდან.

4. სამხედრო მსახურთა რწმუნებულობას საფოსტო გზავნილებათა მიღებისათვის ამოწმებს ჯარის ნაწილის ქვეგანაყოფის უფროსი, ხოლო სსრკ სახელმწიფო ბანკის საველე დაწესებულებებში ფულადი თანხების შემტან მეანაბრეთა საანდერძო განკარგულება, თუ ანაბარი პირველად გაფორმებული ყოფილა უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მოწმდება ჯარის ნაწილის საფინანსო ორგანოს უფროსის მიერ.

6. რწმუნებულობისა და ანდერძის დამოწმებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდა საჭირო არ არის.

ჯარის ნაწილის (გოსპიტლის) მიერ რწმუნებულობის და ანდერძის გადაგზავნა ხდება დაკვეთილი ან ფასიანი წერილით განმცხადებლის სურვილისამებრ და მისი ხარჯით.

7. რწმუნებულობის და ანდერძის შედგენისა და დამოწმების ნიმუშები ამასთანავე დართულია.

№ 1

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ო ბ ა

. . . . . ათას ცხრაას ორმოცდა სამ წელს . . . . . თვის . . . . .

. . . . . „ რიცხვს მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი მოქ. . . . .

(იმ პირის

. . . . . .

გვარი, სახელი და მამის სახელი, რომელიც რწმუნებულობას იძლევა)

ამა რწმუნებულობით უფლებას ვაძლევ მოქ. . . . . .
(იმ პირის გვარი, სახელი
. . . . . .
და მამის სახელი, რომელსაც რწმუნებულობა ეძლევა)
მიიღოს ფული სახელმწიფო შროშითი შემნახველ სალაროში № . . .
ქალაქ . . . . . -ში ჩემი პირადი ანგარიშით № . . . . .
ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი ფულის მიღებაში და შეასრულოს
ყველა მოქმედება და ფორმალობა, რაც-კი ამ დავალებასთან არის
დაკავშირებული.

ამ რწმუნებულობას ძალა აქვს . . . . . ხნის
(ვადა დაიწეროს სიტყვებით)
განმავლობაში მისი გაცემის დღიდან.

. . . . . .
(ხელმოწერა)

№ 2

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ო ბ ა

ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის . . . . . თვის . . . .
„ „ რიცხვს.

მე ქვემორე ამისა ხელის მომწერი, მოქ . . . . . .
ამა რწმუნებულობით უფლებას ვაძლევ მოქ. . . . . .
განაგოს ყოველგვარი ჩემი ქონება, რაშიაც უნდა მდგომარეობდეს
და სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, დასდოს ყველა კანონით ნება-
დართული გარიგება ჩემი ქონების გამგებლობასა და განკარგულე-
ბასთან დაკავშირებით: შეიძინოს, გაყიდოს და დააგირავოს შენობე-
ბი და აღნაგობის უფლება, დასდოს ხელშეკრულება აღნაგობის უფ-
ლებით, მიიღოს მემკვიდრეობა ან უარი სთქვას მის მიღებაზე, მიი-
ღოს ყველა ფულადი თანხა ყველა ადგილიდან, პირიდან და დაწე-
სებულებებიდან, მათ შორის ბანკიდან, შემნახველ სალაროდან, ფოს-
ტიდან და ტელეგრაფიდან სხვადასხვა დოკუმენტებით და საფუძ-
ლით, აწარმოოს ჩემი სამოქალაქო საქმეები ყველა სასამართლო და
მთავრობის დაწესებულებაში, ამასთან ისარგებლოს ყველა იმ უფ-
ლებით, რაც კი კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს,
მესამე პირს და დაზარალებულს, მათ შორის უფლებით დაამთავროს

საქმე მორიგეობით, სცნოს ან არ სცნოს მთლიანად ან ნაწილობრივ
სასარჩელო მოთხოვნები, მიიღოს ფული და ქონება.

რწმუნებულობა გაცემულია ვადით . . . . . .
(ვადა აღინიშნოს სიტყვებით)
გადარწმუნების უფლებით (რაც საჭირო არ არის გადიხაზოს)
უფლების გარეშე
. . . . . .
(ხელმოწერა)

№ 3

რწმუნებულობაზე დამოწმების წარწერა

ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის . . . . თვის . . . „ „
რიცხვს. ეს რწმუნებულობა დავამოწმე მე . . . . . .
(ჯარის ნაწილის, გოსპიტლის
. . . . . მეთაურმა, (უფროსმა) . . . . . .
პირობითი დასახელება)
. . . . . .
(გვარი, სახელი და მამის სახელი)
. . . . . .
(იმ პირის გვარი, სახელი და მამის სახელი, რომელმაც რწმუნებულობა გასცა)

სახელით, რომელმაც პირადად თვითონ მოაწერა ხელი ჩემი
თანდასწრებით.

ჯარის ნაწილის მეთაური (ან გოსპიტლის უფროსი), საველე
ფოსტა № . . . .
. . . . . .
(ხელმოწერა)

(ბეჭედი)

№ 4

რწმუნებულობაზე დამოწმების წარწერა

ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის . . . . . თვის . . .
„ „ რიცხვს.
ეს რწმუნებულობა დავამოწმე მე, ...
(ჯარის ნაწილის, გოსპიტლის
. . . . . მეთაურმა (უფროსმა) . . . . . .
პირობითი დასახელება) (გვარი, სახელი და

. . . . . .
მამის სახელი (რწმუნებულობის გამცემი პირის გვარი, სახელი და მამის სახელი)
. . . . . სახელით, რომელიც ავად არის, მის მაგიერ,
მისი პირადი თხოვნით და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა . .
. . . . . .
(გვარი, სახელი და მამის სახელი)

ჯარის ნაწილის მეთაური (ან გოსპიტლის უფროსი) საველე ფოსტა № . . . . .

. . . . . .
(ხელისმოწერა)

ბეჭედი.

№ 5

ა ნ დ ე რ ძ ი

ათას ცხრაას ორმოცდა სამი წლის . . . . . თვის . . . . .
„ „ რიცხვს.

მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი, მოქ. . . . . .
(მოანდერძის გვარი,
. . . . . ჩემი სიკვდილის შემთხვევისათვის
სახელი და მამის სახელი)
ვიძლევი ამა ანდერძით შემდეგ განკარგულებას:

მთელ ჩემ ქონებას, რაც კი ჩემი სიკვდილის დღისათვის ჩემ კუთვნილ ქონებად აღმოჩნდება, სადაც უნდა იყოს და რისგანაც იგი უნდა შესდგებოდეს, მე უანდერძებ . . . . . .
(აღინიშნება ნათესაური კავშირი
. . . . . .
გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირთა, რომელთაც ანდერძით ეტოვებათ და
მათი ადგილმყოფელობის დაწვრილებითი მისამარი)
. . . . . .
. . . . . .
. . . . . .
(ხელმოწერა)

№ 6

დამოწმების წარწერა ანდერძზე

ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის . . . . . თვის . . . . .
„ „ რიცხვს.

ეს ანდერძი დავამოწმე მე . . . . . .
(ჯარის ნაწილის, გოსპიტლის პირობი-

. . . . . მეთაურმა (უფროსმა) . . . . . .
(ჯარის ნაწილის მე-
თი დასახელება)
. . . . . .
თაურის, გოსპიტლის უფროსის გვარი, სახელი და მამის სახელი) (მეანდერძის
. . . . . სახელით, რომელმაც ჩემი თანადასწრე-
გვარი სახელი და მამის სახელი)
ბით პირადად თვითონ მოაწერა ხელი.

ჯარის ნაწილის მეთაური (ან გოსპიტლის უფროსი), საველე ფოსტა № . . . . .

. . . . . .
(ხელმოწერა)

ბეჭედი.

№ 7

დამოწმების წარწერა ანდერძზე

ათასცხრაას ორმოცდასამი წლის . . . . . თვის . . . . .
„ „ რიცხვს.

ეს ანდერძი დავამოწმე მე, ...
(ჯარის ნაწილის, გოსპიტლის პირობითი
. . . . . მეთაურმა (უფროსმა) . . . . . .
დასახელება) (გვარი, სახელი და
. . . . . სახელით;
მამის სახელი) (მოანდერძის გვარი, სახელი და მამის სახელი)
ვინაიდან . . . . . ავად არის, მის მაგიერ მისი პირადი
(მოანდერძის გვარი)
თხოვნით და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა . . . . . .
(გვარი სახელი
. . . . . .
და მამის სახელი)

ჯარის ნაწილის მეთაური (გოსპიტლის უფროსი), საველე ფოსტა № . . . .

. . . . . .
(ხელმოწერა)

ბეჭედი.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მისაღებად თანამდებობის პირთათვის რწმუნებულობის მიცემის წესის შესახებ

სსრკ სახკომსაბჭოს 1944 წლის 19 მაისის № 10894-შ
განკარგულება

(ამონაწერი)

1. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მისაღებად თანამდებობის პირთათვის მიცემული რწმუნებულობა ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ორგანიზაციისა ან დაწესებულების ხელმძღვანელის და მთავარი (უფროსი) ბუხჰალტრის მიერ.

გაცემული რწმუნებულობანი აიღებიან განსაკუთრებულ აღრიცხვაზე ბუხჰალტერიაში.

2. დაევალოს მოვაჭრე, მომმარაგებელ, გამსაღებელ და სხვა ორგანიზაციებს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი გასცენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ წარედგინებათ სათანადო ორგანიზაციების რწმუნებულობა.

3. აიკრძალოს რწმუნებულობის გაცემა მისი მოქმედების ვადის, მიმწოდებლისა და იმ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის რაოდენობის და სახელწოდების აღუნიშვნელად, რომელიც მიღებულ უნდა იქნას რწმუნებულობის ძალით.

V. აღსრულების წარწერა

სააღსრულებო დოკუმენტებით გაფორმებული მოთხოვნების გამო სასარჩელო წესით დავის განცხადების შესახებ

სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1936 წლის 27 ივლისის
დადგენილება (სსრკ კან. კრ. 1936 წლ. № 43, მუხ. 362)

(ამონაწერი)

1. მოთხოვნა, რომელიც გაფორმებულია სანოტარო კონტორის აღსრულების წარწერით, სასამართლოს ბრძანებით ან სხვა ისეთი დოკუმენტით, რომლის საფუძველზედაც შეიძლება უდავო წესით ფულადი ან ქონებრივი გადახდევინების მოხდენა, შეიძლება მოვალის მიერ სადავოდ იქნას გამოცხადებული სარჩელის აღძვრით, ქვემდებარეობის საერთო წესისამებრ, სასამართლოში ან სახელმწიფო არბიტრაჟში.

აღსრულების წარწერა იმ მუშებისგან საწარმოს ხარჯების გადახდევინებლად, რომლებმაც დაარღვიეს მათ მიერ საწარმოსთან დადებული შრომითი ხელშეკრულება

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისრის 1939 წლის
8 ივლისის № 55 ბრძანება

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია სატიპო შრომითი ხელშეკრულებები კოლმეურნეობებთან მუშების შეგროვების შესახებ საალმშენებლო სამუშაოთათვის, ნახშირისა და ტორფის მრეწველობის სამუშაოთათვის, ხეტყის დამზადებისათვის (სსრკ დად. კრ. 1938 წლის № 52, მუხ. 298), სსრკ კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის შაქრის ქარხნებისათვის (სსრკ დად. კრ. 1939 წ. № 31, მუხ. 221), წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის მცურავშემადგენლობისათვის და დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთათვის (სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ეკ. საბჭოს 1939 წლ. № 1 ოქმი, ბ. 216). ამ ხელშეკრულებათა თანახმად აღნიშნულ საწარმოებს უფლება აქვთ გადაახდევინონ მუშას, სანოტარო ორგანოთა აღსრულების წარწერის წესით, საწარმოს მიერ გაწეული ხარჯი: მუშის სამგზავრო ფული, დღიურები და მუშაობით გაუნაღდებელი ავანსი ისეთ შემთხვევაში, თუ მუშა არ მივიდა მუშაობის ადგილს, ან თვითნებობით მიატოვა მუშაობა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლამდე, აგრეთვე, თუ მუშა დათხოვნილ იქნა სამუშაოდან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ან ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით ვბრძანებ:

სანოტარო კონტორებმა, როდესაც იძლევიან აღსრულების წარწერას საწარმოს მიერ გაწეული ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯების მუშისაგან გადახდევინებისათვის, მოითხოვონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) მუშასთან დადებული დედანი ხელშეკრულება;

ბ) მუშის ხელწერილი იმის შესახებ, რომ მან ნამდვილად მიიღო ვადასახდევინებელი თანხა;

გ) ისეთ შემთხვევაში, თუ მუშა დათხოვნილია შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან სამუშაოს თვითნებობით მიტოვებისათვის საჭიროა ბრძანების ასლი დათხოვნის შესახებ და საწარმოს ადმინისტრაციის ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს მუშაობდა, რამდენი სამუშაო ხელფასი ერგება და რამდენი მაიღო;

დ) თუ მუშა მუშაობის ადგილს არ მისულა — საწარმოს ადმინისტრაციის ცნობა იმის შესახებ, რომ მუშა სამუშაო ადგილს არ მისულა.

რადიომიმღებათა და რადიო წერტებით სარგებლობისათვის სააბონემენტო გადასახდელის დავალიანების გადასახდევინებლად, აგრეთვე სააბონემენტო გადასახდელის შეტანის ვადის გადაცილებისა და რადიოდადგმულობის მოწყობის და ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის დადებული ჯარიმის გადასახდევინებლად აღსრულების წარწერის გაცემის წესის შესახებ

სსრკ იუსტიციის სახ. კომისრის 1939 წლის
22 დეკემბრის № 135 ბრძანება

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 29 სექტემბრის № 1593 დადგენილების თანახმად რადიომიმღებებით და რადიოწერტებით სარგებლობისათვის სააბონემენტო გადასახდელის დავალიანების, აგრეთვე სააბონემენტო გადასახდელის შეტანის ვადის გადაცილებისათვის და რადიომიმღებისა ან რადიო წერტის სათანადო რეგისტრაციის ან ნებართვის გარეშე მოწყობისა და ექსპლოატაციისათვის დადებული ჯარიმის გადახდევინებას აწარმოებენ კავშირგაბმულობის სახ. კომისარიატისა და სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიოგადაცემათა სრულიად საკავშირო კომიტეტის ორგანოები სანოტარო ორგანოთა აღსრულების წარწერის საფუძველზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით ვბრძანებ:

სანოტარო ორგანოებმა აღსრულების წარწერა რადიომიმღებით და რადიოწერტით სარგებლობისათვის სააბონემენტო გადასახდელის დავალიანების, აგრეთვე სააბონემენტო გადასახდელის შეტანის ვადის გადაცილებისათვის და სათანადო რეგისტრაციისა ან ნებართვის გარეშე რადიოდადგმულობის მოწყობის და ექსპლოატაციისათვის დადებული ჯარიმის მოქალაქეთაგან გადასახდევინებლად გასცენ მხოლოდ შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ:

ა) აქტი რადიოდადგმულობით სარგებლობის წესის დარღვევის შესახებ;

ბ) კავშირგაბმულობის სახ. კომისარიატის ან სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოფიკაციის და რადიოგადმოცემათა სრულიად საკავშირო კომიტეტის ორგანოთა დადგენილება ჯარიმის დადების შესახებ;

გ) მოვალისათვის გაგზავნილი უწყება დავალიანების თანხისა და მისი გადახდის ვადების შესახებ;

დ) საფოსტო განყოფილების ცნობა მოვალისათვის უწყების ჩაბარების შესახებ.

ფორმა

ა ქ ტ ი №. . . .

ქალაქი . . . . . 19 . . . წ. . . . . „ „
სოფელი

ეს აქტი შედგენილია (ვის მიერ) . . . . . .
(კავშირგაბმულობის საწარმოს
. . . . . რადიოდადგმულობით სარგებ-
რადიოკომიტეტის კონტროლიორის მიერ)
ლობის წესის დარღვევის გამო, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოქ.
. . . . . .
(რადიოდადგმულობის პატრონის გვარი, სახელი და მამის სახელი)
სათანადო **რეგისტრაციის** გარეშე სარგებლობდა . . . . . .
ნებართვის (სატრანსლაციო რა-
. . . . . .
დიოწერტით, რადიომიმღებით) (თავური ტელეფონით (ყურებიანი)
. . . . . .
ელექტრო მაგნიტური რეპროდუქტორით, ელექტროდინამიკური რეპროდუ-
. . . . . .
დუქტორით (აღინიშნოს სიმძლავრე)
19 . . . წლის . . . . . -დან.

შენიშვნა: . . . . . .
. . . . . .
. . . . . .

კონტროლიორი . . . . . რადიოდადგმულობის პატრონი . . . .
(ხელმოწერა) (ხელმოწერა)

ცნობები რადიოდადგმულობის პატრონის შესახებ:
გვარი, სახელი და მამის სახელი . . . . . .
მუდმივი საცხოვრებელი ადგილი: ქალაქი (სოფელი) . . . . . .
ქუჩა . . . . . სახლი № . . . ბინა . . . . . .
ა) საწარმოს დასახელება . . . . . .
ბ) საამქრო (განყოფ.) . . . . . .
გ) თანამდებობა . . . . . .
საწარმოს მისამართი: ოლქი . . . . . რაიონი . . . . . .
ქალაქი (სოფელი) . . . . . ქუჩა . . . . . სახლი № . . . .
ხელმოწერა . . . . . .

დადგენილება № . . . .

19 . . . წ. „ „ . . . . . თვეს . . . . . .
(კავშირგაბმულობის სა-
. . . . . განიხილა რა 19 . . . წ. „ „
წარმოს, რადიოკომიტეტის დასახელება)
. . . . . № . . . . . აქტი, მოქ. . . . . .
მიერ . . . . . .
(რადიოკვანძით, სატრანს. რადიო წერტილით, რადიომიმღებით)
სარგებლობის წესის დარღვევის შესახებ და სცნო რა დარღვევა დადასტურებულად, ამასთან იხელმძღვანელა რა სსრკ კავშირგაბმულობის სახ. კომისარიატის, სრულიად საკავშირო რადიოკომიტეტის და ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1939 წლ. „ „ დეკემბრის ინსტრუქციით, რომელიც გამოცემულია სსრკ სახკომსაბჭოს 1939 წლ. 29 სექტემბრის № 1593 დადგენილებით: „სამართულო გადმოცემის კვანძების, სატრანსლაციო რადიოწერტილებისა და რადიომიმღებების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1939 წ. № 54, მუხ. 493), ადგენს: რადიოდადგმულობის პატრონს (ვის) . . . . . დაედოს ჯარიმა თანხით . . . . . მან.

ბ. ად. ხელმოწერა . . . . . .

ფორმა

სსრკ
კავშირგაბ. სახ. **უწყება №** . . .
კომისარიატი.
. . . . . .
(რაიონი, კავშირგაბ. კონტორა, რადიოკვანძი)

აბონენტს № . . . . ვის . . . . . .

ვინაიდან **თქვენ მიერ შეტანილი არ არის სააბონენტო გადასახ-**
თქვენ მიერ დარღვეულია რადიოდადგ. სარგებლობის
დელი . . . . . .
წესი (სატრანსილაციო რადიოწერტილს, რადიომიმღების)
19 . . . წლის „ „ . . . . . თვიდან „ „თვემდე, გთხოვთ ამა უწყების მიღების შემდეგ შვიდი დღის ვადაზე შეიტანოთ ქვემოთ მოყვანილი მისამართით:

1. ჯარიმა **სააბონენტო გადასახ. შეტანის ვადის გადაცილე-**
ამა უწყების მეორე გვერდზე აღნიშნული დადგენი-
ბისათვის
ლების თანახმად . . . . . მან. . . . . კაპ.

2. სააბონენტო გადასახდელი . . . . . მან . . . . კაპ.

ს უ ლ . . . . . მან . . . . კაპ.

თუ აღნიშნული თანხა ვადაზე არ იქნება შეტანილი, იგი გადაგ-
ხდებათ თქვენ სანოტარო ორგანოს აღსრულების წარწერის ძალით
. . . . . ხოლო თქვენთან დად-
(სახელმწიფო ბაჟის დარიცხვით)
გმული რადიოწერტილი გამოირთვება სატრანსლაციო ქსელიდან.

19 . . . წ. „ „ . . . . . ხელმოწერა . . . . . .

გადასახდელი ფული მიიღება . . . . . დან . . . . . .
საათამდე მისამართით . . . . . .

ფორმა № 119

გაგზავნის
შტემპელი

ცნობა საფოსტო გზავნილების მიღების შესახებ

უბრალო (დაკვეთილი) ავიზო-ტელეგრაფით

სად . . . . . .
. . . . . .
. . . . . .
ვის . . . . . .
. . . . . .
(სამისამართო მხარე შეავსეთ თქვენ სახელზე)
გაგზავნილია . . . . . დან . . . . . № . . . .ით
(გზავნილების სახეობა) (საფოსტო)
ფასის განცხადებით . . . . . მან. და ფასგადახდით
. . . . . მან . . . . . კაპ . . . . . .
მისამართით . . . . . .
. . . . . .
. . . . . სახელზე.
ჩაბარდა 19 . . . წ. „ „ . . . . **პირადად** . . . . . .
(რწმუნებულობით) (ვის)
საწარმოს უფროსი . . . . . .
(ხელმოწერა)
ფოსტის მომუშავე . . . . . .
(ხელმოწერა)

მიღების დროის შტემპელი

გაცემის დროის შტემპელი

გამოსაფხიზლებლებში საექიმო დახმარებისათვის გადასახდელი ფულის დავალიანების გადასახდევინებლად აღსრულების წარწერის გაცემის წესის შესახებ.

სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის 1940 წლის 17 მარტის № 24 ბრძანება.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის მარტის 14 № 001—75 განკარგულებით მ/გ. მილიციის ორგანოებს ნება დაერთოთ სანოტარო ორგანოთა აღსრულების წარწერის წესით გადაახდევინონ გამოსაფხიზლებლებში მიყვანილ პირებს სასყიდელი მათთვინ საექიმო ღახმარების გაწევისათვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით ვბრძანებ:

სანოტარო ორგანოებმა გასცენ აღსრულების წარწერა გამოსაფხიზლებელში მიყვანილ მოქალაქეთაგან მათთვინ გაწეული საექიმო დახმარების გასამრჯელოს დავალიანების გადასახდევინებლად; აღსრულების წარწერის გაცემა უნდა ხდებოდეს შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

1. მ/გ მილიციის გამოსაფხიზლებლის აქტის ასლი საექიმო დახმარების გაწევის შესახებ;

2. ასლი წინადადებისა დავალიანების გადახდის შესახებ და ხელწერილი მასში, რომ ეს წინადადება ჩაბარდა კუთვნილებისამებრ.

სანოტარო ორგანოთა მიერ აღსრულების წარწერის გაცემის წესის შესახებ

სსრკ იუსტიციის სახ. კომისრის 1940 წლ. 14 ნოემბრის № 162 ბრძანება.
(ამონაწერი)

1. მთელი რიგი სანოტარო კონტორების მიერ აღსრულების წარწერის გაცემა უმეტეს შემთხვევაში ხდება არა დოკუმენტების წარდგენის დღესვე, როგორც ეს გათვალისწინებულია რსფსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 19 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ნოტარიატის დებულების სათანადო მუხლით, არამედ მესამე-მეხუთე დღეს.

3. აღსრულების წარწერა მთელ რიგ შემთხვევებში გაცემულია ისეთი დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის.

აღსრულების წარწერის გაცემის საქმეში სანოტარო კონტორების მუშაობის ზემოთაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით ვბრძანებ:

1. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრებმა და იუსტსახკომისარიატების საოლქო და სამხარეო სამართველოთა უფროსებმა სანოტარო კონტორების მუშაობა აღსრულების წარწერის გაცემის საქმეში მოაწყონ ისე, რომ ამ წარწერის გაცემა ხდებოდეს იმავე დღეს, რა დღესაც წარდგენილი იქნება დოკუმენტი დავალიანების გადახდევინების შესახებ, ამასთან გაცემა ხდებოდეს მხოლოდ ისეთი დოკუმენტების საფუძველზე, რომლებითაც აღსრულების წარწერის გაცემა კანონით არის გათვალისწინებული.

VI. დამკვიდრება.

ანდერძით ანაბრის დატოვების წესის შესახებ [1].

სსრკ ფინანსთა სახ. კომისარიატის 1939 წლ. 5 მარტის № 22 ინსტრუქცია
(ამონაწერი)

26. მეანაბრეს შეუძლიან თავისი ანაბარი უანდერძოს ყოველივე პირს ან სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ან რამდენიმე პირს და ორგანიზაციას. ანაბარი შეიძლება ანდერძით დაეტოვოს ისეთ პირსაც, რომელიც კანონის თანახმად არ არის მეანაბრეს მემკვიდრე. საანდერძო განკარგულება არ უსპობს მეანაბრეს ღფლებას განაგოს ანაბარი თავის სიცოცხლის დროს.

მეანაბრეს უფლება აქვს შესცვალოს ან გააუქმოს საანდერძო განკარგულება.

არასრულწლოვან მეანაბრეს უფლება არა აქვს მოახდინოს საანდერძო განკარგულება ანაბრის ირგვლივ.

33. მეანაბრის სიკვდილის შემდეგ ანაბარი მიეცემა საანდერძო განკარაულებაში აღნიშნულ პირებს, რა დროსაც კი ეს პირები გამოცხადდებიან. მათ უნდა წარმოადგინონ შემნახველი სალაროს წიგნაკი, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის ორგანოს მოწმობა მეანაბრის სიკვდილის შესახებ და თავისი პასპორტი ან პასპორტის სამაგიერო დოკუმენტი.

34. შემნახველი სალარო, მის შემდეგ, როდესაც მას წარედგი-

---

[1] სამხედრო მსახურთა სახელით ანდერძის დამოწმების წესის შესახებ: იხილეთ გვ. 52

ნება გარდაცვალებული მეანაბრის შემნახველი სალაროს წიგნაკი და სანოტარო ორგანოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ანაბრიდან დაფარულ იქნას მეანაბრისათვის საექიმო დახმარებაზე, ავადმყოფობის დროს მის მოვლასა და დასაფლავებაზე გაწეული ხარჯი, მეანაბრის კმაყოფაზე მყოფ პირთა შესანახი თანხა და ა. შ., გასცემს ანაბრიდან სათანადო თანხებს. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ანაბარი მეანაბრის მიერ არ ყოფილა ნაანდერძევი, ხოლო, თუ იგი ნაანდერძევია, მისგან ასეთების გაცემა არ მოხდება.

35. თუ საანდერძო განკარგულება არ არის, გარდაცვალებული მეანაბრის ანაბარი ან მისი ნაწილი თანხით არა უმეტეს 300 მანეთისა მიეცემა შემნახველ სალაროში გამოცხადებულ გარდაცვალებულის მემკვიდრეებს, ამასთან საჭირო არ არის, რომ ამ მემკვიდრეებმა წარუდგინონ სალაროს სანოტარო ორგანოს მოწმობა მათი მემკვიდრეობის უფლების შესახებ. ასე, მაგალითად, თუ ანაბრის თანხა 700 მანეთია, შემნახველ სალაროს შეუძლიან მისცეს მემკვიდრეებს 300 მანეთი, ამ უკანასკნელთა მიერ სანოტარო ორგანოს მოწმობის წარუდგენლად.

ანაბრიდან 300 მანეთზე არა უმეტესი თანხის გაცემა მეანაბრის მემკვიდრეებზე ამ უკანასკნელთა მიერ მემკვიდრეობის უფლების შესახებ სანოტარო ორგანოს მოწმობის წარმოუდგენლად ხდება იმის დამიუხედავად—,მიეცათ თუ არა ამავე მემკვიდრეებს ან სხვა პირებს ანაბრიდან თანხები ამა ინსტრუქციის 34 მუხლით დადგენილი წესისამებრ.

ანაბრის მიმღებმა მემკვიდრეებმა უნდა წარმოადგინონ გარდაცვალებულის შემნახველი სალაროს წიგნაკი, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის ორგანოს მოწმობა მეანაბრის გარდაცვალების შესახებ და ის დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ ნათესაობას ანაბრის მიმღებთა და მეანაბრის ურთიერთ შორის (ამონაწერი მოქალაქ. მდგომარ. აქტებიდან, მეტრიკული მოწმობა, პასპორტი, მილიციის ორგანოს, სოფლის საბჭოს ცნობა). ანაბრის მიმღები პირები ვალდებული არიან აგრეთვე წარმოადგინონ მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

თუ ანაბრის მიმღები პირი მეანაბრის მემკვიდრეა იმის გამო, რომ იგი იმყოფებოდა მეანაბრის სრულ კმაყოფაზე ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე ერთ წელზე არა ნაკლები ხნის განმავლობაში

და ამასთან შრომისუნარ მოკლებულია, ამის დასადასტურებლად უნდა წარმოდგენილ იქნას სოფლის საბჭოს ან სახლმმართველობის ცნობა.

თუ იმ პირს, რომელსაც ანაბრის მიღება სურს, არ შეუძლიან თავისი უფლება სამკვიდრო ქონებაზე დოკუმენტებით დაამტკიცოს, შემნახველი სალარო წინადადებას მისცემს მას თავისი უფლების დასადასტურებლად მიმართოს სანოტარო ან სასამართლო ორგანოს.

შემნახველ წიგნაკში აღინიშნება გაცემული თანხა და თუ ანაბარი მთლად არის გაცემული, შემნახველი წიგნაკი რჩება შემნახველ სალაროში. შემნახველ სალაროში, ამას გარდა, უნდა დაიტოვოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის ორგანოს დედანი მოწმობა მეანაბრის გარდაცვალების შესახებ და იმ დოკუმენტის დედანი, რომელიც ადასტურებს ნათესაურ კავშირს მემკვიდრესა და გარდაცვალებულ მეანაბრეს შორის.

თუ მემკვიდრეს არ შეუძლიან დოკუმენტების დედნების დატოვება შემნახველ სალაროში, მან უნდა წარადგინოს სალაროში ამ დოკუმენტების ასლები, რომლებიც დამოწმებულია დოკუმენტების გამცემი ორგანიზაციისა ან სანოტარო ორგანოს მიერ.

36. ისეთ შემთხვევაში, თუ საანდერძო განკარგულება არ ყოფილა დაწერილი, ანაბარი ან მისი ნაწილი, 300 მანეთზე მეტი თანხის შეიძლება მიეცეს მემკვიდრეებს მის შემდეგ, როდესაც ისინი წარმოუდგენენ შემნახველ სალაროს სანოტარო ორგანოს მოწმობას მათი მემკვიდრეობის უფლებების შესახებ (ამ მოწმობის დედანი ან მისი ასლი, დამოწმებული სანოტარო ორგანოს მიერ, რჩება შემნახველ სალაროში), შემნახველი სალაროს წიგნაკს და მათი პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

37. თუ იმ პირს, რომელზედაც ანაბარი გადადის საანდერძო განკარგულების საფუძველზე ან მემკვიდრეობით, არ შეუძლიან წარუდგინოს შემნახველ სალაროს გარდაცვალებული მეანაბრის შემნახველი სალაროს წიგნაკი, მან უნდა წარადგინოს სალაროში განცხადება იმის შესახებ, რომ მას შემნახველი სალაროს წიგნაკი არა აქვს (იქვე უნდა აღნიშნოს რა მიზეზით ვერ წარადგინა მან ეს წიგნაკი). ასეთ შემთხვევაში შემნახველი სალარო გასცემს ანაბარს მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც შეამოწმებს, შემდგომი კონტროლის მონაცემების მიხედვით, ანაბრის ნარჩენს და პროცენტებს და როდესაც

შემნახველი სალაროს წიგნაკის დაკარგვას გაატარებს შემნახველი სალაროს დაკარგული წიგნაკების სარეგისტრაციო წიგნში.

38. იმ პირს, რომელზედაც ანაბარი მემკვიდრეობით გადადის, შეუძლიან მოითხოვოს, რომ ეს ანაბარი გადატანილ იქნეს სხვა ქალაქში, ან სხვა სოფელში. ამისათვის მან უნდა წარუდგინოს ერთ-ერთ შემნახველ სალაროს, ზემოთაღნიშნულ დოკუმენტებს გარდა, განცხადება გადატანის შესახებ (იმ წესით, რაც დადგენილია ინსტრუქციით გადატანის ოპერაციებისათვის).

39. შემნახველი სალაროები ვალდებული არიან მისცენ სანოტარო ორგანოებს ცნობები გარდაცვალებული მეანაბრის შესახებ ამ ორგანოების წერილობით შეკითხვებზე. ამ შეკითხვებში უნდა აღინიშნოს, რომ ცნობა საჭიროა გარდაცვალებულის ანაბართან დაკავშირებით. თუ ანაბარი ვისმესთვის ნაანდერძევია, შემნახველი სალარო სანოტარო ორგანოს საპასუხო ცნობაში არ დაასახელებს იმ პირის გვარს, ვისაც ანაბარი ეანდერძა.

40. თუ გარდაცვალებულ მეანაბრეს მემკვიდრე არ დარჩა და თუ მან საანდეოძო განკარგულება არ დასტოვა, მისი ანაბარი ბეითალმანად ჩაითვლება და უნდა გადაირიცხოს პროცენტებთან ერთად ბიუჯეტის შემოსავლად, საფინანსო ორგანოს წერილობითი მოთხოვნით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სანოტარო ორგანოს მოწმობას ანაბრის ბეითალმანობის შესახებ. (ეს მოწმობა უნდა ერთვოდეს საფინანსო ორგანოს მოთხოვნას).

სამკვდრო ქონების შემადგენლობაში შესულ სავალიუტო და სხვა ფასეულობათა შენახვისა და რეალიზაციის წესის შესახებ

სსრკ იუსტსახკომისარიატისა და სსრკ სახელმწიფო ბანკის გამგეობის 1939 წლის 8 სექტემბრის ინსტრუქცია

ისეთ შემთხვევაში, როდესაც სამკვდრო ქონების დაცვის წესით სანოტარო ორგანოებში შევა ამ ქონების შემადგენელი სავალიუტო ფასეულობა (ოქრო, ვერცხლი, პლატინა, ან პლატინის ჯგუფის ლითონი, მონეტებად, ზოდებად და ნედლი სახით, უცხო ქვეყნის ვალიუტა), უცხო ქვეყნის ვალიუტად გამოწერილი საგადასახდელო დოკუმენტები (თამასუქი, ჩეკი და ა. შ.), აგრეთვე ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული სავალიუტო ფასეულობა შეადგენს საანდერძო განკარგულების საგანს, სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატი და სსრკ სახელმწიფო ბანკის გამგეობა შესაბამისად სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 იანვრის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1937 წლ, № 8, მუხ. 25) წინადადებას იძლევიან სახელმძღვანელოთ მიღებულ იქნას შემდეგი:

1. სანოტარო ორგანოებმა მათთან შესული ზემოთაღნიშნული სავალიუტო ფასეულობანი დაუყოვნებლივ უნდა ჩააბარონ სსრკ სახელმწიფო ბანკის კონტორას ან განყოფილებას.

2. სსრკ სახელმწიფო ბანკის კონტორა ან განყოფილება მის შემდეგ როდესაც მას წარედგინება სანოტარო ორგანოს მოწყობა დამკვიდრების უფლების შესახებ, მისცემს მემკვიდრეებს ან მათ მიერ უფლებამოსილ პირებს სათანადო ეკვივალენტს საბჭოთა ვალიუტით სათანადო ფინ-ორგანოს მიერ გამოანგარიშებული დაწესებული გადასახად-გამოსაღების გამოკლებით.

3. თუ აღნიშნული სავალიუტო ფასეულობანი საანდერძო განკარგულების საგანს შეადგენს, სანოტარო ორგანო მოწმობას დამკვიდრების უფლების შესახებ მისცემს მემკვიდრეებს მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც მას წარედგინება სახელმწიფო ბანკის ცნობა ანდერძში აღნიშნულ ფასეულობათა მიღების შესახებ.

4. სანოტარო ორგანოთა მიერ სამკვიდრო ქონების დაცვის წესით შესანახად მიღებული ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი (საათი, პორტსიგარი და სხვა) დაუყოვნებლივ უნდა ჩაბარდეს შესანახად სსრკ სახელმწიფო ბანკის კონტორას ან განყოფილებას, რომელიც შეინახავს მათ მემკვიდრეებისათვის გადაცემამდე.

საავადმყოფოსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაცვალებულ პირთა შემდეგ დარჩენილი ქონების გაცემის წესის შესახებ

ბრძანება სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატისადმი. 1939 წლის 28 სექტემბერი № 591

საავადმყოფოებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში გარდაცვალებულ პირთა შემდეგ დარჩენილი ქონების გაცემისათვის ერთნაირი წესის დადგენის მიზნით

ვბრძანებ:

1. საავადმყოფოში ან სხვა სამკურნალო დაწესებულებაში გარ-

დაცვალებული პირის შემდეგ დარჩენილი საოჯახო და პირადი ხმარების საგნებს (საშინაო ნივთები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ა. შ.), აგრეთვე ფულს და სხვა ფასეულობას (სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, ოქროსი და ვერცხლის ნივთები და სხვ.), თანხით არა უმეტეს 300 მანეთისა, სამკურნალოს დაწესებულების ადმინისტრაცია მისცემს გარდაცვალებულის იმ ნათესავებს, რომლებიც ჩამოთვლილია რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 418 მუხლში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლში, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ეს ნათესავები გამოცხადდნენ აღნიშნულ დაწესებულებაში სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში.

2. 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი გარდაცვალებულის ნივთები და ფასეულობა მიეცემა გარდაცვალებულის ნათესავებს და ამისათვის საჭირო არ არის, რომ მათ წარმოადგინონ სანოტარო ორგანოს მოწყობა მათი დამკვიდრების უფლების შესახებ; ასეთ შემთხვევებში საკმარისია ისეთი დოკუმენტების წარმოდგენა, რომლებიც დაადასტურებენ ქონების მიმღებთა და გარდაცვალებულს შორის არსებულ ნათესაურ კავშირს რსფსრ სამოქ. სამ კოდ. 418 მუხლის შესაბამისად.

3. სხვა ნივთები და ფასეულობა, 1-ლ მუხლში ჩამოთვლილთა გარდა, მიეცემათ გარდაცვალებულის მემკვიდრეებს საერთო საფუძველზე.

სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის 1939 წლის 23 ივნისის № 391 ბრძანება, რომელიც ამოწურულია ამა ბრძანებით, გაუქმდეს.

მტრის მიერ დროებით დაკავშირებულ ადგილს გარდაცვალებული პირისა, და აგრეთვე ევაკუაციის ადგილსაკენ მიმავალი სამკვიდროს-დამტოვებლის გზაში გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ქონებაზე დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემის წესის შესახებ

სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1942 წლ. 14 ივლისის № ად-15 სადირექტივო წერილი

ადგილებიდან შემოდის შეკითხვები იმის შესახებ, თუ რა წესით გაიცემა დამკვიდრების უფლების მოწმობა ისეთ ქონებაზე, რაც დარჩა მტრის მიერ დროებით დაკავებულ ადგილს გარდაცვალებულ პირსა, აგრეთვე ევაკუაციის ადგილს მიმავალი სამკვიდროს დამტოვებლის გზაში გარდაცვალების შემდეგ.

ამ შეკითხვებთან დაკავშირებით განვმარტავ:

1. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამ ჟამად მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ ადგილს გარდაცვალებული პირის შემდეგ დარჩენილი ქონება მემკვიდრეთა განკარგულებაშია, კერძოდ, თუ მათ ხელშია ისეთი დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ სამკვიდროს დამტოვებლის უფლებას სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილ ანაბარზე, აგრეთვე სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში შესანახად შეტანილ სახელმწიფო სესხის ობლიგაციებზე და ა. შ., მემკვიდრეებს შეუძლიანთ მიმართონ იმ ადგილის სანოტარო ორგანოს, სადაც ისინი ცხოვრობენ ევაკუაციის შემდეგ, თხოვნით მისცეს მათ მოწმობა, რომელიც დაადასტურებს მათ უფლებებს სამკვიდრო ქონებაზე.

2. ასეთი მოწმობის გაცემა სანოტარო ორგანოთა მიერ ხდება საერთო საფუძველზე, ე. ი. მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ და იმ პირობით, რომ მემკვიდრეები წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს, სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების ფაქტისა და განმცხადებელთა და სამკვიდროს დამტოვებელს შორის ნათესაური კავშირის დასამტკიცებლად.

3. აღნიშნული წესი დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემისა შეეფარდება ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც სამკვიდროს დამტოვებელი გარდაიცვალა გზაში ევაკუაციის ადგილისკენ მიმავალი.

ომიანობის დროის გარემოებებთან დაკავშირებით იმ ვადების დენის შეჩერება, რომლებიც გათვალისწინებულია რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 430 და 433 მუხლებით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლებით მემკვიდრეობის მიღებად

სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1942 წლის 15 სექტემბრის № 15/მ/16უ დადგენილება

ომიანობის დროის პირობებში წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში გაწვეული პირები, აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც ცხოვრობენ მტრის მიერ დროებით დაკავებულ ტერიტორიაზე, ან ევაკუირებული არიან ომიანობის დროის გარემოებათა გამო, ფაქტიურად მოკლებული არიან შესაძლებლობას განაცხადონ მემკვიდრეობის მიღების შესახებ რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 430

მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლით დადგენილ ექვსთვიან ვადაზე. სწორედ ასევე იმ მემკვიდრეებსაც, რომლებზედაც უნდა გადავიდეს წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში მყოფ პირთა, ან მტრის მიერ დროებით დაკავებულ ადგილს მცხოვრებ პირთა, ან და ომიანობის დროის გარემოებებთან ევაკუირებულ პირთა გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონება, არც თუ ყოველთვის შეუძლიანთ ომიანობის დროის პირობებში გამოცხადნენ მემკვიდროების მისაღებად რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 433 მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ვადის ფარგლებში, რომლის გასვლის შემდეგ ქონება, თუ მემკვიდრეები არ გამოცხადდებიან, ბეითალმანად ჩაითვლება.

აღნიშნულთან დაკავშირებით სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს მიეცეს სასამართლოებს შემდეგი მითითება:

1. რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 430 და 433 მუხლებით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლებით გათვალისწინებული ვადების დენა ისეთ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრეებს ზემოთაღნიშნულ გარემოებათა გამო არა აქვთ შესაძლებლობა ამ ვადების ფარგლებში გამოცხადდნენ მემკვიდრეობის მისაღებად, შეჩერდება რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 48 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლის შესაბამისად, იქამდე, ვიდრე არ მოისპობა ის გარემოებანი, რომელთა საფუძველზედაც შეჩერდა მემკვიდრეობის მიღებისათვის დადგენილი ვადის დენა.

2. მემკვიდრეობის მიღებისათვის დადგენილი ვადის დენის შეჩერება 1-მუხლში აღნიშნულ მემკვიდრეთა მიმართ უფლებას არ უსპობს იმ მემკვიდრეებს, რომლებიც მემკვიდრეობის გახსნის ადგილას არიან, შევიდნენ სამკვიდრო ქონების მმართვა-გამგებლობაში და მიიღონ კანონით დადგენილი წესით სანოტარო კონტორიდან მოწმობა დამკვიდრების უფლების შესახებ, მაგრამ მხოლოდ თავთავისი წილის ფარგლებში; ამასთან სამკვიდრო ქონებიდან წინასწარ გამოიყოფა იმ მემკვიდრის წილი, როლის მიმართაც ვადის დენა შეჩერებულია და აუცილებლად უნდა მიღებულ იქნას ზომები დაუსწრებელი მემკვიდრის წილის დასაცავად.

3. მემკვიდრეობის გახსნის ადგილზე მყოფი მემკვიდრეებისათვის დამკვიდრების უფლების მოწმობის მიცემისას სანოტარო ორგანო ვალდებულია გამოარკვიოს — ხომ არ ჰყავს სამკვიდროს დამტოვებელს მემკვიდრე, რომელიც იმყოფება წითელი არმიის რიგებში და სამხედრო-საზღვაო ფლოტში, ან ცხოვრობს მტრის მიერ დროებით დაკავებულ ტერიტორიაზე ან და ევაკუირებულია ომიანობის დროის გარემოებებთან დაკავშირებით და, თუ გამოირკვა, რომ ასეთი მემკვიდრენი არიან, სანოტარო ორგანო ვალდებულია მიიღოს ზომები მათი წილი ქონების დასაცავად, თუ, რასაკვირველია, ასეთი ზომები შიღებული არ ყოფილა რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 431 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლის წესით.

ბეითალმანი ქონების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ

სსრკ ფინსახკომისარიატის 1943 წლის 31 მაისის
№ 311 ინსტრუქცია.

(ამონაწერი)

ინსტრუქციის § 3. ყოველი ისეთი ქონება, ფასეულობა და ფულადი სახსარი, სადაც კი უნდა იმყოფებოდეს იგი, რომელიც დარჩა მათი პატრონის გარდაცვალების შემდეგ, ჩაითვლება ბეითალმან ქონებად იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ან ქონების დასაცავად ზომების მიღების დღიდან 6 თვის განმავლობაში არ გამოცხადდა ამ ქონების კანონიერი მემკვიდრე, აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, თუ ყველა მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდრო ქონების მიღებაზე.

ბეითალმანი ქონება, მის დასაცავად ზომების მიღების დღიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, გადადის იმ ადგილის საფინანსო ორგანოს განკარგულებაში, სადაც ეს ქონება იყო აღმოჩენილი, სანოტარო ორგანოს მიერ გაცემული მოწმობის საფუძველზე.

თუ აღმოჩენილ იქნა ისეთი სამკვიდრო ქონება, რომლის დასაცავად ზომებს არ იღებენ, საფინანსო ორგანომ უნდა აცნობოს ეს სანოტარო ორგანოს ქონების დასაცავად ზომების მისაღებად და მის საცნობლად ბეითალმან ქონებად.

ინსტრუქციის § 12. ბეითალმანი ქონების თავის დროზე აღრიცხვის უზრუნველსაყოფად საფინანსო ორგანოები ვალდებული არიან კვარტალში ერთჯერ მაინც შეადარონ ჩანაწერები აღრიცხვაზე აღებული ქონების შესახებ სანოტარო ორგანოთა განკარგულებაში ქონებულ მასალებს.

ბეითალმანი და უპატრონო ქონების დასაცავად ზომების მისაღებად საფინანსო ორგანოები, თუ ხელთ იქნება სათანადო სანოტარო ან სასამართლო გადაწყვეტილება, მოახდენენ მილიციისა ან სახლმმართველობის წარმომადგენლის თანადასწრებით, იმ სადგომების დათვალიერებას, რომლებიც ცალკე მოქალაქეებს ეკუთვნის.

ინსტრუქციის § 19. აღრიცხვაზე აღებული ქონების შეფასება მოხდება:

ა) ქონების, რომელიც ჯერ ნახმარი არ ყოფილა—მომქმედი სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით, ამასთან ისეთი საქონელი, რომლისთვისაც დაწესებულია სახელმწიფო კომერციული ფასი, შეფასდება ამ ფასების მიხედვით.

ბ) ნახმარი ქონების—ამავე ფასების მიხედვით, მხოლოდ გაცვეთილობის მხედველობაში მიღებით.

საფინანსო ორგანოებს უფლება ეძლევათ საჭირო შემთხვევაში ქონების შესაფასებლად მოიწვიონ ექსპერტი-შემფასებლები ადგილობრივი სპეციალისტების რიცხვიდან.

ისეთი საგნები, რომლებიც სსრკ მთავრობის დადგენილების საფუძველზე, სსრკ ფინანსთა სახ. კომისარიატის შეთანხმებით სათანადო სახალხო კომისარიატთან უნდა გადაეცეს ამ კომისარიატის საწარმოებს ან დაწესებულებებს განსაზღვრული ფასით, შეფასდება ხსენებული დადგენილებისა ან შეთანხმებით დადგენილი ფასის მიხედვით.

ამა ინსტრუქციის 1—5 §§-ში აღნიშნული ქონების შემადგენლობაში შესული შენობა შეფასდება დაზღვევის შეფასების მიხედვით (ხოლო, თუ ასეთი შეფასება არ არის—საინვენტარიზაციო შეფასების მიხედვით) გაცვეთილობის მხედველობაში მიღებით.

ინსტრუქციის § 20. თუ ბეითალმანი ქონება შეფასებული იქნა სანოტარო ორგანოს ან სახალხო სასამართლოს მიერ სამკვიდრო ქონების დაცვის პერიოდში, აქტის შემდგენლებმა უნდა იხელმძღვანელონ ამ შეფასებით. ხოლო, თუ ბეითალმანი ქონება ეძლევა სავაჭრო ორგანიზაციას ან სათანადო უწყებას, იგი ხელახლად უნდა შეფასდეს.

მუზეუმების ქონება, თუ იგი განათლების სახ. კომისარიატისა ან ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ორგანოთა მიერ ცნობილი იქნება ისეთ ქონებად, რომელსაც სამუზეუმო მნიშვნელობა არა აქვს ან ასეთი მნიშვნელობა დაუკარგავს, შეფასდება აღნიშნულ ორგანოთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემისა და ანდერძის დამოწმების დროს სანოტარო კონტორების მიერ დაშვებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1944 წლის 19 ოქტომბრის № დ-36 სადირექტივო წერილი (ამონაწერი)

დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემისა და ანდერძის დამოწმებისათვის შესრულებულ სანოტარო მოქმედებათა რაოდენობა ამ ბოლო ხანს ომიანობის დროის გარემოებებთან დაკავშირებით დიდად დაიზარდა და საქმეებმა მემკვიდრეობის შესახებ სამამულო ომის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვეს.

მაგრამ, ამის და მიუხედავად, დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემისა და ანდერძის დამოწმების საქმეში სანოტარო კონტორების მუშაობის პრაქტიკის შესწავლა-განზოგადოების შედეგად გამოირკვა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში აღნიშნულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების დროს სანოტარო კონტორების მიერ დაშვებულია შეცდომები და დარღვეულია კანონი.

ადგილი ჰქონია ისეთ შემთხვევებს, როდესაც სანოტარო კონტორებს მოწმობა დამკვიდრების უფლების შესახებ მიუცია იმ პირებისათვის, რომლებიც გათვალისწინებული არ არიან რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 418 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლით. (ლენინაბადის სანოტარო კონტორა).

ზოგიერთ შემთხვევაში მოწმობა დამკვიდრების უფლების შესახებ გაცემულია არა იმ ადგილის მიხედვით, სადაც მემკვიდრეობა გაიხსნა (ქუთაისის, სამარკანდის, ისფარინის სანოტარო კონტორები) და მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ექვსთვიანი ვადის გასვლამდე, მაშინ როდესაც ნოტარიუსს არ ჰქონია ცნობები გარდაცვალებულის ყველა მემკვიდრის შესახებ (უფის, ქუთაისის, ლენინაკანის, და სხვა სანოტარო კონტორები).

სამკვიდროს დამტოვებლის სიკვდილის ფაქტის დასადგენად და იმის გამოსარკვევად ეკუთვნიან თუ არა მემკვიდრენი იმ პირთა რიცხვს, რომელთაც უფლება აქვთ სამკვიდრო ქონებაზე, სანოტარო კონტორები ზოგჯერ არ თხოულობენ სათანადო დოკუმენტებს. ასე, მაგალითად, სამკვიდროს დამტოვებლის სიკვდილის ფაქტის დასადასტურებლად იღებენ ექიმის მოწმობას სიკვდილის შესახებ (ბელო-

შორიის სანოტარო კონტორა), ფაქტიური ქორწინების დასადასტურებლად იღებენ საქალაქო საბჭოს ცნობას (ბელომორიის სანოტარო კონტორა), გარდაცვალებულის კმაყოფაზე ყოფნის დასადასტურებლად—სამხედრო კომისარიატის და ჯარის ნაწილების ცნობას (კრასნოდარის, სვერდლოვის სანოტარო კონტორები).

დამკვიდრების უფლების მოწმობაში არასრულწლოვანთა შეტანის დროს ამ მოწმობის ასლი ხშირად არ ეგზავნებათ მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოების სახალხო განათლების განყოფილებებს (ორლოვის, ერევნის, ლენინაკანის და სხვა სანოტარო კონტორები).

შენობაზე ან აღნაგობის უფლებაზე დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემის დროს არა ყოველთვის იტოვება სანოტარო კონტორის საქმეებში ის დოკუმენტები (ან ასლები), რომლებიც ადასტურებენ, რომ ეს შენობა ან აღნაგობის უფლება სამკვიდროს დამტოვებელს ეკუთვნის (ორლოვის სანოტარო კონტორა), აგრეთვე არა ყოველთვის იტოვება სანოტარო კონტორის საქმეებში ისეთი დოკუმენტების ასლები, რომლებიც ადასტურებენ ნათესაურ კავშირს მემკვიდრეებსა და სამკვიდროს დამტოვებელს შორის (ლენინაკანის სანოტარო კონტორა).

ზოგიერთი სანოტარო კონტორა წითელ არმიაში და სამხედრო საზღვაო ფლოტში მყოფ მემკვიდრეთა ინტერესების საზიანოდ, აძლევს გამოცხადებულ მემკვიდრეებს მოწმობას დამკვიდრების უფლების შესახებ გარდაცვალებულის მთელ ქონებაზე (ნოვოროსიის სანოტარო კონტორა), ამასთან მოწმობაში დამკვიდრების უფლების შესახებ არა ყოველთვის არის აღნიშნული, რომ სხვაგან მყოფი მემკვიდრის კუთვნილი სამკვიდრო ქონების წილის გაფორმება შეჩერებულია, არ არის აგრეთვე აღნიშნული სამკვიდრო ქონების რა ნაწილია გახსნილად დარჩენილი (ორლოვის სანოტარო კონტორა).

ადგილი აქვს ისეთ ანდერძების დამოწმებას, რომლებითაც ქონება ეტოვება იმ პირებს, ვინც კანონით მიკუთვნებული არ არის მემკვიდრეთა წრისათვის (სამარკარდის სანოტარო კონტორა), ამასთან მოანდერძეს ხშირად არ უმარტავენ რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 422 მუხლის მე-2 შენიშვნას ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლს და ანდერძში არა ყოველთვის არის აღნიშნული, რომ ეს მუხლი მოანდერძეს განემარტა (ბელომორიის სანოტარო კონტორა).

ზოგიერთი სანოტარო კონტორა ახდევინებს სახელმწიფო ბაჟს სამკვიდრო ქონების ბეითალმანობის შესახებ მოწმობის გაცემის დროს.

სანოტარო კონტორების მუშაობაში ზემოთაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით და აგრეთვე იმისათვის, რომ შემოღებულ იქნას ერთნაირი პრაქტიკა სანოტარო ორგანოთა მუშაობისა ანდერძის დამოწმების და დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემის საქმეში.

წანადადებას გაძლევთ იხელმძღვანელოთ შემდეგით:

1. სანოტარო კონტორებმა:

ა) დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემის დროს არ დაუშვან მოწმობაში იმ პირთა შეტანა, რომლებიც რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 418 მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლის საფუძველზე არ შეიძლება ცნობილ იქნან მემკვიდრეებად.

ბ) არ გასცენ მოწმობა დამკვიდრების უფლების შესახებ მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ექვსთვიანი ვადის გასვლამდე, თუ არ იქნება ცნობები გარდაცვალებულის ყველა მემკვიდრის შესახებ (რსფსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 53 მუხლი ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ნოტარიატის დებულების სათანადო მუხლი).

იმის დასამტკიცებლად, რომ სხვა მემკვიდრე აღარავინ არის, მოსთხოვონ მემკვიდრეებს რომლებიც მოწმობას თხოულობენ, წარმოადგინონ წერილობითი განცხადება ამის შესახებ და სახლმმართველობის სათანადო ცნობა.

გ) სამკვიდროს დამტოვებლის სიკვდილის ფაქტის დასადგენად და იმის გამოსარკვევად-ეკუთვნიან თუ არა მემკვიდრენი იმ პირთა რიცხვს, რომლებსაც დამკვიდრების უფლება აქვთ, სანოტარო ორგანოებმა უნდა მოსთხოვონ დაინტერესებულ პირებს სათანადო დოკუმენტების წარმოდგენა ნოტარიატის დებულების და მის შესაფარდებლად გამოცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

დ) გასცენ მოწმობა დამკვიდრების უფლების შესახებ მხოლოდ მემკვიდრეობის გახსნის ადგილის მიხედვით, ე. ი. სამკვიდრო დამტოვებლის უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო, თუ არ არის ცნობა უკანასკნელად სად ცხოვრობდა

სამკვიდროს დამტოვებელი, იმ ადგილის მიხედვით, სადაც სამკვიდრო ქონება იმყოფება.

ე) დამკვიდრების უფლების ისეთი მოწმობის გაცემის დროს, რომელშიც არასრულწლოვანია შეტანილი, მოწმობის ასლი აუცილებლად გაეგზავნოს მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს სახალხო განათლების განყოფილებას.

ვ) დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემის ყველა შემთხვევაში სანოტარო კონტორის საქმეებში აუცილებლად უნდა დაიტოვოს ისეთი დოკუმენტების ასლები, რომლებიც ადასტურებენ ნათესაურ კავშრს მემკვიდრეებსა და სამკვიდროს დამტოვებლის შორის; ხოლო, თუ სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შედის შენობა ან აღნაგობის უფლება—დაიტოვება ისეთი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ შენობა ან აღნაგობის უფლება სამკვიდროს დამტოვებელს ეკუთვნის.

თ) თუ გამოირკვა, რომ მემკვიდრე იმყოფება წითელ არმიაში ან სამხედრო-საზღვაო ფლოტში, ან და ევაკუირებულია ომიანობის დროის გარემოებებთან დაკავშირებით (სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1942 წლ. 15 სექტემბრის № 15/მ (16/უ დადგენილება), მოწმობა დამკვიდრების უფლების შესახებ მიეცეს დამსწრე მემკვიდრეებს მხოლოდ მათი კუთვნილი წილის ფარგლებში, ამასთან სმკვიდრო ქონებიდან წინასწარ გამოყოფილ იქნას სხვაგან მყოფ მემკვიდრეთა წილი და მიღებულ იქნას ზომები მის დასაცავად.

გაცემულ მოწმობაში აღინიშნოს, რომ სამკვიდრო ქონების წილზე სხვაგან მყოფი მემკვიდრის უფლების გაფორმება შეჩერებულია, თანაც იქვე აღინიშნება სამკვიდრო ქონების რა ნაწილია გამოყოფილი სხვაგან მყოფი მემკვიდრისათვის.

ი) ანდერძის დამოწმების დროს არ დაუშვათ ანდერძში ისეთ პირთა შეტანა, რომლებიც კანონის თანახმად არ შეიძლება ცნობილ იქნან მემკვიდრედ, ამასთან განემარტოს მოანდერძეს რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 422 მუხ. მე-2 შენიშვნის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლის შინარსი და ანდერძში მოანდერძის ხელის მოწერის წინ აღინიშნოს, რომ ხსენებული მუხლი მოანდერძეს განემარტა.

კ) სამკვიდრო ქონების ბეითალმანობის შესახებ საფინანსო ორგანოებისათვის მოწმობის მიცემის დროს ამ ორგანოებს სახელმწიფო ბაჟი არ გადახდება.

2. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრებმა და იუსტსახკომისარიატების სამმართველოთა უფროსებმა მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოებთან გააძლიერონ კონტროლი სანოტარო კონტორებში მემკვიდრეობის საქმეთა გაფორმებისადმი და აღმოფხვრან ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებანი.

VII. ასლების სისწორის შემოწმება

ისეთი დოკუმენტების ასლების შემოწმების მოწესრიგება რომლებიც მოქალაქეთა პირად უფლებებს და ინტერესებს შეეხებიან

სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 3 ივლისის დადგენილება (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 37, მუხ. 149).

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახელმწიფო დაწესებულებას, საწარმოს და საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეუძლიან დაინტერესებული პირის თხოვნით, გასცეს მხოლოდ ისეთი დოკუმენტის შემოწმებული ასლი, რომელიც მოქალაქის პირად უფლებებს და ინტერესებს შეეხება და რომელიც გამოდის მოცემული დაწესებულებიდან, საწარმოდან ან ორგანიზაციიდან.

დოკუმენტის ასლი შეიძლება გაიცეს მხოლოდ მოცემული დაწესებულების ბლანკზე ბეჭდის დასმით, ამასთან გასაცემ ასლზე აღინიშნება, რომ დედანი დოკუმენტი ინახება მოცემულ დაწესებულებასა ან საწარმოში. ასლის სისწორე შემოწმდება დაწესებულების (სამმართველოს, განყოფილების) ხელმძღვანელის პირადი ხელმოწერით.

2. მოქალაქის ხელზე ქონებული დოკუმენტის ასლის შემოწმება მოხდება მხოლოდ დედანი დოკუმენტის წარმოდგენისას და შემდეგი წესით:

ა) თუ დოკუმენტი შეეხება მოქალაქის პირად უფლებებს და ინტერესებს, მისი ასლის შემოწმებას მოახდენს სახელმწიფო სანოტარო კონტორა.

ბ) იმ ადგილს, სადაც სანოტარო ორგანო არ არის, ადგილობრივი საბჭო (სოფლის, დაბის, რაიონის და ქალაქის) ამოწმებს, მხო-

ლოდ ისეთი დოკუმენტების ასლებს, რომლებიც შეეხება მოქალაქის ქონებრივ მდგომარეობას, მის ოჯახურ მდგომარეობას (მოწმობა ქორწინების, დაბადების სიკვდილის შესახებ), გაცემულ ცნობას მ/გ წითელ არმიაში სამსახურის შესახებ ოჯახისათვის შეღავათების მისაცემად, სამხედრო მაგიდის ცნობას სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ, აგრეთვე კოლმეურნეობების და სარეწაო არტელების დადგენილებათა ამონაწერებს მოცემული მოქალაქის შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტების ასლებს ადგილობრივი საბჭოები ამოწმებენ მხოლოდ იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც მუდმივ ცხოვრობენ მოცემული საბჭოს სამოქმედო ტერიტორიაზე.

გ) საკავშირო და რესპუბლიკური მთავრობების დადგენილების, სასამართლო ორგანოს განაჩენის სამეურნეო კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წესდების ან დებულების, უცხო ენაზე დაწერილი დოკუმენტის ასლებს, აგრეთვე ყოველივე დოკუმენტის ასლის ასლს ამოწმებს მარტოოდენ რესპუბლიკური, საოლქო ან სამხარეო სანოტარო — კონტორა.[1]

. შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ასლის შემოწმებას სანოტარო კონტორები აწარმოებენ სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის სპეციალური ინსტრუქციის საფუძველზე.

3. პასპორტის, საკ. კ. პ. (ბ) დოკუმენტის, პროფესიული ორგანიზაციის საწევრო ბილეთის, დოკუმენტის სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკის ორდენით ან სიგელით დაჯილდოების შესახებ, დამკვრელის სიგელის ან წიგნაკის, სადეპუტატო მანდატის, აგრეთვე სამხედრო ბილეთის ასლების შემოწმება აკრძალულია.

4. სახელმწიფო დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ის თანამდებობის პირნი, რომლებიც დაუშვებენ ასლების შემოწმებას ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესის დარღვევით, აგრეთვე შემოწმების დროს ასლში დაუშვებენ დედანის ტექსტის დამახინჯებას, მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

5. აეკრძალოთ სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიიღონ დოკუმენტების ასლები,

[1]) ამ ჟამად მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობათა დადგენილებებით საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სანოტარო კონტორები რეორგანიზებული არიან საქალაქო სანოტარო კონტორებად.

რომლებიც შემოწმებული იქნებიან ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესის დარღვევით.

რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო სანოტარო კონტორების მიერ ისეთი დოკუმენტების ასლის ასლის შემოწმების წესის შესახებ, რომლებიც მოქალაქის პირად უფლებებს და ინტერესებს შეეხებათ

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1937 წლის 10 სექტემბრის № 98 ინსტრუქცია

შესაბამისად სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 3 ივნისის დადგენილებისა „ისეთი დოკუმენტის ასლის შემომოწმების მოწესრიგების შესახებ, რომელიც მოქალაქის პირად უფლებებსა და ინტერესებს შეეხება“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 37, მუხ. 149), სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს სსრკ ყველა სანოტარო დაწესებულებას ისეთი დოკუმენტების ასლების ასლის შემოწმების დროს, რომლებიც მოქალაქეთა პირად უფლებებსა და ინტერესებს შეეხება, იხელმძღვანელონ შემდეგი წესებით:

1. ყოველივე ისეთი დოკუმენტის ასლის ასლის შემოწმება, რომელიც შეეხება მოქალაქის პირად უფლებებსა და ინტერესებს უნდა ხდებოდეს მხოლოდ რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო სანოტარო კონტორებში; ამ უკანასკნელებმა შემოწმების დროს უნდა იხელმძღვანელონ სათანადო რესპუბლიკის ყველა იმ კანონითა და წესით, რაც კი დადგენილია ასლის სისწორის შემოწმებისათვის, თუ ეს კანონები და წესები არ ეწინააღმდეგებიან 1937 წლის 3 ივნისის კანონს.

2. სახელმწიფო დაწესებულება-საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ გაცემული ზემოთაღნიშნული დოკუმენტების ასლის ასლის სისწორის შემოწმების დროს რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო სანოტარო კონტორების უფროსმა ნოტარიუსებმა უნდა შეამოწმონ:

ა) შესრულებულია თუ არა მოცემული დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის მიერ 1937 წლის 3 ივნისის კანონის 1-ლი მუხლის მოთხოვნა, ე. ი. ის დოკუმენტი, რომლის ასლის ასლი წარმოდგენილია სანოტარო კონტორაში შესამოწმებლად, გამოსულია თუ არა იმ დაწესებულებიდან, საწარმოდან ან ორგანიზაციიდან, რომლის მიერაც ასლი შემოწმებულია.

ბ) დაცულია თუ არა ამ უკანასკნელთა მიერ ასლების შემოწმებისათვის 1937 წლ. 3 ივნისის კანონით დადგენილი წესი, ე. ი. დოკუმენტის ასლი ხელმოწერილია თუ არა მოცემული დაწესებულებისა, საწარმოს ან ორგანიზაციის (სამმართველოს, განყოფილების) ხელმძღვანელის მიერ, გაცემულია თუ არა ეს ასლი აღნიშნული დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ბლანკზე და არის თუ არა მასზე აღნიშნული, რომ დედანი დოკუმენტი ინახება მოცემულ დაწესებულებაში, საწარმოსა ან ორგანიზაციაში.

3. სანოტარო კონტორების მიერ სანოტარო ორგანოში შემოწმებული დოკუმენტის ასლის ასლის შემოწმების დროს უფროსმა ნოტარიუსმა თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ ეს ასლი შემოწმებული იყოს 1937 წლის 3 ივნისის კანონის შესაბამისად, ე. ი. სათანადო სანოტარო ორგანოს მიერ.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც სანოტარო კონტორაში წარმოდგენილია შესამოწმებლად ადგილობრივი საბჭოს (სოფლის, დაბის, რაიონის და ქალაქის) მიერ შემოწმებული დოკუმენტის ასლის ასლი, უფროსმა ნოტარიუსმა უნდა გამოარკვიოს—ეკუთვნის თუ არა ის დოკუმენტი, რომლის ასლი წარმოდგენილია მისი ასლის შესამოწმებლად, 1937 წლის 3 ივნისის მე-2 მუხლის 3. „ბ"-ში ჩამოთვლილი დოკუმენტების რიცხვს.

5. სანოტარო კონტორების, სანოტარო მაგიდების,[1]) სასოფლო საბჭოების, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების, საქალაქო საბჭოების და სანოტარო მოქმედება შემსრულებელი სახალხო მოსამართლეების მიერ 1937 წლის 3 ივნისის კანონის გამოცემამდე შემოწმებული დოკუმენტების ასლების ასლები მიიღება სანოტარო კონტორაში შესამოწმებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ასლები შემოწმებული ყოფილა მოკავშირე რესპუბლიკების იმ კანონებისა და წესების შესაბამისად, რომლებიც მოქმედობდნენ მათი შემოწმების მომენტში. წინააღმდეგ შემთხვევაში სანოტარო კონტორა უარს იტყვის აღნიშნული ასლების შემოწმებაზე.

6. სანოტარო კონტორები არ მიიღებენ აგრეთვე შესამოწმებლად ისეთი დოკუმენტების ასლების ასლებს, რომელთა ასლის შემოწმება 1937 წლის 3 ივნისის კანონის მე-3 მუხლით აკრძალულია (პასპორტის, საკ. კ. 3. (ბ) დოკუმენტის და სხვ.), თუნდაც ეს ასლები შემოწმებული იყოს სანოტარო ორგანოთა მიერ 1937 წლის 3 ივნისის კანონის გამოცემამდე, არ მიიღებენ აგრეთვე ისეთ ასლებ-

[1]. იხ. სხოლიო გვ.

საც, რომლებიც შემოწმებული არიან აღნიშნული კანონით დადგენილი წესის დარღვევით.

7. სანოტარო კონტორები არ მიიღებენ აგრეთვე შესამოწმებლად: ა) რამდენიმე ფურცელზე დაწერილი ასლების ასლებს, თუ ეს ფურცლები სათანადოდ არ იქნება დანომრილი, ზონარგაყრილი და იმ დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის სათანადო ბეჭედ დასმული, რომლის მიერაც ეს ასლები გაცემულია ან შემოწმებული. ბ) დოკუმენტის ისეთი ასლის ასლს, რომელშიც არის სათანადოდ დაუთქმელი შესწორებები, მინაწერები, წაშლილი სიტყვები და გ) დოკუმენტის ისეთი ასლის ასლს, რომელიც, ამა თუ იმ დეფექტის გარდა, ისეთ მდგომარეობაშია, რომ შეუძლებელია მასში თავდაპირველად ჩანაწერის წაკითხვა, მაგალითად, ასლი რომელზედაც მელანია დაღვრილი ან რომელშიაც სიტყვები თითქმის სულ წაშლილია და ა. შ.

8. თუ სანოტარო კონტორა აღმოაჩენს, რომ დოკუმენტის ასლში, რომელიც წარმოდგენილია მისგან ასლის შესამოწმებლად, სიტყვები ამოფხეკილია, იგი უარს იტყვის ასეთი ასლის შემოწმებაზე.

9. სანოტარო კონტორის მიერ დამოწმებულ დოკუმენტის ასლის ასლს ხელს აწერს მხოლოდ უფროსი ნოტარიუსი ან მისი მოადგილე.

10. ამ ასლში სიტყვა-სიტყვით განმეორებული იყოს არა მარტო თავდაპირველი ასლის (რომლისგანაც ეს ასლი მოწმდება) და მასზე გაკეთებული დამოწმების წარწერის ტექსტი, არამედ იმ ბეჭდის ტვიფარის წარწერის ტექსტიც, რომელიც დასმული იყო დოკუმენტის თავდაპირველ ასლზე.

11. დოკუმენტის ასლი, დაწერილი რამდენიმე ფურცელზე, შემოწმების დროს უნდა დაინომროს, ზონარი გაეყაროს და დამტკიცდეს უფროსი ნოტარიუსის (ან მისი მოადგილის) ხელმოწერითა და სანოტარო კონტორის ლუქის ბეჭდით ასლის ფურცლების რაოდენობის აღნიშვნით.

სასამართლოს განაჩენის, გადაწყვეტილების და დადგენილების ასლის გაცემის წესის შესახებ

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1938 წლ. 7 ივნისის
№ 63 ინსტრუქცია

შესაბამისად სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 3 ივნისის დადგენილებისა „ისეთი დოკუმენტის ასლის შემოწმების მოწესრიგების შესახებ, რომელიც მოქალაქის პირად უფლებებსა და ინ-

ტერესებს შეეხება" (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 37, მუხ. 149) სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარი წინადადებას აძლევს სასამართლო ორგანოებს მოქალაქისათვის სასამართლოს განაჩენის, გადაწყვეტილებისა და დადგენილების ასლის გაცემის დროს იხელმძღვანელონ შემდეგი მითითებებით:

1. სასამართლოს განაჩენის, გადაწყვეტილებისა და დადგენილების ასლი მიეცემა დაინტერესებულ მოქალაქეს მისი სიტყვიერი ან წერილობითი შუამდგომლობით.

2. 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტების ასლებს გასცემს ის სასამართლო ორგანო, რომლის წარმოებაშიც საქმე იმყოფება. ამასთან სასამართლო ორგანოს უფლება აქვს გასცეს ყველა იმ განაჩენის, გადაწყვეტილებისა თუ დადგენილების ასლი, რაც კი მოცემულ საქმეშია და რაც გამოტანილია როგორც მის მიერ, ისე სხვა სასამართლო ინსტანციების მიერ.

3. გაცემული ასლი უნდა შემოწმებულ იქნას სახალხო სასამართლოში—სახალხო მოსამართლის ხელმოწერით, უმაღლეს, საოლქო სამხარეო და სხვა სასამართლოში — სასამართლოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის ან და სასამართლოს წევრის ხელმოწერით, კუთვნილებისამებრ და აუცილებლად საღერბო ბეჭდის დასმით.

4. გაცემულ ასლში უნდა სიტყვა სიტყვით განმეორებული იყოს დედანი დოკუმენტის მთელი ტექსტი ამ დოკუმენტზე ხელის მომწერ პირთა გვარისა და თანამდებობის დასახელების თანჩათვლით.

ამოფხეკა არ დაიშვება. შესწორება, მიწერა და წაშლილი სიტყვები უნდა სათანადოდ აღინიშნოს ასლის შემმოწმებელი პირის ხელმოწერის წინ.

თუ გასაცემი ასლი რამდენიმე ფურცელზეა დაწერილი, ამ ფურცლებს უნდა ზონარი გაეყაროს და დაესვას ლუქის ბეჭედი.

ასლზე უნდა აღინიშნოს რომელ საქმეში ინახება დედანი დოკუმენტი, რომლისგანაც ეს ასლია გადაღებული და ეს საქმე რომელ სასამართლო ორგანოს წარმოებაშია.

5. ასლის მიმღები პირი ვალდებულია დააწეროს დოკუმენტს, რომლის ასლიც გაიცა, რომ მან მოცემულ დოკუმენტის ასლი მიიღო. ხოლო, თუ განმცხადებელს ასლი ფოსტით ეგზავნება, ეს აღინიშნება თვით დოკუმენტში.

6. ამა ინსტრუქციით დადგენილი წესი დაცულ უნდა იქნას აგრეთვე ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც სასამართლო საჭიროდ სცნობს ყველა იმ განაჩენის, გადაწყვეტილების ან დადგენილების

ასლის ასლის გაცემას, რაც კი საქმეშია და გამოტანილია ამ საქმეზე სხვა სასამართლო ინსტანციების მიერ.

7. ამა ინსტრუქციის სამოქმედოდ შემოღებისთანავე უქმდება სსრკ იუსტსახკომისრის 1937 წლის 27 ნოემბრის № 136 ბრძანების მე-8 პარაგრაფი.

შრომის წიგნაკების ასლების შემოწმება

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1939 წლის 22 მაისის სადირექტივო წერილი

სანოტარო ორგანოთაგან შემოსულ შეკითხვებზე—შეიძლება თუ არა შრომის წიგნაკის ასლის შემოწმება, სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატი გაცნობებთ, რომ ვინაიდან სსრკ სახკომსაბჭოს 1938 წლის 20 დეკემბრის დადგენილებაში (6, 12, 14 მუხ.) გარკვეულად და ზუსტად არის ნათქვამი, რომ მუშისა და მოსამსახურის მიღება სამუშაოზე—შეიძლება მხოლოდ შრომის წიგნაკის წარმოდგენის შემდეგ, რომ შრომის წიგნაკის დაკარგვისათვის წიგნაკის პატრონს დაედება ჯარიმა და მას დაკარგული წიგნაკის მაგიერ მიეცემა დუბლიკატი, ყველა ამის გამო, აგრეთვე იმ მოსაზრებით, რომ თავიდან აცილებულ იქნას შრომის წიგნაკების ასლის გამოყენება ანგარებითი მიზნით, შრომის წიგნაკების ასლების შემოწმება სანოტარო წესით დაუშვებელია.

დოკუმენტების ასლების სისწორის შემოწმება

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1941 წლის 25 დეკემბრის №-9—ა—3 სადირექტივო წერილი

(ამონაწერი)

2. . . . . [1].

3. ასლის ან ამონაწერის შემოწმების ჩაწერა რეესტრში ხდებოდეს თავის დროზე, სრულიად და წესიერად, ისე რომ შეიძლებოდეს დოკუმენტის შინაარსისა და მისი გაცემის წლის, თვის, რიცხვისა და ნომრის დადგენა, მაგალითად ასე: „შემოწმებულია ერთ გვერდზე დაწერილი ასლის (ამონაწერის) სისწორე მოქ. ა. ი. პეტროვის დაბადების მოწმობისა, რომელიც გაცემულია ამა და ამ

[1]) სსრკ იუსტსახკომისარიატის 1941 წ. 25 დეკემბრის № 9-ა-3 სადირექტივო წერილის მე-2 პუნქტი, რომლითაც აკრძალულია საევაკუციო მოწმობის ასლის შემოწმება, ამ ჟამად გაუქმებულია (სსრკ იუსტსახკომისარიატის 1942 წ. 30 ნოემბრის № ა-დ-39 სადირექტივო წერილი).

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოდან ამა და ამ წელს, თვესა და რიცხვს ამა და ამ ნომრით."

შემოწმებული დოკუმენტების ასლები და ამონაწერები სანოტარო კონტორის საქმეებში არ უნდა დაიტოვოთ.

4. შეამოწმოთ ასლები სარაიონო (საქალაქო) სამხედრო კომისარიატის ცნობებისა წითელ არმიაში მოქალაქეთა მობილიზაციით გაწვევის შესახებ, ასლები ჯარის ნაწილების ცნობებისა ომში დაღუპულთა შესახებ, აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის ასლები სამხედრო მსახურთა ოჯახებისათვის კანონით დადგენილი შეღავათების მისაღებად.

სანოტარო კონტორებში ისეთ დოკუმენტების ასლების შემოწმების წესი, რომლებიც წარმოდგენილია სამხედრო მსახურთა მიერ ან სამხედრო მსახურთა ოჯახებს შეეხება

სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1943 წლის 28 აგვისტოს № დ—42 სადირექტივო წერილი

ადგილებიდან მემოსულ შეკითხვებზე იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა შემოწმდეს ისეთი დოკუმენტების ასლები, რომლებიც წარმოდგენილია სამხედრომსახურთა მიერ ან სამხედრომსახურთა ოჯახებს შეეხება, განვმარტავ:

1. ისეთი დოკუმენტის ასლი, რომელიც სამხედრო მსახურის სამსახურებრივ მდგომარეობას შეეხება, აგრეთვე პირადობის მოწმობის, სამივლინებო მოწმობის, საშვებულებო მოწმობის ასლები, ისეთი ცნობის ასლი, რომელიც სამხედრო კონტორებმა არ უნდა შეამოწმონ.

სანოტარო კონტორამ არ უნდა შეამოწმოს აგრეთვე სამხედრო ნაწილების სარდლობის მიერ გაცემული ცნობის ასლი სამამულო ომის ფრონტზე მყოფ პირთა სსრკ ორდენებითა და სიგელებით დაჯილდოების შესახებ და ცნობის ასლი ამა თუ იმ პირის პარტიზანულ რაზმში ყოფნის შესახებ.

2. ისეთი დოკუმენტის ასლი, რომელიც მიეცა სამხედრო მსახურს ან მისი ოჯახის წევრს სხვა დაწესებულებაში წარსადგენათ კანონით დაწესებული შეღავათების მიღებისათვის, სანოტარო კონტორის მიერ შემოწმდება სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 3 ივნისის დადგენილების შესაბამისად.

მოწმობას სამხედრომსახურთა ავადმყოფობის შესახებ, ამონაწერს ავადმყოფობის ისტორიიდან, მოწმობას და ცნობას სამამულო

ომის ფრონტებზე დაჭრის შესახებ სანოტარო კონტორა ამოწმებს იმ შემთხვევაში, თუ ეს მოწმობები და ცნობები გაცემულია სათანადო ორგანოს მიერ, შესაფერისად ხელმოწერილია და ბეჭედ დასმული.

სასულიერო წოდების შესახებ დოკუმენტების ასლების შემოწმება

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1944 წლის 29 თებერვლის № დ—9 სადირექტივო წერილი

ვინაიდან ადგილი ჰქონია ისეთ შემთხვევებს, რომ ზოგიერთ სანოტარო კონტორას უარი უთქვამს სასულიერო წოდების (დიაკვანი, მნათე, მოლა და სხვა) შესახებ დოკუმენტების ასლების შემოწმებაზე, განვმარტავ, რომ სსრკ მომქმედი კანონმდებლობით აკრძალული არ არის ამგვარი დოკუმენტების ასლების შემოწმება, თუ ეს დოკუმენტები გაცემულია სათანადო ორგანოთა მიერ.

VIII. ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება

ისეთ განცხადებაზე ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება, რომელიც შრომის სტაჟს ადასტურებს

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1940 წლის 16 ივლისის სადირექტივო წერილი

(ამონაწერი)

1. შრომის სტაჟის დამადასტურებელ განცხადებაზე მოქალაქეთა ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება შეიძლება მხოლოდ ისეთ განცხადებაზე, რომელიც უნდა წარუდგინოს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს პენსიის დანიშვნისათვის; ასეთ შემთხვევაში განცხადებაში უნდა აღნიშნული იყოს ის ორგანო, რომელშიც განცხადება შეტანილი იქნება.

სანოტარო ორგანოთათვის ანგარიშებსა და ხელწერილებზე ხელმოწერის სინამდვილის შემოწმების აკრძალვის შესახებ

სსრკ იუსტიციის სახ. კომისრის 1940 წლის 30 ივლისის № 89 ბრძანება

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატმა გამოარკვია, რომ იმ დოკუმენტებს შორის, რომლებზედაც ხელმოწერის სინამდვილე მოწმდება, ყველაზე უფრო ხშირია ცალკე მოქალაქეთა მიერ

გაცემული ანგარიში-ხელწერილები იმის შესახებ, რომ ამ პირებს მიუღიათ ფულადი თანხა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სხვა საქონლისათვის, რაც მათ მიჰყიდეს სახელმწიფო საწარმოებს კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულება-ორგანიზაციებს.

ვიღებ რა მხედველობაში, რომ:

ა) აღნიშნულ ანგარიშ-ხელწერილებზე ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება უიმისოდ, თუ შემოწმებული არ იქნება ყიდვა-გაყიდვის ფაქტი და გარიგების კანონიერება, ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას სახელმწიფო სახსრების ხარჯვის საქმეში;

ბ) ანგარიში-ხელწერილი თუმცა არ არის წერილობითი გარიგება, მაგრამ იგი წარმოადგენს ისეთ დოკუმენტს, რომელიც მოწმობს მხარეთა შორის გარიგების დადებას ნაღდ ანგარიშზე, ამიტომ ასეთ დოკუმენტებზე ხელწერილის შემოწმება ეწინააღმდეგება რსფსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 33 მუხლს და სხვა მოკავშირე რუსპუბლიკების სახელმწიფო ნოტარიატის დებულების სათანადო მუხლს,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ყველა სანოტარო ორგანომ შესწყვიტოს მოქალაქეთა ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება ამ მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო ორგანოთა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისათვის მიცემულ ანგარიშ-ხელწერილებზე იმის შესახებ, რომ აღნიშნულ მოქალაქეებს მიუღიათ ამ ორგანიზაციებიდან ფულადი თანხა მათთვინ მიყიდული პროდუქტებისა და საქონლისათვის.

მოქალაქე-მოწმეთა ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება მათ ისეთ წერილობით განცხადებაზე, რომელიც ადასტურებს წითელ არმიაში გარკვეული პირის გაწვევის ფაქტს, აგრეთვე ადასტურებს ცნობებს სამხედრო მსახურის წინათ მუშად ან მოსამსახურედ მუშაობისა და მისი სამუშაო ხელფასის ოდენობის შესახებ.

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1943 წლის 16 აგვისტოს № დ—37 სადირექტივო წერილი.

სსრკ სახკომსაბშოს 1943 წლის 17 ივნისის № 668 დადგენილების მე-X კარის 62 §-ით დადგენილი წესის თანახმად ისეთ შემთხვევაში, როდესაც სამხედრო მსახურის ოჯახი, რომელიც ევაკუირებულია ფრონტისპირა ზოლიდან ან ცხოვრობს ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონში და რომელიც მოკლებულია შესაძლებლობას წარმოადგინოს სამხედრო კომისარიატისა ან ჯარის ნაწილის ცნობა სამხედრო მსახურის გაწვევის შესახებ, მიმართავს დახმარებისათვის მერიგე და უმცროს მეთაურთა სამხედრო მსახურთა ოჯახებისათვის დახმარებისა და პენსიების დამნიშვნელ კომისიას, ამ უკანასკნელს უფლება აქვს დაუნიშნოს დახმარება სამხედრო მსახურის წინანდელი სამუშაო ადგილიდან მიღებული ცნობისა ან სხვა ისეთი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს გაწვევის ფაქტს, ან და სათანადო მოწმეთა (არა ნაკლებ ორისა) ჩვენების საფუძველზე. ასეთ შემთხვევებში სამხედრო მსახურის ოჯახს დაენიშნება დახმარება სამი თვით იმ პირობით კი, რომ მან ამ ვადის განმავლობაში წარმოადგინოს სამხედრო კომისარიატის ან ჯარის ნაწილის ცნობა სამხედრო მსახურის გაწვევის შესახებ. თუ გამოირკვევა, რომ ომიანობის დროის გარემოებათა გამო ასეთი ცნობის მიღება შეუძლებელია, კომისიას შეუძლიან დახმარების გაცემა ცალკე შემთხვევებში განაგრძოს სამი თვის გასვლის შემდეგაც.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც სამხედრო მსახურის ოჯახი მიმართავს დახმარებისა და პენსიების დამნიშვნელ კომისიას (ოჯახის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად), პენსიისთვის, და თუ მას არა აქვს შესაძლებლობა წარმოადგინოს დოკუმენტი სამხედრო მსახურის წინათ მუშად ან მოსამსახურედ მუშაობისა და მისი სამუშაო ხელფასის რაოდენობის შესახებ, კომისიას უფლება აქვს დაუნუშნოს ოჯახს პენსია მოწმეთა ჩვენების საფუძველზე (საჭიროა არა ნაკლებ ორი მოწმისა).

მოწმეთა ჩვენება ყველა შემთხვევაში უნდა წამოდგენილ იქნეს წერილობით, ამასთან მოწმეთა ხელმოწერა უნდა შემოწმებული იყოს სანოტარო კონტორისა ან სოფლის საბჭოს მიერ.

სსრკ სახკომსაბჭოს ზემოთ მოყვანილი დადგენილების შესაბამისად წინადადებას ვაძლევ სანოტარო კონტორებს დაუბრკოლებლივ შეამოწმონ მოქალაქე—მოწმეთა ხელმოწერის სანამდვილე მათ წერილობით ჩვენებებზე, რომლებიც ადასტურებენ წითელ არმიაში გარკვეული პირის გაწვევის ფაქტს, აგრეთვე ადასტურებენ ცნობებს სამხედრო მსახურის წინათ მუშად ან მოსამსახურედ მუშაობისა და მისი სამუშაო ხელფასის რაოდენობის შესახებ.

მოწმეთა ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება მათ განცხადებებზე, რომლითაც ისინი ადასტურებენ სამხედრო მსახურის მუშაობის ფაქტს და მისი სამუშაო ხელფასის რაოდენობას.

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1944 წლის 31 მარტის № დ—14 სადირექტივო წერილი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 31 იანვრის № 101 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციით მერიგეთა, სერჟანტთა და მამასახლისთა შემადგენლობის სამხედრო მსახურთათვის ინვალიდობის პენსიის დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ (მუხ. 38) დადგენილია, რომ თუ შეუძლებელია ისეთი დოკუმენტების წარმოდგენა, რომლებიც დაადასტურებენ სამხედრო მსახურის წინათ მუშად ან მოსამსახურედ მუშაობის ფაქტს და მისი სამუშაო ხელფასის ოდენობას, პენსიების დამნიშვნელი კომისია გადასწყვეტს საკითხს მუშაობის ფაქტისა და სამუშაო ხელფასის ოდენობის დადგენის შესახებ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე (საჭიროა არა ნაკლებ ორი მოწმისა).

მოწმეთა ჩვენება წერილობით უნდა იყოს წარმოდგენილი; ამასთან მოწმეთა ხელმოწერა შემოწმებული უნდა იყოს სანოტარო კონტორისა ან სოფლის საბჭოს მიერ.

აღნიშნულის შესაბამისად წინადადებას ვაძლევ სანოტარო კონტორებს დაუბრკოლებლივ შეამოწმონ მოწმეთა ხელმოწერა მათ ჩვენებებზე, რომლებიც ადასტურებენ სამხედრო მსახურის წინათ მუშად ან მოსამსახურედ მუშაობის ფაქტს და მისი სამუშაო ხელფისის ოდენობას

მოწმეთა ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება მათ განცხადებებზე, რომლებიც ადასტურებენ ტექნიკუმების, საშუალო სამედიცინო, მუსიკალური, თეატრალური და ქორეოგრაფიული სასწავლებლების და მუშათა ფაკულტეტების მასწავლებელთა, დირექტორთა და სასწავლო ნაწილში მათ მოადგილეთა პედაგოგიური მუშაობის სტაჟს.

სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1944 წლის 20 აპრილის № დ—16 სადირექტივო წერილი, იმ ცვლილებებით, რაც ამ წერილში შეტანილია 1944 წლ. 18 აგვისტოს № დ—28 სადირექტივო წერილით.

სსრკ სახკომსაბჭოს 1943 წლის 19 ოქტომბრის № 1145 დადგენილების—„ტექნიკუმების, საშუალო სამედიცინო და იურიდიული

სკოლების, სამხატვრო, მუსიკალური, ქორეოგრაფიული სასწავლებლების და მუშათა ფაკულტეტების მასწავლებელთა, დირექტორთა და მათ მოადგილეთა სასწავლო ნაწილში სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ"—ცხოვრებაში გასატარებლად სსრკ სახკომსაბჭოს 1944 წლის 5 მარტის № 246 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 მუხლის თანახმად აღნიშნულ პირთა განათლება დაიდგინება დიპლომის ან მოწმობის საფუძველზე, ხოლო მათი პედაგოგიური სტაჟი გამოირკვევა შრომის წიგნაკების, შრომის სიების, სამუშაო ადგილიდან გაცემული მოწმობებისა ან ოფიციალური ცნობების საფუძველზე.

ტექნიკუმების იმ მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა მიმართ, რომლებსაც დოკუმენტები განათლებისა და საპედაგოგო მუშაობის სტაჟის შესახებ დაუკარგავთ ტერიტორიის დროებით ოკუპაციასთან ან ევაკუაციასთან დაკავშირებით, სამუშაო ხელფასის განაკვეთები შეიძლება გამოირკვეს წინანდელი მუშაობის ადგილიდან აღებული ცნობის საფუძველზე ან მოწმეთა წერილობითი განცხადების საფუძველზე; მოწმეთა ხელმოწერა უნდა დამოწმებული იყოს სახელმწიფო ნოტარიატის დებულებით დადგენილი წესისამებრ.

წინადადებას გაძლევთ:

სანოტარო კონტორებმა დაუბრკოლებლივ შეამოწმონ მოწმეთა ხელმოწერის სინამდვილე მათ წერილობით განცხადებებზე იმ ზემოთ აღნიშნულ პედაგოგიური მუშაკების განათლებისა და საპედაგოგო მუშაობის სტაჟის შესახებ, რომლებსაც დაუკარგავთ დოკუმენტები ტერიტორიის დროებით ოკუპაციასთან დაკავშირებით ან ევაკუაციასთან დაკავშირებათ.

IX. დეპოზიტი

დეპოზიტიდან მოუთხოვნელი თანხების შენახვის ვადები.

სსრკ სახკომსაბჭოს 1938 წლის 21 ივნისის დადგენილება (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 30, მუხ. 185) [1].

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 25 მარტის დადგენილებით — "საერთო სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და უწყე-

[1] სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის წესი დადგენილია სსრკ იუსტსახკომისარიატის 1938 წ. 27 აგვისტოს ინსტრუქციით—იხ. 118—120 გვერდი.

ბათა განკარგულებაში ქონებული სადეპოზიტო თანხების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. № 23, მუხ. 202; 1931 წლ. № 46, მუხ. 315) მე-4 და მე-5 მუხლი დაიწეროს შემდეგი რედაქციით:

„4. მიმდინარე ანგარიშებზე (მე-2 მუხ.) სადეპოზიტო თანხების შესანახად დადგენილია შემდეგი ვადები:

ა) მოქალაქეთათვის გასაცემი სადეპოზიტო თანხა ინახება 3 წლის განმავლობაში;

ბ) ის სადეპოზიტო თანხები, რომლებიც უნდა გადაეცეს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს აგრეთვე კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ინახება წლინახევრის განმავლობაში;

გ) სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათათვის მისაცემი სადეპოზიტო თანხები ინახება იმ წლის დეკემბრის 31-მდე, როდესაც ეს თანხები შეტანილი იყო, ხოლო გადუწყვეტელ სასამართლო საქმეთა გამო შეტანილი თანხები ინახება იმ წლის დეკემბრის 31-მდე, როდესაც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება იყო გამოტანილი. „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული ვადა გამოიანგარიშება: გადუწყვეტელ სასამართლო საქმეთა გამო შეტანილი თანხებისათვის—სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან, დანარჩენ შემთხვევებში კი—იმ დღიდან, როდესაც იმ პირს ან ორგანიზაციას, რომლის სახელზედაც თანხა დეპოზიტად იყო შეტანილი, გაეგზავნა ცნობა თანხების დეპოზიტით შეტანის შესახებ.

თუ ის პირი ან ორგანიზაცია, რომლის სახელზედაც ფული ან ფასეულობა დეპოზიტად იყო შეტანილი, საზღვარგარეთ იმყოფება, აღნიშნული ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მოცემული ორგანიზაცია ან პირი მიიღებს ნებართვას განაგოს მის სახელზე დეპოზიტად შეტანილი ფული ან ფასეულობა“.

„5. მოუთხოვნელი სადეპოზიტო თანხები, მე-4 მუხლში აღნიშნული შენახვის ვადის გასვლის შემდეგ გადირიცხება იმ ორგანოს განკარგულებით, რომლის მიმდინარე ანგარიშზე ეს თანხები ინახება, კუთვნილებისამებრ, საერთო საკავშირო სახელმწიფო ბიუჯეტის, მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლად.“

II). დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს შეიტანონ ამ რესპუბლიკების სათანადო დადგენილებებში ყველა ის ცვლილება, რაც კი ამ დადგენილებიდან გამომდინარეობს.

მოუთხოვნელი სადეპოზიტო თანხების კვარტალში ერთჯერ სახელმწიფო შემოსავლად სავალდებულო გადარიცხვის შესახებ.

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1942 წლის 24 აპრილის № დ-8 სადირექტივო წერილი.

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატში შემოსული მასალებიდან სჩანს, რომ ბევრი სანოტარო კონტორა სსრკ სახკომსაბჭოს 1929 წლის 25 მარტის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1938 წლ. № 30 მუხ. 185) მე-4 მუხლში აღნიშნული სადეპოზიტო თანხების შენახვის ვადის გასვლის შემდეგ მოუთხოვნელ სადეპოზიტო თანხებს თავის დროზე არ რიცხავს სახელმწიფოს შემოსავლად.

ამის შედეგად მოუთხოვნელი სადეპოზიტო თანხები ინახება სანოტარო კონტორის მიმდინარე ანგარიშზე გაცილებით უფრო მეტ ხანს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია აღნიშნული დადგენილების მე-4 მუხლით.

ამის და შესაბამისად წინადადებას გაძლევთ მიუთითოთ სანოტარო კონტორებს, რომ კვარტალში ერთჯერ აუცილებლად უნდა ხდებოდეს მოუთხოვნელი სადეპოზიტო თანხების გადარიცხვა სახელმწიფოს შემოსავლად.

X. მოძალაძეთა უკვალოდ დაკარგულად ცნობა და უკვალოდ დაკარგულთა გარდაცვალებულად ცნობა.

უკვალოდ დაკაგულ სამხედრო მსახურთა გარდაცვალებულად ცნობის წესის შესახებ.

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1943 წლის 23 თებერვლის № ად-9 სადირექტივო წერილი.

როგორც სსრკ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატში შემოსული მონაცემებიდან სჩანს, ზოგიერთი სანოტარო კონტორა სამხედრო მსახურის ნათესავების შუამდგომლობით იძლევა მოწმობას ამ სამხედრო მსახურის გარდაცვალებულად ცნობის შესახებ, ამასთან მოწმობას საფუძვლად უდევს მარტოოდენ ნათესავების მიერ წარმოდგენილი თავდაცვის სახალხო კომისარიატის უწყება აღნიშნულ სამხედრო მსახურის უკვალოდ დაკარგვის შესახებ.

სანატორო კონტორების ასეთი მოქმედება არ შეესაბამება კანონს და მაშასადამე სწორი არ არის.

რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 12 მუხლისა და სხვა მოკავშრე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. საოთანადო მუხლის თანახმად სანო-

ტარო კონტორას შეუძლიან გასცეს მოწმობა უკვალოდ დაკარგული პირის გარდაცვალებულად ცნობის შესახებ მხოლოდ მაშინ, თუ მას ხელთ ექნება ისეთი დოკუმენტალური მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ უკვალოდ დაკარგული პირის დაღუპვის ფაქტს (როგორც მაგალითად: ოქმი გემის დაღუპვის შესახებ, აქტი უბედური შემთხვევის შესახებ, ოფიციალურ პირთა შეტყობინება და ა. შ.). თუ ასეთი დოკუმენტალური მონაცემები არ იქნება, უკვალოდ დაკარგულის გარდაცვალებულად ცნობა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც გამოტანილ უნდა იქნას დაინტერესებულ პირთა ან დაწესებულებათა სარჩელის საფუძველზე

თავდაცვის სახალხო კომისარიატის მიერ სამხედრო მსახურის ნათესავებისათვის გაგზავნილი შეტყობინება ან უწყება სამხედრო მსახურის უკვალოდ დაკარგვის შესახებ დღევანდელი დიდი სამამულო ომის პირობებში თავისთავად არ ამტკიცებს უკვალოდ დაკარგული სამხედრო მსახურის დაღუპვის ფაქტს: უკვალოდ დაკარგული სამხედრო მსახური შეიძლება იყოს მტრის ზურგში, პარტიზანულ რაზმში, ტყვედ და ა. შ., ამიტომ სანოტარო კონტორების მიერ უკვალოდ დაკარგული სამხედრო მსახურის სიკვდილის მოწმობის გაცემას მხოლოდ მარტო სამხედრო უწყების ორგანოთა შეტყობინების საფუძველზე შეუძლიან ბევრ შემთხვევაში გამოიწვიოს მძიმე მატერიალური შედეგი იმ პირთათვის, რომლებიც უსაფუძვლოდ მკვდრად იქნებიან გამოცხადებული.

სამხედრო უწყების სათანადო ორგანოთა შეტყობინება სამხედრო მსახურის უკვალოდ დაკარგვის შესახებ შეიძლება გამოდგეს მხოლოდ საფუძვლად იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირმა ან დაწესებულებამ აღძრას შუამდგომლობა უკვალოდ დაკარგულის გარდაცვალებულად ცნობის შესახებ რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 12 მუხლით (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლით) დადგენილი შემოკლებული ვადის გასვლის შემდეგ. მაგრამ იმავე დროს განმცხადებული მოვალეა წარმოადგინოს დამამტკიცებული საბუთები, რომლებიც დაადასტურებენ უკვალოდ დაკარგული პირის დაღუპვის ფაქტს.

აღნიშნულთან დაკავშირებით წინადადებას გაძლევთ:

1. სანოტარო კონტორებმა ამიერიდან აღარ გასცენ მოწმობა უკვალოდ დაკარგული სამხედრო მსახურის გარდაცვალებულად ცნობის შესახებ მარტო მხოლოდ იმ შეტყობინების საფუძველზე რომლებსაც გზავნიან სამხედრო უწყების სათანადო ორგანოები, თუ ამასთან წარმოდგენილი არ იქნება სხვა დოკუმენტალური მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ უკვალოდ დაკარგული სამხედრო მსახურის დაღუპვის ფაქტს.

2) ყველა ამ გვარი საქმე, რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 12 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამ. კოდ. სათანადო მუხლის შესაბამისად, განხილულ იქნას სასამართლო წესით, დაინტერესებულ პირთა და დაწესებულებათა სარჩელის მიხედვით, ამასთან უზრუნველყოფილ იქნეს ამ საქმეთა წინასწარ გულდასმით მომზადება სამსჯავრო სხდომისათვის.

XI. ჩეკის განაღდებლობის დამოწმება.

დებულება ჩეკების შესახებ.

სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1929 წლ. 6 ნოემბრის დადგენილება (სსრკ კან. კრ. 1929 წ. № 73, მუხ. 697).

(ამონაწერი)

1. ჩეკი ეწოდება ჩეკის გამცემის წერილობით წინადადებას ფულის გადამხდელისადმი იმის შესახებ, რომ უკანასკნელმა გადუხადოს განსაზღვრული ფულადი თანხა ჩეკის მქონებელს. ამ წინადადებაში აღინიშნება:

ა) ჩეკის გაცემის წელიწადი, თვე და რიცხვი;

ბ) გაცემის ადგილი;

გ) ფულის გადამხდელის დასახელება (მუხ. 2);

დ) იმ ანგარიშის დასახელება, რომლიდანაც უნდა მოხდეს ფულის გადახდა;

ე) სრულიად უპირობო. დაუთქმელი წინადადება გადამხდელისადმი გადიხადოს განსაზღვრული ფულადი თანხა;

ვ) დოკუმენტის დასახელება ჩეკად, დაწერილი იმავე ენაზე, რა ენაზედაც ჩეკის ტექსტია დაწერილი:

ზ) ჩეკის გამცემის ხელმოწერა;

ჩეკის გაცემის თვე („ა“ პ.) და ჩეკის თანხა („დ“ პ.) უნდა დაწერილი იყოს სიტყვებით, ამასთან თანხა ხელით უნდა იყოს დაწერილი, კაპეიკების თანხა შეიძლება დაიწეროს ციფრებით.

ჩეკის ტექსტში არავითარი გასწორება არ დაიშვება.

ისეთი დოკუმენტი, რომელიც ამ წესებს არ შეესაბამება, ჩეკად არ ჩაითვლება.

2. ჩეკით ფულის გადამხდელი შეიძლება იყოს მხოლოდ საკრედიტო დაწესებულება.

ჩეკის გამცემი არ შეიძლება იმავე დროს იყოს ჩეკით ფულის გადამხდელი.

11) ჩეკის განაღდება მოხდება წარდგენის შემდეგ. ჩეკი უნდა წარდგენილ იქნას გასანაღდებლად მისი გაცემის დღიდან ათი დღის-შემდეგ. ვადის გამოანარიშების დროს ჩეკის გაცემის დღე ანგარიშში არ ჩაითვლება.

თუ ჩეკის გასანაღდებლად წარდგენის ვადა არასამუშაო დღეს თავდება, მაშინ ვადის უკანასკნელ დღედ ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღე:

ამ მუხლში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ჩეკი აღარ განაღდდება. მაგრამ, თუ ვადის გასვლის შემდეგ მეორე დღეს ჩეკი სანოტარო ორგანოს მეშვეობით წარდგენილი იქნება გასანაღდებლად, იგი განაღდებულ უნდა იქნას.

23. ჩეკის მქონეს მიმართ ჩეკის გამცემისა და ჩეკზე წარწერის გამკეთებლის პასუხისმგებლობა, რომელიც აღნიშნულია 20—22 მუხლებში, წარმოიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩეკი წარდგენილი იქნება გასანაღდებლად მე-11 მუხლში დადგენილ ვადაზე და თუ იგი ფულის გადამხდელის მიერ განაღდებული არ იქნება.

ჩეკის წარდგენას გასანაღდებლად და მის გაუნაღდებლობას დაამოწმებენ:

ა) ან ფულის გადამხდელი ჩეკზე წარწერით, რომელშიც აღინიშნება ჩეკის წარდგენის დღე, ბ) ან სანოტარო ორგანო, გ) ან და ანგარიშის გამსწორებელი დაწესებულება ჩეკზე წარწერის გაკეთებით. ამ წარწერაში აღინიშნება, რომ ჩეკი დადგენილ ვადაზე წარდგენილი იყო გასანაღდებლად, მაგრამ განაღდებული არ იყო.

XII. საზღვაო პროტესტების შესრულება

დისპაშერების, დისპაშის შედგენის წესისა და საზღვაო პროტესტების შესახებ

საავაჭრო ნაოსნობის კოდექსის VIII დანართი
(სსრკ კან. კრ. 1929 წ. № 41, მუხ. 366)
(ამონაწერი)

14. ნავჭურჭლის კაპიტანი განცხადებას უკვე მომხდარი საერთო ან კერძო ავარიის შესახებ ან ისეთი კერძო ავარიის შესახებ, რომელიც მისი ფიქრით შეიძლება მოხდეს, შეიტანს ერთ ერთ ადგილობრივ სანოტარო კონტორაში არა უგვიანეს 24 საათისა იმ მომენტიდან, როდესაც ნავჭურჭელი სსრ კავშირის ნავსადგურში შევიდა. ხოლო თუ ავარია მოხდა იმ დროს, როდესაც ნავჭურჭელი სსრ კავშირის ნავსადგურში იდგა, კაპიტანი განცხადებას ავარიის

შესახებ შეიტანს არა უგვიანეს 24 საათისა, ავარიის მომენტიდან. ეს განცხადება კაპიტანმა უნდა შეიტანოს ჩასაშვები კარის (ლიუკი) გაუხსნელად. კაპიტანს შეუძლიან განცხადების შეტანამდე შეუდგეს ტვირთის გადმოზიდვას მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს უკიდურესად საჭიროა.

15. ნავსადგურში ნავჭურჭლის შესვლის მომენტიდან ან ავარიის მომენტიდან, იმის და მიხედვით, თუ სად მოხდა ავარია, შვიდი დღის ვადაზე კაპიტანი წინა მუხლში აღნიშნული განცხადების დამატებად წარუდგენს სანოტარო კონტორას ნავჭურჭლის ჟურნალს ან ამ ჟურნალის ამონაწერს, რომელიც მის მიერ უნდა იყოს შემოწმებული.

თუ ნავჭურჭლის ჟურნალი დაიკარგა, კაპიტანმა მის მიერ სანოტარო კონტორაში შეტანილ განცხადებაში დაწვრილებით უნდა ასწეროს ყველა ის გარემოება, რაც კი ავარიასთან იყო დაკავშირებული.

16. კაპიტანის განცხადებისა და ნავჭურჭლის ჟურნალის მონაცემების საფუძველზე, აგრეთვე თვით კაპიტანის და, შეძლებისამებრ, საკომანდო შემადგენლობის და სანავჭურჭლო კომანდის ორზე არა ნაკლები პირის გამოკითხვით სანოტარო კონტორა შეადგენს საზღვაო პროტესტის აქტს.

17. კაპიტანის მიერ ავარიის შესახებ შეტანილ განცხადებას სანოტარო კონტორა დაუყოვნებლივ აცნობებს ნავსადგურის უფროსს. უკანასკნელი ამ ცნობას გამოჰკიდებს თვალსაჩინო ადგილს (1931 წლის 2 იანვარი. სსრკ კან. კრ. № 9, მუხ. 108).

18. იქ, სადაც სანოტარო კონტორა არ არსებობს, მისი მოვალეობა განცხადებების მიღებისა და საზღვაო პროტესტების შესრულების საქმეში ეკისრება იმ ორგანოს, რომელსაც თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის 14 მაისის დადგენილებისა სახელმწიფო ნოტარიატის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ (სსრკ კან. კრ. 1926 წ. № 35, მუხლი 252) დაკისრებული აქვს სანოტარო ფუნქციების აღსრულება.

19. უცხოელი ქვეყნის ნავჭურჭლის კაპიტანისგან ავარიის შესახებ განცხადების მიღება და საზღვაო პროტესტის შესახებ აქტის შედგენა შეიძლება წარმოებულ იქნას სსრ კავშირის ტერიტორიაზე მყოფი სათანადო უცხოელი სახელმწიფოს საკონსულო წარმომადგენლის მიერ იმ პირობით კი, რომ ასეთივე მოქმედების შესრულე-

ბის უფლება ექნება სსრ კავშირის საკონსულოს წარმომადგენელს ხსენებული უცხოელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

20. ამა დებულების 14—19 მუხლებში გათვალისწინებული საზღვაო პროტესტების შესრულების წესი შეეფარდება ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ნავჭურჭლის კაპიტანის მიერ შეტანილია განცხადება ნავჭუჭელთა დაჯახების შესახებ.

XIII. ნოტარიატის შესახებ მოქმედი სხვა დადგენილებები და ბრძანებები

პროფკავშირული ორგანოების, როგორც იურიდიული პირების, უფლებათა შესახებ

პროფკავშირთა სრ. საკ. ც/საბჭოს 1927 წლის 18 იანვრის ცირკულარი. (შრომის სახ. კომისარიატის „იზვესტია“ 1927 წლის № 6—7)

(ამონაწერი)

1. სრულიად საკავშირო (ცენტრალური კომიტეტები, ცენტრალური გამგეობები, სარლქო, სამხარეო, საოკრუგო, სარაიონო გამგეობები, კომიტეტები და განყოფილებები) და საკავშირთშორისო პროფკავშირთა სრ. საკ. ც/საბჭო, რესპუბლიკური, სამხარეო საოლქო, საოკრუგო საბჭოები და ბიუროები) პროფესიული ორგანიზაციები ქონებრივ-მეურნეობრივ მხრივ წარმოადგენენ სამოქალაქო უფლებაუნარიანობის მქონე იურიდიულ პირებს.

2. ამიტომ ზემდგომი პროფკავშირული ორგანიზაციები ქონებრივად პასუხს არ აგებენ ქვემდგომი პროფორგანიზაციების ვალდებულებებისათვის და პირიქით.

3. პროფკავშირის ძირეულ უჯრედს საწარმოებსა და დაწესებულებებში (საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი, ადგილობრივი კომიტეტები, სამაღარო კომიტეტები, მუშათა კომიტეტები, პროფრწმუნებულები და ა. შ.) არა აქვს იურიდიული პირის უფლებები და ამიტომ მას არ შეუძლიან არც თავისი სახელით, არც ზემდგომი პროფორგანიზაციის რწმუნებით დასდოს რაიმე ქონებრივი გარიგება. ხოლო, თუ ასეთი გარიგების დადება საჭირო იქნება პროფკავშირის ძირეული უჯრედის ინტერესებისათვის, სათანადო ზემდგომი პროფორგანიზაცია თავისი სახელით და თავისი პასუხისმგებლობით მისცემს ყოველ ცალკე შემთხვევაში პერსონალურ რწმუნებულებას პროფკავშირის აღნიშნული ძირეული უჯრედის ამა თუ იმ წევრს ან წარმომადგენელს.

შენიშვნა: ამ მუხლის წესები არა ვრცელდება იმ საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომებზე, რომლებიც დებულების ან სათანადო ზემდგომი პროფორგანიზაციის დადგენილების საფუძველზე მოქმედებენ ზემდგომ პროფორგანოთა უფლებებით; ისინი ასეთ შემთხვევაში ქონებრივ-მეურნეობრივ მხრითაც სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რითაც სარგებლობენ ზემდგომი პროფორგანოები.

4. პროფკავშირთა სრ. საკ. ც/საბჭოს, ცენტრალური კომიტეტების და სხვა საკავშირთაშორისო და საკავშირო პროფორგანიზაციების (ბიურო, რწმუნებულები) ადგილობრივი ორგანოები ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან და ამიტომ მოქმედებენ ამ ორგანიზაციების მიერ გაცემული რწმუნებულობის საფუძველზე და ფარგლებში.

5. პროფორგანიზაციების თანამამდებობნი პირნი უფლებამოსილი არიან იმოქმედონ ან პროფორგანიზაციების სახელით, ან თვითონ უშუალოდ სათანადო პროფორგანიზაციის დებულების საფუძველზე (სპეციალური რწმუნებულობის გარეშე), ან და იმ ორგანოს (ან თანამდებობის პირის) რწმუნებით, რომელიც პროფორგანიზაციის დებულების საფუძველზე საამისოდ უშუალოდ არის უფლებამოსილი.

შენიშვნა: რწმუნებულობა პროფორგანიზაციის სახელით სამოქმედოთ პროფორგანიზაციის თანამდებობის პირებს, აგრეთვე გარეშე პირებსაც მიეცემათ იმ ორგანოს (ან თანამდებობის პირის) ოქმითი დადგენილების სახით, რომელიც საამისოდ უშუალოდ არის უფლებამოსილი პროფორგანიზაციის დებულების საფუძველზე.

კონსულებისა და საკონსულო აგენტების უფლება სხვადასხვა დოკუმენტების და აქტების შემოწმებისა

სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1929 წლის 18 სექტემბრის დადგენილება (სსრკ კან. კრ. 1929 წ. № 61, მუხ. 567)

(ამონაწერი)

58. კონსულები და საკონსულო აგენტები აწარმოებენ ისეთი დოკუმენტების და აქტების ლეგალიზაციას (შემოწმებას), რომლებიც შედგენილია მათი საკონსულო ოკრუგის ხელისუფალთა მონაწილეობით ან გამომდინარეობენ მათგან.

საკონსულო ლეგალიზაცია მდგომარეობს აღნიშნულ დოკუმენტებზე და აქტებზე ხელმოწერის სინამდვილის დადგენაში აგრეთვე

იმის დადგენაში შეესაბამებიან თუ არა ეს დოკუმენტები და აქტები იმ ქვეყნის კანონებს, სადაც კონსული და მისი აგენტები იმყოფებიან.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ორგანოები აღნიშნულ დოკუმენტებს ღა აქტებს მიიღებენ განსახილველად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ლეგალიზებული არიან კონსულის მიერ.

მაგრამ სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოებს შეუძლიანთ მათ წარმოებაში შემოსულ საქმეებზე ძალის მქონედ ჩასთვალონ ისეთი დოკუმენტები და აქტები, რომლებზედაც საკონსულო ლეგალიზაცია არ ყოფილა წარმოებული.

ისეთი ქვეყნიდან შემოსული დოკუმენტი, რომელსაც სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს, შეიძლება გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალური დადგენილების საფუძველზე ლეგალიზებულ იქნას ამ კომისარიატის მიერ.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დოკუმენტის ლეგალიზაცია საკონსულო ლეგალიზაციის მაგიერობას სწევს.

თუ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი უარს იტყვის მისთვის წარდგენილი უცხო ქვეყნის დოკუმენტის ან აქტის ლეგალიზაციაზე, მას უფლება აქვს ცალკე წარწერით აღნიშნოს დოკუმენტზე, რომ ლეგალიზაციის მოუხდენლობა ხელს არ უშლის იმას, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ოგანოებმა მიიღონ ეს დოკუმენტი ან აქტი განსახილველად. ასეთ შემთხვევაში ამ დოკუმენტის ან აქტის ცნობა ძალის მქონე დოკუმენტად ან აქტად, საქმის ერთობლივ გარემოებათა მიხედვით, სავსებით დამოკიდებულია დოკუმენტის ან აქტის მიმღებ ორგანოსგან.

59. კონსულები და საკონსულო აგენტები თავისი საკონსულო ოკრუგის ფარგლებში ასრულებენ სანოტარო ფუნქციებს სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებში ნოტარიატის შესახებ მომქმედი კანონების და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მითითებების საფუძველზე.

60. კონსულები და საკონსულო აგენტები ასრულებენ სანოტარო მოქმედებას საზღვარგარეთ მყოფ სსრ კავშირის დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთათვის, ასრულებენ აგრეთვე სანოტარო მოქმედებას უცხოელ იურიდიულ პირთა და მოქალაქეთათვის, რამდენადაც სათანადო გარიგებები შესრულებულ უნდა იქნას სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

61. კონსულები და საკონსულო აგენტები ვალდებული არიან უარი სთქვან ლეგალიზაციაზე და სანოტარო მოქმედების შესრულებაზე ისეთი გარიგების, აქტის და ყოველგვარი დოკუმენტის მიმართ, რომელიც იხრება იქითკენ, რომ გამოიწვიოს კანონის და სსრ კავშირის მთავრობის განკარგულებათა დარღვევა ან რომელსაც შეუძლიან თავისი შინაარსის მიხედვით ზიანი მიაყენოს საბჭოთა სახელმწიფოს.

სანოტარო ორგანოს მიერ დამოწმებული ისეთი დოკუმენტების გაფორმების წესის შესახებ, რომლებიც დანიშნულია საზღვარგარეთ გასაგზავნად

სსრკ იუსტსახკომისრის 1937 წლის 26 აგვისტოს № 85 ბრძანება (შეთანხმებულია გარეშე საქ. სახ. კომისარიატის საკონსულო განყოფილებასთან).

სანოტარო ორგანოს (სანოტარო კონტორის) მიერ დამოწმებულ ან შემოწმებულ დოკუმენტს, რომელიც განკუთვნილია საზღვარგარეთ სამოქმედოთ, სანოტარო ორგანო ან დოკუმენტის პატრონი წარუდგენს მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატს იმ ადგილის მიხედვით, სადაც სანოტარო ორგანო იმყოფება.

სანოტარო ორგანო ან დოკუმენტის პატრონი იუსტიციის სახალხო კომისარიატში დოკუმენტს წარადგენს ან უშუალოდ თვითონ, ან მთავარი რესპუბლიკური, საძხარეო ან საოლქო სანოტარო კონტორის უფროსი ნოტარიუსის მეშვეობით.[1] უფროსი ნოტარიუსი ასეთ შემთხვევაში შეამოწმებს ნოტარიუსის ხელმოწერას დოკუმენტზე, თუ იუსტიციის სახალხო კომისარიატი ამ წესს უფრო მოხერხებულად სთვლის.

ამავე წესით წარედგინება იუსტიციის სახალხო კომისარიატს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების, საქალაქო საბჭოებისა და სახალხო მოსამართლეების მიერ დამოწმებული ან შემოწმებული დოკუმენტები იმ რესპუბლიკებში, სადაც სანოტარო ორგანოები ჯერ რეორგანიზებული არ არიან.

---

[1] რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო სანოტარო კონტორების რეორგანიზაციის შემდეგ საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნულ დოკუმენტზე ნოტარიუსის ხელმოწერის შემოწმება ხდება იუსტსახკომისარიატის სამმართველოში.

ამისდაშესაბამისად მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატების საქმეებში ინახება ან რესპუბლიკის ყველა ნოტარიუსის და სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ სხვა თანამდებობის პირთა ფაქსიმილე (ხელმონაწერის ნიმუში) ან მხოლოდ მთავარი რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო სანოტარო კონტორების უფროსი ნოტარიუსების ფაქსიმილე.

ყველა ცვლილება, რაც კი მოხდება ნოტარიუსებისა და სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი თანამდებობის პირების შემადგენლობაში, ხოლო სათანადო შემთხვევაში მთავარი რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო სანოტარო კონტორების უფროსი ნოტარიუსების შემადგენლობაში უნდა ეცნობოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, თანაც წარედგინოს ახლად დანიშნული ნოტარიუსების და აღნიშნული თანამდებობის პირების ფაქსიმილე.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი მასთან ქონებული ფაქსიმილეს საფუძველზე ამოწმებს ნოტარიუსების ან სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი თანამდებობის პირების, ან და მთავარი რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო სანოტარო კონტორების უფროსი ნოტარიუსების ხელმოწერას, ატარებს დოკუმენტს განსაკუთრებულ წიგნში, წააწერს დოკუმენტს, რომ ზემოთხსენებულ პირთა ხელმოწერა დოკუმენტზე შემოწმებულია, აღნიშნავს ამ წარწერაში სათანადო რიგითი ნომერს და ამის შემდეგ გაუგზავნის დოკუმენტს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის საკონსულო განყოფილებას ან გადასცემს დოკუმენტს დოკუმენტის წარმომდგენს, თუ ამას იგი მოისურვებს, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის საკონსულო განყოფილებაში გასაგზავნად.

დოკუმენტს შეიძლება ხელი მოაწეროს იუსტიციის სახალხო კომისარიატის მხოლოდ იმ თანამდებობის პირმა, რომელსაც მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისრის მიერ დავალებული აქვს ნოტარიუსების ან სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი თანამდებობის პირების ხელმოწერის შემოწმება და რომელთა ხელმოწერის ნიმუში (ფაქსიმილე) გაგზავნილია გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატში.

ამა ბრძანების მიღებისთანავე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის საკონსულო განყოფილებას (მოსკოვი, კუზნეცკის ხიდი სახლი № (5/21) ზემოთხსენებულ თანამდებობის პირთა ხელმოწერის ნიმუში და იუსტიციის სახალხო კომისარიატის ბეჭდის ტვიფარი და იმავე დროს

აცნობებენ ამას სსრკ იუსტსახკომისარიატის ნოტარიატის განყოფილებას.

შემდეგში ყოველთვის, როდესაც კი სახალხო კომისარიატში დაინიშნება ახალი თანამშრომელი, რომელიც ამოწმებს ნოტარიუსის ხელმოწერას და ახალი ისეთი თანამდებობის პირი, რომელიც ნოტარიუსის მოქმედებას ასრულებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატები გაუგზავნიან გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის საკონსულო განყოფილებას ამ პირთა ხელმოწერის ნიმუშებს.

წინად მომქმედი წესი, რომლის თანახმად ამ ქალაქებში, სადაც გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის სააგენტო იმყოფებოდა, სანოტარო წესით შემოწმებული ან დამოწმებული დოკუმენტის ლეგალიზება ხდებოდა ამ სააგენტოს მიერ იუსტიციის სახ. კომისარიატსა და გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატში გაუგზავნელად, ამა ბრძანების გამოცემისთანავე უქმდება.

ამასთან ერთად აღვნიშნავ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატების საყურადღებოდ, რომ საჭიროა ძიღონ გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ სანოტარო ორგანოები და სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი თანამდებობის პირები უფრო გულდასმით და წესიერად აფორმებდნენ მათ მიერ დამოწმებულ და შემოწმებულ დოკუმენტებს, კერძოდ კი საზღვარგარეთ გასაგზავნ დოკუმენტებს, ვინაიდან აქნობამდე ადგილი აქვს დოკუმენტების მეტად უსუფთაო, უწესო გაფორმებას. მაგალითად იღებენ სანოტარო წესით დასამოწმებლად ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილ დოკუმენტებს. დოკუმენტების დამმოწმებელ ან შემმოწმებელ თანამდებობის პირთა ხელმოწერა ზოგჯერ გაურკვეველია, დოკუმენტებზე დასმული ბეჭდის ტვიფარი ზოგჯერ გარკვეულად არ არის ამობეჭდილი. ყველა ამის შედეგად გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის ორგანოები ზოგიერთ შემთხვევაში უარს ამბობენ აღნიშნული დოკუმენტების ლეგალიზაციაზე.

დებულება სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ, სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ

დამტკიცებულია სსრკ სახკომსაბჭოს მიერ 1940 წლის 16 აპრილს (სსრკ დად. კრ. 1940 წ. № 15, მუხ. 363 (ამონაწერი)

1. სახელმწიფო რეგისტრაციას მიზნად აქვს აღრიცხვა სოციალისტური მეურნეობის იმ ორგანიზაციებისა და საწარმოების, რომელნიც იურიდიული უფლებებით სარგებლობენ და მათი ფილიალე-

ბის, მიზნათ აქვს აგრეთვე კონტროლის გაწევა ამ ორგანიზაციასაწარმოების შექმნის, რეორგანიზაციის და მათი საქმიანობის შეწყვეტის კანონიერებისადმი.

2. სახელმწიფო რეგისტრაციას ექვემდებარებიან:

ა. სახელმწიფო განაერთები, ტრესტები, ვაჭრობები, კომბინატები, რომლებიც ტრესტის უფლებებით მოქმედობენ, საწარმოები, რომლებიც უშუალოდ სახალხო კომისარიატს (უწყებას) ემორჩილებიან და სხვა ორგანიზაციები, რომლებსაც ტრესტის უფლებები აქვთ;

ბ) დამხმარე სამრეწველო საწარმოები სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებთან, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და ტექნიკუმებთან, აგრეთვე დამხმარე საწარმოები, რომლებიც მოწყობილია სამეურნეო ანგარიშზე მხოლოდ იმ საბიუჯეტო დაწესებულებათა მომსახურეობისათვის, რომლებთანაც ისინი განწესებული არიან (ავტობაზა, სასადილო, სამკერვალო, სახელოსნო და სხვა;

გ) ყველა სახის კოოპერატიული ორგანიზაცია, გარდა სასოფლო-სამეურნეო და მეთევზეთა არტელებისა, რომელთა რეგისტრაცია განსაკუთრებული წესით ხდება, აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციათა საწარმოები, რომლებიც იურიდიული პირის უფლებებით სარგებლობენ;

დ) საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საწარმოები, რომლებიც იურიდიული პირის უფლებებით სარგებლობენ;

ე) ამ მუხლში აღნიშნულ ორგანიზაციათა ფილიალები. მაგალითად: განყოფილებები, კონტორები, სააგენტოები და ამ ორგანიზაციათა სხვა წარმომადგენლობანი, მათ შორის მათი მუდმივი ერთპიროვნული რწმუნებულები.

3. სახელმწიფო რეგისტრაციას, მე-2 მუხლში აღნიშნულ იურიდიულ პირებსა და მათ ფილიალებს გარდა, ექვემდებარებიან აგრეთვე სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისარიატების და უწყებების იმ მთავარ სამმართველოთა კონტორები, განყოფილებები, სააგენტოები და ა. შ., რომელთაც მინიჭებული აქვთ სამეურნეო ანგარიშის უფლებები.

4. სახელმწიფო რეგისტრაციას არ ექვემდებარებიან:

ა) სახალხო კომისარიატების (უწყებების) მთავარი სამმართველოები, როგორც ისინი, რომლებიც გადაყვანილი არიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე, ისე ისინიც, რომლებიც ასრულებენ გამსაღებელ და მომპარაგებელ ფუნქციებს სამეურნეო ანგარიშის საფუძ-

ველზე, აგრეთვე კომბინატები, რომელთაც მთავარ სამმართველოთა უფლებები აქვთ.

ბ) საწარმოთა მშენებლობის სამმართველოები და შენებულ საწარმოთა დირექციები;

გ) იურიდიულ პირთა შემადგენლობაში შესული მაღაზიები, სახელოსნოები და სხვა საწარმოები და მათი ფილიალები, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე არ იმყოფებიან;

დ) ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც სამეურნეო ხარჯზე იმყოფებიან, მაგრამ რომელთაც თავის ძირითად მიზნად არ დაუსახავთ სამეურნეო საქმიანობა (პოლიკლინიკა, სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, სტადიონი, თეატრი და სხვა სანახაობათა საწარმოები, კლუბი, შრომის სასახლე და ა. შ., აგრეთვე სახლის მმართველობა).

5. სამეურნეო ხარჯზე მყოფი საწარმოებლო საწარმოები, სამშენებლო და სამონტაჟო კონტორები, მაღაზიები და სხვა საწარმოები, რომლებიც იურიდიულ პირთა შემადგენლობაში შედიან, დამოუკიდებლად რეგისტრაციაში არ ტარდებიან. ამ საწარმოთა სია შეიტანება სახელმწიფო რეესტრში იმ იურიდიული პირის რეგისტრაციის დროს, რომლის შემადგენლობაში ისინი შედიან.

6. სახელმწიფო რეგისტრაციის ორგანოებია:

ა) სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი;

ბ) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები;

გ) სამხარეო, საოლქო, საქალაქო საოკრუგო და სარაიონო საფინანსო განყოფილებები.

7. მე-2 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებში ჩამოთვლილი ორგანიზაციები და საწარმოები, იმის მიხედვით, თუ როგორი ქვემდებარეობისა არიან—საკავშირო, რესპუბლიკური, თუ ადგილობრივი—ტარდებიან რეგისტრაციაში სსრ კავშირის სახალხო კომისარიატში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებში ან ადგილობრივი საფინანსო ორგანოებში.

8. მე-2 მუხლის „ე“ პუნქტში ჩამოთვლილი ფილიალები, აგრეთვე მე-3 მუხლში გათვალისწინებული ორგანიზაციები, იმის და მიუხედავად, თუ როგორი ქვემდებარეობისა არიან, ტარდებიან რეგისტრაციაში საქალაქო საფინანსო განყოფილებებში, ხოლო იმ ქალაქებში, რომლებიც რაიონებად არიან დაყოფილი—სათანადო სარაიონო საფინანსო განყოფილებებში, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო რეგისტრაციის საქმე მთლიანად საქალაქო საფინანსო განყოფილების ხელში არ არის.

XIV. სახელმწიფო ბაჟი

სახელმწიფო ბაჟის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 10 აპრილის ბრძანებულება (სსრკ „უმაღლესი საბჭოს მაუწყებელი“ 1942 წლის № 13)

(ამონაწერი)

მუხლი. 1. სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება სწარმოებს:

გ) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის, სანოტარო მოქმედებათა შესრულების დროს ტექნიკური მომსახურების გაწევისათვის, სასამართლოს თარჯიმნებისა და სანოტარო ორგანოების მიერ ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის შესრულებისათვის, აგრეთვე სანოტარო ორგანოებისა და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ ხელშეკრულებათა დუბლიკატების, დოკუმენტების ასლების და ცნობების გაცემისათვის.

2. მუხლი 2. სახელმწიფო ბაჟი გადახდება როგორც მოქალაქეებს, ისე საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

მუხლი 3. ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ბ) ყველა დოკუმენტი სისხლის სამართლის საქმეებზე, საალიმენტო საქმეებზე, მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების დანიშვნისა და მიცემის საქმეებზე, მეურნეობის, შვილად აყვანის და არასრულწლოვანთა სოციალურ-უფლებრივი დაცვის საქმეებზე, აგრეთვე დოკუმენტები, გაცემული სასწავლებელში წარსადგენად.

სოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებსა და სამხარეო და საოლქო საფინანსო განყოფილებებს უფლება აქვთ დააწესონ ბაჟის გადახდევინების დამატებითი შეღავათები ცალკეული გადამხდელებისა და გადამხდელთა ჯგუფებისათვის.

მუხლი 4. იმ მოქმედების და დოკუმენტების ნუსხას, რომლებზედაც სახელმწიფო ბაჟი გადახდევინებულ უნდა იქნას, აგრეთვე სახელმწიფო ბაჟის განაკვეთებს აწესებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

მუხლი 5. სახელმწიფო ბაჟის გადახდა ხდება ნაღდი ფულით ან საბაჟო მარკებით.

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა დაადგინოს იმ მოქმედებისა და დოკუმენტების ნუსხა, რომლებზედაც სავალდებულოა სახელმწიფო ბაჟის გადახდა საბაჟო მარკებით ან ნაღდი ფულით.

მუხლი 6. სახელმწიფო ბაჟი შედის ადგილობრივ ბიუჯეტში.

მუხლი 7. გადახდილი სახელმწიფო ბაჟის უკან დაბრუნება არ შეიძლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) თუ სასამართლო ან სახელმწიფო არბიტრაჟი მოსარჩელეს უკან დაუბრუნეს მის სასარჩელო განცხადებას, ან თუ სანოტარო

ორგანო, ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარს განაცხადებს, შეტანილი ბაჟი, სასამართლოს ან სახელმწიფო არბიტრაჟის დადგენილებით, ან და სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი ორგანოს განკარგულებით გადამხდელს მთლიანად უკან უბრუნდება;

ბ) თუ ბაჟი იმაზე მეტი რაოდენობით არის შეტანილი, რასაც კანონი მოითხოვს, ზედმეტად შეტანილი ბაჟი უბრუნდება გადამხდელს ბაჟდადებულ მოქმედებათა შემსრულებელი დაწესებულების დადგენილებით.

მუხლი 8. სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების სისწორისათვის, ხოლო, სათანადო შემთხვევაში, ბაჟის გადასახდელად შეტანილი თანხების ბიუჯეტში ჩაბარებისათვისაც თვალყურის დევნა და კონტროლის გაწევა ეკისრება ბაჟის გადამხდევინებელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე იმ ზემდგომ ორგანოებსა და სახალხო კომისარიატებს, რომლებიც ანხორციელებენ კონტროლს ხსენებულ დაწესებულებათა საქმიანობისადმი.

მუხლი 9. სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები და მათი საქვეუწყებო საფინანსო ორგანოები ვალდებული არიან აწარმოონ სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების საქმის რევიზიები.

მუხლი 10. თანამდებობის პირებს, რომლებიც სახელმწიფო ბაჟის გადუხდევინებლად მიიღებენ ან გასცემენ დოკუმენტებს ან შეასრულებენ მოქმედებას (1 და 4 მუხლი), ან და არა სწორად გადაახდევინებენ ბაჟს, აგრეთვე გადახდევინებულ თანხას თავის დროზე არ ჩააბარებენ ბანკის დაწესებულებას, და დაედებათ ჯარიმა არა უმეტეს 100 მანეთისა.

ჯარიმის დადება ეკისრება სარაიონო (საქალაქო) საფინანსო განყოფილებათა გამგეებს.

მუხლი 11. ინსტრუქციას ამ ბრძანებულების ცხოვრებაში გასატარებლად და სახელმწიფო ბაჟის განაკვეთების შესაფარდებლად (მუხ. 4) გამოსცემს სსრ კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატი.

მუხლი 12. ეს ბრძანებულება სამოქმედოთ შემოიღება 1942 წლის 1-ლი აპრილიდან.

სახელმწიფო ბაჟის განაკვეთების შესახებ

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 29 აპრილის დადგენილება (სსრკ დადგ. კრ. 1942 წ. № 4, მუხ. 71)

(ამონაწერი)

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლ. 10 აპრილის ბრძანებულების „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“—მე-4 და 13 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაძტკიცდეს სახელმწიფო ბაჟის შემდეგი განაკვეთები;

იმ მოქმედებათა და დოკუმენტთა დასახელება, რომლებსაც ბაჟი უნდა გადახდეს	მანეთი (უბრალო)	დოკუმენტის თანხის %-ში (პროპორციულად)
3. სანოტარო ორგანოთა მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის:		
ა) აღნაგობის უფლების დადგენის შესახებ ხელშეკრულების დ-მოწმებისათვის	50	—
ბ) შენობისა და აღნაგობის უფლების გასხვისების შესახებ ხელშეკრულების დამოწმებისათვის	—	3%, მაგრამ არა ნაკლებ 50 მანეთისა
გ) ანდერძის დამოწმებისათვის	10	—
დ) გაყოფის ხელშეკრულების, თავდებობის ხელშეკრულების და ისეთი ხელშეკრულების დამოწმებისათვის, რომლის შეფასება არ შეიძლება . .	25	—
ე) ქონებრივი ჭირავნობის ხელშეკრულების დამოწმებისათვის .	—	3%, მაგრამ არა ნაკლებ 15 მანეთისა
ვ) სხვა ხელშეკრულებათა დამოწმებისათვის	—	1%, მაგრამ არა ნაკლებ 15 მანეთისა
ზ) რწმუნებულობის დამოწმებისათვის:		
1) ქონების მართვა-გამგებლობასა და საკრედიტო ოპერაციების შესრულებაზე	20	
2) სხვა რწმუნებულობის დამოწმებისათვის	5	
თ) აღსრულების წარწერის შესრულებისათვის	—	1%, მაგრამ არა ნაკლებ 3 მანეთისა
ი) ჩეკით ფულის გადაუხდელობის შესახებ ძოწმობის გაცემისათვის (გადაუხდელ თანხაზე)		2%, მაგრამ არა ნაკლებ 10 მანეთისა
კ) საზღვაო პროტესტის შედგენისათვის	25	
ლ) ასლების და ამონაწერების სისწორის შემოწმებისათვის (თვითეული გვერდისათვის)	2	
მ) ხელმოწერის სინამდვილის შემოწმებისათვის (თვითეული დოკუმენტზე)	3	
ნ) ნოტარიუსის მეშვეობით ერთი პირისგან მეორე პირზე განცხადების გადაცემისათვის (თვითეულ განცხადებაზე)	5	
ო) დოკუმენტების მიღებისათვის შესანახად ვადით 6 თვემდე . . .	10	
პ) ვალდებულების საგნის დეპოზიტად მიღებისათვის კუთვნილებისამებრ გადასაცემად თანხით 50 მანეთამდე	2	
თანხით 50 მანეთზე ზევით 100 მანეთამდე	3	
„ 100 „ 500 „	10	
„ 500 მანეთზე ზევით	20	

იმ მოქმედებათა და დოკუმენტთა დასახელება, რომლებსაც ბაჟი უნდა გადახდეს	მანეთი (უბრალო)	დოკუმენტის თანხის %-ში (პროპორციულად)
ჟ) დამკვიდრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისათვის		
თანხით 300 მანეთამდე . . .	10	
„ 300 მანეთზე ზევით 1000 მ-დე	20	
„ 1000 „ „ 3000 „	50	
„ 3000 „ „ 5000 „	100	
„ 5000 „ „ 10000 „	—	5%
„ 10000 მანეთზე ზევით . . .	—	10%
რ) ყოველგვარი სანოტარო მოწმობისა და ცნობების გაცემისათვის, ყოველგვარი სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის, გარდა წინა პუნქტებში აღნიშნულისა, აგრეთვე ნოტარიატის საქმეებში ქონებული დოკუმენტების ასლებისა და ხელშეკრულებათა დუბლიკატების გაცემისათვის	5	
შენიშვნა: ისეთ შემთხვევაში, როდესაც სანოტარო მოქმედება სრულდება სანოტარო ორგანოს სადგომს გარეთ (სახლში), ბაჟი ორმაგად უნდა იქნეს გადახდევინებული და, ამას გარდა, ანაზღაურებულ უნდა იქნას ფაქტიურად გაწეული ხარჯები, დაკავშირებული სახლში წასვლასთან სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის		
4. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის:		
ა) ხელშეკრულებათა დამოწმებისათვის თანხით არა უმეტეს 500 მანეთისა, ისეთ ხელშეკრულებათა დამოწმებისათვის, რომელთა შეფასება არ შეიძლება და რწმუნებულობათა დამოწმებისათვის	3	
ბ) ხელმოწერის სინამდვილის შემოწმებისათვის (თვითეულ დოკუმენტში)	1	
გ) ასლებისა და ამონაწერის სისწორის შემოწმებისათვის (თვითეულ გვერდში)	1	
6. სანოტარო ორგანოთა მიერ:		
ა) ხელშეკრულების პროექტის შედგენისათვის	25	
ბ) ანდერძის პროექტის შედგენისათვის	10	
გ) რწმუნებულობის და განცხადების პროექტის შედგენისათვის	5	

იმ მოქმედებათა და დოკუმენტთა დასახელება რომლებსაც ბაჟი უნდა გადახდეს	მანეთი (უბრალო)	დოკუმენტის თანხის %-ში (პროპორციულად)
7. სანოტარო ორგანოთა მიერ დოკუმენტების გადაწერისათვის (თვითეულ გვერდში)	3	
8. სასამართლოს თარჯიმანობისა ან სანოტარო ორგანოთა მიერ შესრულებული მოქმედებისათვის:		
ა) სსრ კავშირის ხალხთა ერთი ენიდან მეორე ენაზე გადათარგმნისა ან თარგმანის შემოწმებისათვის (თვითეულ გვერდში)	5	
ბ) უცხო ენებიდან სსრ კავშირის ხალხთა ენებზე გადათარგმნისა ან თარგმანის შემოწმებისათვის (თვითეულ გვერდში)	15	
გ) სსრ კავშირის ხალხთა ენებიდან უცხო ენებზე გადათარგმნისა ან თარგმანის შემოწმებისათვის (თვითეულ გვერდში)	25	
შენიშვნა: ბაჟის გადახდევინების დროს საბაჟო თანხა შემრგვალებულ უნდა იქნას სრულ მანეთებად. 50 კაპიკზე ნაკლები თანხა უნდა გამოირიცხოს ანგარიშიდან, 50 კაპიკი და უფრო მეტი მიღებულ უნდა იქნას მანეთად		
II. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:		
9. ერთიანი სახელმწიფო ბაჟის ყველა შეღავათი, რაც კი გათვალისწინებულ იყო ცალკეული დადგენილებებით და წესდებებით იმ დრომდე, ვიდრე ძალაში შევიდოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 10 აპრილის ბრძანებულება „სახელმწიფო ბაჟის შესახებ".		

სახელმწიფო ბაჟის შესახებ

სსრკ კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის 1942 წლის 8 მაისის № 278 ინსტრუქცია (გამოცემულია სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 10 აპრილის ბრძანებულების „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საფუძველზე)

(ამონაწერი)

§ 1. შესაბამისად სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 10 აპრილის ბრძანებულებისა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" ბაჟი გადახდება: [1].

[1] იხ. გვ. 103.

§ 2. იმ მოქმედებათა და დოკუმენტთა ნუსხა, რომლებზედაც სახელმწიფო ბაჟი გადახდევინებულ უნდა იქნას, აგრეთვე სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები გათვალისწინებულია სსრკ სახკომსაბჭოს 1942 წლის 29 აპრილის დადგენილებით: „სახელმწიფო ბაჟის განაკვეთების შესახებ" (იხ. ამ ინსტრუქციის §§ 13, 23, 27, 40, 50. 53, 57, 59 და 62).

§ 4. ბაჟი იყოფა უბრალო და პროპორციულ ბაჟად.

უბრალო ბაჟი გადაიხდევინება მტკიცე განაკვეთებად (მანეთებში), პროპორციული კი—პროცენტული შეფარდებით დოკუმენტის თანხასთან.

პროპორციული ბაჟის გადახდევინების დროს ბაჟის თანხა შერგვალდება სრულ მანეთებამდე: 50 კაპიკზე ნაკლები თანხა სრულიად არ იანგარიშება, 50 კაპიკი და ამაზე მეტი თანხა კი იანგარიშება მანეთად.

§ 5. ბაჟის გადახდა ხდება განცხადების შეტანის, ბაჟგადასახდელ მოქმედების შესრულებისა ან ბაჟგადასახდელი დოკუმენტის გაცემის დროს.

§ 7. ბაჟის გადახდა ნაღდ ფულად ხდება ამ ფულის შეტანით ბანკის დაწესებულებაში.

თუ გადამხდელს ბანკის დაწესებულებაში საანგარიშსწორებო ანგარიში აქვს, ბაჟი გადაიხდევინება გადამხდელის განკარგულებით მისი ანგარიშიდან სათანადო ადგილობრივი ბიუჯეტის. ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

§ 8. სახელმწიფო ბაჟგადახდილი მარკები (საბაჟო მარკები) მზადდება სახნიშნის მიერ მთელი სსრ კავშირისათვის, სსრკ ფინანსთა სახკომისარიატის მიერ დამტკიცებული ერთიანი ნიმუშის მიხედვით.

საბაჟო მარკების დამზადების, ამ მარკებით ადგილების მომარაგებისა და მათი გაყიდვის წესი დადგენილია სახელმწიფო ბანკის და სსრკ ფინსახკომისარიატის 1938 წლის № 128 ინსტრუქციით—მარკებით ერთიანი სახელმწიფო ბაჟის გადახდის ოპერაციების შესახებ.

§ 9. საბაჟო მარკები დაიწებება დოკუმენტს და გაუქმდება დოკუმენტის მიმღები ან გამცემი თანამდებობის პირის ხელისმოწერით (ან დაწესებულების შტემპელის ან ბეჭდის დასმით) გაუქმების თარიღის აღნიშვნით.

ისეთ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის ბლანკი შესდგება მოსახევი ტალონისა და ყუისაგან, საბაჟო მარკების გაუქმება მოხდება ყუითი წესით, ე. ი. მარკა დაიწებება გასწვრივ ჭრილის ხაზზე და

დოკუმენტის გაცემის დროს ორად გაიჭრება. ამ შემთხვევაში მარკის გასაუქმებლად თანამდებობის პირის ხელის მოწერა და გაუქმების თარიღის აღნიშვნა საჭირო არ არის.

§ 10. შეტანილი ბაჟი გადამხდელს უკან აღარ დაუბრუნდება, გარდა ამ ინსტრუქციის 38 §-ში აღნიშნული შემთხვევებისა.

§ 11. ბაჟი ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში. ამასთან, ნაღდ ფულად შეტანილი ან გადამხდელის ანგარიშიდან გადირიცხული თანხები უნდა ჩაირიცხოს იმ ადმინისტრატიული-ტერიტორიალური ერთეულის ადგილობრივ სახსრებში, რომლის ტერიტორიაზე იმყოფება ბაჟგადასახდელ მოქმედებათა შემსრულებელი ან ბაჟგადასახდელი დოკუმენტის გამცემი დაწესებულება ან ის დაწესებულება, რომლის მეშვეობით შეტანილია განცხადება.

§ 12. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს, სამხარეო და საოლქო საფინანსო განყოფილებებს უფლება აქვთ, იმ შეღავათებს გარდა, რომლებიც გათვალისწინებელია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-3 მუხლში, დააწესონ დამატებითი შეღავათები ბაჟის ცალკეულ გადამხდელთათვის ან გადამხდელთა ჯგუფებისათვის.

ერთიანი სახელმწიფო ბაჟის გადახდის ყველა ის შეღავათი, რაც დადგენილი იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების სამოქმედოდ შემოღებამდე, გაუქმებულია.

§ 27. სანოტარო კონტორებში და მათ შემცვლელ ორგანოებში (გარდა მშრომელთა დეპუტატების სოფლის საბჭოებისა) ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი რაოდენობით (იხ. სსრკ სახკომსაბჭოს 1942 წლის 29 აპრილის დადგენილება, გვ. 108).

§ 28. ისეთ დოკუმენტებზე, რომლებზედაც ბაჟის გადახდევინება ხდება დოკუმენტის თანხის პროცენტის სახით, ბაჟი გამოიანგარიშება იმ თანხის მიხედვით, რომელიც ნაჩვენებია მხარეთა მიერ, ამ ინსტრუქციის 29—34 § §-ში მოცემული წესის დაცვით.

ხოლო, თუ მხარეთა მიერ დოკუმენტის თანხა ნაჩვენები არ იქნება, ამ თანხას განსაზღვრავს სანოტარო მოქმედების შემსრულებელი პირი ხელშეკრულების მონაცემების საფუძველზე, თუ ეს თანხა გარკვეულად სჩანს ხელშეკრულების შინაარსიდან, ანდა იგი გამოიანგარიშება მხარეებიდან მოთხოვნილ წარსულ წელთა ხარჯთაღრიცხვების, პროექტების, ცნობებისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე.

§ 29. შენობის ღირებულება დოკუმენტის თანხის განსაზღვრის დროს გამოიანგარიშება არა ხაკლებ იმ ღირებულებისა, რაც განსაზღვრული იყო სადასაზღვევო შეფასებით.

§ 30. იმ დოკუმენტის თანხა, რომელზედაც ფულის გადახდა პერიოდულად ხდება (მაგალითად ქონებრივი ქირავნობის დოკუმენტი), გამოიანგარიშება მთელი გადასახდელი თანხის ოდენობით ამ დოკუმენტის მოქმედების მთელი დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს სამი წლისა; ხოლო, თუ დოკუმენტის მოქმედების ვადა აღნიშნული არ არის—მაშინ ერთი წლისათვის გადასახდელი მთელი თანხის მიხედვით.

§ 31. იმ დოკუმენტებს, რომელთა თანხა განსაზღვრულია სიტყვებით „აქედან – აქამდე" („. . . დან . . . მდე") ბაჟი გადახდება უდიდეს თანხის კვალობაზე.

§ 32. კერძოთ, დოკუმენტის თანხად ჩაითვლება:

ა) უფლება—ვალდებულებათა გადაცემის შესახებ დადებულ ხელშეკრულებაში—ჯერ კიდევ განუხორციელებელი უფლების ან გადაცემული ვალდებულების ღირებულება;

ბ) გაცვლილობის ხელშეკრულებაში—ერთ-ერთი გასაცვლელი ქონების ღირებულება ფულადი დანამატის ჩათვლით.

§ 33. ქონებრივი ქირავნობის დოკუმენტის თანხაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად გადასახდელებს გარდა, შედის:

ა) ხელშეკრულებით შეპირობებული შენობებისა და სხვა ნაგებობის, აგრეთვე სადგომების მოწყობილობის ღირებულება, თუ რომ შენობები, ნაგებობა და მოწყობილობა ხელშეკრულების მიხედვით უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს ქონების მფლობელს ხელშეკრულების დამთავრებისას;

ბ) ხელშეკრულებით შეპირობებული კაპიტალური რემონტის ღირებულება, თუ რომ ხელშეკრულების დადების დროს რემონტის თანხა განსაზღვრული იყო.

§ 34. 33 § ში აღნიშნულ შენობათა, ნაგებობათა და მოწყობილობის ღირებულება განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ხოლო, თუ ხარჯაღრიცხვა შედგენილი არ ყოფილა—ადგილობრივი საცნობარო ფასის ან ერთგვაროვანი შენობის და ნაგებობის ღირებულების მიხედვით.

§ 34¹. დამკვიდრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისათვის ბაჟის რაოდენობის განსაზღვრის დროს სახელმწიფო სესხების ობლიგაციები, სახელმწიფო შრომის შემხახველ სალაროში შეტანილი ანაბრები, აგრეთვე სახელმწიფო ბანკში და სსრკ საგა-

რეო ვაჭრობის ბანკში შეტანილი ანაბრები ანგარიშში არ მიიღება და მემკვიდროებით გადასული ქონების ღირებულებაში არ ჩაითვლება.

სახელმწიფო სესხის ობლიგაციებზე და სახელმწიფო შრომითი შემაახველ სალაროებში, სახელმწიფო ბანკში ან სსრკ საგარეო ვაჭრობის ბანკში შეტანილ ანაბრებზე დამკვიდრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისათვის, თუ არ არის მემკვიდრეობით გარდამავალი სხვა ქონება, სახელმწიფო ბაჟი გადახდევინებულ უნდა იქნას 10 მანეთის რაოდენობით თვითეული მოწმობისათვის. (სსრკ ფინსახკომისარიატის 1943 წლის 2 აგვისტოს № 492 ბრძანება).

§ 35. ბაჟი ისეთ გარიგებაზე, რომელზედაც ერთი მხარე ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებულია, მთლიანად გადახდება მეორე მხარეს.

§ 36. აღსრულების წარწერის ან ჩეკით ფულის გადაუხდელობის დამადასტურებელი წარწერის შესრულებისათვის გადასახდელი ბაჟი, თუ გადამხდევინებელი ბაჟის გადახდისაგან თავისუფალია, გადახდება მოვალეს აღსრულების წარწერაში აღნიშნული გადახდევინების სისრულეში მოყვანის დროს.

§ 37. სანოტარო კონტორების მიერ შესრულებული მოქმედებისათვის გადახდილი ბაჟი, თუ მისი თანხა 100 მანეთამდეა, შეიტანება საბაჟო მარკებით, რომლებიც ჩაიწებება სანოტარო რეესტრში, ხოლო ამაზე მეტი თანხის ბაჟი შეიტანება ნაღდ ფულად ბანკის დაწესებულებაში.

§ 38. თუ სანოტარო კონტორა უარს იტყვის სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, აგრეთვე, თუ შეტანილი ბაჟის თანხა კანონით დადგენილ რაოდენობაზე მეტია, შეტანილი ბაჟი სანოტარო კონტორის ან მისი შემცვლელი ორგანოს განკარგულებით დაებრუნება ნებართვა: პირველ შემთხვევაში მთლიანად, ხოლო მეორე შემთხვევაში-სათანადო ნაწილი.

ბაჟი დაებრუნება გადამხდელს მის მიერ წარდგენილი სანოტარო კონტორის ან ამ უკანასკნელის შემცვლელი ორგანოს განკარგულების საფუძველზე იმ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის საფინანსო ორგანოდან, რომლის ბიუჯეტში შეტანილია ბაჟი, ხოლო, თუ ბაჟი მარკებად არის გადახდილი – გადამხდელის ადგილმყოფელობის (საცხოვრებელი ადგილის) საფინანსო ორგანოდან.

§ 39. ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდება ყველა დოკუმენტი სისხლის სამართლის საქმეებზე, საალიმენტო საქმეებზე, მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების დანიშვნისა და გაცემის საქმეებზე, მეურვეობის საქმეებზე, შვილად აყვანისა და არასრულწლოვანთა სოციალური-უფლებრივი დაცვის საქმეებზე, აგრეთვე სასწავლებელში წარსადგენად გაცემული დოკუმენტები.

§ 39[1]. სამშობლოს დაცვის დროს დაღუპულ პირთა მემკვიდრეებს ბაჟი არ გადახდებათ იმ მოწმობის მიღებისათვის, რომელიც ადასტურებს მათ დამკვიდრების უფლებას დაღუპულის ქონებაზე.

ცალკე შემთხვევებში სანოტარო ორგანოთა გადაწყვეტილებით სამამულო ომის ინვალიდები შეიძლება განთავისუფლებულ იქნენ ბაჟის გადახდისაგან მათთვან სანოტარო ჰოქმედების შესრულებისათვის (სსრკ ფინანსთა სახ. კომისარიატის ბრძანება 1943 წლ. 24 ივნისის № 333).

ევაკუირებულ მოქალაქეთა სახელით ქონების სამმართველოდ გაცემული რწმუნებულობის სანოტარო წესით დამოწმებისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შესახებ

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1943 წლის 17 აპრილის № დ-18 სადირექტივო წერილი

სსრ კავშირის იუსტიციის სახ. კომისარიატში სანოტარო ორგანოებიდან შემოდის შეკითხვები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობით უნდა იქნეს გადახდევინებული სახელმწიფო ბაჟი ისეთი ქონების განკარგულებისა, მმართვისა და გაყიდვის უფლების მიმცემი რწმუნებულობის სანოტაროდ დამოწმებისათვის, რომელიც დატოვებულია მოქალაქეთა ბინებში ამ მოქალაქეთა ევაკუაციის დროს.

ამ მეკითხვებთან დაკავშირებით წინადადებას გაძლევთ განუმარტოთ სანოტარო კონტორებს, რომ ამგვარი რწმუნებულობის დამოწმებისათვის უნდა გადახდევინებულ იქნას სახელმწიფო ბაჟი 5 მანეთის რაოდენობით (სსრკ სახკომსაბჭოს 1942 წლის 29 აპრილის დადგენილების—„სახელმწიფო ბაჟის განაკვეთების შესახებ“— მე 3 მუხლის „ზ“ ლიტ. მე-2 პუნქტი).

გირავნობის მოწმობის გაუცემლად შენობებზე ყადაღის დადებისათვის სანოტარო კონტორების მიერ გადასახდევინებელი სახელმწიფო ბაჟის რაოდენობის შესახებ.

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1944 წ. 10 თებერვლის № დ-5 სადირექტივო წერილი.

ვინაიდან სანოტარო კონტორები ერთნაირად არ ახდევინებენ სახელმწიფო ბაჟს იმ მოქმედებისათვის, რაც უნდა შესრულებულ იქნას გირავნობის მოწმობის გაუცემლად შენობაზე ყადაღის დადების დროს თანახმად სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1939 წლის 19 მაისის ინსტრუქციისა, სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატი წინადადებას გაძლევთ, სსრკ ფინანსთა სახ. კომისარიატის გადასახად-გამოსაღებთა სამმართველოს 1944 წლის 27 იანვრის № 25-98 განმარტების შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი გირავნობის მოწმობის გაუცემლად შენობაზე ყადაღის დადებისათვის გადაახდევინოთ სსრკ სახკომსაბჭოს 1942 წლის 29 აპრილის დადგენილების—„სახელმწიფო ბაჟის განაკვეთების შესახებ"—მე-3 მუხლის „რ" პუნქტის მიხედვით, ე. ი. 5 მანეთის დაოდენობით.

შენობების დანგრევა-გადასატანად გასხვისების ხელშეკრულებათა დამოწმებისათვის სანოტარო კონტორების მიერ გადასახდევინებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შესახებ.

სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1944 წლის 27 ნოემბრის № დ-43 სადირექტივო წერილი.

ვინაიდან სანოტარო კონტორების პრაქტიკულ მუშაობაში ერთნაირად არ ისაზღვრება სახელმწიფო ბაჟი შენობების დანგრევა-გადასატანად გასხვისების ხელშეკრულებათა დამოწმებისათვის, სსრკ იუსტსახკომისარიატი წინადადებას გაძლევთ, სსრკ ფინანსთა სახ. კომისარიატის გადასახად-გამოსაღებთა სამმართველოს 1944 წლის 21 ნოემბრის № 25-79 განმარტების შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი შენობების დანგრევა-გადასატანად გასხვისების ხელშეკრულებათა დამოწმებისათვის გადაახდევინოთ სსრკ სახკომსაბჭოს 1942 წლის 29 აპრილის დადგენილების—„სახელმწიფო ბაჟის განაკვეთების შესახებ"— მე-3 მუხლის „3" პუნქტის მიხედვით, ე. ი. 1 პროცენტის რაოდენობით, მაგრამ არა ნაკლებ 15 მანეთისა.

მემკვიდრეობის და ჩუქების წესით გარდამავალ ქონებაზე გადასახადის გაუქმებისა და სამშობლოს დაცვის დროს დაღუპულ პირთა მემკვიდრეებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდაში შეღავათების მიცემის შესახებ.

სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 9 იანვრის ბრძანებულება („სსრკ უმაღლესი საბჭოს მაუწყებელი"—1943 წ. № 3)
(ამონაწერი)

1. გაუქმებულ იქნას გადასახადი მემკვიდრეობის და ჩუქების წესით გარდამავალ ქონებაზე და ამ გადასახადის გადუხდელი თანხები მოიხსნას.

2. სამშობლოს დაცვის დროს დაღუპულ პირთა მემკვიდრენი განთავისუფლებულ იქნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ისეთი მოწმობის მიღების დროს, რომელიც ადასტურებს მათ დამკვიდრეობის უფლებას დაღუპულთა ქონებაზე.

მემკვიდრეობის და ჩუქების წესით გარდამავალ ქონებაზე გადასახადის გაუქმებისა და სამშობლოს დაცვის დროს დაღუპულ პირთა მემკვიდრეებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდაში შეღავათების მიცემის შესახებ.

სსრკ ფინანსთა სახ. კომისარიატის და სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1943 წლის 21 იანვრის №ად-2/42 სადირექტივო წერილი.

სსრკ ფინანსთა სახ. კომისარიატი და სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატი გაცნობებენ, რომ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 9 იანვრის ბრძანებულებით „მემკვიდრეობის და ჩუქების წესით გარდამავალ ქონებაზე გადასახადის გაუქმებისა და სამშობლოს დაცვის დროს დაღუპულ პირთა მემკვიდრეებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდაში შეღავათების მიცემის შესახებ", გაუქმებულია გადასახადი მემკვიდრეობის და ჩუქების წესით გარდამავალ ქონებაზე. ამ გადასახადის გადუხდელი თანხები უნდა მოიხსნას.

სსრკ უმაღესი საბჭოს პრეზიდიუმის იმავე ბრძანებულებით სამშობლოს დაცვის დროს დაღუპულ პირთა მემკვიდრენი განთავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ისეთი მოწმობის მიღების დროს, რომელიც ადასტურებს მათ დამკვიდრების უფლებას დაღუპულთა ქონებაზე.

ამის შესაბამისად სსრკ ფინანსთა სახ. კომისარიატი და სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატი წინადადებას გაძლევენ:

1. სარაიონო და საქალაქო საფინანსო განყოფილებებმა შეს წყვიტონ გადასახადის გადახდევინება მემკვიდრეობისა და ჩუქების წესით გარდამავალ ქონებაზე და მოხსნან ამ გადასახადის მთელი გადუხდელი თანხები.

2. სანოტარო ორგანოებმა დამკვიდრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის დროს აღარ მოსთხოვონ მემკვიდრეებს საფინანსო ორგანოს ცნობა იმის შესახებ, რომ გადასახადი მემკვიდრეობის და ჩუქების წესით გარდამავალ ქონებაზე მათ მიერ გადახდილია.

3. სანოტარო ორგანოებმა შესწყვიტონ სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება სამშობლოს დაცვის დროს დაღუპულ მემკვიდრეებისგან ამ უკანასკნელთათვის ისეთი მოწმობის მიცემის დროს, რომელიც ადასტურებს მათ დამკვიდრების უფლებას დაღუპულთა ქონებაზე.

4. სანოტარო და საქალაქო საფინანსო განყოფილებებმა კონტროლი გაუწიონ ქონების ჩუქების აქტების სანოტარო დამოწმებისათვის სახელმწიფო ბაჟის სწორად გადახდევინებას, სსრკ სახკომსაბჭოს 1942 წლის 29 აპრილის დადგენილების—„სახელმწიფო ბაჟის განაკვეთების შესახებ"—მე 3 მუხლის „ბ" და „ვ" პუნქტების შესაბამისად, აგრეთვე სახელმწიფო ბაჟის სწორად გადახდევინებას დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემისათვის, სსრკ სახკომსაბჭოს აღნიშნული დადგენილების „ე" პუნქტის შესაბამისად.

5. დაეევალოს სანოტარო და საქალაქო საფინანსო განყოფილებათა საგადასახადო ინსპექტორებს მემკვიდრეობის წესით შენობის გადასვლის ფაქტის გამოვლინების დროს შეამოწმონ—გატარებულია თუ არა კომუნალური მეურნეობის ორგანოთა რეგისტრაციაში ის მემკვიდრე, რომელზედაც აღნიშნული შენობაა გადასული და თუ იგი რეგისტრირებული არ არის, აცნობონ ეს კომუნალურ ორგანოს აღნიშნული მემკ იდრის რეგისტრაციისათვის ზომების მისაღებად.

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებული ერთიანი სახელმწიფო ბაჟის და სადეპოზიტო თანხების სანოტარო ორგანოთა მიერ აღრიცხვის წესის შესახებ.

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1938 წლის 27 აგვისტოს ინსტრუქცია. შეთანხმებულია სსრკ ფინანსთა სახ. კომისარიატთან

(ამონაწერი)

1. ერთიანი სახელმწიფო ბაჟის და სადეპოზიტო თანხების ერთნაირად აღრიცხვის მიზნით ყველა სანოტარო კონტორა ვალ-

დებულია აწარმოოს ანგარიშგება ქვემოდ მოყვანილი ფორმების მიხედვით:

ფორმა № 2—საქვითარო წიგნი დეპოზიტისათვის.

ფორმა № 4—სადეპოზიტო თანხების საკასო შემოსავალ-გასავლის წიგნი.

ფორმა № 5—პირადი ანგარიშების ბარათი დეპოზიტად შემოსული თანხების მოძრაობის ჩასაწერად.

დეპოზიტად ფულის მიღების დროს გამოიწერება № 2 ფორმის ქვითარი ორ ცალად; აქედან ერთი ცალი (ქვითარი) შეეცემა კლიენტს ხელზე ხოლო მეორე (ყუა) დაიტოვება სანოტარო ორგანოს საქმეში. იგივე ქვითარით ხდება სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება დეპოზიტად ფულის მიღების დროს.

შემოსული სადეპოზიტო თანხები ჩაიწერება სადეპოზიტო თანხების საკასო შემოსავალ-გასავლის წიგნში (ფორმა № 4):

ამავე წიგნში აღინიშნება აგრეთვე სანოტარო ორგანოს მიმდინარე ანგარიშზე სადეპოზიტო თანხების ჩაბარება და ამ თანხების გაცემა კუთვნილებისამებრ.

სადეპოზიტო თანხების საკასო შემოსავალ-გასავლის წიგნში (ფორმა № 4) კეთდება გვერდობლივი გამოთვლა, ხოლო თვიურეული თვის გასვლის შემდეგ გამოიანგარიშება თვიური საბოლოო ჯამი 1-ლი რიცხვისათვის არსებული ნაშთის მხედველობაში მიღებით და გამოიყვანება ნაშთი მომდევნო თვის 1-ლი რიცხვისათვის.

სადეპოზიტო თანხის ნაშთები საკასო წიგნის მიხედვით (ფორმა № 4) ყოველი თვის 1-ლ რიცხვს შედარებული უ და იქნას ბანკის სათანადო კონტოკორენტულ ამონაწერებთან. ამასთან სადეპოზიტო თანხების ნაშთების თანხა გრაფებით—შემოსავალი „ბანკის მეშვეობით" და შეტანილია მიმდინარე ანგარიშზე" (გრაფები 5+6) უნდა უდრიდეს იმ ნაშთის თანხას, რომელიც აღნიშნულია ბანკის კონტოკორენტულ ამონაწერში.

სადეპოზიტო თანხების საკასო შემოსავალ-გასავლის წიგნის ბოლოს (ფორმა № 4) გაიხსნება რამდენიმე ფურცელი იმ თანხების ჩასაწერად, რომელიც შემოვიდა გასაპროტესტებლად წარდგენილი თამასუქების განაღდებისათვის, ეს თანხები აღირიცხება სადეპოზიტო თანხების აღსარიცხავად დადგენილი წესით.

შემოსული სადეპოზიტო თანხების საკასო წიგნში (ფორმა № 4) ჩაწერის შემდეგ, შეიტანება № 5 ფორმის ბარათი „პირადი ანგარიში".

ბარათი შესდგება იმ პირის (ფიზიკურ ან იურიდიული) სახელზე, რომლის სასარგებლოდაც სადეპოზიტო თანხაა შეტანილი (კრედიტორის).

ბარათებს თავისი სპეციალური ნუმერაცია აქვს და ინახებიან საალფაბეტო წესით.

ამ ბარათებში აღინიშნება, რის გამოა შემოტანილი სადეპოზიტო თანხა (მაგალითად, ბინის ქირა 1933 წლის აპრილის თვისათვის და ა. შ.), ის თარიღი, როდესაც კრედიტორს გაეგზავნა ცნობა იმის შესახებ, რომ მის სახელზე შემოტანილია სადეპოზიტო თანხა, კრედიტორზე სადეპოზიტო თანხის გაცემის თარიღი (ამასთან კრედიტორს ჩამოერთმევა ხელწერილი ფულის ან ჩეკის მიღებაში, თუ ფულის გაცემა ხდება ბანკის მეშვეობით, თუ სადეპოზიტო თანხა გაიცემა სანოტარო ორგანოს მიმდინარე ანგარიშიდან კრედიტორის მიმდინარე ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით, მაშინ ეს აღინიშნება ბარათის უკანასკნელ გრაფაში და მასთან ერთად ამავე გრაფაში აღინიშნება ბანკისადმი დავალების ნომერიც). ბარათის მე-10 გრაფაში ჩაიწერება ის დოკუმენტები, რომელთა საფუძველზედაც ფული გაიცა (პასპორტი, რწმუნებულობა) და აღინიშნება ნომერი, თარიღი და ის დაწესებულება, რომელმაც ხსენებული დოკუმენტები გასცა ან დაამოწმა.

IV. საკასო და საქვითარო წიგნები, აგრეთვე მიმდინარე ანგარიშების წიგნები უნდა იყოს ზონარგაყრილი, დანომრილი და სათანადო საფინანსო ორგანოს მიერ ბეჭედ დასმული და ხელმოწერილი წიგნის ფურცლების ან გვერდების რაოდენობის აღნიშვნით.

ბანკში სადეპოზიტო თანხების ჩაბარება ხდება ხუთ დღეში ერთჯერ მაინც, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ ნაღდ ფულად რჩებოდეს არა უმეტეს 100 მანეთისა.

დანართი: ფორმები №№ 2, 4, 5.

ფორმა № 4

სადეპოზიტო თანხების საკასო შემოსავალ-გასავლის წიგნი

. . . . . .

სახელმწიფო სანოტარო კონტორის

შემოსავალი **გასავალი**

№№ რიგით	თვე და რიცხვი	ვისგან შემოვიდა	შემოსავლის თანხა: ნაღდ ფულად	შემოსავლის თანხა: ბანკის მეშვეობით	სანოტარო კონტორის მიერ თავის მიმდინარე ანგარიშზე შეტანილი თანხა	№№ რიგით	თვე და რიცხვი	კრედიტორის პირადი ანგარიშის №	ვისზე გაცემული	გასავლის თანხა: ნაღდ ფულად	გასავლის თანხა: ბანკის მეშვეობით
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

ფორმა № 2

ქვითარი №—— დეპოზიტისათვის.

194 წლ. . . . . .

. . . . . სახელმწიფო სანოტარო კონტორა . . . . . .

მიღებულია . . . . . გან, რომელიც ცხოვრობს . . . .

. . . . . გადასაცემად . . . . . მისამართი . . . . . .

რისთვის არის შემოტანილი . . . . . .

მიღებულია დეპოზიტში . . . . . მან. კაპ.

სახელმწიფო ბაჟი . . . . . მან. კაპ.

ს უ ლ . . . . . მან. . . . კაპ.

ნოტარიუსი

თანხა . . . . . .

(თანხა დაიწერება სიტყვებით)

მივიღე მოლარე . . . . . .

(მეორე ცალი „ქვითრის ყუა")

პირადი ანგარიში № . . .
დეპოზიტზე შემოსული თანხების ნოძრაობის ჩასაწერად

შემოვიდა . . . . . სახელზე
მისამართი . . . . . .

შემოსავლის თარიღი	ქვითარის №	ვისგან შემოვიდა, გვარი, სახელი და მამის სახელი	მისამართი	რის გამო შეტანილი	ნ ა ნ ხ ა ნ	უწყების გაგზავნის თარიღი,	გაცემის თარიღი	ნ ა ნ ხ ა ნ	დოკუმენტი, რომლითაც საეუფლებზე გაცემულია სადეპოზიტო თანხები	ხელწერილი მიღებაში
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1938 წლის 27 აგვისტოს ინსტრუქციის—„სანოტარო ორგანოთა მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებული ერთიანი სახელმწიფო ბაჟისა და სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის წესის შესახებ“— შეცვლის შესახებ.

სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1944 წლის 10 თებერვლის № დ-6 სადირექტივო წერილი.

სსრკ ფინანსთა სახკომისარიატის 1942 წლის 8 მაისის № 278 ინსტრუქციით, რომელიც გამოცემულ იქნა შესაფარდებლად სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 10 აპრილ. რძანებულებისა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“—, შემოღებულია სანოტარო კონტორების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების სამარკო სისტემა.

ამის და შესაბამისად სანოტარო კონტორებს წინადადება ეძლევათ იხელმძღვანელონ შემდეგი წესებით:

1. მოსახლეობისათვის ყველაზე უფრო მომარჯვებული პირობების შექმნის მიზნით სანოტარო კონტორები აწყობენ თავისთან საბაჟო მარკების გაყიდვას: ამისათვის სანოტარო კონტორები შესაბამისად სახელმწიფო ბაჟის და სსრკ ფინანსთა სახ. კომისარიატის 1938 წლის № 128 ინსტრუქციის მე-16 მუხლისა აყენებენ ხელმწიფო ბანკის ადგილობრივ დაწესებულებათა და სარაიონო (საქალაქო) საფინანსო განყოფილებათა წინაშე საკითხს მათთვის მარკების ავანსის დადგენის შესახებ და ბანკის დაწესებულებიდან იღებენ უფულოდ მარკების მარაგს ნებადართული ავანსის თანხის ფარგლებში.

იმ სანოტარო კონტორაში, სადაც მარკების გაყიდვა მოწყობილი არ არის, გამოიკიდება პლაკატი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ის უახლოესი ადგილი, სადაც შეიძლება მარკების ყიდვა.

2. სანოტარო კონტორაში მარკები იყიდება მოქალაქეებზე მხოლოდ ამ უკანასკნელთათვის სანოტარო მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით.

მარკების ყიდვას აწარმოებს ნოტარიუსი ან სანოტარო კონტორის რომელიმე თანამშრომელი; ნოტარიუსი ვალდებულია თვალყური ადევნოს, რომ მას ან იმ თანამშრომელს, რომელსაც მარკების გაყიდვა აკისრია, ყოველთვის ჰქონდეს ხელზე მარკები და მარკების გაყიდვით მიღებული ფული-სულ მიღებული ავანსის თანხის რაოდენობით.

სანოტარო კონტორა მოვალეა მარკების გაყიდვით მიღებული ფულით თავის დროზე შეავსოს მარკების მარაგი ნებადართული ავანსის თანხამდე ნაღდ ანგარიშზე მარკების ყიდვის გზით.

3. სანოტარო კონტორა ვალდებულია აწარმოოს მარკების შემოსავალ-გასავლის ყოველდღიური აღრიცხვა.

საღრიცხვო ჩანაწერებში კუპიურებად აღინიშნება: მიღებული მარკების რაოდენობა, მარკების გასავალი და დღის ბოლოსთვის დარჩენილი ნაშთი, უნდა აღინიშნოს აგრეთვე მიღებული, გაყიდული და დღის ბოლოსთვის დარჩენილი მარკების საერთო ღირებულება და მარკების გაყიდვით შემოსული ხელზე ქონებული ნაღდი ფულადი თანხები. დარჩენილი მარკების ღირებულება, მარკების გაყიდვით მიღებულ ნაღდ ფულთან ერთად უნდა უდრიდეს დადგენილი ავანსის თანხას.

საღრიცხვო ჩანაწერების წინ უნდა აღინიშნოს სანოტარო კონტორისათვის მარკების განკუთვნილი ავანსი სახელმწიფო ბანკის დაწესებულების იმ ოქმითი გადაწყვეტილებაზე მითითებით, რომლის თანახმადაც ეს ავანსია დადგენილი.

ჩანაწერების სანიმუშო ფორმა ამასთანავე დართულია.

4. სანოტარო მოქმედების შესრულებისა და ტექნიკური დამუშავებისათვის (სადეპოზიტო ოპერაციების გარდა) გადახდევინებული სახელმწიფო ბაჟის მარკები დაეწებება რეესტრის მე-6 გრაფას

(„გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი“), სადაც აგრეთვე ცალ-ცალკე აღინიშნება სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებული ბაჟის თანხა და ტექნიკური დამუშავებისათვის გადახდევინებული ბაჟის თანხა; სადეპოზიტო ოპერაციებისათვის გადახდევინებული სახელმწიფო ბაჟის მარკები დაეწებება დეპოზიტისათვის წარმოებული საქვითარო წიგნში ქვითრების მეორე ეკზეპლარებს (ყუებს).

100 მანეთზე მეტი თანხის სახელმწიფო ბაჟი იმ მოქალაქის მიერ, რომლისთვის სანოტარო მოქმედება სრულდება, შეიტანება ფულად უშუალოდ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში და ეს უკანასკნელი აძლევს მას სათანადო ქვითარს.

ეს ქვითარი დაერთვის სათანადო გარიგების და დოკუმენტების ეკზემპლარს, რომლებიც ინახებიან სანოტარო კონტორის საქმეებში, ამასთან ქვითარზე აღინიშნება რეესტრის ის ნომერი, რომლითაც ჩაწერილია სახელმწიფო ბაჟგადახდილი სანოტარო მოქმედება, რეესტრში კი (6 გრაფა) აღინიშნება გადახდევინებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, ბანკის ქვითრის თარიღი და ნომერი.

100 მანეთზე მეტი თანხის სახელმწიფო ბაჟის მიღება მარკებად არ შეიძლება.

5. რეესტრში ან დეპოზიტის საქვითარო წიგნის ყუებზე დაწებებული სახელმწიფო მარკები უქმდება: ა) ნოტარიუსის ან მისი მოადგილის ხელმოწერით, ან იმ პირის ხელმოწერით, რომელსაც ეს ნოტარიუსის მიერ დაეკისრება, ან და ბ) შტემპელის ან ბეჭდის დასმით ორივე შემთხვევაში გაუქმების თარიღის აღნიშვნით.

6. თუ სანოტარო კონტორა უარს იტყვის სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, აგრეთვე. თუ სახელმწიფო ბაჟი იმაზე მეტი რაოდენობით იქნება შეტანილი, რაც კანონით დადგენილია, შეტანილი ბაჟი ნოტარიუსის განკარგულებით დაუბრუნდება: პირველ შემთხვევაში—მთლიანად, მეორე შემთხვევაში კი—სათანადო ნაწილით.

ბაჟს დააბრუნებს გადამხდელის მიერ წარდგენილი სანოტარო კონტორის განკარგულების საფუძველზე იმ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის საფინანსო განყოფილება, რომლის ბიუჯეტში ბაჟი შევიდა, ხოლო, თუ ბაჟი მარკებად იყო გადახდილი—გადამხდელის ადგილმყოფელობის (საცხოვრებელი ადგილის) საფინანსო ორგანო.

7. სახელმწიფო ბაჟის საქვითარო წიგნი (№ 1 ფორმა) და სახელმწიფო ბაჟის საკასო შეჭოსავალ-გასავლის წიგნი (№ 3 ფორ-

მა), რომელთა წარმოება სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1938 წლის 27 აგვისტოს ინსტრუქციით არის გათვალისწინებული, გაუქმებულია.

სახელმწიფო ბაჟის მარკების შეჭოსავალ-გასავლის ჩანაწერების სანიმუშო ფორმა.

სახელმწიფო ბანკის . . . . . განყოფილების
194 წლის „ “ . . . . . № . . ოქმით დადგენილების
თანახმად . . . . . სანოტარო კონტორისათვის დადგენილია სახელმწიფო ბაჟის მარკების ავანსი . . . . . მანეთის თანხით.

თვე და რიცხვ		მარკების ღირებულება (რაოდენობა)					სულ მარკების ღირებულება	სულ ნაღდი ფული
		1 მან.	3 მან.	5 მან.	10 მან.	25 მან.		
1 თებერვალი	მიღებულია . .	50	15	16	10	5	400	—
	გაყიდულია . .	10	5	10	5	3	200	—
2 თებერვალი	ნაშთი	40	10	6	5	2	200	200
	გაყიდულია . .	20	5	1	1	2	100	—
3 თებერვალი	ნაშთი	20	5	5	4	—	100	300
	მიღებულია . .	30	10	11	6	5	300	—
4 თებერვალი	სულ ნაშთიანად	50	15	16	10	5	400	—
	გაყიდულია . .	15	5	10	2	1	125	—
	ნაშთი	35	10	6	8	4	275	125

XV. საქმისწარმოება.

სანოტარო საქმისწარმოების ფორმების შესახებ

სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1936 წლის 23 ნოემბრის № 12 ცირკულარი.

სანოტარო საქმისწარმოების მომქმედ ფორმებში ერთნაირობის შეტანის მიზნით სსრ კავშირის იუსტიციის სახ. კომისარიატი წინადადებას იძლევა შემოღებულ იქნას სსრ კავშირის ყველა სანოტა-

რო კონტორაში რეესტრისა და მისი ალფაბეტის საკალდებულო ფორმები, შემოწმების ფორმები, ფორმების დამოწმების წარწერებისათვის გარიკეებზე და სხვა დოკუმენტებზე. ამ ახალი ფორმებით სანოტარო საქმეთა წარმოების დროს უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგი წესებით:

1. დამოწმების წარწერაში და შემოწმების ტექსტში აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ სანოტარო მოქმედებაში მონაწილე პირთა პირადობა, უფლება-უნარიანობა და ქმედობაუნარიანობა, აგრეთვე მათ წარმომადგენელთა პირადობა და უფლებამოსილობა, შემოწმებულია ნოტარიუსის მიერ, ასეთი აღნიშვნა დამოწმების წარწერასა და შემოწმების ტექსტში შეიტანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ხსენებული გარემოებანი შემოწმებული იყო ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების დროს.

2. დამოწმების წარწერაში აღინიშნება აგრეთვე, რომ დოკუმენტს ხელი მოაწერა იმ პირმა, რომლისთვისაც სანოტარო მოქმედება სრულდება, ან მისმა წარმომადგენელმა საკუთარი ხელით ნოტარიუსის თანადასწრებით ან რომ მან დოკუმენტზე ხელმოწერა თავის ხელმოწერად სცნო.

3. თუ იმ პირს, რომლისთვისაც სანოტარომოქმედება სრულდება, წერაკითხვის უცოდინრობის ან სხვა მიზეზით არ შეუძლიან დოკუმენტზე ხელის მოწერა და ამას სხვა პირს ანდობს, ეს გარემოებაც აგრეთვე აღინიშნება დამოწმების წარწერაში იმ პირის გვარის, სახელის და მამის სახელის აღნიშვნით, რომლებმაც ამ შემთხვევაში დოკუმენტს ხელი მოაწერა.

4. გაუქმებულია (სსრკ იუსტსახკომისრის 1943 წლის 17 ივლისის № 56 ბრძანება).

5. სანოტარო დაწესებულებიდან გაცემულ მოწმობებში დამკვიდრების უფლების შესახებ, აგრეთვე ანდერძზე გაკეთებულ წარწერაში დამკვიდრების უფლების შესახებ, უნდა აღნიშნულ იქნას როგორი ნათესაობაა მემკვიდრესა და სამკვიდროს დამტოვებელ შორის (გარდაცვალებულის მეუღლე, შვილად აყვანილი მისი შთამომავლობით, შრომის უნარ დაკარგული და ხელმოკლე პირები, რომლებიც ფაქტიურად იმყოფებოდნენ სამკვიდროს დამტოვებლის სრულ კმაყოფაზე მის გარდაცვალებამდე ერთ წელზე არა ნაკლები დროის განმავლობაში).

6. რეესტრი წარმოებულ უნდა იქნას წიგნის ფორმით. რეესტრში შეიტანება სანოტარო დაწესებულების მიერ შესრულებული ყველა სანოტარო მოქმედება, მათ შორის დოკუმენტების ასლების

სისწორისა და დოკუმენტების ამონაწერის სისწორის შემოწმება; რეესტრში არ ჩაიწერება ფულადი თანხების დეპოზიტად მიღებასთან დაკავშირებით შესრულებული მოქმედება; ეს მოქმედება ტარდება საფულე წიგნში, რეესტრში ჩანაწერები შეიტანება ალფაბეტში, რომელსაც აგრეთვე წიგნის ფორმა უნდა ჰქონდეს,

7. სახალხო მოსამართლეები და სანოტარო მაგიდები[1] აწარმოებენ რეესტრს ერთ წიგნათ. სანოტარო კონტორებში კი რეესტრი შეიძლება იყოს ერთ ან ორ ნაწილად, ეს დამოკიდებულია სანოტარო კონტორაში შესრულებულ სანოტარო მოქმედებათა რაოდენობაზე. რეესტრის პირველ ნაწილში შეიტანება ყველა კენტი ნომერი, მეორე ნაწილში ყველა ლუწი ნომერი. რეესტრის ორივე ნაწილს უნდა ჰქონდეს საერთო ნომერაცია.

8. იმ სანოტარო კონტორებში, სადაც სანოტარო მოქმედება დიდი რაოდენობით სრულდება, რეესტრი საოლქო და სამხარეო სასამართლოების თავმჯდომარეთა[2] ნებართვით შეიძლება წარმოებულ იქნას ხუთ ნაწილად, რომელთაც ერთი საერთო ნუმერაცია უნდა ჰქონდეს. პირველ ნაწილში შეიტანება ნომრები, დაწყებული პირველი ნომრიდან ხუთი შემდეგი ნომრის გაშვებით, ე. ი. ნომერი 1, 6, 11, 16, 21 და ა. შ., მეორე ნაწილში შეიტანება ნომრები, დაწყებული მეორე ნომრიდან ხუთი შემდეგი ნომრის გაშვებით, ე. ი. 2, 7, 12, 17, 22 და ა. შ.

9. რეესტრის ერთი ნაწილის მოხლების რიცხვი შეიძლება მხოლოდ ერთი ნომრით იყოს მეტი მეორე ნაწილისა უხლების რიცხვზე, სანოტარო წესით დამოწმებულ გარიგებათა შინაარსი, მათ შორის დარწმუნებულობის შინაარსიც, რეესტრში არ იწერება. დანარჩენ შემოწმებათა შინაარსი კი რეესტრში იწერება მოკლედ. სანოტარო მოქმედების შესრულებისა და რეესტრის ჩანაწერის თარიღი უნდა ერთი მეორეს ემთხვეოდეს.

10. რეესტრი უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი და ფურცლობრივ დამოწმებული, იგი უნდა იყოს ხელმოწერილი და დალუქული სახალხო ან სამხარეო სასამართლოს ბეჭდით, ეს იმის და მიხედვით, თუ ვისთვის არის რეესტრი განკუთვნილი: სანოტარო მაგიდის, დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში მდებარე სა-

---

1. ამ ჟამად სახალხო სასამართლო სანოტარო ფუნქციებს აღარ ასრულებს, სანოტარო მაგიდები კი მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობათა დადგენილებებით რეორგანიზებული არიან სანოტარო კონტორებად.

2. იუსტიციის სახკომისარიატების სამმართველოთა დაარსების შემდეგ სანოტარო კონტორების საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი თვით სანოტარო კონტორის მიერ წყდება.

ნოტარო კონტორების, საოლქო სანოტარო კონტორებისა თუ სამხარეო სანოტარო კონტორებისათვის.

11. ისეთი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სანოტარო კონტორების რეესტრები კი, სადაც მხარეებად და ოლქებად დაყოფა არ არის, მათში ქონებული ფურკლების რაოდენობის შესამოწმებლად წარედგინებათ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებს. რეესტრში არსებული ხარვეზები უნდა გადაიხაზოს, ამოფხეკა დაუშვებელია, ხოლო ყოველგვარი შესწორება და მინაწერი სიტყვები უნდა დაიწეროს სხვა ფერი მელნით და აღინიშნოს ჩანაწერის ბოლოს ნოტარიუსის ხელმოწერით.

12. რეესტრები და მათი ალფაბეტი, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში—შტამპები და ბლანკები შემოწმების ფორმებით შეკვეთილ უნდა იქნას ადგილობრივ.

ამასთანავე დართულია დამოწმების წარწერის, შემოწმებისა და რეესტრსა და ალფაბეტში ჩანაწერების ფორმები.

დამოწმების წარწერის და სხვადასხვა შემოწმების ფორმები

სსრკ იუსტსახკომისარიატის 1936 წლის 23 ნოემბრის № 12 ცირკულარის დანართი

ფორმა № 1.

დამოწმების წარწერა სანოტარო წესით დამოწმებულ კერძო პირთა მიერ დადებულ ხელშეკრულებაზე შენობისა ან აღნაგობის უფლების გასხვისების შესახებ

1937 წ. იანვრის „ ". ეს ხელშეკრულება სანოტარო წესით დავამოწმე მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსმა (გვარი და ინციალები) . . . . . მოქ. (გვარი, სახელი და მამის სახელი) სახელით. ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეთა მიერ საკუთარი ხელით, ჩემი, ნოტარიუსის, თანადასწრებით (ან ხელშეკრულებაზე ქონებული ხელმოწერა მხარეთა მიერ თავის ხელმოწერად არის ცნობილი). მხარეთა პირადობა, უფლებაუნარიანობა და ქმედობაუნარიანობა, აგრეთვე ის, რომ გასასხვისებელი შენობა (აღნაგობის უფლება) მოქ. . . . . (გამყიდველის გვარი) ეკუთვნის ჩემ მიერ შემოწმებულია. გადახდევინებულია. სახელმწიფო ბაჟი . . . . . მანეთი. აქედან

. . . . . მან. ხელშეკრულების პროექტის შედგენისათვის და . . . . . მან. მისი დამოწმებისათვის. რეესტრით № . . . . მეორე ეკზემპლარი. ხელშეკრულება მისი ბათილობის რიდით უნდა წარედგინოს რეგისტრაციისათვის კომუნალურ განყოფილებას.

(ბეჭდის ადგილი) ნ ო ტ ა რ ი უ ს ი. . . . . .

(ხელმოწერა)

ფორმა № 2

დამოწმების წარწერა სანოტარო წესით დამოწმებულ იურიდიულ პირთა მიერ დადებულ ხელშეკრულებაზე.

1937. წ. იანვრის „ " ეს ხელშეკრულება სანოტარო წესით დავამოწმე მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარუსმა (გვარი და ინციალები) . . . . . (იურიდიულ პირთა სრული სახელწოდება) სახელით . . . . . იურიდიული პირის წარმომადგენლის თანამდებობა, გვარი, სახელი და მამის სახელი . . . . . სახით, რომელმაც ჩემ, ნოტარიუსის, თანადასწრებით ხელშეკრულებას საკუთარი ხელით მოაწერა ხელი (ან სცნო, რომ ხელშეკრულება მის მიერ არის ხელმოწერილი).

მხარეთა უფლებაუნარიანობა და ქმედობაუნარიანობა, აგრეთვე მათ წარმომადგენელთა პირადობა და უფლებამოსილობა შემოწმებულია. გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი . . . . . მანეთი მარკებად. რეესტრის მიხედვით № . . . . მეორე ეკზემპლარი.

(ბეჭდის ადგილი)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა).

ფორმა № 3

დამოწმების წარწერა ანდერძზე

1937 წლ. იანვრის „ ", ეს ანდერძი სანოტარო წესით დავამოწმე მე . . . . . სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსმა (გვარი და ინიციალები). მეანდერძის პირადობა, უფლებაუნარიანობა და ქმედობაუნარიანობა შემოწმებულია. ანდერძი ხელმოწერილია მოანდერძის (გვარი, სახელი და მამის სახელი) მიერ საკუთარი ხელით ჩემი, ნოტარიუსის, თანდასწრებით. გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი . . . . . მანეთი მარკებად. აქედან . . . . . მან. ანდერძის პროექტის შედგენისათვის

და . . . . . მან. მისი დამოწმებისათვის. რეესტრით . . . .
მეორე ეკზემპლარი.
(ბეჭდის ადგილი)
ნოტარიუსი (ხელმოწერა)

ფორმა № 4.

დამოწმების წარწერა სანოტარო წესით დამოწმებულ იურიდიულ პირთა სახელით გაცემულ რწმუნებულობაზე

1937 წლ. ივლისის „ “. ეს რწმუნებულობა სანოტარო
წესით დავამოწმე მე, ... სანოტარო კონტორის
სახელმწიფო ნოტარიუსმა (გვარი და ინიციალები) . . . . . .
(იურიდიული პირის სრული სახელწოდება) . . . . . .
სახელით . . . . . (იურიდიული პირის წარმომადგენლის თანამ-
დებობა, გვარი სახელი და მამის სახელი) სახით, რომელმაც რწმუ-
ნებულობას საკუთარი ხელით მოაწერა ხელი ჩემი, ნოტარიუსის,
თანადასწრებით (ან სცნო, რომ ხელშეკრულება მის მიერ არის
ხელმოწერილი) . . . . . (იურიდიული პირის
სახელწოდება) . . . . . უფლებაუნარიანობა და ქმედო-
ბაუნარიანობა, აგრეთვე მისი წარმომადგენლის პირადობა და უფლე-
ბამოსილობა შემოწმებულია. გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი.
. . . . . მანეთი სახელმწიფო საბაჟო მარკებად. რეე-
სტრით № . . . . მეორე ეკზემპლარი.
(ბეჭდის ადგილი)
ნოტარიუსი (ხელმოწერა).

ფორმა № 5

დამოწმების წარწერა სანოტარო წესით დამოწმებულ რწმუნებულობაზე წერაკითხვის უცოდინარის სახელით

1937 წლ. იანვრის „ “. ეს რწმუნებულობა სანოტა-
რო წესით დავამოწმე მე, ... სანოტარო კონტო-
რის სახელმწიფო ნოტარიუსმა (გვარი და ინიციალები) მოქალაქე .
. . . . . (გვარი, სახელი და მამის
სახელი) სახელით, რომელმაც წერაკითხვა არ იცის და რომლის
პირადი თხოვნით რწმუნებულობას ჩემი თანადასწრებით ხელი მოა-
წერა მოქალაქე (გვარი, სახელი და მამის სახელი). მოქ. (რწმუნე-
ბულობის გამცემის გვარი, სახელი და მამის სახელი) უფლებაუნარია-

ნობა, ქმედობაუნარიანობა და პირადობა, აგრეთვე მოქ. (კარიგების
მონაწილე წერაკითხვის უცოდინარის მაგიერ ხელის მომწერი პირის
გვარი) პირადობა შემოწმებულია. გადახდევინებულია სახელმწიფო
ბაჟი. . . . . მანეთი საბაჟო მარკებად. რეესტრით
№ . . . . მეორე ეკზემპლარი.
(ბეჭდის ადგილი)
ნოტარიუსი (ხელმოწერა).

ფორმა № 6.

დამოწმების წარწერა საზღვარგარეთ მოქმედების შესრულებისათვის გაცემულ რწმუნებულობაზე.

მე, (სახელი, მამის სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის
მისამართი ქალაქის აღნიშვნით), ამით ვამოწმებ, რომ ზემოთმოყვა-
ნილი რწმუნებულობა გაცემულია მოქალაქის (სახელი, მამის სახელი,
გვარი) მიერ, რომელიც ცხოვრობს (მისამართი ქალაქის, სოფლის და
ა. შ. აღნიშვნით) და რომლის პირადობა, ხელმოწერის სინამდვილე,
აგრეთვე უფლებაუნარიანობა და ქმედობაუნარიანობა რწმუნებულო-
ბის გაცემისათვის ჩემს მიერ შემოწმებულია. გადახდევინებულია სა-
ხელმწიფო ბაჟი მარკებად. რეესტრით № . . . მეორე ეკზემპლარი.
(ბეჭდის ადგილი)
ნოტარიუსი (ხელმოწერა)...

ფორმა № 7

დამოწმების წარწერა წერაკითხვის უცოდინარის სახელით სანოტარო წესით დამოწმებულ რწმუნებულობაზე, რომელიც გაცემულია მოქმედების შესრულებისათვის საზღვარგარეთ.

მე, (სახელი, მამის სახელი, გვარი), ქალაქ . . . . . .
მდებარე (ქუჩა, სახლის № . . .) . . . . . სანოტარო
კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი, ამით ვამოწმებ, რომ ზემოთ-
მოყვანილი რწმუნებულობა შესრულებულია მოქალაქის (სახელი, მამის
სახელი და გვარი) მიერ, რომელიც ცხოვრობს (მისამართი, ქალაქის
ქუჩის და სახლის № —აღნიშვნით) და რომლის პირადობა, აგრეთვე
უფლებაუნარიანობა და ქმედობაუნარიანობა რწმუნებულობის შეს-
რულებისათვის ჩემ მიერ შემოწმებულია. ამასთან ერთად მე, ნოტა-
რიუსი, ვამოწმებ, რომ ეს რწმუნებულობა მოქალაქის (რწმუნებუ-
ლობის გამცემის პირის სახელი, მამის სახელი და გვარი) წერაკითხ-
ვის უცოდინარობის გამო და მისი პირადი თხოვნით ხელმოწერილია

ჩემი თანადასწრებით მოქალაქის (სახელი, მამის სახელი და გვარი) მიერ, რომელიც ცხოვრობს აქა და აქ და რომლის პირადობა შემოწმებულია, გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი . . . . . მან. მარკებად. მეორე ეკზემპლარი.

(ბეჭდის ადგილი)

ნოტარიუსი (ხელმოწერა)

ფორმა № 8.

რწმუნებულობის გაცემის სანოტარო დამოწმების დროს რწმუნებულობაზე წარწერის ფორმა

ამა რწმუნებულობის საფუძველზე სანოტარო წესით დამოწმებულია რწმუნებულობის გადაცემა . . . . . პირის სახელზე სახელმწიფო სანოტარო კონტორაში 194 წლ. . . . . თვის . . . . . დღე № . . . . . .

(ბეჭდის ადგილი)

ნოტარიუსი (ხელმოწერა)

ფორმა № 9.

დამოწმების წარწერა ასლის სისწორის შემოწმების შესახებ

1937 წლ. იანვრის „ " მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი და ინიციალები) ვამოწმებ ამა ასლის სისწორეს მის დედანთან.

დედანთან ამ ასლის შედარების დროს დედანში შესწორება, ამოფხეკა, მიწერილი, წაშლილი სიტყვები და სხვა განსაკუთრებული რამ თვისება არ აღმოჩნდა. (ან აღმოჩნდა ესა და ეს მინაწერი, შესწორება და სხვ.). გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი . . . . . ?ანეთი საბაჟო მარკებად.

რეესტრით № . . . .

(ბეჭდის ადგილი)

ნოტარიუსი (ხელმოწერა)

ფორმა № 10.

დამოწმების წარწერა ამონაწერის სისწორის შემოწმების შესახებ.

1937 წლ. იანვრის „ " მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი და ინიციალები) ვამოწმებ ამა ამონაწერის სისწორეს დედან-ჩანაწერებთან,

რომელიც მოთავსებულია ამა და ამ ორგანიზაციის . . . . . წიგნის . . . . . გვერდზე სათაურით „ . . . . . " და რომელიც წარმოდგენილ იქნა აქა და აქ მცხოვრების ამისა და ამის მიერ. დედან ჩანაწერთან ამ ამონაწერის შედარების დროს დედან ჩანაწერში არავითარი შესწორება, ამოფხეკა, მიწერილი, წაშლილი სიტყვები და სხვა განსაკუთრებული რამ თვისება არ აღმოჩნდა (ან აღმოჩნდა ესა და ეს შესწორება, მინაწერი და სხვ.). გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი . . . . . მანეთი საბაჟო მარკებად.

(ბეჭდის ადგილი)

ნოტარიუსი (ხელმოწერა)

ფორმა № 12

დამოწმების წარწერა ხელმოწერის სინამდვილის შემოწმების შესახებ

მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი და ინიციალები), ვამოწმებ, რომ ამ დოკუმენტზე ნამდვილად ხელი მოაწერა მოქალაქე (გვარი, სახელი და მამის სახელი), რომელიც ცხოვრობს აქა და აქ და რომელმაც დოკუმენტს მოაწერა საკუთარი ხელით ჩემი, ნოტარიუსის, თანადასწრებით. მოქ. (გვარი) პირადობა შემოწმებულია. გადახდევინებულია . . . . . მან. სახელმწიფო ბაჟი მარკებად.

რეესტრით № . . . .

(ბეჭდის ადგილი)

ნოტარიუსი (ხელმოწერა)

ფორმა № 13.

ფორმა წარწერისა განცხადების ერთი მხრის მიერ მეორე მხარისათვის გადაცემის შესახებ

ამასა და ამას (გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი) . . . . . სახელმწიფო სანოტარო კონტორა უგზავნის (ამისი და ამის) განცხადების ასლს.

დანართი: განცხადების ასლი.

ქალ. . . . . 193 . . წლ.

(ბეჭდის ადგილი)

ნოტარიუსი (ხელმოწერა).

ფორმა № 14.

მოწმობა, რომელსაც იძლევა სანოტარო კონტორა გადაცემულ განცხადების შესახებ

მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი და ინიციალები) ვამოწმებ: 1) რომ ამა და ამ წელს, თვესა და რიცხვს (სიტყვებით) ამან და ამან (გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი) დაავალა კონტორას გადასცეს ამას და ამას (გვარი, სახელი, მამის სახელი) მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), ქალაქი, ქუჩა, სახლი № . . .) განცხადება შემდეგი შინაარსისა: (განუცხადების სიტყვა-სიტყვით მოყვანა); 2) რომ იმავე დღეს, ამა და ამ საათზე სანოტარო კონტორამ გადასცა ხსენებული განცხადება ამასა და ამას ზემოთ ნაჩვენები მისამართით და 3) რომ ამანა და ამან განუცხადა კონტორას რომ . . . . . , ან იგი აღმოჩნდა წასული თავის საცხოვრებელ ადგილიდან, ან რომ მოქალაქის . . . . . პასუხი მისთვის გადაცემულ განცხადებაზე ჯერ მოსული არ არის.

გადახდევინებულია . . . . . მან. სახელმწიფო ბაჟი მარკებად ქალ. . . . . 193 წ.

რეესტრით № . . . .

(ბეჭდის ადგილი)

ნოტარიუსი (ხელმოწერა)

ფორმა № 15

კონტორისათვის ცნობის გაგზავნა მოვალის მიერ სანოტარო კონტორის დეპოზიტში ფულადი თანხის შეტანის შესახებ

სანოტარო კონტორის შტამპი. მოქ . . . . . (კრედიტორის სახელწოდება—სახელი, მამის სახელი, გვარი) . . . . . მისამართი . . . . . .

მოქალაქის (დასახელება) მიერ შემოტანილია . . . . . სანოტარო კონტორის დეპოზიტში . . . . . მან. თქვენთვის გადმოსაცემად . . . . . (სავალო დოკუმენტის დასახელება)—ით ვალის ანგარიშში ვადით 193 წ . . . . . ეს ფული შეტანილია სანოტარო კონტორის დეპოზიტში . . . . . (ამა და ამ რიცხვის) ქვითრით № . . . . , აღნიშნული ფულის მისაღებად თქვენ უნდა გამოცხადდეთ . . . . . სანოტარო კონტორაში, რომელიც იმყოფება (აქა და აქ), თან იქონიეთ პასპორტი. (ხოლო იქ, სადაც საპასპორტო სისტემა შემოღებული არ არის საჭიროა პირადობის დოკუმენტი).

(ბეჭდის ადგილი)

ნოტარიუსი (ხელმოწერა)

ფორმა 16

წარწერა მოვალის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტზე სანოტარო კონტორაში ფულის დეპოზიტად შეტანის შესახებ

მე . . . . . სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი და ინიციალები), ვამოწმებ, რომ ამა დოკუმენტით მოქალაქემ (სახელი, მამის სახელი და გვარი), რომელიც ცხოვრობს (აქა და აქ) ვალდებულების დასაფარავად ვადით . . . . ან . . ვალდებულების მთლიანად დასაფარავად შემოიტანა . . . . . მანეთი სანოტარო კონტორაში 193 წ . . . . . „ “ ქვითრით № . . . . . გადახდევინებულია . . . მან.

სახ. ბაჟი მარკებად. თარიღი. ქალაქი.

რეესტრით № . . .

(ბეჭდის ადგ.)

ნოტარიუსი (ხელმოწერა).

ფორმა № 17

მოწმობა კანონით დამკვიდრების უფლების შესახებ[1].

1937 წლ. იანვრის „ “ მე . . . . . სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი გვარი და ინიციალები), ვამოწმებ რომ მოქალაქის (სამკვიდროს დამტოვებლის გვარი, სახელი და მამის სახელი, რომლიც გარდაიცვალა (წელიწადი, თვე და რიცხვი) მთელი ქონების თანაბარ ნაწილებად მემკვიდრენი არიან: 1) მისი ცოლი (გვარი, სახელი და მამის სახელი); 2) ქალიშვილი (გვარი, სახელი და მამის სახელი); 3) შვილიშვილი, (გვარი, სახელი და მამის სახელი), და 4) მისი შრომისუნარა მოკლებული და არაფრის მქონე დისწული (გვარი, სახელი და მამის სახელი), რომელიც 1932 წლიდან სრულ მის კმაყოფაზე იმყოფებოდა და რომელიც ცხოვ-

[1] დამკვიდრების უფლების შესახებ გაცემულ მოწმობაში უნდა ჩამოითვალოს სამკვიდრო ქონების შემადგენლობა და მისი შეფასება.

რობს აქა და აქ. გადახდევინებულია . . . . მან. სახელმწიფო ბაჟი მარკებად. რეესტრით № . . . .
(ბეჭდის ადგილი)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა)

ფორმა № 18

წარწერა ანდერძზე დამკვიდრების უფლების შესახებ.

1937 წლ. იანვრის „ “ მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი და ინიციალები), ვამოწმებ, რომ ამა ანდერძის საფუძველზე, რომელიც დამოწმებულია . . . . . სანოტარო კონტორაში (წელიწადი, თვე და რიცხვი) რეესტრით № . . . . . მოქალაქის (ანდერძის გვარი, სახელი მამის სახელი), რომელიც გარდაიცვალა (წელიწადი, თვე და რიცხვი), ქონების შემკვიდრეები არიან მოანდერძის ცოლი (გვარი, სახელი და მამის სახელი) და ვაჟიშვილი (გვარი, სახელი და მამის სახელი), რომლებიც ცხოვრობენ აქა და აქ.
გადახდევინებულია . . . მანეთი სახელმწიფო ბაჟი მარკებად.
რეესტრით № . . . . . .
(ბეჭდის ადგილი)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა)

ფორმა № 19

მოწმობა საზღვარ გარეთ მყოფ ქონებაზე დამკვიდრების უფლების შესახებ.

1937 წლ. იანვრის „ „ მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი, სახელი და მამის სახელი), ვამოწმებ, რომ მოქალაქის (სამკვიდროს დამტოვებლის გვარი, სახელი და მამის სახელი), რომელიც გარდაიცვალა (წელიწადი, თვე და რიცხვი) მთელი ქონების, რისგანაც კი იგი უნდა შესდგებოდეს და სადაც კი უნდა იმყოფებოდეს, ერთადერთი შემკვიდრეები არიან 1) გარდაცვალებულის ცოლი (გვარი, სახელი და მამის სახელი), 2) ქალიშვილი (გვარი, სახელი და მამის სახელი) და 3) შვილიშვილი (გვარი, სახელი და მამის სახელი), რომელნიც ცხოვრობენ აქა და აქ.
გადახდევინებულია . . . . . მან. სახ. ბაჟი მარკებად.
რეესტრით № . . . .
(ბეჭდის ადგილი)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა)

ფორმა № 20

მოწმობა უკვალოდ დაკარგულის, გარდაცვალებულად ცნობის შესახებ[1]

მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი გვარი და ინიციალები ვამოწმებ, რომ უკვალოდ დაკარგული (ამა და ამ წლიდან, თვიდან და რიცხვიდან) მოქალაქე (გვარი, სახელი, მამის სახელი, სოციალური მდგომარეობა), რომელიც დაბადებულია (დაბადების ადგილი), ამა და ამ წელს, თვეს და რიცხვს და ცხოვრობდა (აქა და აქ) ცნობილ იქნა გარდაცვალებულად (ამა და ამ წელს, თვეს და რიცხვს).
გადახდევინებულია . . . . . მან. სახბაჟი მარკებად.
რეესტრით № . . . . . .
(ბეჭდის ადგილი)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა)

ფორმა № 21

დოკუმენტის წარდგენის დროის შემოწმება.

მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი და ინიციალები), ვამოწმებ, რომ (წელიწადი, თვე და რიცხვი) დღის 2 საათსა და 30 წუთზე (სიტყვებით), ეს დოკუმენტი წარმოადგინა სანოტარო კონტორაში (ამანა და ამან), რომელიც ცხოვრობს (აქა და აქ). პირადობა (ამისი და ამისი) შემოწმებულია. გადახდევინებულია . . . . . მან. სახ. ბაჟი მარკებად.
ქალაქი . . . . . (წელიწადი, თვე და რიცხვი), რეესტრით № . . . .
(ბეჭდის ადგილი)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა)

ფორმა № 22

პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტის შემოწმება.

მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი, სახელი და მამის სახელი), ვამოწმებ რომ ათას ცხრაას

---

1. მოწმობის № 20 ფორმა დამტკიცებულია სსრკ იუსტსახკომისრის 1937 წლის 17 ივნისის № 60 ბრძანებით.

ოცდა ჩვიტმეტ წელს თებერვლის ოცდა სამს, ორ საათსა და თხუთმეტ წუთზე სანოტარო კონტორაში გამოცხადდა მოქ. პეტრე ივანეს-ძე ივანოვი, მცხოვრები აქა და აქ და, წარმომიდგინა რა თავისი ორი შვილი—ივანე პეტრესძე ივანოვი 8 წლისა და პეტრე პეტრესძე ივანოვი,—6 წლისა, მცხოვრებნი აქა და აქა, განაცხადა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შემოწმებული ყოფილიყო მისი და მისი შვილების ივანე და პეტრე ივანოვების ცოცხლად ყოფნის ფაქტი (მოქ. ივანოვის ხელმოწერა მისი სახელის, მამის სახელის და გვარის აღნიშვნით) მოქ. ივანოვების პირადობა დადგენილია წარმოდგენილი დოკუმენტებით.

აღნიშნულის საფუძველზე მე, ნოტარიუსი, ვამოწმებ, რომ მოქ. ივანოვები (აღინიშნოს მათი სახელი და მამის სახელი) ცოცხლები არიან და ცხოვრობენ აქა და აქ.

გადახდევინებულია . . . . . მან. სახელმწიფო ბაჟი მარკებად. 1937 წლ. 23 თებერვალი.

რეესტრით № . . . .

(ბეჭდის ადგილი)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა)

ფორმა № 23

ამა თუ იმ პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტის შემოწმების შესახებ

მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი, სახელი და მამის სახელი), ვამოწმებ, რომ ათას ცხრაას ოცდა ჩვიდმეტ წელს თებერვლის ოცდა სამს ორ საათსა და თხუთმეტ წუთზე სანოტარო კონტორაში გამოცხადდა გარდაცვალებულის მოქალაქის ივანე პეტრესძე ივანოვის ქვრივი ანნა ივანეს ასული ივანოვა, რომელიც ცხოვრობს აქა და აქ და, წარმომიდგინა რა მე, ნოტარიუსს, თავისი ორი შვილი—ვაჟი ფილიპე ივანესძე ივანოვი 6 წლისა და ვაჟი დიმიტრი ივანესძე ივანოვი 8 წლისა, რომლებიც ცხოვრობენ აქა და აქ, განაცხადა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შემოწ ებული ყოფილიყო როგორც მისი, ივანოვას, ისე მისა შვილების ფილიპე და დიმიტრი ივანოვების ცოცხლად ყოფნის ფაქტი, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ის, ივანოვის ქვრივი, არ გათხოვილა (მოქ. ივანოვას ხელმოწერა მისი გვარის, სახელის და მამის სახელის აღნიშვნით). მოქ. ივანოვების პირადობა, აგრეთვე ის გარემოება, რომ ივანოვის ქვრივი არ გათხოვილა, დადგენილია წარმოდგენილი დოკუმენტებით. აღნიშნულის საფუძ-

ველზე მე, ნოტარიუსი, ვამოწმებ, რომ მოქ. ივანოვები (აღინიშნოს თვითეულის სახელი და მამის სახელი) ცოცხლები არიან და ცხოვრობენ აქა და აქ—და რომ ივანოვის ქვრივი (აღინიშნოს სახელი და მამის სახელი) არ გათხოვილა.

გადახდევინებულია . . . . . მან. სახ. ბაჟი მარკებად. 1937 წლის 23 თებერვალი.

რეე ტრით № . . . . .

(ბეჭდის ადგილი)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა)

ფორმა № 24

ამა თუ იმ პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტის შემოწმების შესახებ

მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი, სახელი და მამის სახელი), ვამოწმებ, რომ ათას ცხრაას ოცდა ჩვიდმეტი წლის თებერვლის ოცდა სამს ორ საათსა და თხუთმეტ წუთზე სანოტარო კონტორაში გამოცხადდა მოქ. ივანე ივანესძე ივანოვი, რომელიც ცხოვრობს აქა და აქ, (აღინიშნოს მისამართი) და განაცხადა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სანოტარო კონტორამ შეამოწმოს მისი ცოცხლად ყოფნის ფაქტი (იმ პირის ხელმოწერა, რომლის ცოცხლად ყოფნა მოწმდება). მოქ. ივანოვის პირადობა დადგენილია წარმოდგენილი დოკუმენტებით. აღნიშნულის საფუძველზე მე, ნოტარიუსი, ვამოწმებ, რომ მოქ. ივანოვი (სახელი, და მამის სახელი) ცოცხალია და ცხოვრობს აქა და აქ.

გადახდევინებულია . . . მან. სახელმწიფო ბაჟი მარკებად. 1937 წლის 23 თებერვალი.

რეესტრით № . . . . . .

(ბეჭდის ადგილი)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა).

ფორმა № 25

ამა თუ იმ პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტის შემოწმება

მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი, სახელი და მამის სახელი), ვამოწმებ, რომ ათას ცხრაას ოცდა ჩვიდმეტი წლის თებერვლის ოცდა სამს ორ საათსა და თხუთმეტ წუთზე სანოტარო კონტორაში გამოცხადდა მოქ. ივანე ივანესძე ივანოვი, რომელიც ცხოვრობს აქა და აქ და რომელიც არის

აქა და აქ მცხოვრები ობლების დიმიტრიევების: 1) 8 წლის ივანე პეტრესძის და 2) 6 წლის პეტრე პეტრეს-ძის პიროვნებისა და ქონების მეურვე და, წარმოვიდგინა რა მე, ნოტარიუსს, ხსენებული ობლები, განაცხადა შუამდგომლობა მათი ცოცხლად ყოფნის ფაქტის შემოწმება (მეურვე ივანოვის ხელმოწერა). მოქ. ივანოვის და დიმიტრიევების პირადობა, აგრეთვე ობლები დიმიტრიევების პიროვნებისა და ქონების მეურვედ მოქ. ივანოვის დანიშვნის ფაქტი დადგენილია წარმოდგენილი დოკუმენტებით.

აღნიშნულის საფუძველზე მე, ნოტარიუსი, ვამოწმებ, რომ ობლები დიმიტრიევები (აღნიშნოს მათი სახელი და მამის სახელი ცალ-ცალკე) ცოცხლები არიან და ცხოვრობენ აქა და აქ.

გადახდევინებულია . . . . მან. სახელმწიფო ბაჟი მარკებად. 1937 წლის 23 თებერვალი. რეესტრით № . . .

(ბეჭდის ადგილი)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა)

ფორმა № 26

ფორმა წარწერისა ჩეკის გაუნაღდებლობის შესახებ.

მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი ვამოწმებ, რომ ეს ჩეკი წარედგინა (გადამხდელის დასახელება) და არ იყო განაღდებული.

გადახდევინებულია . . . . . მან. სახელმწიფო ბაჟი მარკებად, ქალ . . . . . 1>4 წ. . . . . „ „ რეესტრით № . . . . . .

(ბეჭდის ადგილი)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა)

ფორმა № 27

აქტი საზღვაო პროტესტის შესახებ

მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსმა (გვარი და ინიციალები), შევადგინე ეს აქტი საზღვაო პროტესტის შესახებ,

კაპიტანძა . . . . . (ნავჭურჭლის დასახელება და ეროვნება, კაპიტანის ეროვნება, გვარი და სახელი) . . . . . 193 წ . . . . . „ „ განაცხადა მომხდარი ავარიის (საერთო ან ნაწილობრივი) ან ნავჭურჭელთა შეჯახების შესახებ.

კაპიტანის გადმოცემით ავარია გამოიხატა შემდეგში: . . . . . .

. . . . . .

განცხადება შემოტანილ იქნა ავარიის მომენტიდან . . . . . (ამდენი და ამდენი) დროს გასვლის შემდეგ.

193 წ . . . . . „ „ წარმოდგენილი სანავჭურჭლო ჟურნალიდან (ან სანავჭურჭლო ჟურნალის ამონაწერიდან ან და კაპიტანის განცხადებიდან) სჩანს: . . . . . .

. . . . . .

ნოტარიუსმა დაჰკითხა კაპიტანი, ნავჭურჭლის საკომანდო შემადგენლობის და ნავაქურჭლის კომანდის პირები (თანამდებობის დასახელება, სახელები და გვარები).

დაკითხულებმა აჩვენეს.

1. (თანამდებობა, სახელი და გვარი) . . . . . (მოწმის ხელმოწერა)

. . . . . .

2. (თანამდებობა. სახელი და გვარი) . . . . . (მოწმის ხელმოწერა)

. . . . . .

3. (თანამდებობა, სახელი და გვარი) . . . . . (მოწმის ხელმოწერა)

. . . . . .

გადახდევინებულია . . . . . მან. სახელმწიფო ბაჟი მარკებად. ქალ. . . . . 193 წ. რეესტრით № . . . . . .

(ბეჭდის ადგილი)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა)

ფორმა № 28

აღსრულების წარწერა სანოტარო წესით დამოწმებულ გარიგებაზე

 აღსრულების წარწერა

მე. . . . . სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსმა (გვარი და ინიციალები) ამ . . . . . (გირავნობის აქტით და ა. შ.) . . . . . ით, რომელიც სანოტარო წესით არის დამოწმებული . . . . . (ამა და ამ) სახელმწიფო სანოტარო კონტორაში (წელიწადი, თვე და რიცხვი), რეესტრით № . . . , წინადადებას ვიძლევი გადახდეს (მოვალის გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი ან მოვალე—იურიდიული პირის ზუსტი დასახელება და მისი მისამართი) ამისი და ამის სასარგებლოდ (გადმხდევინებლის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი ან გადამხდევინებელი—იურდიული პირის ზუსტი დასახელება და მისი მისამართი) მის მიერ ვადაზე გა-

დუხდელი . . . . . თანხა (სიტყვებით და ციფრებით
პროცენტებით . . . . . და ამ აღსრულების წარ-
წერის მოსახდენად გაწეული ხარჯი . . . . . თანხით.

ეს აღსრულების წარწერა გაკეთებულია სახელმწიფო ნოტარიატის დებულების . . . . . მუხლის საფუძველზე სისრულეში მოსაყვანად სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის . . . . . მუხლის წესით.

გადახდევინებულია . . . . . მან. სახელმწიფო ბაჟი მარკებად ქალ . . . . . წელიწადი, თვე და რიცხვი. რეესტრით № . . . (ბეჭდის ადგილი).

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელისმოწერა)

ფორმა № 3

რეესტრისათვის საალფაბეტო მაჩვენებელი

. . . . . სახელმწიფო სანოტარო კონტორისა
. . . . . წლის

სანოტარო მოქმედების შესრულებაში მონაწილე ფიზიკური პირის გვარი, სახელი და მამის სახელი და იურიდიული პირის დასახელება	
აკიმოვი პეტრე ივანეს-ძე. შენობის ყიდვა-გაყიდვა—დიმიტრიევი. რეესტრით№ 20.	ა
. . . . .	ბ
. . . . .	გ
. . . . .	დ
დიმიტრიევი პეტრე თევდორეს-ძე, შენობის ყიდვა-გაყიდვა—აკიმოვი. რეესტრით № 20.	ე

ფორმა № 31

უცხო ენაზე დაწერილი დოკუმენტის გადათარგმნა . . . . . ენაზე, რაც გაკეთდა სათარგმნი დოკუმენტის დამოწმებასა ან შემოწმებასთან ერთდროულად

1. რწმუნებულობის ტექსტი უცხო რწმუნებულობის თარგმანი
. . . . ენაზე . . . . . ენაზე . . . . .
. . . . . .
. . . . . .

იმ პირთა ხელმოწერა, რომელნიც იძლევიან რწმუნებულობას უცხო ენაზე.

ხელმოწერის განმეორება იმ ენის ალფაბეტის ასოებით, რომელზედაც სწარმოებს სანოტარო ორგანოს საქმეები.

. . . . . ენიდან . . . . . ენაზე გადათარგმნა ნოტარიუსმა (ხელმოწერა), ან მთარგმნელმა (ხელმოწერა).

1937 წლ. იანვრის „ “. ეს რწმუნებულობა სანოტარო წესით დავამოწმე მე (გვარი და ინიციალები) . . . . . სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსმა, მოქალაქეთა (გვარები, სახელები და მამის სახელები) სახელით, რომლებმაც რწმუნებულობას თვითონ პირადად მოაწერეს ხელი ჩემი, ნოტარიუსის, თანდასწრებით (ან სცენს, რომ რწმუნებულობა მათი საკუთარი ხელით არის ხელმოწერილი). აღნიშნულ პირთა პირადობა, უფლებაუნარიანობა და ქმედობაუნარიანობა შემოწმებულია. ამასთან მე, ნოტარიუსი, ვამოწმებ პირადად ჩემთვის ცნობილი მთარგმნელის (გვარი, სახელი და მამის სახელი) ხელმოწერის სინამდვილეს. გადახდევინებულია . . . . . მან. სახელმწიფო ბაჟი მარკებად. რეესტრით № . . . .

(ბეჭდის ადგ.)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა).

ფორმა № 32.

უცხო ენაზე დაწერილი დოკუმენტის რუსულ ენაზე გადათარგმნა.

გადათარგმნა (მთარგმნელის ხელმოწერა, მისი გვარის, სახელის, და მამის სახელის აღნიშვნით).

მე, სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი და ინიციალები), ვამოწმებ რომ ეს ხელმონაწერი ნამდვილად ეკუთვნის პირადად ჩემთვის ცნობილ მთარგმნელს (გვარი, სახელი და მამის სახელი).

გადახდევინებულია. . . . . მან. სახელმწიფო ბაჟი მარკებად. ქალ. . . . . წელიწადი, თვე რიცხვი. რეესტრით № . . . .

(ბეჭდის ადგ.)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა).

№№ რიგზე	წელიწადი თვე და რიცხვი	იმ ფიზიკური პირების გვარი, სახელი და მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი — იურიდიული პირების და მათ წარმომადგენლთა დაწვრილებითი დასახელება, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სანოტარო მოქმედების შესრულებაში	სანოტარო მოქმედების შინაარსი
1	2	3	4
1	2/I	აკიმოვი პეტრე ივანეს-ძე, ცხოვრობს აქა და აქ [redacted] დიმიტრიევი პეტრე თევდორეს-ძე ცხოვრობს აქა და აქ მოსამსახურენი	დამოწმებულია ხელშეკრულება მოქ. აკიმოვის მიერ მოქ. დიმიტრიევზე შენობის გასხვისების შესახებ უმაღლესი (სადასაზღვევო ან ხელშეკრულებაში ნაჩვენები) შეფასებით 10.000 მანეთად.

რეესტრი 19 . . . წლისათვის

სანოტარო მოქმედ ბის შესრულების მონაწილე პირთა ძიერ წარმოდგენილი დოკუმენტები	გადახდევინებულია ერთიანი სახელმწიფო ბაჟი	ხელწერილი დოკუმენტის მიღებაში (გვარი, სახელი, მამის სახელი ან იურიდიული პირის და მისი წარმომადგენლის დასახელება.)
5	6	7
1. პასპორტი, რომელიც გაცემულია მოქ. აკიმოვზე მილიციის ამა და ამ განყოფილებიდან ამა და ამ წელს, თვეს და რიცხვს № . . ით 2. პასპორტი, რომელიც გაცემულია მოქ. დიმიტრიევზე ქალაქ . . . . მილიციის ამა და ამ განყოფილებიდან ამა და ამ წელს, თვეს და რიცხვს № . . . ით 3 . . . სანოტ რო კონტორაში დამოწმებული ამა და ამ წელს, თვეს და რიცხვს რეესტრით № . . . ხელშეკრულება მოქ. აკიმოვის მიერ შეობის შეძენის შესახებ 4. . . . . ალმასკომის კომუნალური განყოფილების ამა და ამ წლის, თვის და რიცხვის № . . . . . ცნობა: ა) შენობაზე რიცხული ყადაღების შესახებ; ბ) შენობის სადასაზღვევო შეფასების შესახებ; გ) სამოქ. სამ. კოდ. 182 მუხლის შინაარსის მიხედვით. 5. ფინგანყოფილების ამა და ამ რიცხვის და № . . ცნობა გამყიდველზე რიცხული გადასახად გამოსაღების ნარჩენის შესახებ.		ხელწერილი დოკუმენტის მეორე ეკზემპლარი მივიღე 1937 წლის 3 იანვარს. პეტრე თევდორეს-ძე დიმიტრიევი

№№ რიგზე	წელიწადი თვე და რიცხვი	იმ ფიზიკური პირების გვარი, სახელი და მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი—იურიდიული პირების და მათ წარმომადგენლთა დაწვრილებითი დასახელება, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სანიტარო მოქმედების შესრულებაში	სანიტარო მოქმედების შინაარსი	სანიტარო მოქმედების შესრულების მონაწილე პირთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები	გადაბეჭდილია ერთიანი სახელმწიფო ბაჟი	ხელწერილი დოკუმენტის მიღებაში (გვარი, სახელი, მამის სახელი ან იურიდიული პირის და მისი წარმომადგენლის დასახელება).
1	2	3	4	5	6	7
3	2/I	ივანე ივანეს-ძე ივანოვი, მუშა, ცხოვრობს აქა და აქ.	დამოწმებულია მისი სახელით რწმუნებულობა ვადით . . . . დამცველთა კოლეგიის წევრის პეტრე ივანეს-ძე სერგეევის სახელზე სასამართლო საქმეთა წარმოებისათვის.	პასპორტი, რომელიც მიეცა ქალ. . . . . მილიციის . . . . . განყოფილებიდან ამა და ამ რიცხვს № . . . . ით.		რწმუნებულების მეორე ეკზემპლარი ძიგილე 1937 წლის 3 იანვარს ივანე ივანეს-ძე ივანოვი.
4	3/I	ივანე ივანეს-ძე ივანოვი, მუშა, ცხოვრობს აქა და აქ.	შემოწმებულია ასლის სისწორე მოწმობიდან მისი დაქორწინების შესახებ მოქ. ანა ივანეს ასულ პეტროვასთან ეს მოწმობა გაცემულია ამა და ამ „ჟაჩის" მიერ ამა და ამ წელს, თვესა და რიცხვს № . . . . ით.			ასლი დედან დოკუმენტთან ერთად მივიღე .937 წლის 4 იანვარს ივანე ივანეს-ძე ივანოვი.
7	5/I	სიდოროვი პეტრე ივანეს ძე, მოსამსახურე, ცხოვრობს აქა და აქ.	შემოწმებულია აქა და აქ მცხოვრების მოქ. პეტრე ივანეს-ძე კარპოვის ხელმოწერის სინამდვილე; კარპოვმა ხელი მოაწერა წერაკითხის უცოდინარის სიდოროვის მაგივრად მის განცხადებას სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობის „ასბესტი"-ს გამგეობის დმი ამხანაგობაში წევრად შესვლის შესახებ.	პასპორტი, რომელიც მიეცა ქალ. . . . . მილიციის . . . . . განყოფილებიდან ამა და ამ რიცხვს № . . . . ით.		განცხადება მივიღე პეტრე ივანეს-ძე სიდოროვმა, მაგრამ მისი წერაკითხვის უცოდინარობის გამო მისი პირადი თხოვნით ხელს ვაწერ პეტრე ივანეს-ძე კარპოვი.
				პასპორტი, რომელიც გაცემულია მოქ. სიდოროვზე ქალ . . . . . მილიციის ამა და ამ განყოფილების მიერ ამა და ამ დროს № . . ით.		
				პასპორტი, რომელიც გაცემულია მოქ. კარპოვზე ქალ . . . . მილიციის ამა და ამ განყოფილების მიერ ამა და ამ წელს, თვესა და რიცხვს № . . . ით.		

შენიშვნა: ამ ფორმაში მოყვანილია შემდეგი სანიტარო მოქმედებათა ჩაწერვის ნიმუშები: 1) შენობის ყოდვა ან ყიდვის ხელშეკრულების დამოწმება; 2) რწმუნებულობის დამოწმება; 3) ასლის სისწორის შემოწმება; 4) ხელმონაწერის სინამდვილის შემოწმება.

ფორმა მოთხოვნისა შენობაზე ან აღნაგობის უფლებაზე ყადაღის დადების შესახებ

ყ ა დ ა ღ ა

ამა და ამ უბნის და რაიონის სახალხო სასამართლოს დადგენილებით ან ამა და ამ სასამართლოს აღმასრულებლის, სახალხო გამომძიებლის, სანოტარო კონტორის მიერ ედება ყადაღა . . . . თანხით (სიტყვით) შენობას, რომელიც ეკუთვნის:

1) გვარი,

2) სახელი,

3) მამის სახელი

მდებარეობს . . . . . ქალაქში . . . . . ქუჩაზე . . . . . №-ით, შესდგება . . . . . (შენობის დაწვრილებითი აღწერა) და შეტანილია ამა და ამ აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილების რეესტრში . . . . . №-ით. ან ედება ყადაღა აღნაგობის უფლებას ქალაქ . . . . . ში . . . . . ქუჩაზე . . . . . №-ით, მდებარე მიწის ნაკვეთს ყველა მასზე აგებული შენობით (შენობების დაწვრილებითი აღწერა); ეს აღნაგობის უფლება შეტანილია ამა და ამ აღმასკომის ან საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილების რეესტრში . . . . . №-ით და ეკუთვნის:

1) გვარი,

2) სახელი,

3) მამის სახელი,

ან იურიდიული პირის სრული დასახელება. ყადაღა ედება უზრუნველ-საყოფად ამა და ამ პირის სარჩელისა აღნიშნულ შენობასა ან აღნაგობის უფლებაზე საკუთრების უფლების შესახებ, ან ამა და ამ სახალხო სასამართლოს ამა და ამ თარიღის ამა და ამ ნომრის აღმასრულებელი ფურცლის საფუძველზე. ან უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებისა, რომლის თანახმად აღნიშნული შენობა დაგირავებულია ამა და ამ პირთან ან დაწესებულებასთან და რომელიც დამოწმებულია ამა და ამ სანოტარო კონტორაში ამა და ამ რიცხვს რეესტრით № . . . . ,ან და გირავნობის მოწმობის გაცემის გამო.

თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი ს პ ი რ ი ს ხ ე ლ მ ო წ ე რ ა.

(ბეჭდის ადგ.)

ფორმა მოთხოვნისა შენობაზე ან აღნაგობის უფლებაზე დადებული ყადაღის მოხსნის შესახებ.

ყადაღის მოხსნა.

ამა და ამ პირის: 1) გვარი, 2) სახელი, 3) მამის სახელი ან იურიდიული პირის სრული დასახელება კუთვნილ შენობაზე (ან აღნაგობის უფლებაზე) დადებული ყადაღა, რომელიც დარეგისტრებულია ამა და ამ აღმასკომის ან საქალაქო საბჭოს კომუნალურ განყოფილებაში 193 . . წ . . . . №-ით, იხსნება ამა და ამ უბნის და რაიონის სახალხო სასამართლოს დადგენილებით ან გირავნობის ხელშეკრულებით ვალის გადახდის გამო, რის შესახებაც ხელშეკრულებაზე გაკეთებულია წარწერა, რომელიც სანოტარო წესით არის დამოწმებული ამა და ამ სახელმწიფო სანოტარო კონტორაში ამა და ამ წელს, თვესა და რიცხვს რესტრით № . . . . .

თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი ს პ ი რ ი ს ხ ე ლ მ ო წ ე რ ა.

(ბეჭდის ადგ.)

შენობის გირავნობის მოწმობის ფორმა.

გ ი რ ა ვ ნ ო ბ ი ს მ ო წ მ ო ბ ა

მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი და ინიციალები), ვამოწმებ, რომ მოქალაქეს (გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული პირის სრული დასახელება და ადგილმყოფელობა), თანახმად ხელშეკრულებისა, რომელიც დამოწმებულია . . . . . სახელმწიფო სანოტარო კონტორაში ამა და ამ წელს, თვესა და რიცხვს რეესტრით № . . . . . , ეკუთვნის შენობა, რომელიც მდებარეობს . . . . . ქალაქში . . . . . ქუჩაზე . . . . . №-ით, შესდგება . . . . . (შენობის დაწვრილებითა აღწერა) და შეტანილია ამა და ამ აღმასკომის ან საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილების რეესტრში ამა და ამ №-ით. აღნიშნულ შენობაზე ყადაღა არ ირიცხება, ან ირიცხება შემდეგი ყადაღა: 1) . . . . . 2) . . . . . .

საფინანსო განყოფილების ცნობის (წელიწადი, თვე და რიცხვი) თანახმად შენობაზე ირიცხება შემდეგი ნარჩენი: . . . . . .

. . . . . .

შენობა დაზღვეულია . . . . . სახდაზღვევის ორგანოში . . . . . მანეთის . . . კაპ. რაოდენობით. მისი სადასაზღვეო შეფასება არის . . . . მანეთი და . . კაპ.

ამ გირავნობის მოწმობის გაცემის გამო აღნიშნულ შენობაზე დადებულია ყადაღა, რომელიც დარეგისტრებულია ამა და ამ აღმასკომის ან საქალაქო საბჭოს კოუმნალურ განყოფილებაში . . . . . №-თი . . . . . 193 . . წ.

ეს გირავნობის მოწმობა მიეცა (ქონების პატრონის ზუსტი დასახელება) . . . . . (იქა და იქ) წარსადგენად. გადახდევინებულია . . . . . მანეთის სახელმწიფო ბაჟი მარკებად.

194 . . წ. თვე და რიცხვი. რესტრით № . . . .

(ბეჭდის ადგ.)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა).

ფორმა № 36.

ფორმა მოწმობისა პოლისით დაზღვევის საზღაურის მიღების უფლების შესახებ,

1937 წლ. იანვრის „ " მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი და ინციალები), ამით ვამოწმებ, რომ მოქალაქეს (გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი) როგორც მემკვიდრეს ამა და ამ წელს, თვეს და რიცხვს გარდაცვალებული მოქალაქის (დაზღვეულის გვარი, სახელი და მამის სახელი) ქონებისა, უფლება აქვს მიიღოს დაზღვევის საზღაური, რომელიც ერგება მას . . . . . (დაზღვეულის სახელწოდება) სიკვდილის გამო ამა და ამ პოლისით ან დაზღვევის ქვითრით. გადეხდევინებულია . . . . . მან.

რეესტრით № . . . . .

ბეჭდის ადგილი

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა).

ფორმა № 37.

ფორმა აქტისა, რომელიც შედგენილ იქნა ნოტარიუსის მიერ დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველსაყოფად შერულებული მოქმედების დროს.

1937 წლ. იანვრის „ " მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსმა (გვარი და ინიციალები), სახელმწიფო ნოტარიატის დებულების . . . . . მუხლის საფუძველზე, ამა და ამ ფიზიკური ან იურიდიული პირის თხოვნით, ამა და ამ დაინტერესებულ პირთა ან მათ წარმომადგენელთა (მათ შორის იურიდიული პირის წარმომადგენელთა) თანადასწრებით დავკითხე სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის . . . . . მუხლების წესით, ... საქმეზე მოწმეებს, რომლებმაც მაჩვენეს

1) (მოწმის გვარი, სახელი, მამის სახელი და ჩვენება) . . . . . .

2) . . . . . მოწმეთა და დაინტერესებულ პირთა ხელმოწერა. ან: მოვახდინე ამა და ამ ექსპერტების (გვარი, სახელი და მამის სახელი) მონაწილეობით, სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის . . . . . მუხლის წესით, ... საქმეზე დათვალიერება, რომლის დროსაც გამოირკვა შემდეგი. ექსპერტებმა მოგვცეს დასკვნა . . . . . .

. . . . . .

ექსპერტების და დათვალიერების დამსწრე პირების ხელმოწერა. გადახდევინებულია . . . . . მან. სახელმწიფო ბაჟი მარკებად. რეესტრით № . . . . .

(ბეჭდის ადგ.)

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი (ხელმოწერა).

ფორმა № 38.

ფორმა იმის შემოწმებისა, რომ მოცემული პირი და ფოტოგრაფიულ სურათზე გამოსახული პირი ერთი და იგივე ადამიანია.

(წარწერა ფოტოგრაფიული სურათის მეორე გვერდზე)

მე, ... სანოტარო კონტორის სახელმწიფო ნოტარიუსი (გვარი და ინიციალები), ვამოწმებ, რომ ამ ფოტოგრაფიულ სურათზე გამოსახული პირი და ამ სურათის წარმომდგენი პირი ერთი და იგივე ადამიანია. პირადობა სურათის წარ-

მომდგენის მოქ. (გვარი, სახელი და მამის სახელი), რომელიც ცხოვრობს აქა და აქ, შემოწმებულია.

გადახდევინებულია . . . . . მან. სახელმწიფო ბაჟი მარკებად. (თვე და რიცხვი)

რეესტრით № . . . . . .

(ბეჭდის ადგ.)

ნოტარიუსი: (ხელმოწერა)

ფორმა სტატისტიკური ანგარიშგებისა სანოტარო კონტორების მიერ ნახევარი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შესახებ. სსრკ იუსტსახკომისარიატი.

ფორმა № 5[1]

შესდგება სანოტარო კონტორების მიერ.

ანგარიში სანოტარო კონტორების მუშაობის შესახებ.

194 . წლის . . . . . ნახევრისათვის.

რესპუბლიკა, მხარე, (ოლქი), ოკრუგი . . . . . .

რაიონი . . . . . .

საქვეანგარიშო ორგანოს დასახელება . . . . . .

შეჯამებული ანგარიშის სისრულე:

[1]. სანოტარო კონტორების სტატისტიკური ანგარიშგების № 5 ფორმა დადგენილია სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ და დამტკიცებულია სსრკ სახელმწ. საგეგმო კომისიის ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს მიერ 1943 წლის 14 დეკემბერს № 10—15. ამ ფორმით სანოტარო კონტორა ადგენს ნახევარი წლის ანგარიშს იმის შესახებ, თუ საანგარიშო პერიოდში რამდენი სანოტარო მოქმედება იყო შესრულებული და რამდენი სახელმწიფო ბაჟი იყო გადახდევინებული სანოტარო მოქმედების მესრულებისა და ტექნიკური მეშაობისათვის (ხელშეკრულების და რწმუნებულობის პროექტის შედგენა, ასლის, ამონაწერის მომზადება და ა. შ). სანოტარო კონტორა № 5 ფორმის ანგარიშს ადგენს რეესტრში შეტანილი ჩანაწერების საფუძველზე. ანგარიშის სწორად შედ-

შეივსება იმ დაწესებულების მიერ, რომელმაც შეადგინა შეჯამებული ანგარიში მხარის, ოლქის ან რესპუბლიკის.

საანგარიშო ნახევარწელს იყო . . . . . სანოტარო კონტორა.

აქედან ანგარიში წარმოადგინა . . . სანოტარო კონტორამ.

შემოვიდა სადეპოზიტო თანხა . . . . . მანეთი.

გადაირიცხა სახელმწიფო შემოსავლად მოუთხოვნელი სადეპოზიტო თანხა . . . . . მანეთი.

საანგარიშო ნახევარწლის ბოლოს სადეპოზიტო ანგარიშზე ირიცხება ნაშთი . . . . . მანეთი.

თანამდებობა და ხელმოწერა.

გენისა და თავის დროზე წარდგენისათვის პასუხს აგებს ნოტარიუსი, რომელიც ხელს აწერს მის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს. სანოტარო კონტორები სტატისტიკურ ანგარიშებს უდგენენ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამხარეო ან საოლქო სამმართველოებს და ასსრ-ების იუსტიციის სახ. კომისარიატებს, ხოლო იმ მოკავშირე რესპუბლიკებში სადაც ოლქებად დაყოფა არ არის, სტატისტიკური ანგარიშები წარდგინება უშუალოდ მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს საანგარიშო ნახევარი წლის მომდევნო თვის 3 რიცხვისა. იუსტსახკომისარიატების სამხარეო და საოლქო სამმართველოები და ასსრ-ების იუსტიციის სახ. კომისარიატები მათთან შესულ სტატისტიკურ ანგარიშებს უდგენენ მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს საანგარიშო ნახევარი წლის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, მოკავშირე რესპუბლიკები კი თავის მხრივ, სტატისტიკურ ანგარიშებს რესპუბლიკის სანოტარო კონტორების მუშაობის შესახებ უდგენენ სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატს შემდეგ ვადებში:

ა) იმ მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სახ. კომისარიატები, სადაც ოლქებად დაყოფა არ არის—არა უგვიანეს საანგარიშო ნახევარ წლის მომდევნო თვის 20 რიცხვისა.

ბ) იმ მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სახ. კომისარიატები. სადაც ოლქებად დაყოფა არის—არა უგვიანეს საანგარიშო ნახევარი წლის მეორე მომდევნო თვის 10 რიცხვისა.

მაჩვენებელთა რაოდენობა: ვერტიკალით—3, ჰორიზონტალით—15. საკონტროლო თანასწორობა: გრაფის 15-ის რიცხვი უდრის 1—14 გრაფების რიცხვების ჯამს	დამოწმება ხელშეკრულებისა ალნაგობის ნებადგენის შესახებ	დამოწმება ხელშეკრულებისა შენობის ალნაგობის უფლების გასხვისების შესახებ	დამოწმება სხვა ხელშეკრულებისა	ანდერძის დამოწმება	რწმენებლობის და რწმენების გადაცემის დამოწმება	დოკუმენტებზე ალსრულების წარწერის გაკეთება
	1	2	3	4	5	6
1. სანოტარო მოქმედებათა რაოდენობა						
2. სახელმწიფო ბაჟის თანხა სანოტაოო მოქმედებათა შესრულებისათვის						
3. სახელმწიფო ბაჟის თანხა სანოტარო მოქმედების შესრულების დროს მომსახურეობის გაწევისათვის						

გაცემა მოწმობის დამტკიცებულების უფლების შესახებ	ზომების მიღება სამკვიდრო ქონების დაცვისათვის	ასლის სისწორის შემოწმება	ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება	ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმანის ასლის სისწორის შემოწმება	ფულის, ფასიანი ქაღალდების დეპოზიტად მიღება კუთვნილებისამებრ გადასაცემად	სხვა სანოტარო მოქმედებათა შესრულება	სანოტარო მოქმედებათა შესრულება სახელგარეთისათვის	ს ულ
7	8	9	10	11	12	13	14	15

ხელშეკრულებათა, რწმუნებულებათა, ანდერძთა და განცხადებათა სანიმუშო ფორმები

ისეთი სახლმფლობელობის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ეკუთვნის გამყიდველს პირადი საკუთრების უფლებით

ხელშეკრულება

ათას ცხრას ორმოცდა ოთხი წელი. ჩკალოვის ოლქის ქალაქი ორსკი. ქალაქ ორსკში, საბჭოთა ქუჩაზე, სახლში № ოცდაერთ, მცხოვრებმა ივანე სპირიდონისძე სერგეევმა, ერთი მხრივ, და ქალაქ კაზალინსკში, ლენინის ქუჩაზე, სახლში № თხუტმეტი მცხოვრებმა სვიმონ ივანესძე პეტროვმა, მეორე მხრივ, დასდეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე.

1. სერგეევმა გაჰყიდა, ხოლო პეტროვმა იყიდა სახლმფლობელობა, რომელიც შესდგება 90 კვადრატული მეტრიანი ფართობის საცხოვრებელი ხის ერთსართულიანი სახლისგან და ორი ხის ფარდულისგან. ეს სახლმფლობელობა იმყოფება ჩკალოვის ოლქის ქალაქ ორსკში, საბჭოთა ქუჩაზე, ოცდაერთი ნომრით; იგი მდებარეობს მიწის ნაკვეთზე, რომლის ფართობი არის შვიდასი კვადრატული მეტრი და ეკუთვნის სერგეევს პირადი საკუთრების უფლებით, თანახმად მშრომელთა დეპუტატების ორსკის საბჭოს საქალაქო კომუნალური მეურნეობის 1944 წლის 19 სექტემბრის № 182 ცნობისა.

2. გაყიდულ ზემოთხსენებულ სახლმფლობელობაში სერგეევმა მიიღო მყიდველი პეტროვისაგან სრულად ათი ათასი (10.000) მანეთი ამა ხელშეკრულების ხელმოწერის დროს. სახლმფლობელობის სადასაზღვეო შეფასება არის ცხრა ათასი მანეთი.

3. გასასხვისებელი სახლმფლობელობა სხვა არავისზე არ ყოფილა გაყიდული, მას ყადაღა არ ადევს, მის შესახებ სასამართლოში დავა არ არის განცხადებული, მას არავითარი გირავნობითი შეზღუდვა არ ადევს.

4. რსფსრ სამოქ. სამ. კოდექსის 182 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლის შინაარსი მხარეებს განემარტა.

5. ხელშეკრულების შესრულებისა და საბოლოო გაფორმებით გამოწვეული ხარჯი ეკისრება მყიდველს.

6. ეს ხელშეკრულება დამოწმებულია ორ დედან ეკზემპლარად. აქედან პირველი ეგზემპლარი რჩება სანოტარო კონტორაში, ხოლო მეორე ეძლევა მყიდველს პეტროვს.

ხელმოწერა: სერგეევი ივანე სპირიდონის ძე
პეტროვი სვიმონ ივანეს ძე
(დამოწმების წარწერა.)

არა-სრულწლოვანთა კუთვნილი სახლმფლობელობის ნასყიდობის ხელშეკრულება

ხელშეკრულება

ათას ცხრას ორმოცდაოთხი წლის აგვისტოს ჩვიდმეტი, საოლქო ქალ. მინსკი, მარიამ ალექსის ასულმა მაკაროვამ, რომელიც ცხოვრობს ქალ. მინსკში, კრასნოარმეისკის ქუჩაზე, სახლში № 34 და რომელიც არის მასთან მცხოვრები ორი არასრულწლოვანი მაკაროვების—1936 წლის 16 სექტემბერს დაბადებული ევგენია ივანეს ასული მაკაროვას და 1938 წლის 3 ივლისს დაბადებული ირინე ივანეს ასული მაკაროვას დედა, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ გორჩაკოვებმა სილიბისტრო სვიმონისძემ და მარიამ სვიმონის ასულმა, რომლებიც ცხოვრობენ ქალ. მინსკში სევერნი ქუჩაზე № 17 სახლში № 2 ბინაში, დასდეს ეს ხელშეკრულება შემდეგი პირობებით:

1. მარიამ ალექსის ასულმა მაკაროვამ, თავისი არასრულწლოვანი შვილების ირინე ივანესასული მაკაროვას და ევგენია ივანეს ასული მაკაროვას სახელით, ქალ. მინსკის მშრომელთა დეპუტატების სტალინის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1944 წლის 20 ივლისის დადგენილებით მიცემული ნებართვით [1]), მიჰყიდა სილიბისტრო სვიმონისძე და მარიამ სვიმონის ასულ გორჩაკოვებს სახლმფლობელობა, რომელიც პირადი საკუთრების უფლე-

[1]) რსფსრ-ში და სხვა ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების პრეზიდიუმები სამეურვეო ფუნქციების ასრულებას აკისრებენ აღმასრულებელი კომიტეტების სათანადო განყოფილებებს.

ბით ეკუთვნის არასრულწლოვანებს ირინე და ევგენია ივანეს ასულ მაკაროვებს. ეს სახლმფლობელობა მდებარეობს ქალ. კიროვში კრასნოარმეისკის ქუჩაზე ნომრით 34 და შესდგება ერთი ხის სახლისაგან და ფარდულისაგან და ეკუთვნის არასრულწლოვან მაკაროვებს მემკვიდრეობით, თანახმად მოწმობისა დამკვიდრების უფლების შესახებ, რომელიც გაცემულია ქალ. კიროვის სანოტარო კონტორიდან 1939 წლის 14 სექტემბერს № 1377 და დარეგისტრებულია მშრომელთა დეპუტატების კიროვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში.

2. ზემოთაღნიშნული სახლმფლობელობა გაყიდულია ოც ათას მანეთად. ეს ფული მთლიანად მიღებულია ამა ხელშეკრულების დადების დროს. სახლმფლობელობის დაზღვევის შეფასებაა 18.800 მან.

3. გასაყიდი სახლმფლობელობა სხვა არავისზე არ არის გაყიდული, არსად არ არის დაგირავებული, ყადაღა არ ადევს. სასამართლოში მის შესახებ დავა არ არის აღძრული.

4. რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 182 მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდექსების სათანადო მუხლი მხარეებს განემარტათ.

5. ამა ხელშეკრულების დადებით და საბოლოო გაფორმებით გამოწვეული ხარჯი ეკისრება მყიდველს.

6. ეს ხელშეკრულება ქმნილია ორ ეკზემპლარად, რომლებიდან პირველი ეკზემპლარი იტოვება სანოტარო კონტორაში, ხოლო მეორე ეძლევა მყიდველებს გორჩაკოვებს. ხელმოწერა: მაკაროვა მარიამ ალექსის ასული.

გორჩაკოვსკი სილიბისტრო სვიმონისძე.

წერაკითხვის უცოდინარის მარიამ სვიმონის ასული გორჩაკოვსკის მაგივრად მისი დავალებით ხელს აწერს ზიმინი ტიხონ პანკრატისძე (ხელმოწერა)

(დამოწმების წარწერა).

ერთი მეუღლის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა გაჰყიდოს მეორე მეუღლემ შენობა, რომელიც შეძენილია ქორწინების განმავლობაში

ქალაქ პოდოლსკის სანოტარო კონტორას განცხადება

ათას ცხრას ორმოცდაოთხი წლის აგვისტოს ოცდათერთმეტს შე, მოსკოვის ოლქის ქალაქ პოდოლსკში, მაისის ქუჩაზე № 21 სახლში, № 2 ბინაში მცხოვრებმა მარიამ გრიგორის ასულმა სპირ-

რიდონოვამ, განვაცხადე თანხმობა იმაზე, რომ ჩემმა ქმარმა ლეონტი სტეფანეს ძე სპირიდონოვმა გაჰყიდოს ჩვენი ქორწინების განმავლობაში შეძენილი სახლმფლობელობა, რომელიც მდებარეობს ქალაქ პოდოლსკში, მაისის ქუჩაზე № 21 სახლში.

(ხელმოწერა) მარიამ გრიგორის ასული სპირიდონოვა.

(დამოწმების წარწერა).

ხელშეკრულება სახლმფლობელობის წილის ნასყიდობის შესახებ

ხელშეკრულება

ათასცხრას ორმოცდაოთხი წლის მარტის სამს, პოპოვმა, ეფიმე ვასილისძემ, რომელიც ცხოვრობს ქალაქ მოსკოვში, ოქტომბრის ქუჩაზე № 73 სახლში, № 4 ბინაში, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ არასრულწლოვანმა ტროიცკიმ ანატოლი პეტრეს ძემ, რომელიც დაბადებულია 1930 წლის 16 ოქტომბერს, ცხოვრობს ქალაქ მოსკოვში, რაზინის ქუჩაზე, № 3 სახლში და № 18 ბინაში და მოქმედობს თვისი მეურვის, ქალაქ მოსკოვში, ვოლხონკაზე № 5 სახლში, № 39 ბინაში მცხოვრები ივანე იპოლიტესძე ტროიცკის თანხმობით, დასდეს შემდეგი ხელშეკრულება:

1. პოპოვმა გაჰყიდა, ხოლო ანატოლი პეტრესძე ტროიცკიმ იყიდა პოპოვის პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილი სახლმფლობელობის ნახევარი. ეს სახლმფლობელობა შესდგება ერთსართულიანი ხის სახლისგან და ფარდულისგან, მდებარეობს ქალაქ მოსკოვში, ოქტომბრის ქუჩაზე სამოცდაცხრამეტი ნომრით და შეძენილია პოპოვის მიერ ხელშეკრულებით, რომელიც დამოწმებულია სანოტარო წესით ქალაქ მოსკოვის პირველ სანოტარო კონტორაში ათას ცხრაას ოცდარვა წლის იანვრის ათს. ამ რიგად აღნიშნული სახლმფლობელობა გახდა გამყიდველი პოპოვისა და მყიდველი ტროიცკის საერთო საკუთრებად.

2. სახლმფლობელობის ზემოთაღნიშნული ნახევარი გაყიდულია ოცი ათას მანეთად. მთელი სახლმფლობელობის დაზღვევის შეფასება 22.500 მან.

3. გასაყიდი სახლმფლობელობა სხვა არავისზე გაყიდული არ არის და არსად დაგირავებული არ არის. სასამართლოში მის შესახებ დავა არ არის აღძრული და ყადაღისაგან თავისუფალია.

4. რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 182 მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდექსის სათანადო მუხლის შინაარსი მხარეებს განემარტა.

5. ხელშეკრულების დადებითა და საბოლოო გაფორმებით გამოწვეული ხარჯი ეკისრება ორივე მხარეს თანაბრად.

6. ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეკზემპლარად, რომელთაგან პირველი ეკზემპლარი იტოვება სანოტარო კონტორაში. ხოლო მეორე ეძლევა მყიდველს.

ხელმოწერა: პოპოვი ეფიმე ვასილის ძე.

ტროიცკი ანატოლი პეტრეს ძე.

ვაცხადებ თანხმობას ამ ხელშეკრულების დადებაზე. მეურვე (ივანე იპოლიტეს ძე ტროიცკის ხელმოწერა)

(დამოწმების წარწერა).

საერთო სახლმფლობელობის მესაკუთრეთა ხელშეკრულება ამ სახლმფლობელობით სარგებლობის წესის დადგენის შესახებ

ხელშეკრულება

ათას ცხრაას ორმოცდაოთხი წლის ოქტომბრის ოცდაოთხს ქალაქი ნოვოსიბირსკი. მოქალაქეებმა ტიმოთე ვასილის ძე იაბლოკოვმა, რომელიც ცხოვრობს ქალაქ ნოვოსიბირსკში, ლენინის ქუჩაზე № 21 სახლში და № 1 ბინაში და ზინაიდა ქსენოფონტის ასულმა მალინოვსკაიამ, რომელიც ცხოვრობს იმავე სახლში № 2 ბინაში, დასდეს შემდეგი ხელშეკრულება:

ვფლობთ რა საერთო საკუთრების უფლებით თანაბარ ნაწილებად სახლმფლობელობას, რომელიც მდებარეობს ქალაქ ნოვოსიბირსკში, ლენინის ქუჩაზე, ოცდაერთი ნომრით, ვადგენთ ამ სახლით სარგებლობის შემდეგ წესს:

1. ტიმოთე ვასილის ძე იაბლოკოვის სარგებლობაში გადადის სახლის ნაწილი, რომელიც შესდგება ერთი ოთახისგან თავისი სამზარეულოთი და რომელიც იმყოფება წინაშესავალი კარის მარცხენა მხარეს, ხოლო ზინაიდა ქსენოფონტეს ასული მალინოვსკაიას სარგებლობაში გადადის სახლის ნაწილი, რომელიც შესდგება ორი ოთახისგან თავისი სამზარეულოთი და რომელიც იმყოფება წინაშესავალი კარის მარჯვნივ მხარეს.

2. თვითეული მესაკუთრე სარგებლობს ბოსტნით, რომელიც ეკვრის მას სარგებლობაში მყოფ სახლის ნაწილს.

3. ეზოს, ნარეცხი წყლის ორმოს, საერთო ფეხსალაგის და ქვაფენილების დაწმენდა დასუფთავებას, აგრეთვე სახლის მართვა-გამგებლობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს ეწევა ორივე მესაკუთრე თანასწორ საფუძველზე. ასევე თანასწორად იხდიან ისინი გადასახადებს და სადასაზღვეო გადასახდელს.

4. ეს ხელშეკრულება სდგება სამ დედან ეკზემპლარად, რომლებიდგანაც ხელშეკრულების მეორე ეკზემპლარი ეძლევა ტიმოთე ვასილისძე იაბლოკოვს. ხოლო მესამე ეკზემპლარი — ზინაიდა ქსენოფონტეს ასულს მალინოვსკაიას.

(ხელმოწერა)—ტიმოთე ვასილის ძე იაბლოკოვი.

ზინაიდა ქსენოფონტეს ასული მალინოვსკაია.

(დამოწმების წარწერა)

ერთი მესაკუთრის მიერ მეორე მესაკუთრისაგან ცნობის გაგზავნა იმის შესახებ, რომ იგი ჰყიდის სახლმფლობელობის წილს

ქალაქ ტიხვინის სახელმწიფო სანოტარო კონტორას

ქალ. ტიხვინი, პირველი მაისის ქუჩაზე № 6 სახლში, № 1 ბინაში მცხოვრები ანნა სტეფანეს ასულ ლეონტიევას

ანნა სტეფანეს ასულო, გაცნობებთ, რომ მე მსურს გავყიდო ხუთ ათას მანეთად ჩემი წილი ჩვენ საერთო სახლმფლობელობაში, რომელიც მდებარეობს ქალაქ ტიხვინში, პირველი მაისის ქუჩაზე, ექვსი ნომრით და წინადადებას გაძლევთ ისარგებლოთ, შესაბამისად სამოქ. სამ. კოდექსის 64 მუხლისა, ჩემი წილის უპირატესობით ყიდვის უფლებით. თუ თქვენ გსურთ ჩემი წილის შესყიდვა, გთხოვთ მაცნობოთ ეს არა უგვიანეს ხუთი დღისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მე ჩავთვლი, რომ თქვენ არ გსურთ ისარგებლოთ უპირატესობით ყიდვის უფლებით.

ხელმოწერა: ივანე ვასილისძე პეტროვი.

1944 წლის 31 აგვისტო.

(დამოწმების წარწერა)

საერთო სახლმფლობელობის მესაკუთრის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი წინაალმდეგი არ არის გაჰყიდოს საერთო სახლის მეორე მესაკუთრემ თავისი წილი საერთო სახლში

ქალაქ ვოლხოვი, სანოტარო კონტორის განცხადება

ათას ცხრაას ორმოცდაოთხი წლის აგვისტოს ოცდათერთმეტს, მე ქვემორე ხელის მომწერმა, ივანე ვასილის ძე პეტროვმა, მცხოვრებმა ქალ. ვოლხოვში, კომუნარების ქუჩაზე, № 5 სახლში, გავე-

ცი ეს ხელწერილი იმის შესახებ, რომ მე წინააღმდეგი არა ვარ გაჰყიდოს არტონ სტეფანეს ძე სტეფანოვმა თავისი წილი ჩვენი პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილ საერთო სახლმფლობელობაში, რომელიც მდებარეობს ლენინგრადის ოლქში, ქალაქ ვოლხოვში, კომუნარების ქუჩაზე მეხუთე ნომრით.

(ხელმოწერა): ივანე ვასილის ძე პეტროვი.

(დამოწმების წარწერა).

შენობის ჩუქების ხელშეკრულება

ხელშეკრულება

ათას ცხრაას ორმოცდაოთხი წლის ივლისის სამი, ქალაქი ტულა.

ქალაქ ტულაში, საბჭოთა ქუჩაზე № 25 სახლში მცხოვრებმა მოქალაქე სოფიო გრიგოლის ასულმა სვირსკაიამ და ქალაქ ტულაში, საკოლმეურნეო ქუჩაზე № 232 სახლში მცხოვრებმა მოქალაქე გრიგოლი ბორისის ძე ბელოცერკოვსკიმ დასდეს ეს ხელშეკრულება შემდეგი პირობებით:

1. მოქალაქე სოფიო გრიგოლის ასული სვირსკაია აძლევს საჩუქრად მოქალაქეს გრიგოლი ბორისის ძე ბელოცერკოვსკის თავის პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილ სახლმფლობელობას, რომელიც შესდგება საცხოვრებელი ერთსართულიანი ხ. ს სახლისგან ფართობით 5×6 კვად. მეტრი, სახლზე მიშენებულ შენობისგან 5×2 კვად. მეტრის ფართობის და ფარდულისაგან. ეს სახლმფლობელობა მდებარეობს ქალაქ ტულაში, საკოლმეურნეო ქუჩაზე 232 ნომრით, იგი შეფასებულია როგორც მხარეების მიერ, ისე სახელმწიფო დაზღვევის სადასაზღვევო შეფასებით თორმეტ ათას მანეთად.

2. გრიგოლი ბორისის ძე ბელოცერკოვსკი აღნიშნულ საჩუქარს იღებს.

3. ჩუქებული ქონება არავისზე გაყიდული არ არის და არც დაგირავებულია. მას ყადაღა არ ადევს. სასამართლოში მის შესახებ დავა არ არის აღძრული.

4. რსფსრ სამოქ. სამ. კოდექსის 182 მუხლის 1 პუნქტის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდექსების სათანადო მუხლის შინაარსი მხარეებს განემარტა.

5. ხელშეკრულების დადებით და საბოლოო გაფორმებით გამოწვეული ხარჯი ეკისრება დასაჩუქრებულ ბელოცერკოვსკის.

6. ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეკზემპლარად, რომლებიდანაც პირველი ეკზემპლარი იტოვება სანოტარო კონტორის საქ-

შეებში, ხოლო მეორე ეკზემპლარი ეძლევა დაჩუქრებულ ბელოცერკოვსკის.

ხელმოწერა: სოფიო გრიგოლის ასული სვირსკაია.

გრიგოლი ბორისის ძე ბელოცერკოვსკი.

(დამოწმების წარწერა)

აღნაგობის უფლების ნასყიდობა

ხელშეკრულება

ათას ცხრაას ორმოცდაოთხი წლის დეკემბრის ოცდახუთი. ქალაქი კუიბიშევი. ქალაქ კუიბიშევში, პუშკინის ქუჩაზე, № 20 სახლში მცხოვრებმა სერგეი პეტრეს ძემ მიხაილოვმა, ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ქალაქ კუიბიშევში, ლენინის ქუჩაზე, № 25 სახლში მცხოვრებმა ივანე ვასილის ძე სემიონოვმა დასდეს შემდეგი ხელშეკრულება:

1. მიხაილოვმა გაჰყიდა, ხოლო სემიონოვმა იყიდა აღნაგობის უფლება, რომელიც ეკუთვნის მიხაილოვს და რომელიც აღნიშნულია მიხაილოვსა და კომუნალური მეურნეობის კუიბიშევის საქალაქო განყოფილებას შორის დადებულ და ქალაქი კუიბიშევის სანოტარო კონტორაში 1940 წლის 25 ოქტომბერს დამოწმებულ აღნაგობის ხელშეკრულებაში, რეესტრით № 1582 (ასლი ამასთანავე დართულია); ამ ხელშეკრულების შესასრულებლად მიხაილოვის მიერ აშენებულია საცხოვრებელი სახლი და ფარდული.

2. მიხაილოვმა გაყიდული აღნაგობის უფლებაში მიიღო მყიდველი სემიონოვისგან თხუთმეტი ათასი მანეთი ხელშეკრულების ხელმოწერის დროს. სადასაზღვევო შეფასება—თხუთმეტი ათასი მანეთი.

3. მყიდველი სემიონოვი აღნაგობის უფლების ყიდვასთან ერთად კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს ყველა ის პირობა, რაც კი აღნაგობის ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული.

4. გაყიდული აღნაგობის უფლება სხვა არავისზე არ ყოფილა გაყიდული, დაგირავებული არ არის და მას ყადაღა არ ადევს. მის შესახებ სასამართლოში დავა არ არის აღძრული.

5. ხელშეკრულების დადებით და საბოლოო გაფორმებით გამოწვეული ხარჯი ეკისრება მყიდველს სემიონოვს.

6. ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეკზემპლარად, რომლებიდან პირველი ეგზემპლარი იტოვება სანოტარო კონტორაში, ხოლო მეორე ეძლევა მყიდველს სემიონოვს.

ხელმოწერა: სერგეი ივანეს ძე მიხაილოვი.

ივანე ვასილის-ძე სემიონოვი.

(დამოწმების ხელწერილი)

ხელშეკრულება აღნაგობის უფლებაზე შენობის გაცვლის შესახებ

ხელშეკრულება

ათას ცხრაას ორმოცდაოთხი წლის აპრილის ოცდარვა.

მოქალაქეებმა რაისა ივანეს ასულმა სუხანოვამ, რომელიც ცხოვრობს ქალაქ კუიბიშევში, გორკის ქუჩაზე № 27 სახლში № 4 ბინაში და დემიანე სტეფანეს ძე ივანოვმა, რომელიც ცხოვრობს ქალაქ კუიბიშევში, ზელიონაია ქუჩაზე, № 41 სახლში, № 9 ბინაში, დასდეს შემდეგი ხელშეკრულება:

1. მოქალაქე რაისა ივანეს ასული სუხანოვა თავის პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილ სახლმფლობელობას, რომელიც შესდგება საცხოვრებელი ხის სახლისგან ორი ფარდულით, მდებარეობს ქალაქ კუიბიშევში, გორკის ქუჩაზე ოცდაშვიდი ნომრით და აღნიშნულია კომუნალური მეურნეობის განყოფილების ცნობაში, სცვლის მოქალაქე დემიანე სტეფანეს ძე ივანოვის კუთვნილ აღნაგობის უფლებაზე, რომლითაც მას უფლება ეძლევა გააშენოს ქალაქ კუიბიშევში ზელიონაია ქუჩაზე ორმოცდა ერთი ნომრით მდებარე მიწის ნაკვეთი და რომელიც აღნიშნულია ქალაქ კუიბიშევის სანოტარო კონტორის მიერ 1937 წლის 28 მაისს დამოწმებულ აღნაგობის უფლების ხელშეკრულებაში, რეესტრით № 11342, ხსენებულ მიწის ნაკვეთზე აშენებული სახლითა და ფარდულით.

2. დ. ს. ივანოვი ამასთან აძლევს რ. ი. სუხანოვას ხუთ ათას მანეთს.

3. სუხანოვის სახლმფლობელობაში შესული შენობები დაზღვევის დროს სახელმწიფო დაზღვევის მიერ შეფასებულია 13.480 მანეთად, ხოლო აღნაგობის უფლება ივანოვისთვის გასაშენებლად მოცემულ მიწის ნაკვეთზე კი შეფასებულია 32.100 მანეთად.

4. გაცვლილი შენობები და აღნაგობის უფლება სხვა არავისზე არ ყოფილა გაყიდული, დაგირავებული არ არის, მათ ყადაღა არ ადევს, სასამართლოში მათ შესახებ დავა არ არის აღძრული.

5. რსფსრ სამოქ. სამ. კოდექსის 182 მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდექსების სათანადო მუხლის შინაარსი მხარეებს განემარტათ.

6. ამ ხელშეკრულების დადებით და საბოლოოდ გაფორმებით გამოწვეული ბარჯი ეკისრებათ მხარეებს თანაბრად.

7. ეს ხელშეკრულება შედგენილია სამ დედან ეკზემპლარად, რომელთაგან პირველი იტოვება სანოტარო კონტორის საქმეებში, მეორე ეძლევა სუხანოვას, ხოლო მესამე—ივანოვს.

ხელმოწერა: რაისა ივანეს ასული სუხანოვი.
დემიანე სტეფანეს ძე ივანოვი.
(დამოწმების წარწერა).

პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილ სახლში ქონებრივ ქირავნობის (იჯარის) ხელშეკრულება

ხელშეკრულება

ათას ცხრაას ორმოცდაერთი წლის აპრილის ხუთი. ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი: სვიმონ პეტრეს-ძე სიდოროვი, მცხოვრები ქალაქ მოსკოვში, ვორობიევის გზატკეცილზე № 7 სახლში, № 9 ბინაში და ივანე ივანეს-ძე მაკაროვი, მცხოვრები ქალაქ მოსკოვში, ვოლხონკაზე, № 7 სახლში, № 12 ბინაში, ვდებთ შემდეგ ხელშეკრულებას:

1. მე, სვიმონ პეტრეს-ძე სიდოროვმა, მივაქირავე მოქ. ივანე ივანეს ძე მაკაროვს საიჯარო სარგებლობაში ოთახი, ფართობით ოცდა ხუთი (25) კვ. მეტრი, პირველ სართულში ჩემი პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილ სახლმფლობელობაში, რომელიც მდებარეობს ქალაქ მოსკოვში, ვორობიევის გზატკეცილზე № 7 სახლში, № 9 ბინაში.

2. ოთახი ქირავდება საიჯარო სარგებლობაში ხუთი (5) წლის ვადით ათას ცხრაას ორმოცდაერთი წლის აპრილის ხუთიდან ათას ცხრაას ორმოცდაექვსი წლის აპრილის ხუთამდე.

3. საიჯარო ქირა გადახდილ უნდა იქნას ამ განაკვეთით და ამ ვადებში, რომლებიც გათვალისწინებულია მოსკოვის საქალაქო აღმასკომის დადგენილებით, ოცი პროცენტის დამატებით, შესაბამისად სსრკ ცაკის და სსრ სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა.

4. თუ ამა საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ოთახს დასჭირდება კაპიტალური რემონტი, ეს რემონტი გაკეთდება სვიმონ პეტრეს ძე სიდოროვის ხარჯით, ხოლო ოთახის მიმდინარე რემონტი: გათეთრება, კედლების შეღებვა ან შპალერის გაკვრა და ფანჯრების შიგნითა ჩარჩოების შეღებვა, მოხდება ივანე ივანეს-ძე მაკაროვის მიერ თავისი ხარჯით.

5. აღნიშნული ოთახი ეძლევა ი. ი. მაკაროვს მხოლოდ მისი და მის სავე ადამიანისგან შემდგარი ოჯახის საცხოვრებლად; ი. ი. მაკაროვს უფლება არა აქვს ეს ოთახი გამოიყენოს სხვა რამ დანიშნულებისათვის. ი. ი. მაკაროვს უფლება არა აქვს აგრეთვე გასცეს ეს ოთახი ქვეიჯარით

6. მოქ. ი. ი. მაკაროვი ვალდებულია როგორც იჯარით აღებულ ოთახში, ისე საერთო სარგებლობის ადგილებში დაიცვას სისუფთავე და წესრიგი და შეასრულოს ყველა დადგენილება და მოთხოვნა საცხოვრებელი სადგომების შენახვის შესახებ.

7. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოქ ი. ი. მაკაროვი ვალდებულია ჩააბაროს ოთახი სავსებით წესიერ მდგომარეობაში.

8. ხელშეკრულების თანხა არის ათას ოთხას ორმოცი მანეთი (1. 440 მან.), ე. ი. ერთი კვადრატიული მეტრი ნაანგარიშევია ერთ მანეთად და 32 კაპ. (1 მან. 32 კ.), 20%—იან ნამატით,—თვეში ორმოცი მანეთი.

9. ხელშეკრულების დადებით გამოწვეული ხარჯი ეკისრება ორივე მხარეს თანაბრად.

10. ეს ხელშეკრულება სდგება სამ ეკზემპლარად რომელთაგან პირველი ინახება სანოტარო კონტორაში, მეორე ეკზემპლარი ეძლევა მოქ. ს. პ. სიდოროვს, ხოლო მესამე—მოქ. ი. ი. მაკაროვს.

ხელმოწერა: სვიმონ პეტრეს ძე სიდოროვი.

ივ ნე ივანეს ძე მაკაროვი.

(დამოწმების წარწერა).

ა ნ დ ე რ ძ ი

ქალაქი მოსკოვი, ათას ცხრაას ორმოცდაერთი წლის ოქტომბრის ხუთი.

მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი . . . . . .

. . . . . .

(გვარი, სახელი და მამის სახელი)

მცხოვრები . . . . . .

(ზუსტი მისამართი)

ამ ანდერძით ვტოვებ შემდეგ განკარგულებას:

I. **ვარიანტი:** 1) მთელ ჩემ ქონებას, რომელიც კი ჩემი სიკვდილის დღეს მე მეკუთვნება, სადაც კი იგი უნდა იმყოფებოდეს და რისგანაც კი იგი უნდა შესდგებოდეს, მე უანდერძებ თანაბარ წილად . . . . . .

. . . . . .

(იმ პირთა გვარი, სახელი და მამის სახელი, რომელთა სასარგებლოდ

. . . . . .

ანდერძი შედგენილია და მათი დამოკიდებულება მოანდერძესთან.

. . . . . .

მაგალითად: ცოლს, ვაჟიშვილს, ქალიშვილს, ან 1937 წლიდან ჩემ კმაყოფაზე მყოფ შრომის უნარ მოკლებულ პირს და ა. შ.).

II **ვარიანტი:** ჩემი კუთვნილი ქონებიდან:

ა) . . . . . უანდერძებ

(ჩამოითვალოს ანდერძით დატოვებული ქონება)

. . . . . .

(იმ პირის გვარი, სახელი და მამის სახელი, რომელსაც აღნიშნული ქონება ეტოვება ანდერძით და მისი დამოკიდებულება მოანდერძესთან)

ბ) . . . . . უანდერძებ . . . .

(ჩამოითვალოს ანდერძით დატოვებული ქონება)

. . . . . .

(იმ პირთა გვარი, სახელი და მამის სახელი, რომელსაც აღნიშნული ქონება ანდერძით ეტოვება და მისი დამოკიდებულება მოანდერძესთან)

გ) . . . . . .

დ) . . . . . .

ე) მთელ დანარჩენ ქონებას, რომელიც კი ჩემი სიკვდილის დღეს მე მეკუთვნება, სადაც კი იგი უნდა იმყოფებოდეს და რისგანაც კი იგი უნდა შესდგებოდეს, უანდერძებ . . . . . .

(იმ პირის გვარი, სახე-

. . . . . .

ლი და მამის სახელი, რომელსაც აღნიშნული ქონება ანდერძით

. . . . . .

ეტოვება და მისი დამოკიდებულება მოანდერძესთან).

2. რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 142 მუხლის მე-2 შენიშვნის შინაარსი მე ვიცი.

3. ეს ანდერძი შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეკზემპლარად, რომელთაგან პირველი ეკზემპლარი ინახება . . . . . .

(სანოტარო კონ-

. . . . . საქმეებში, ხოლო, მეორე

ტორის დასახელება)

ეძლევა მოანდერძეს . . . . . .

(გვარი)

(მოანდერძის ხელმოწერა)

(დამოწმების წარწერა).

რწმუნებულობა ქონების მართვისათვის (საერთო)

რწმუნებულობა

ათას ცხრაას ორმოცდა ოთხი წლის მარტის ოცი, ქალ. მოსკოვი. მე, ქვემორე ამისა ხელისმომწერი, პეტრე ვასილის ძე ნიკიფოროვი, მცხოვრები ქალაქ მოსკოვში, პეტროვკის ქუჩაზე № 19 სახლში, № 27 ბინაში, ამ რწმუნებულობით უფლებას ვაძლევ მოქ. ფაინა თეოდორეს ასულ ნიკიფოროვას მართოს და განაგოს ჩემი ყოველ-

გვარი ქონება, რისგანაც კი იგი უნდა შესდგებოდეს და სადაც კი იგი უნდა იმყოფებოდეს, დასდოს, ჩემი ქონების მართვა-განკარგულებასთან დაკავშირებით, კანონით ნებადართული ყოველგვარი გარიგება: შეიძინოს, გაჰყიდოს და დააგირავოს შენობა და აღნაგობის უფლება, დასდოს ხელშეკრულება აღნაგობის უფლების შესახებ, მიიღოს მემკვიდრეობა ან უარი სთქვას მასზე, მიიღოს ყველა ფულადი თანხა ყველა ადგილიდან, პირისგან და დაწესებულებიდან, მათ შორის ბანკიდან და შემნახველ სალაროდან, ფოსტიდან და ტელეგრაფიდან სხვადასხვა გვარი დოკუმენტით და საფუძვლით, მიიღოს საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა ყოველგვარი კორესპონდენცია, აწარმოოს ჩემი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები ყველა სასამართლო და მთავრობის დაწესებულებაში ყველა იმ უფლებით, რაც კი კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს და დაზარალებულს, მათ შორის უფლებით გაათავოს საქმე მორიგებით, სცნოს ან უარჰყოს მთლიანად ან ნაწილობრივ სასარჩელო მოთხოვნები, მიიღოს ფული და ქონება. რწმუნებულობა გაცემულია სამი წლის ვადით და მას ძალა აქვს ათას ცხრაას ორმოცდა შვიდი წლის მარტის ცხრამეტამდე. იგი გაცემულია რწმუნებულობის გადაცემის უფლებით.

(ხელმოწერა): პეტრე ვასილის ძე ნიკიფოროვი.

(დამოწმების წარწერა).

რწმუნებულობა სახლის მართვისათვის

რწმუნებულობა.

ათას ცხრაას ორმოცდათხი წლის აპრილის თცდახუთი. მე ბორის გრიგოლისძე ისაკოვი, მცხოვრები ქალაქ მოსკოვში, ნოვოალექსეევის ქუჩაზე, № 7 სახლში, № 4 ბინაში, ამ რწმუნებულობით უფლებას ვაძლევ ტიხონ ევლამპისძე მიროპოლსკის, მცხოვრებს ქალაქ მოსკოვში, სადოვო-კუდრინის ქუჩაზე № 4 სახლში, № 34 ბინაში, მართოს და განაგოს ჩემი კუთვნილი ქონება, რომელიც იმყოფება ქალაქ მოსკოვში ნოვო-ალექსეევის ქუჩაზე, მეშვიდე ნომრით და შესდგება ერთი ორსართულიანი ქვითკირის სახლისგან სამეურნეო შენობებით, უფლებას ვაძლევ გააქირაოს ბინები და სადგომები ისეთ ვადებსა და პირობებში, როგორსაც თვითონ მოისურვებს, თვალყური ადევნოს წესრიგს სახლმფლობაში და ყველა იქ მცხოვრები პირის თავის დროზე ჩაწერვას და აღნიშვნას საბინაო დავთარში დააზღვეოს შენობები ხანძრისგან და ხანძრის შემთხვევაში

მიიღოს დაზღვევის პრემია, მიიღოს აგრეთვე ყველა ის ფულადი გადასახდელი, რაც მე მოცემული სახემფლობელობიდან მერგება, მათ შორის სანოტარო ორგანოთა დეპოზიტად შეტანილი ფული და სხვა ჩემი კუთვნილი თანხები, ფასიანი ქაღალდები, ფოსტის და ტელეგრაფის ფულადი გზავნილება, დაკვეთილი და უბრალო კორესპონდენცია, გახსნას მიმდინარე ანკარიში და გადიხადოს აღნიშნულ სახელმფლობელობაზე მოსული ყველა გადასახადი და გამოსაღები და აწარმოოს შენობების საჭირო რემონტი. ამას გარდა ვაძლევ მას უფლებას საჭიროების შემთხვევაში მიჰყიდოს ჩემი აღნიშნული სახლმფლობელობა იმას, ვისაც იგი მოისურვებს, ისეთ ფასათ და ისეთ პირობებში, როგორსაც თვითონ საჭიროდ დაინახავს, დასდოს ამ სახლმფლობელობის ნასყიდობის ხელშეკრულება, ანგარიში გაუსწოროს მყიდველებს, მიიღოს ფული გაყიდული ქონებისათვის და შეასრულოს ყველა ის მოქმედება და ფორმალობა, რაც დაკავშირებელია აღნიშნული სახლმფლობელობის მართვასა და გაყიდვასთან. ჩემი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად უფლებას ვაძლევ მიროპოლსკის აწარმოოს ყველა ჩემი სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრატიულ და სხვა დაწესებულებაში ყველა იმ უფლებით, რაც კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს, მათ შორის უფლებით გაათავოს საქმე მორიგებით, სცნოს ან უარჰყოს სარჩელი მთლიანად ან ნაწილობრივ, მიიღოს აღმასრულებელი ფურცელი, სასამართლოს გადაწყვეტილებით მისჯილი ქონება და ფული. რწმუნებულობა გაცემულია სამი წლის ვადით. მიროპოლსკის უფლება აქვს სხვას დაუთმოს თავისი უფლებამოსილობა და სხვას გადასცეს თავისი რწმუნებულობა.

(ხელმოწერა): ბორის გრიგოლისძე ისაკოვი.

(დამოწმების წარწერა).

რწმუნებულობა სახლმფლობელობის გაყიდვისათვის.

რწმუნებულობა.

ათას ცხრაას ორმოცდათხი წლის ივნისის ხუთი. ქალაქი კუიბიშევი, მე ვიქტორ პანთენისძე ფედოროვი, მცხოვრები ქალაქ კუიბიშევში, ლენინის ქუჩაზე № 44 სახლში, № 28 ბინაში, ამა რწმუნებულობით უფლებას ვაძლევ მოქ. გენადი ვასილისძე ხახლოვს, მცხოვრებს ქალ. კუიბიშევში, მოსკოვის ქუჩაზე, № 46 სახლში, № 2 ბინაში გაჰყიდოს მის მიერ განსაზღვრულ ფასად და პირობებში ჩემი კუთვნილი სახლმფლობელობა, რომელიც მდებარეობს ქალაქ

კუიბიშევში, ლენინის ქუჩაზე ორმოცდაოთხი ნომრით, რისთვისაც ვაძლევ მას უფლებას მიიღოს ყოველგვარი ცნობები, მოწმობები და სხვა დოკუმენტები, დასდოს ნასყიდობის ხელშეკრულება, მიიღოს ჩემი კუთვნილი ფული, შეიტანოს განცხადება, შეადგინოს საჭირო დოკუმენტები და ხელი მოაწეროს მათ. რწმუნებულობა გაცემულია სამი წლის ვადით.

(ხელმოწერა): ვიქტორ პარფენისძე ფეოდოროვი.

(დამოწმების წარწერა).

რწმუნებულობა სახლის ყიდვისათვის.

რწმუნებულობა.

ათას ცხრაას ორმოცდაოთხი წლის აპრილის ხუთი. მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი, ნადეჟდა იოსების ასული ლებედევა, მცხოვრები ქალაქ მოსკოვში, წითელ პრესნაზე, № 10 სახლში, № 7 ბინაში, ამ რწმუნებულობით უფლებას ვაძლევ მოქ. სვიმონ მარკისძე სმირნოვს იყიდოს სახლმფლობელობის წილი, რომელიც მდებარეობს ქალაქ სვერდლოვსკში, ლენინის ქუჩაზე, სახლი № 8 ისეთ პირობებში, როგორსაც თვითონ მოისურვებს, მიიღოს საჭირო ცნობები და დოკუმენტები, შეიტანოს ჩემი სახელით განცხადებები, მოაწეროს საჭიროებისა და მიხედვით ჩემს მაგივრად ხელი, მოაწეროს ხელი ნასყიდობის ხელშეკრულებას, გადიხადოს სახლმფლობელობის ნაყიდი წილისათვის გადასახდელი ფული და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც კი ამ დავალებასთან არის დაკავშირებული. რწმუნებულობა გაცემულია გადაცემის უფლებით. მას ძალა აქვს ათას ცხრაას ორმოცდაოთხი წლის ივლისის ხუთამდე.

(ხელმოწერა): ნადეჟდა ოსიპის ასულ ლებედევა.

(დამოწმების წარწერა).

რწმუნებულობა სასამართლო საქმეთა წარმოებისათვის

რწმუნებულობა.

ათას ცხრაას ორმოცდაოთხი წლის მარტის ოცდაათი. მე, იგორ ვსევოლოდისძე ლისიხი, მცხოვრები სტალინგრადის ოლქის ქალაქ ასტრახანში, ჩკალოვის ქუჩაზე, № 31 სახლში, ამა რწმუნებულობით უფლებას ვაძლევ მოქალაქე თეოდორე ანდრიას-ძე ოსტროუმოვს, მცხოვრებს ქალ. ასტრახანში, პუშკინის ქუჩაზე, № 0 სახლში, № 12 ბინაში, აწარმოოს ყველა ჩემი საქმე, ყველა სასამართლო ადმინისტრატიულ და სხვა დაწესებულებაში ყველა იმ უფლებით, რაც კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს და დაზარალებულს, მათ შორის უფლებით გაათავოს საქმე მორიგებით, სცნოს ან უარჰყოს ნთლიანად ან ნაწილობრივ სასარჩელო მოთხოვნები, მიიღოს ქონება და ფული. ამ რწმუნობულობით განსაზღვრული უფლებამოსილება შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, შემდგომი გადაცემის უფლებით. რწმუნებულობას ძალა აქვს ათას ცხრაას ორმოცდახუთი წლის მარტის ოცდაათამდე.

(ხელმოწერა): იგორ ვსევოლოდისძე ლისიხი.

(დამოწმების წარწერა).

რწმუნებულობა სასამართლოში სამოქალაქო საქმის წარმოებისათვის

რწმუნებულობა

ათას ცხრაას ორმოცდაოთხი წლის მაისის ოცი. მე, დანიელ იაკობისძე ილინსკი, მცხოვრები ქალაქ მოლოტოვში, ივანოვის ქუჩაზე, № 24 სახლში, № 39 ბინაში, ამა რწმუნებულობით უფლებას ვაძლევ ლუკა ილიას ძე მოისეევს, მცხოვრებს ქალაქ კუიბიშევში, გოგოლის ქუჩაზე, № 36 სახლში, № 4 ბინაში, ჩემი სარჩელის საქმე ქალ. კუიბიშევის სახალხო განათლების საქალაქო განყოფილების მიმართ ჩემი სამუშაო ხელფასის ხუთასი მანეთის გადახდევინების შესახებ აწარმოოს ყველა სასამართლო და ადმინისტრატიულ დაწესებულებაში, ყველა იმ უფლებით, რაც კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მათ შორის უფლები მიიღოს ფული. ამა რწმუნებულობით გათვალისწინებული უფლებამოსილობა შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს. რწმუნებულობას ძალა აქვს ათას ცხრაას ორმოცდახუთი წლის მაისის ოცამდე.

(ხელმოწერა): დანიელ იაკობისძე ილინსკი.

(დამოწმების წარწერა).

რწმუნებულობა ყოველგვარი ფულადი თანხების, საფოსტო გზავნილების და სხვათა მიხაღებად

რწმუნებულობა.

მე ქვემორე ამისა ხელის მომწერი, მოქ. პეტრე დიმიტრის-ძე ლოსუნოვი, მცხოვრები ქალაქ კუიბიშევში, დერჟინსკის ქუჩაზე, № 1 სახლში, № 7 ბინაში, ამა რწმუნებულობით უფლებას ვაძლევ

მოქ. ანნა ეფიმის ასულ ლოსუნოვას მიიღოს ყველა ადგილიდან, პირისგან და დაწესებულებიდან, მათ შორის შემნახველი სალაროდან ყოველგვარი ფულადი თანხა, გზავნილება, უბრალო და დაკვეთილი კორესპონდენცია, ფასიანი და უფასო ამანათი, მიიღოს აგრეთვე ობლიგაციები, ხელი მოაწეროს ჩემ მაგივრად ყველგან, სადაც კი საჭირო იქნება და შეასრულოს ამა დავალებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ფორმალობა. რწმუნებულობას ძალა აქვს ათას ცხრაას ორმოცდახუთი წლის ივლისის 1-მდე.

(ხელმოწერა): პეტრე დიმიტრის-ძე ლოსუნოვი.

(დამოწმების წარწერა).

რწმუნებულობა საცხოვრებელი ფართობის მართვისათვის

რწმუნებულობა.

ათასცხრაას ორმოცდაოთხი წლის ოქტომბრის პირველი. მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი, ვერა ტიმოთეს ასული ილინსკაია, მცხოვრები ქალაქ მოსკოვში, დიდ კარეტნი ქუჩის შესახვევში, № 24) 12 სახლში, № 1 ბინაში, ვანდობ მოქალაქეს მარიამ ალექსანდრეს ასულ ლიზლოვას მართოს ჩემ სარგებლობაში მყოფი საცხოვრებელი ფართობი ზემოთაღნიშნული მისამართით, იყოს ჩემი წარმომადგენელი სახლმმართველობაში, შეიტანოს ბინის ქირა, აგრეთვე მართოს და განაგოს ჩემი ქონება, რომელიც აღნიშნულ საცხოვრებელ ფართობზე იმყოფება, აწარმოოს ჩემი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები ყველა სასამართლო და მთავრობის დაწესებულებაში ყველა იმ უფლებით, რაც კი კანონით მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს და დაზარალებულს, მათ შორის უფლებით გაათავოს საქმე მორიგებით, სცნოს ან უარჰყოს მთლიანად ან ნაწილობრივ სასარჩელო მოთხოვნები, მიიღოს ქონება და ფული. რწმუნებულობა გაცემულია სამი წლის ვადით; რწმუნებულს უფლება ეძლევა გადასცეს სხვას რწმუნება სასამართლო უფლებამოსილობის ნაწილში.

(ხელმოწერა): ვერა ტიმოთეს ასული ილიინსკაია:

(დამოწმების წარწერა.)

დამატებითი მასალები [1])

სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის (სარაიონო, საოლქო, საოკრუგო, სამხარეო და რესპუბლიკური) სახელით, აგრეთვე მეთევზეობის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირების სახელით რწმუნებულებათა დამოწმების შესახებ

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1945 წ. 1 თებერვლის Nр-5 სადირექტივო წერილი

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის დეკემბრის 24-ის № 23—427-გ განკარგულებით „ცენტროსოიუზ"-ს ნება დაერთო გადადოს სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირების (სარაიონო, საოკრუგო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური), აგრეთვე მეთევზეობის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირების სახელმწიფო რეგისტრაციის ვადა 1946 წლის იანვრის 1-მდე; ამის შესაბამისად წინადადებას ვაძლევ სანოტარო კონტორებს დაამოწმონ ზემოთ აღნიშნული კავშირების სახელით ამ კავშირების პრეზიდიუმების (გამგეობების) მიერ გაცემული რწმუნებულებანი ვადით 1946 წლის იანვრის 1-მდე ამ კავშირების წესდების რეგისტრაციის შესახებ ცნობის მოუთხოვნად.

გარდაცვალებულთა შემდეგ დარჩენილი ქონების დასაცავად ღონისძიებათა მიღების საქმეში არსებული ნაკლის აღმოფხვრის შესახებ

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1945 წლის 20 თებერვლის Nр-9 სადირექტივო წერილი

სსრკ იუსტსახკომისარიატმა, შეისწავლა რა მის განკარგულებაში ქონებული მასალები და შეამოწმა რა სანოტარო კონტორების მუშაობა გარდაცვალებულთა შემდეგ დარჩენილი ქონების დასა-

[1]) კრებულის ქართული ტექსტი დამატებულია 1945—1947 წლების მასალებით, რომლებიც გამოცემულია კრებულის რუსული ტექსტის გამოშვების შემდეგ.

ცავ ღონისძიებათა მიღების საქმეში, გამოარკვია სერიოზული ნაკლოვანებები.

ზოგიერთი სანოტარო კანტორა, საწინააღმდეგოთ სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1942 წლ. სექტემბრის 15-ის № 151 (მ/15/უ) დადგენილებისა სახეზე მყოფი მემკვიდრეებისათვის მემკვიდრეობის უფლების შესახებ მოწმობის მიცემის დროს არ იღებდა ზომებს იმ მემკვიდრეთა ხვედრი ქონების დასაცავად, რომლებიც ვერ დაესწრნენ მემკვიდრეობის გახსნას სსრკ უმაღლეს სასამართლოს პლენუმის ზემოთ დასახელებულ დადგენილებაში აღნიშნული მიზეზებით (ივანოვის, ტამბოვის, სანოტარო კანტორები).

სამკვიდრო ქონების აღწერილობა სდგება მეტად უწესოდ და იმდენად გაურკვეველი ხელით, რომ ზოგჯერ მისი წაკითხვა შეუძლებელია (მოსკოვის 1-ლი კონტორა).

აღწერილი საგნების სახელწოდება აღწერილობაში არ არის ზოგჯერ დაზუსტებული, მაგალითად სწერია: „ხელის საათი“, „ჭრელი“, „ყელსახვევი“, (ტაშკენტის კონტორა), „სარკიანი შკაფი“, „ქალის ველოსიპედი“, (ტამბოვის კონტორა), „გარდერობი“, „კამოდი“, (ივანოვის კონტორა) „სამი სურათი“, „ბუფეტი“, (გორკის კონტორა) და სხვა.

აღწერილი საგნების შეფასება სხვადასხვანაირად ხდება, მაგალითად: „საშუალო საბაზრო ფასების მიხედვით“ (ტაშკენტის კონტორა), „კომერციული ფასების მიხედვით“ (გორკის კონტორა) და ა. შ. ცალკე სანოტარო კონტორების მიერ შედგენილი აღწერილობა არ შეიცავს იმ საგნების შეფასებას, რომლებიც შედიან სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში (გორკის 1-ლი, დნეპროპეტროვსკის 1-ლი სანოტარო კონტორები).

ზოგიერთი ნოტარიუსი არ სწერს რეესტრში სამკვიდრო ქონების დასაცავად მიღებულ ზომებს (გორკის 1-ლი, ტაშკენტის 1-ლი კონტორები).

ცალკე სანოტარო კონტორებში არ სწარმოებს იმ ფასეულობათა ზუსტი აღრიცხვა, შენახვა და ჩაბარება, რომლებიც გამოყოფილია სამკვიდრო ქონებიდან ამ ქონების დასაცავად ზომების მიღების დროს (მოსკოვის 1 ლი კონტორა).

აღნიშნული ნაკლოვანებათა აღმოფხვრის და ერთნაირი პრაქტიკის დამყარების მიზნით წინადადებას გაძლევთ:

1. მიიღოთ ზომები სამკვიდრო ქონების დასაცავად:

ა) დაინტერესებულ პირთა და ორგანიზაციათა (მშ. დეპ. ადგილობრივი საბჭოს რაიფინგანის სახლმმართველობის და სხ.) განცხადებების მიხედვით, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფოს ან მემკვიდრეთა ინტერესები, ამასთან ზომები უნდა მიღებულ იქნეს განცხადების შემოტანის შემდეგ არა უგვიანეს ორი დღისა.

ბ) ზომებს უნდა იღებდეს პირადად ნოტარიუსი ან მისი მოადგილე, მხოლოდ გახსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ სანოტარო კონტორას ხშირად უხდება ასეთი სანოტარო მოქმედების შესრულება, ზომების მიღება შეიძლება დაევალოს კონტორის სხვა პასუხისმგებელ მომუშავეს (კონსულტანტს, პასუხისმგებელ აღმსრულებელს).

გ) ზომების მიღება უნდა ხდებოდეს სახლის მმართველის ან სახლმმართველობის სხვა წარმომადგენლის, თანამოწმეთა (მაგალითად, მეზობლების), დაინტერესებულ პირთა, ორგანიზაციის წარმომადგენელთა და სხვათა მონაწილეობით.

2. შემოიღოთ სანოტარო კონტორაში იმ განცხადებათა აღრიცხვის წიგნი, რომელიც შეეხება სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღებას (დანართი № 1).

3. შეადგინოთ აღწერილობის აქტები თანდართული ფორმით (დანართი № 2) და ამ აქტებში შეიტანოთ გარდაცვალებულთა შემდეგ დარჩენილი მთელი ქონება აღწერილი საგნების დაწვრილებითი აღწერით (საგნების ზომა, ნომერი, ფაბრიკის ან ქარხნის მარკა, გამოშვების წელიწადი, გაცვეთის პროცენტი და ა. შ. (და აუცილებლად შეფასებით.

4. აღწერილი ქონება შეაფასოთ:

ა) უხმარი საგნები საშუალო საბაზრო ფასების მიხედვით.

ბ) ნახმარი საგნები იმავე ფასების მიხედვით გაცვეთის პროცენტის მხედველობაში მიღებთი.

შენიშვნა: შენობა შეფასდება დაზღვევის შეფასების მიხედვით ხოლო თუ ასეთი არ არის, საინვენტარიზაციო შეფასების მიხედვით.

5. ძვირფასი ლითონის ნაკეთების, ძვირფასი ქვების და სხვა ფასეულობის, აგრეთვე ფუფუნების საგნების შეფასება, თუ დამსწრე მემკვიდრეები არ დეთანხმებიან ნოტარიუსის მიერ განსაზღვრულ ფასს, მოახდინოთ სპეციალისტის შემფასებლის მონაწილეობით.

შენიშვნა: სპეციალისტ-შემფასებელს შრომის გასამრჯელო მიეცემა დამსწრე მემკვიდრეთა ხარჯით ან იმ თანხებიდან, რომლებიც სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შედის.

6. აღწერილობის აქტის შედგენის შემდეგ ნოტარიუსი ან მისი

მინდობილობით კონსულტანტი, პასუხისმგებელი აღმასრულებელი აღწერილ ქონებას, ფასეულობათა და იარაღის გამოკლებით, გადასცემს საპასუხისმგებლო შენახვისათვის დამსწრე მემკვიდრეს, ხოლო თუ ასეთი არ იქნება, სხვა პირს ან სახლის მმართველობის წარმომადგენელს ხელწერილით, რომელიც დაიწერება თვით აღწერილობის აქტზე იმ პირის გვარის, სახელის, მამის სახელის, პასპორ·ის და მისამართის აღნიშვნით, რომელსაც ქონება ჩაბარდა შესანახად.

აღნიშნული ქონების შემადგენლობაში შესული ფასეულობანი გამოიღება ამ ქონებიდან და ფასეულობათა სპეციალურ სააღრიცხვო წიგნში რეგისტრაციის შემდეგ (დანართი № 2) გადაეცემა არა უგვიანეს მორე დღისა, შესანახად:

სავალიუტო ფასეულობა, ძვირფასი ლითონის ნაკეთობა და სახელმწიფო სესხის ობლიგაციები სსრკ სახბანკის კონტორას ან განყოფილებას (დანართი № 4), საბჭოთა ფულის ნიშნები—სანოტარო კონტორის მიმდინარე სადეპოზიტო ანგარიშზე.

თუ აღწერილი ქონების შემადგენლობაში შედის იარაღი ან ასაფეთქებელი ნივთიერება, ესენიც აგრეთვე გამოიღება აღწერილ ქონებიდან და ჩაბარდება ცალკე აღწერილობით მილიციის ორგანოებს, ფასეულობათა სააღრიცხვო წიგნში შეუტანლად.

ფასეულობათა და იარაღის ჩამორთმევის შესახებ აღწერილობის აქტზე გაკეთდება სპეციალური წარწერა ქონებიდან გამოღებული საგნების აღნიშვნით, ამ წარწერას ხელს მოაწერს ნოტარიუსი ან მისი მოადგილე ან და სანოტარო კონტორის პასუხისმგებელი პირი, აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც აქტის შედგენაში მონაწილეობას მიიღებდნენ.

7, სამკვიდრო ქონების დაცვის ღონისძიებათა მისაღებად შესრულებული მოქმედება ჩაიწერება რეესტრში ცალკე ნომრით.

8. სამკვიდრო ქონების დასაცავად ღონისძიების მიღებისათვის სახელმწიფო ბაჟი გადახდევინებულ უნდა იქნას სსრკ სახკომსაბჭოს 1942 წლ. აპრილის 29-ის № 598 დადგენილების მე-3 მუხლის „ს“ პუნქტის შესაბამისად.

9. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრებმა და იუსტსახკომისარიატის სამმართველოს უფროსმა მშ/დეპ. სამხარეო და საოლქო საბჭოებთან დააწესონ კონტროლი სანოტარო კონტორების მიერ ამა მითითებათა შესრულებაზე.

დანართი № 1

ნ ი ბ ვ ნ ი

ამ განცხადებათა აღრიცხვისა, რომლებიც შეეხება სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღებას

—————— სანოტარო კონტორის

№ ფასზეთ								

დანართი № 2
(ნიმუში)

აღწერილობის აქტი

194 . . წლ. მე . . . . . .
(სანოტარო კონტორის სახელწოდება)
სახელმწიფო სანოტარო კონტორის . . . . . .
(ნოტარიუსმა, მოადგილემ,
. . . . . .
კონსულტანტმა) პასუხ. (აღმასრულებელმა)
. . . . . .
(გვარი, სახელი, მამის სახელი) სახლის მმართველის (ან სახლმმართველობის წარმომადგენელის)
. . . . . თანამოწმეთა . . . . . .
(გვარი, სახელი მამის სახელი) (გვარი სახელი მამის სახელი)
დაინტერესებულ პირთა . . . . . .
(გვარი, სახელი, მამის სახელი)
და ექსპერტის . . . . . .
(დაწესებულების სახელწოდება და ექსპ. გვარი)
მონაწილეობით რსფსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 50 მუხლის (ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ნოტარიატის დებულების სათანადო მუხლის) საფუძველზე მოვახდინე მოქ.
. . . . . .
(გვარი, სახელი მამის სახელი და გარდაცვალებულის თარიღი)
გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქვემოთ მოყვანილი ქონების აღწერა:

№ რ.	ქონების სახელწოდება (ნივთების დაწვრ. აღწერით)	რაოდენობა	შეფასება მან-ში	შენიშვნა
1	საათი ვერცხლის მამაკაცის ფირმა „მოზერ" № 134480	1	1500	
2	ბუფეტი 5 თაროთი 1×15 მ. წითელი ხის, ნახმარი, გაცვეთა 50%-მდე	1	1400	
3	მამაკაცის კოსტუმი შალის, ლურჯი, შავ სატინის სარჩულზე. ნაბმარი, გაცვეთა 30%	1	500	
4	სურათი ზოძით 1×15 მ. ტილოზე, დახატული ზეთიანი საღებავით, ნახატია „ზღვა" აივაზოვსკის სურათის რეპროდუქცია (ასლი)	1	1400	
5	ოქროს ნიშნობის ბეჭედი 96-ის სინჯით. ქალის . .	1	1200	
	სულ	5	8600	

ეს აღწერილობის აქტი შედგენილია . . . . . ცალად.
ნოტ. აღწერილობის აქტის 1 . . . . . .
ბეჭედი შედგენაში მონაწილე 2 . . . . . .
პირთა ხელმოწერა 3 . . . . . .
4 . . . . . .
ფასეულობანი, რომლებიც ჩაიწერა აღწერილობაში № № ბით
. . . . . სახელდობრ . . . . . .
(აღინიშნოს რასაგნები)
გამოღებულია ქონებიდან შესანახად გადაცემისათვის.
აღწერილობის აქტის შედგენაში 1 . . . . . 3 . . . . . .
მონაწილე პირთა ხელმოწერა: 2 . . . . . 4 . . . . . .
აღწერილობაში აღნიშნული ქონება, ზემოთჩამოთვლილ ფასეულობათა გამოკლებით, მივიღე საპასუხისმგებლო შენახვისათვის . .
. . . . . .
(შესანახად ქონების მიმღები პირის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი)
გაფრთხილებული ვარ იმის შესახებ, თუ რა პასუხის გებლობაა დადგენილი შესანახად მობარებული ქონების მითვისებისა ან გაფლანგვისათვის.
თარიღი . . . . . .
შესანახი ქონების მიმღების პირის
ხელმოწერა . . . . . .

სანოტარო
კანტორის
შტამპი

დანართი № 4 (ნიმუში)

განყოფილებას

სახელმწიფოს ბანკის

თანახმად სსრკ იუსტსახკომისარიატის და სახელმწიფო ბანკის გამგეობის 1939 წლ. 8/IX ინსტრუქციისა იმ სავალიუტო და სხვა ფასეულობათა შენახვის და რეალიზაციის წესის შესახებ, რომლებიც სავკვიდრო ქონების შემადგენლობაში შედის, გთხოვთ მიიღოთ შესანახად ვიდრე გარდაცვალებული მოქალაქის . . . . . .
(გვარი, სახელი და
. . . . . მემკვიდრეებს გადაცემდეს
მამის სახელი)
შემდეგი ფასეულობანი:

1. ქალის ნიშნობის ოქროს ბეჭედი 96 სინჯის, შეფასებული 1.200 მანეთად.

2. მამაკაცის ვერცხლის საათი ფირმის „მოზერ" № 134480 შეფასებული 1.500 მან.

სანოტარო კანტორის
ბეჭედი ნოტარიუსი (ხელმოწერა)

№ № ოქმისთი								

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წ. 14 მარტის ბრძანებულება კანონით და ანდერძით მემკვიდრეთა შესახებ.

1. დადგენილ იქნეს, რომ კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან გარდაცვალებულის შვილები (მათ შორის ნაშვილებიც), მეუღლე და შრომის უნარ დაკარგული მშობლები, აგრეთვე სხვა შრომის უნარ-დაკარგული პირნი, რომელნიც გარდაცვალებულის კმაყოფაზე იყვნენ სულ ცოტა ერთი წელიწადი მის გარდაცვალებამდე.

თუ სამკვიდროს დამტოვებლის შვილთაგან რომელიმე გარდაიცვალა მემკვიდროების გახსნამდე, მისი სამემკვიდრო წილი გადადის მის შვილებზე (სამკვიდროს დამტოვებლის შვილი შვილებზე), ხოლო უკანასკნელთა გარდაცვალების შემთხვევაში მათ შვილებზე (სამკვიდროს დამტოვებლის ბადაშიშვილებზე).

თუ აღნიშნული მემკვიდრეები არ არიან, ან ისინი მემკვიდრეობას არ მიიღებენ, მემკვიდრეებად კანონით ითვლებიან შრომისუნარიანი მშობლები, ხოლო, თუ მშობლები აღარ არიან,—გარდაცვალებულის დები და ძმები.

2. ყოველ მოქალაქეს შეუძლიან მთელი თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთს ან რამდენიმე პირს იმ პირთა რიცხვიდან, რომელნიც მოხსენებული არიან ამა ბრძანებულების 1-ლ მუხლში, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

მაგრამ მოანდერძეს არ შეუძლიან წაართვას თავის არასრულწლოვან შვილებს და სხვა შრომისუნარდაკარგულ მემკვიდრეებს ის წილი, რომელიც მათ მიეკუთვნებოდა კანონით დამემკვიდრების დროს.

თუ 1-ლ მუხლში აღნიშნული პირები არ არიან, ქონება შეიძლება ანდერძით გადაეცეს ყოველ პირს.

3. ამა ბრძანებულების მოქმედება გავრცელებულ იქნას იმ მემკვიდრეობაზე, რომელიც გაიხსნა ბრძანებულების გამოცემამდე, მაგრამ მემკვიდრეებმა არ მიიღეს და არც სახელმწიფოს საკუთრებად არის გადასული როგორც ბეითელმანი ქონება.

4. მიენდოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოთა პრეზიდიუმებს შეიტანონ სათანადო ცვლილებები მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებში.

ბრძანება
სსრკ თავდაცვის სახალხო კომისრის და სსრკ იუსტიციის სახალხო კომისრის № 60—39

1945 წლ. ოქტომბრის 14 ქ. მოსკოვი.

სსრკ სახკომსაბჭოს 1942 წლ. სექტემბრის 15 № 1536 დადგენილების „ომიანობის დროს სამხედრო მსახურთა რწმუნებულების და ანდერძის დამოწმების წესის შესახებ"—ცხოვრებაში გასატარებლად სსრკ თავდაცვის სახკომისარიატის და სსრკ იუსტსახკომისარიატის მიერ 1943 წლ. ივნისის 15—16 გამოცემული ინსტრუქციის მე-5 მუხლის რედაქცია, შესაბამისად სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლ. მარტის 14-ის ბრძანებულებისა „კანონით და ანდერძით მემკვიდრეების შესახებ" შეიცვალოს შემდეგნაირად:

„მუხ. 5. ანდერძის დამოწმების დროს მეანდერძეს უნდა განემარტოს, რომ:

ა) სსრკ-ში მოქმედი კანონების თანახმად მეანდერძის კუთვნილი ქონება შეიძლება ეანდერძოს: მეანდერძის შვილებს, შვილიშვილი-შვილებს (ბადიშიშვილებს): მეანდერძის მიერ შვილად აყვანილს, მის შვილებს და შვილიშვილებს; მეანდერძის მეუღლეს და მშობლებს; მეანდერძის ძმებს და დებს; შრომის უნარ მოკლებულ პირებს, რომლებიც ფაქტიურად მეანდერძის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ არა ნაკლებ ერთი წლისა,

ბ) თუ ზემოთ ჩამოთვლილი პირები არ არიან, ქონება შეიძლება ეანდერძოს ყოველ პირს.

გ) მეანდერძეს არ შეუძლიან მოაკლოს თავის არასრულწლოვან შვილებს და სხვა შრომისუნარ მოკლებულ მემკვიდრეებს ის წილი, რომელიც მათ ერგებოდათ კანონით დამკვიდრების დროს.

დ) ქონება ან მისი ნაწილი შეიძლება ეანდერძოს ზემოთჩამოთვლილ პირთაგანს ერთს ან რამოდენიმე პირს, ამასთან მეანდერძეს შეუძლიან აღნიშნოს თითეოული მემკვიდრის ქონების რა წილი ეტოვება ანდერძით.

ე) ქონება შეიძლება აგრეთვე ანდერძით დაეტოვოს სახელმწიფოს ან მის ცალკე ორგანოს, პარტიულ, პროფესიულ ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

ვ) მეანდერძის მიერ შემნახველ სალაროში ან სხვა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში შენახული ფული შეიძლება ეანდერძოს ყოველ პირს სრულიად შეუზღუდველად".

ბესარაბიისა და იმიერკარპატების უკრაინის ტერიტორიაზე გაცემული დოკუმენტების ასლების დამოწმების წესის შესახებ

სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1946 წ. 18 იანვრის № 6 სადირექტივო წერილი

დამოწმება განათლების შესახებ დოკუმენტების ასლების, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების (ქორწინების, გაყრის, დაბადების, სიკვდილის) ასლების და სხვა ანალოგიური დოკუმენტებისა, რომლებიც გაცემულია სსრ კავშირზე გადასული ტერიტორიის ფარგლებში მომქმედ ყოფილი რუმინეთის და ჩეხოსლოვაკიის დაწესებულება-ორგანიზაციებიდან, მოხდება სანიტარო კონტორის მიერ დაუბრკოლებლივ, საგარეო საქმეთა სახკომისარიატის ორგანოებში ამ დოკუმენტების ლეგალიზაციის გარეშე.

ხოლო, რაც შეეხება იმ დოკუმენტებს, რომლებიც გაცემულია რუმინეთის და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მყოფი ორგანოების მიერ, იგი აუცილებლად უნდა იქნეს ლეგალიზებული საგარეო საქმეთა სახკომისარიატის ორგანოებში იმ წესით, რაც დადგენილია სხვა სახელმწიფოთა ორგანოებიდან გაცემული დოკუმენტებისათვის.

გირავნების მოწმობის გაუცემლად შენობებზე ყადაღის დადების წესების ისეთ სესხზე გავრცელების შესახებ, რომელიც ეძლევა მოქალაქეებს სასოფლო-სამეურნეო ბანკის სისტემიდან საბინაო მშენებლობისათვის

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის 1946 წლის 15 მარტის № 9 ბრძანება

საბინაო მშენებლობისათვის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო ბანკის სისტემიდან გაცემული სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად,—

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1939 წლის მაისის 19-ის ინსტრუქცია „სანოტარო ორგანოთა მიერ გირავნობის მოწმობის გაუცემლად შენობებზე ყადაღის დადების წესის შესახებ“ გავრცელებულ იქნას ყველა ისეთ სესხზე, რომელიც მიეცემა მოქალაქეებს საცხოვრებელი სახლების და საეზოვე შენობების ასაშენებლად, აღსადგენად და საყიდლად სასოფლო-სამეურნეო ბანკის კანტორების, განყოფილებებისა და რწმუნებულების მიერ, სახელმწიფო ბანკის იმ განყოფილებების მიერ, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ბანკის ფუნქციებს ასრულებენ, მხოლოდ ესტონეთის სსრ-ში, ლატვიის სსრ-ში და ლიტვიის სსრ-ში კი ამას გარდა, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მიერ, მსესხებელთა კატეგორიის მიუხედავად.

2. სანოტარო კანტორებმა სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაწესებულებათა სახელმწიფო ბანკის და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა უწყებებზე სესხის გაცემის შესახებ გაიკეთონ წარწერა ყადაღის დადების შესახებ და გაუგზავნონ ეს უწყებები იმ ადგილის კომუნალურ განყოფილებას ან სასოფლო საბჭოს, სადაც შენობა მდებარეობს.

სსრ კავშირის იუსტიციის სახ. კომისარიატის 1944 წლის ოქტომბრის 19-ის № დ-36 სადირექტივო წერილში იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ, რომელთაც ადგილი აქვთ სანოტარო კონტორების მიერ მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემისა და ანდერძის დამოწმების დროს ცვლილების შეტანის შესახებ

სსრკ იუსტიციის სამინისტროს 1946 წ. 15 მაისის № р-15 სადირექტივო წერილი

დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის გამოცემულ ბრძანებულებასთან „კანონით და ანდერძით მემკვიდრეთა შესახებ“ სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1944 წლის 19 ოქტომბრის № დ-36 სადირექტივო წერილს „ზ“ პუნქტი კაუქმდეს; ამავე სადირექტივო წერილის „ი“ პუნქტი შეიცვალოს და დაიწეროს იგი შემდეგი რედაქციით: „ანდერძის დამოწმების დროს განემარტოს მეანდერძეს რსფსრ სამოქ. საქ. კოდ. 422 მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლის შინაარსი და ანდერძში მეანდერძის ხელმოწერის წინ აღინიშნოს, რომ მეანდერძეს ზემოთაღნიშნული მუხლი განემარტა.“

საზღვარგარეთ სამოქმედო დანიშნული დოკუმენტების გაფორმების წესის შესახებ.

სსრკ იუსტიციის მინისტრის 1946 წ. 12 აგვისტოს № 30 ბრძანება

საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნული დოკუმენტების გაფორმებისათვის შემოღებულ იქნას შემდეგი წესი:

1. საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნული დოკუმენტების დამოწმება ან შემოწმება ხდება მხოლოდ იმ სანოტარო კონტორებში, რომლებიც მდებარეობენ რესპუბლიკურ, სამხარეო ან საოლქო ცენტრებში.

შენიშვნა: ისეთ ქალაქებში, სადაც რამდენიმე სანოტარო კონტორაა, საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნული დოკუმენტების დამოწმება ან შემოწმება მოხდება პირველ სანოტარო კონტორაში.

5. საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნულ დოკუმენტს, ნოტარიუსის მიერ დამოწმების ან შემოწმების შემდეგ სანოტარო კონტორა ან ამ დოკუმენტის პატრონი წარუდგენს სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ნოტარიუსის ხელმოწერის შემოწმებისათვის.

1-ლ პუნქტში აღნიშნულმა ნოტარიუსებმა ამა ბრძანების მიღების შემდეგ წარუდგინონ სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს თავის ხელმონაწერის ნიმუშები და მათდამი რწმუნებული სანოტარო კონტორების ბეჭდების ტვიფარი.

3. იმ ნოტარიუსის ხელმოწერა, რომელმაც დაამოწმა ან შეამოწმა საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნული დოკუმენტი, უნდა შემოწმებულ იქნას მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ნოტარიატის განყოფილების უფროსის მიერ, ხოლო იმ იუსტიციის სამინისტროში კი, სადაც ნოტარიატის განყოფილება არ არსებობს—უფროსი რევიზორის მიერ ნოტარიატის ხაზით, დასახელებულ პირთა სხვაგან ყოფნის დროს (მივლინება, შვებულება, ავადმყოფობა)-ნოტარიუსის ხელმოწერის შემოწმება შეიძლება მოკავში-

რე რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მიერ დაეკისროს იუსტიციის სამინისტროს სხვა პასუხისმგებელ მუშაკს. ასეთ შემთხვევაში ამ მუშაკის ხელმოწერის ნიმუში დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს ამა ბრძანების მე-5 პუნქტში აღნიშნულ ორგანოებს.

4. საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნული დოკუმენტები მის შემდგ რაც მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ნოტარიატის განყოფილების უფროსი ან უფროსი რევიზორი გაატარებს ამ დოკუმენტების რეგისტრაციისთვის შემოღებულ განსაკუთრებულ წიგნში (დანართი № 1), გაიგზავნება ლეგალიზაციისათვის სსრკ გარეშე საქმეთა სამინისტროს საკონსულო განყოფილებაში.

შენიშვნა: დოკუმენტი, მისი წარმომადგენელი პირის სურვილით შეიძლება მიეცეს ამ პირს ხელზე გარეშე საქმეთა სამინისტროს საკონსულო განყოფილებაში უშუალოდ წარსადგენად.

5. მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრებმა, არა უგვიანეს 1946 წლის 25/X-სა წარმოუდგინონ სსრკ იუსტიციის სამინისტროს ნოტარიატის განყოფილებას ნოტარიატის განყოფილებათა უფროსების ან ნოტარიატის ხაზით სათანადო უფროსი რევიზორის ხელმოწერის ნიმუშები და მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროთა ბეჭდების ანაბეჭდი თანდართულ ფორმით (დანართი № 2) ორ ცალად.

თუ იმ პირთა შემადგენლობაში, რომლებიც ამოწმებენ საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნულ დოკუმენტებს, რაიმე ცვლილება მოხდა, მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებმა ყოველი ასეთი ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ სსრკ იუსტიციის სამინისტროს ნოტარიატის განყოფილებას თანაც წარუდგინონ მას ახალი მუშაკების ხელმოწერის ნიმუშები ორ ცალად.

6. ვინაიდან დღევანდლამდე ადგილი აქვს საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნული დოკუმენტების დაუდევრათ გაფორმების შემთხვევებს, ამიტომ ერთხელ კიდევ აღვნიშნავ ნოტარიუსების, მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების ნოტარიატის განყოფილებათა უფროსების საყურადღებოდ, რომ საჭიროა საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნული დოკუმენტების გულდასმით და კულტურულად გაფორმება.

7. ამა ბრძანების გამოცემისთანავე სსრკ იუსტიციის სახ. კომისრის 1937 წლის აგვისტოს 26 № 85 და 1945 წლის თებერვლის 10 № 13 ბრძანებები ჩაითვალონ ძალადაკარგულად.

დანართი 1-ლი

ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნული დოკუმენტების რეგისტრაციისათვის

. . . . . სსრ იუსტიციის სამინისტროს 194.... წლის

№ თანმიმ.	წელი, თვე და რიცხვი	დოკუმენტის მოკლე შინაარსი					
1	1946 წ. 10 მაისი	სასამართლო რწმუნებულება, გაცემული პეტრე ივანესძე ივანოვის მიერ ივანე ივანესძე პეტროვზე ერთი წლის ვადით ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებში სამოქმედოთ	მოსკოვის 1-ლი სანოტარო კანტორა 1946 წ. 3 მაისი № 10 000	ᲘᲕᲐᲜ ᲘᲕᲐᲜᲘᲡᲫᲔ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲘᲕᲐᲜᲔᲡᲫᲔ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲕᲐᲓᲘᲗ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲘᲕᲐᲜᲘᲡᲫᲔ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ	ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲡᲐᲜᲝᲢᲐᲠᲝ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ 1946 Წ. 3 ᲛᲐᲘᲡᲘ № 10 000	ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲘ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲘ ᲒᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ	ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲒᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜ. ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ 1946 Წ. 11 ᲛᲐᲘᲡᲘ, 100 №-ᲠᲘᲗ

შენიშვნა: წიგნში შეტანილ უნდა იქნას როგორც დოკუმენტები, გაგზავნილი საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო განყოფილებაში, ლეგალიზაციისათვის, ისე ის დოკუმენტებიც, რომლებიც არასწორად არიან გაფორმებულნი და დაბრუნებულნი არიან ხელახლად შესადგენად. უკანასკნელ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს მიზეზი, რომლის გამოც საჭიროა მათი ხელახლა შედგენა.

ზვარი, სახელი და მამის სახელი	თანამდებობა	ხელმოწერის ნიმუში	საღურბო ბეჭდის ანაბეჭდი

„_____" _____ 194 ____ წ.

(მოკავშირე, რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ხელმოწერა)

იმ მოსამსახურეთათვის საკუთრებად გადაცემულ საცხოვრებელ სახლებზე ყადაღის დადების წესის შესახებ, რომლებსაც უკისრიათ ვალდებულება იმუშაონ არა ნაკლებ 10 წლისა კალინინგრადის ოლქის საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს 1946 წ. 16 ნოემბრის სადირექტივო წერილი

სსრკ მინისტრთა საბჭომ 1946 წლის 21 ივლისის № 1298 დადგენილებით ნება დართო სამინისტროებს და უწყებებს გადასცენ საკუთრებად საცხოვრებელი სახლები საეზოვე შენობებით იმ მუშებს, სპეციალისტებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს და მოსამსახურეებს, რომლებიც გაგზავნილი არიან კალინინგრადის ოლქში სამუშაოდ საქვეუწყებო საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში, ამასთან ეს სახლები გადაეცემა აღნიშნულ პირებს ფასად არა ნაკლებ 20 ათასი მანეთისა, რაც გადახდილი უნდა იქნას ნაწილ-ნაწილ 10 წლის განმავლობაში.

ხსენებული დადგენილების თანახმად ის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, სპეციალისტები და მოსამსახურეები, რომლებსაც საცხოვრებელი სახლები პირად საკუთრებად მიეცათ, ვალდებული არიან იმუშაონ კალინინგრადის ოლქის საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში არა ნაკლებ 10 წლისა.

საწარმოთა, საბჭოთა მეურნეობათა და დაწესებულებათა მიერ მუშა-მოსამსახურეთათვის სახლების პირად საკუთრებად გადაცემის წესი, გათვალისწინებული ზემოთხსენებული დადგენილებით, გავრცელებულია იმ მუშებზე, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებზე, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებზე, რომლებიც იგზავნებიან ქალაქ კლაიპედში და ისარა „კურინევს-ნერუნგ"-ზე სამუშაოდ სსრკ დასავლეთ რაიონების სათევზო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებსა და მშენებლობაზე (სსრკ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 25 აგვისტოს № 9499 განკარგულება).

აღნიშნულთან დაკავშირებით ვბრძანებ:

1. ნოტარიუსებმა სსრკ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 21 ივნისის № 1298 დადგენილების წესით საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დამოწმების დროს ეს დამოწმება არა უგვიანეს მეორე დღისა, უნდა აცნობონ სათანადო კომუნალურ ბანკს, თუ სახლი იყიდება ქალაქში და მუშათა დაბაში. ხოლო, თუ სახლი იყიდება სოფლად ცნობა უნდა გაეგზავნოს სასოფლო-სამეურ-

ნეო ბანკის დაწესებულებას, იმ ადგილებში კი, სადაც ასეთი ბანკები არ არის—სახელმწიფო ბანკის ფილიალს.

ზემოთ ხსენებული დადგენილების წესით საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვის ყველა წინათ დამოწმებული ხელშეკრულების შესახებ უნდა ეცნობოს სათანადო ბანკებს 5 დღის განმავლობაში.

2. ნოტარიუსები, მიიღებენ რა ბანკიდან შეტყობინებას იმაზე, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს ჩაბარდათ ვალდებულება მათ მიერ შეძენილი საცხოვრებელი სახლის ღირებულების დაფარვის შესახებ, დაადებენ ამ სახლს ყადაღს და ეს ყადაღა სახლს ედება იქამდე, ვიდრე მისი ღირებულება მთლიანად არ იქნება დაფარული.

3. გაყიდულ სახლზე ყადაღა დაიდება შესაბამისად სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1932 წლის 19 მაისის ინსტრუქციისა „გირავნობის მოწმობის გაუცემლად სანოტარო ორგანოთა მიერ შენობებზე ყადაღის დადების შესახებ“.

სსრკ იუსტიციის მინისტრის 1946 წლის 12 აგვისტოს № 30 ბრძანების „საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნული დოკუმენტების გაფორმების შესახებ“—შევსების თაობაზე

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის 1946 წ. 18 ნოემბრის № 43 ბრძანება

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის 1946 წლის 12 აგვისტოს № 30 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილს დაემატოს შემდეგი მითითებები:

1. საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნული დოკუმენტების დამოწმება ან შემოწმება „უცხოეთის იურკოლეგიის“ წარმოებაში მყოფ საქმეებზე მოხდება როგორც იმ სანოტარო კონტორაში, რომლებიც რესპუბლიკურ, სამხარეო ან საოლქო ცენტრში მდებარეობენ, აგრეთვე სარაიონო სანოტარო კონტორებშიც.

2. სარაიონო სანოტარო კონტორის ნოტარიუსი საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნული დოკუმენტის დამოწმების ან შემოწმების შემდეგ ვალდებულია თავისი ხელმოწერის ნიმუში და სანოტარო კონტორის ბეჭდის ტვიფარი დაუყოვნებლივ გაუგზავნოს სათანადო მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროს.

თუ აქავე სანოტარო კონტორას შემდეგში კიდევ მოუხდება ზემოთ აღნიშნული ხასიათის დოკუმენტის დამოწმება ან შემოწმება,

იგი თავის ხელმოწერის ნიმუშს აღარ გაუგზავნის იუსტიციის სამინისტროს.

საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნულ რწმუნებულებაზე სანოტარო კონტორის დამოწმების წარწერის ფორმის დადგენის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრის 1947 წ. 19 თებერვლის № 5 ბრძანება.

ვინაიდან იურიდიული პირის სახელით საზღვარგარეთ სამოქმედოთ დანიშნულ რწმუხებულობაზე სანოტარო კონტორის დამოწმების წარწერისათვის დღევანდლამდე ფორმა შემოღებული არ ყოფილა.

ვბრძანებ:

დამტკიცდეს ამასთანავე დართული ფორმა დამოწმების წარწერისა ისეთ რწმუნებულობაზე, რომელიც დანიშნულია საზღვარგარეთ სამოქმედოთ იურიდიული პირის სახელით.

№ 5 ბრძანების დანართი

194 წ._____ დღეს მე _____
(სანოტარო კონტორის სრული სახელწოდება)

_____სახელმწიფო ნოტარიუსი _____
(გვარი, სახელი და მამის სახელი)

ვამოწმებ, რომ ზემოთ მოცემული რწმუნებულობა ქმნილია) _____
იურიდიული პირის

_____მიერ _____
სრული სახელწოდება (იურიდიული პირის წარმომადგენლის

_____
გვარი, სახელი და მამის სახელი) სახით, რომელმაც რწმუნებულობას პირადად ხელი მოაწერა ჩემი, ნოტარიუსის, თანდასწრებით (ან სცნო, რომ რწმუნებულობა მის მიერ არის ხელმოწერილი _____

_____
(იურიდიული პირის დასახელება

უფლება-უნარიანობა და ქმედობა-უნარიანობა, აგრეთვე მისი წარმომადგენლის პირადობა და უფლებამოსილება შემოწმებულია.

გადახდევინებულია სახელმწიფო ბაჟი—მანეთის სახელმწიფო ბაჟის მარკებად.

რეესტრით №_____ მეორე ეკზემპლარი
(ბეჭდის ადგილი) ნოტარიუსი

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „კანონით და ანდერძით მემკვიდრეების შესახებ“ 1945 წლის 14 მარტს გამოცემული ბრძანებულების შეფარდებისა და დამკვირდების სხვა საკითხების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1947 წლის 20 ივნისის № 9 (4) უ დადგენილება

ვინაიდან სასამართლოებს და სანოტარო კანტორებს თავის საქმიანობის პრაქტიკაში უძნელდებათ დამკვიდრების საკითხების გადაწყვეტა და დაკავშირებით ადგილებიდან შემოსულ შეკითხვებთან სსრკ იუსტიციის მინისტრი, სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის დებულების მე-7 მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე, შევიდა სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმში წინადადებით მიეცეს სასამართლოებს აღნიშნული საკითხების შინაარსის მიხედვით სახელმძღვანელო მითითებები:

სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს მიეცეს სასამართლოებს შემდეგი მითითებები:

1. თუ სამკვიდროს დამტოვებელი სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულების—„კანონით და ანდერძით შემკვიდრეების შესახებ“—გამოცემამდე გარდაიცვალა და თუ იმ პირებმა, რომლებიც წინათ მომქმედი კანონით მემკვიდრეებად იყვნენ ცნობილი, (შვილიშვილები, და შვილშვილის შვილები) თავის დროზე მიიღეს მემკვიდრეობა, მაგრამ თავის სამემკვიდრეო უფლებები არ გააფორმეს, ასეთ შემთხვევაში აღნიშნულ მემკვიდრეებს ყოველ დროს შეუძლიანთ მიიღონ დამკვიდრების უფლების მოწმობა იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოქმედობდა მემკვიდრეობის გახსნის მომენტში.

2. საკითხს—ჩაითვლება თუ არა ესა თუ ის გარემოება საპატიო მიზეზად მემკვიდრეობის მისაღებად დადგენილი ვადის (რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 450 და 433 მუხლები და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდექსების სათანადო მუხლები (დენის შეჩერებისათვის ისეთ შემთხვევაში, რაც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1942 წლის 15 სექტემბრის № 15 (მ) (16) უ დადგენილებით არის გათვალისწინებული, სწყვეტს სასამართლო საქმის კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით.

3. სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად მცხოვრები მემკვიდრეები მათი კუთვნილი სამკვიდრო ქონების წილის გარდა იღებენ კიდევ ქონებას, რომელიც შესდგება ჩვეულებრივი საოჯახო ნივთებისაგან, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სამემკვიდრეოდ იქნებიან გამოწვეული (რსფსრ სამოქ. სამ. კოდექსის 421 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდექსების სათანადო [მუხლი).

თუ სამემკვიდრეოდ სხვა მემკვიდრეები არიან გამოწვეული, მაშინ ეს ქონება გამოწვეულ მემკვიდრეებზე გადადის, თუნდაც მათ სამკვიდროს დამტოვებელთან არ უცხოვრიათ და ნაწილდება იმ წესით, რომელიც აღნიშნულია რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 420 მუხლში (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდექსების სათანადო მუხლში).

4. თუ მემკვიდრე მემკვიდრეობაზე უარს იტყვის ან მემკვიდრეობას არ მიიღებს, მისი წილი გადადის იმავე რიგის მემკვიდრეებზე რომელთაც იგი ეკუთვნის, ხოლო თუ ასეთი მემკვიდრეები არ არიან ან თუ მათ მემკვიდრეობა არ მიიღეს—გადადის შემდეგი რიგის მემკვიდრეებზე; თუ სხვა მემკვიდრეები საერთოდ არ არსებობენ, მემკვიდრეობა გადადის სახელმწიფოზე (რსფსრ სამოქ. სამ. კოდექსის 433 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდექსების სათანადო მუხლი).

5. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონების მის კუთვნილ წილზე უარის თქმა რომელიმე სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ არ დაიშვება. უარის თქმა შეიძლება მხოლოდ უპირობოდ.

6. იმ პირთა არ ყოფნა, რომლებიც კანონით მემკვიდრეთა წრეს ეკუთვნიან, დადგინდება არა ანდერძის დამოწმების მომენტისათვის არამედ მემკვიდრეობის გახსნის მომენტისათვის. ამიტომ მოანდერძეს უფლება აქვს უანდერძოს თავისი ქონება გარეშე პირსაც, იმისდა მიუხედავად, ჰყავდა თუ არა მას ანდერძის შედგენის მომენტს კანონიერი მემკვიდრეები (რსფსრ სამოქ. სამ. კოდექსის 418 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდექსების სათანადო მუხლი).

მაგრამ, ამასთან, ნოტარიუსი ანდერძის დამოწმების დროს მოვალეა გააფრთხილოს მოანდერძე იმის შესახებ, რომ თუ მოანდერძის სიკვდილის მომენტში რომელიმე მისი კანონიერი მემკვიდრე ცოცხალი იქნება, მის ანდერძს გარეშე პირის მიმართ ძალა დაეკარგება.

7. გერი ან შეიძლება იყოს მამინაცვლის ან დედინაცვლის მემკვიდრედ; სწორედ ასევე მამინაცვალი და დედინაცვალი არ შეიძლება იყვნენ გერის მემკვიდრე, თუ ადგილი არ ჰქონია შვილად აყვანის ან კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს.

8. სამკვიდროს დამტოვებულის შვილშვილები და შვილშვილის შვილები სამემკვიდრეოდ გამოიწვევიან (წარმოდგენის უფლებით) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მშობლები მემკვიდრეობის გახსნამდე გარდაცვლილან. ისინი მიიღებენ სამკვიდრო ქონებიდან იმ წილს, რაც ერგებოდა მათ გარდაცვლილ მშობლებს მემკვიდრეობის გახსნის მომენტში ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ.

კანონის თანახმად წარმოდგენის უფლებით სამემკვიდრეოდ გამოწვევა შეიძლება მხოლოდ სამკვიდროს დამტოვებლის პირდაპირი ჩამომავალობის და სამკვიდროს დამტოვებლის შვილობილის შთამამავლობის მიმართ. ამიტომ სამკვიდროს დამტოვებლის სხვა ნათესავებზე, აგრეთვე მის კმაყოფაზე მყოფ პირებზე წარმოდგენის უფლებით დამკვიდრება არა ვრცელდება.

9. თუ სამემკვიდრეოდ გამოწვეული მემკვიდრე მემკვიდრეობის გახსნის შემდეგ მოკვდა ისე, რომ მემკვიდრეობის მიღება ვერ მოასწრო, მისი უფლება იმ წილზე, რაც მას სამკვიდრო ქონებიდან ერგებოდა, გადადის მის მემკვიდრეობაზე. გარდაცვალებული მემკვიდრის ეს უფლება შეიძლება განხორციელებულ იქნას მის მემკვიდრეთა მიერ საერთო საფუძვლიანობაზე მემკვიდრეობის მისაღებად დარჩენილი ვადის განმავლობაში (რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 429 და 430 მუხლები და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდექსების სათანადო მუხლები)

10. თუ მოანდერძის ვაჟიშვილი (ან ქალიშვილი) რომელსაც დამკვიდრების უფლება ანდერძით მოისპო, მოკვდა მემკვიდრეობის გახსნამდე, მისი არასრულწლოვანი შვილი (მოანდერძის შვილშვილი) მიიღებს მემკვიდრეობას წარმოდგენის უფლებით საერთო საფუძველზე, მისი სრულწლოვანი შვილი კი (მოანდერძეს შვილშვილი) ასეთ შემთხვევაში მიიღებს მემკვიდრეობას მხოლოდ მაშინ, თუ მოანდერძემ თავისი ქონება მთლიანად არ უანდერძა სხვა მემკვიდრეებს.

11. საცხოვრებელი შენობის როგორც კანონით ისე ანდერძით დამკვიდრებას. რსფსრ სამოქ. სამ. კოდექსის 182 მუხლი (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდექსების სათანადო მუხლი), რომელშიც ლაპარაკია ხელშეკრულებით შენობების გადასვლის შეზღუდვაზე, არ შეეფარდება.

12. ანდერძის არსებობის დროს კანონით დამკვიდრების უფლების მოწმობა გაიცემა იმ ქონებაზე, რომელიც ანდერძით გათვალისწინებული არ ყოფილა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
წინასიტყვაობა	3
შემდგენლებისგან	5
სახელმწიფო ნოტარიატის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ	6
I. სანოტარო ორგანოთა საქმიანობის ხელმძღვანელობა	
სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის დებულება	8
იმ თანამდებობათა ნომენკლატურა, რომელთაც ნიშნავენ და ამტკიცებენ სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარი, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრები, იუსტსახკომისარიატების სამმართველოთა უფროსები და სასამართლოთა თავმჯდომარეები .	9
სანოტარო კონტორების მუშაობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესება	10
რსფსრ სანოტარო კონტორების მუშაობისა და მათდამი ხელმძღვანელობის შესახებ	11
ნოტარიატის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის შედეგების შესახებ	12
სანოტარო კონტორების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ .	12
სანოტარო კონტორებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ	12
სანოტარო კონტორების მუშაკთა სამუშაო ხელფასის შესახებ.	13
ნოტარიუსების მიერ სანოტარო კონტორებთან საწარმოო სტაჟის განვლის შესახებ	13
პროგრამა ნოტარიუსების საწარმოო პრაქტიკისა სანოტარო კონტორებთან	15
მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისრებისა და იუსტსახკომისარიატების სამხარეო და საოლქო სამმართველოთა უფროსების პერიოდული ანგარიშები ნოტარიატის შესახებ	26
II. ხელშეკრულებათა სანოტარო წესით დამოწმება	
ქალაქებში საბინაო ფონდის შენახვისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ	33
სატიპო ხელშეკრულება 60 კვ. მეტრზე არა უმეტეს საცხოვრებელი სახლის იჯარად გაცემისათვის	34

ანგარიშებსა და ხელწერილებზე ხელმონაწერის სინამდვილის შემოწმების მაგივრად სხვადასხვაგვარი საგნების გაყიდვის ხელშეკრულებათა გაფორმების წესის შესახებ . . 37
არამარცელეული სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ნასყიდობის ხელშეკრულებათა სანოტარო წესით დამოწმება . 38
შენობების ნასყიდობის გარიგებათა დამოწმების დროს დაშვებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ 39

III. შენობებზე ყადაღის დადება

საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების წესები 41
გირავნობის მოწმობის გაუცემლად სანოტარო ორგანოთა მიერ შენობებზე ყადაღის დადების წესის შესახებ 42
გირავნობის მოწმობის გაუცემლად შენობებზე ყადაღის დადების შესახებ მომქმედი წესების გავრცელება მშრომელთა სახლების კაპიტალური რემონტისათვის კომუნალური ბანკიდან სესხის გაცემის შემთხვევებზე 44
სოფლად მდებარე საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების საბინაო მშენებლობისათვის სასოფლო-სამეურნეო ბანკის და სახელმწიფო ბანკის ფილიალების მიერ სესხის გაცემის შემთხვევებში შენობებზე ყადაღის დადება გირავნობის მოწმობის გაუცემლად 45
ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ისეთი სესხით აშენებულ შენობებზე ყადაღის დადების შესახებ, რომელიც გაცემულია 1939 წლის აპრილის 26-ის წესების სამოქმედოდ შემოღებამდე, მაგრამ გირავნობის მოწმობით არ ყოფილა გაფორმებული 46
გირავნობის მოწმობის გაუცემლად შენობებზე ყადაღის დადების წესების გავრცელება ისეთ შემთხვევებზედაც, როდესაც კომუნალური ბანკის მიერ გაცემულია სესხი ერთ მიწის ნაკვეთზე 2—3 აღმნაგის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის 46
გირავნობის მოწმობის გაუცემლად შენობებზე ყადაღის დადების წესების გავრცელება ისეთ შემთხვევებზედაც, როდესაც სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და ამ ბანკის ოპერაციების შემსრულებელი სახელმწიფო ბანკის ფილიალების მიერ გაცემულია სესხი გადმოსახლებულთათვის სახლებისა და საეზოო შენობების ასაშენებლად, სარემონტოდ და შესაძენად. 47

„გირავნობის მოწმობის გაუცემლად სანოტარო ორგანოთა მიერ შენობებზე ყადაღის დადების წესის შესახებ“ მომქმედი სსრკ იუსტსახკომისარიატის 1939 წ. 14 მაისის ინსტრუქციის შეფარდება 48
სანოტარო კონტორების მიერ რკინიგზელთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის კომუნალური ბანკიდან მიცემული სესხის უზრუნველყოფის გაფორმების შესახებ . 49

IV. რწმუნებულობის სანოტარო წესით დამოწმება

რწმუნებულობა საგარეო ვაჭრობის გარიგებათათვის 49
საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული მოქმედებათა შესრულებისათვის გაცემული რწმუნებულობის სანოტარო წესით დამოწმება 50
დეპეშა—რწმუნებულობა 51
ომიანობის დროს სამხედრო მსახურთა რწმუნებულობისა და ანდერძის დამოწმების წესი 51
სსრკ სახკომსაბჭოს მიერ „ომიანობის დროს სამხედრო მსახურთა რწმუნებულობისა და ანდერძის დამოწმების წესის შესახებ“ გამოცემული 1942 წლის 15 სექტემბრის № 1536 დადგენილების შეფარდება 52
სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მისაღებად თანამდებობის პირთათვის რწმუნებულობის მიცემის წესის შესახებ 58

V. აღსრულების წარწერა

სააღსრულებო დოკუმენტებით გაფორმებული მოთხოვნების გამო სასარჩელო წესით დავის განცხადების შესახებ . 58
აღსრულების წარწერა იმ მუშებისაგან საწარმოს ხარჯების გადასახდევინებლად, რომლებმაც დაარღვიეს მათ მიერ საწარმოსთან დადებული შრომითი ხელშეკრულება . . . 58
რადიომიმღებთა და რადიო წერტილებით სარგებლობისათვის საბონემენტო გადასახდელის დავალიანების გადასახდევინებლად, აგრეთვე საბონემენტო გადასახდელის შეტანის ვადის გადაცილებისა და რადიოდადგმულობის მოწყობის და ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის დადებული ჯარიმის გადასახდევინებლად აღსრულების წარწერის გაცემის წესის შესახებ 60

გვ.

გამოსაფხიზლებლებში საექიმო დახმარებისათვის გადასახდელი ფულის დავალიანების გადასახდევინებლად აღსრულების წარწერის გაცემის წესის შესახებ 64

სანოტარო ორგანოთა მიერ აღსრულების წარწერის გაცემის წესის შესახებ 64

VI. დამკვიდრება

ანდერძით ანაბრის დატოვების წესის შესახებ 65

სამკვდრო ქონების შემადგენლობაში შესულ სავალიუტო და სხვა ფასეულობათა შენახვისა და რეალიზაციის წესის შესახებ 68

საავადმყოფოსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაცვალებულ პირთა შემდეგ დარჩენილი ქონების გაცემის წესის შესახებ 69

მტრის მიერ დროებით დაკავებულ ადგილს გარდაცვალებული პირისა, აგრეთვე ევაკუაციის ადგილისაკენ მიმავალი სამკვიდროს დამტოვებლის გზაში გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ქონებაზე დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემის წესის შესახებ 70

ომიანობის დროის გარემოებებთან დაკავშირებით იმ ვადების დენის შეჩერება, რომლებიც გათვალისწინებულია რსფსრ სამოქ. სამ. კოდ. 4 0 და 433 მუხლებით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამ. კოდ. სათანადო მუხლებით მემკვიდრეობის მისაღებად 71

ბეითალმანი ქონების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ 73

დამკვიდრების უფლების მოწმობის გაცემისა და ანდერძის დამოწმების დროს სანოტარო კონტორების მიერ დაშვებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ 75

VII. ასლების სისწორის შემოწმება

ისეთი დოკუმენტების ასლების შემოწმების მოწესრიგება, რომლებიც მოქალაქეთა პირად უფლებებს და ინტერესებს შეეხებიან 79

რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო სანოტარო კონტორების მიერ ისეთი დოკუმენტების ასლის ასლის შემოწმების წესის შესახებ, რომლებიც მოქალაქის პირად უფლებებსა და ინტერესებს შეეხება 80

გვ.

სასამართლოს განაჩენის, გადაწყვეტილებისა და დადგენილების ასლის გაცემის წესის შესახებ 83

შრომის წიგნაკების ასლების შემოწმება 85

დოკუმენტების ასლების სისწორის შემოწმება 85

სანოტარო კონტორებში ისეთი დოკუმენტების ასლების შემოწმება, რომლებიც წარმოდგენილია სამხედრო მსახურთა მიერ ან სამხედრო მსახურთა ოჯახებს შეეხება 86

სასულიერო წოდების შესახებ დოკუმენტების ასლების შემოწმება 87

VIII. ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება

ისეთ განცხადებაზე ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება, რომელიც შოომის სტაჟს ადასტურებს 87

სანოტარო ორგანოთათვის ანგარიშებსა და ხელწერილებზე ხელმოწერის სინამდვილის შემოწმების აკრძალვის შესახებ 87

მოქალაქე-მოწმეთა ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება მათ ისეთ წერილობით განცხადებაზე, რომელიც ადასტურებს წითელ არმიაში გარკვეული პირის გაწვევის ფაქტს, აგრეთვე ადასტურებს ცნობებს სამხედრო მსახურის წინათ მუშად ან მოსამსახურედ მუშაობისა და მისი სამუშაო ხელფასის ოდენობის შესახებ 88

მოწმეთა ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება მათ განცხადებებზე, რომლითაც ისინი ადასტურებენ სამხედრო მსახურის მუშაობის ფაქტს და მისი სამუშაო ხელფასის რაოდენობას 90

მოწმეთა ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება მათ განცხადებებზე, რომლებიც ადასტურებენ ტექნიკუმების, საშუალო სამედიცინო, მუსიკალური, თეატრალური და ქორეოგრაფიული სასწავლებლებისა და მუშათა ფაქულტეტების მასწავლებელთა, დირექტორთა და სასწავლო ნაწილში მათ მოადგილეთა პედაგოგიური მუშაობის სტაჟს . . . 90

IX. დეპოზიტი

დეპოზიტიდან მოუთხოვნელი თანხების შენახვის ვადები . . 91

მოუთხოვნელი სადეპოზიტო თანხების კვარტალში ერთჯერ სახელმწიფო შემოსავლად საფალდებულო გადარიცხვის შესახებ 93

X. მოქალაქეთა უკვალოდ დაკარგულად ცნობა და უკვალოდ დაკარგულთა გარდაცვალებულად ცნობა

გვ.

უკვალოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა გარდაცვალებულად ცნობის წესის შესახებ 93

XI. ჩეკის გაუნაღდებლობის დამოწმება

დებულება ჩეკების შესახებ 95

XII. საზღვაო პროტესტების შესრულება

დისპაშერების, დისპაშის შედგენის წესისა და საზღვაო პროტესტების შესახებ 96

XIII. ნოტარიატის შესახებ მომქმედი სხვა დადგენილებები და ბრძანებები

პროფკავშირული ორგანოების, როგორც იურიდიული პირების უფლებათა შესახებ 98

კონსულებისა და საკონსულო აგენტების უფლება სხვადასხვა დოკუმენტების და აქტების შემოწმებისა 99

სანოტარო ორგანოს მიერ დამოწმებული ისეთი დოკუმენტების გაფორმების წესის შესახებ, რომლებიც დანიშნულია საზღვარგარეთ გასაგზავნად 101

დებულება სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ, სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ 103

XIV. სახელმწიფო ბაჟი

სახელმწიფო ბაჟის შესახებ 106

სახელმწიფო ბაჟის განაკვეთების შესახებ 107

სახელმწიფო ბაჟის შესახებ 110

ევაკუირებულ მოქალაქეთა სახელით ქონების სამმართავად გაცემული რწმუნებულობის სანოტარო წესით დამოწმებისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შესახებ 115

გირავნობის მოწმობის გაუცემლად შენობებზე ყადაღის დადებისათვის სანოტარო კონტორების მიერ გადასახდევინებელი სახელმწიფო ბაჟის რაოდენობის შესახებ 116

გვ.

შენობის დანგრევა-გადასატანად გასხვისების ხელშეკრულებათა დამოწმებისათვის სანოტარო კონტორების მიერ გადასახდევინებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შესახებ . . 116

მემკვიდრეობის და ჩუქების წესით გარდამავალ ქონებაზე გადასახადის გაუქმებისა და სამშობლოს დაცვის დროს დაღუპულ პირთა მემკვიდრეებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდაში შეღავათების მიცემის შესახებ 117

მემკვიდრეობის და ჩუქების წესით გარდამავალ ქონებაზე გადასახადის გაუქმებისა და სამშობლოს დაცვის დროს დაღუპულ პირთა მემკვიდრეებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდაში შეღავათების მიცემის შესახებ 117

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებული ერთიანი სახელმწიფო ბაჟის და სადეპოზიტო თანხების სანოტარო ორგანოთა მიერ აღრიცხვის წესის შესახებ . 118

სსრკ იუსტიციის სახ. კომისარიატის 1938 წლის 27 აგვისტოს ინსტრუქციის — „სანოტარო ორგანოთა მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებული ერთიანი სახელმწიფო ბაჟისა და სადეპოზიტო თანხების აღრიცხვის წესის შესახებ“ — შეცვლის შესახებ 122

XV. საქმისწარმოება

სანოტარო საქმისწარმოების ფორმების შესახებ 125

დამოწმების წარწერის და სხვადასხვა შემოწმების ფორმები . 128

ფორმა სტატისტიკური ანგარიშებისა სანოტარო კონტორების მიერ ნახევარი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შესახებ 152

დანართი:

ხელშეკრულებათა, რწმუნებულობათა, ანდერძთა და განცხადებათა სანიმუშო ფორმები 156

დამატებითი მასალები 173

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „კანონით და ანდერძით მემკვიდრეების შესახებ“ 1945 წლის 14 მარტს გამოცემული ბრძანებულების შეფარდებისა და დამკვიდრების სხვა საკითხების შესახებ 192

Отдел Научно-Справочной Библиотеки
ЦК КПСС
ГССР

პ/მგ. გამოშვებისათვის ი. ნადარაია.

შეკვ. № 639. ტირაჟი 600. უე 00226

ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.